პოლ ოსტერი

მისნის ღამე

K

დიდხანს ვიავადმყოფე. საავადმყოფოდან ჩემი გამოწერის დღე რომ მოახლოვდა, სიარული ლამის დავიწყებული მქონდა, მგონი, ისიც კი აღარ მახსოვდა, ვინ და რა ვიყავი. „თავს ძალა დაატანე," – მითხრა ექიმმა, – „არ შეეპუო და სამ-ოთხ თვეში ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდები". არ დავუჯერე, მაგრამ მის რჩევას მაინც მივდიე. ექიმებს სასიკვდილოდ ვყავდი გადადებული და ახლა, როცა მათ ყველა პროგნოზი გავუცრუე და რაღაც იდუმალი ძალის მეოხებით სიკვდილს გადავურჩი, სხვა რა დამრჩენოდა? უნდა მერწმუნა, რომ მთელი ცხოვრება წინ მქონდა.

მოკლე-მოკლე გასეირნებებით დავიწყე. სახლს ერთ-ორ კვარტალზე მეტად არ ვშორდებოდი და მალევე შინ ვბრუნდებოდი. ოცდათოთხმეტი წლის ვიყავი, მეტის კი არა, მაგრამ ავადმყოფობამ დამაბერა და დამაჩაჩანაკა; იმ მოხუცებივით დავდიოდი, ნაბიჯი რომ ერევათ ხოლმე, წინ თუ არ დაიხედეს. ასე ჩანჩალის დროსაც კი თავში უცნაურ სიმსუბუქეს ვგრძნობდი, თითქოს ტვინში რაღაც გაყვანილობა გამდიოდა, რომლის მავთულებიც ერთმანეთში აბურდულიყო და სხეულს

არეულ სიგნალებს აძლევდა. სამყარო თვალწინ მიელავდა, სადღაც მიცურავდა, როგორც დატალღულზედაპირიან სარკეში არეკლილი გამოსახულებები. საკმარისი იყო, რამეს ჩავკვირვებოდი – ვთქვათ, ქალის ცისფერ შარფს ან მანქანის ფარების წითელ შუქს, – ფერთა სიუხვიდან მისი გამორჩევა მეცადა, რომ გამოსახულება თვალწინ მემსხვრეოდა, წყლიან ჭიქაში ჩაწვეთებული საღებავივით ირეოდა და ქრებოდა. ყველაფერი თრთოდა და კრთოდა, სხვადასხვა მიმართულებით მიქროდა. პირველი რამდენიმე კვირა იმის თქმაც კი მიჭირდა, სად მთავრდებოდა ჩემი სხეული და სად იწყებოდა დანარჩენი სამყარო. კედლებს ვეხლებოდი, სანაგვეებს ვაყირავებდი, სასეირონოდ გამოყვანილი ძაღლების საბელებს ვედებოდი, ქარში მოფრიალე გაზეთებში ვეხვეოდი, უსწორეს ტროტუარებზე ვბორძიკობდი. მთელი ცხოვრება ნიუ-იორკში გავატარე, მაგრამ მის ქუჩებს და გამვლელ-გამომვლელს ალღოს ველარ ვუღებდი და ყოველ ჯერზე, როცა სასეირნოდ გავდიოდი, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც უცხო ქალაქში დაკარგული კაცი.

იმ წელს ზაფხული ადრე დადგა. ივნისის პირველივე კვირის ბოლოს მძიმე, დახუთული, დამთრგუნველი ამინდი დაიჭირა: ცას დღითიდღე მომწვანო ნაღვლისფერი ერეოდა, ჰაერში ნაგვისა და გამონაბოლქვის სიმყრალე ტრიალებდა, ყოველი აგური, ასფალტის ყოველი ფილა სიმხურვალეს გამოსცემდა, მე კი თავს ვაიძულებდი, ყოველ ცისმარე დღეს კიბე ჩამევლო და ქუჩაში გავსულიყავი. თავში გამჯდარი ბურანი თანდათანობით მეწმინდებოდა, ძალ-ღონე ნელ-ნელა მიბრუნდებოდა. ახლა უკვე შემეძლო, უფრო მოშორებულ კვარტალებამდეც მევლო. მალე ყოველდღიური სეირნობების ხანგრძლივობა გავზარდე და თანდათანობით ქუჩაში გატა-

რებული ათი წუთი ოცად მექცა, საათი – ორ საათად, ორი საათი კი – სამად. ფილტვები ჰაერისგან მისკდებოდა, კანი ოფლით მეცვარებოდა; ისე დავბორიალებდი, თითქოს სხვის სიზმარში ვიყავი: ბრბოს მივაპობდი, უხმოდ ვადევნებდი თვალს სამყაროსეულ ძრაობას. ვერ ვიჯერებდი, რომ ოდესღაც მეც სხვა ფეხით მოსიარულეებს ვგავდი – დაგვიანების შიშით მუდამ მოჩქარე, მუდამ სულმოუთქმელად მორბენალ, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ათას საქმეს შეჭიდებულ ადამიანებს. ახლა თამაშის ასეთ წესებს ჩემი ჯანმრთელობა ვეღარ გაწვდებოდა. დაზიანებული საქონელი ვიყავი – ხარვეზებით მომუშავე ნაწილების და ნერვული კვანძების ნაზავი. გიჟური შოვნა-ხარჯვის მიმართ სრულიად გულგრილი გავხდი. ამ ყველაფრის ფონზე სასაცილო ის იყო, რომ სიგარეტს ხელახლა მივუბრუნდი და საღამოებს ბოლით გაბუღულ კაფეებში ვატარებდი, ლიმონათს და ცხელ ყველიან სენდვიჩებს მივირთმევდი, თან გვერდით მსხდომთა მუსაიფს ვუსმენდი და სამი სხვადასხვა გაზეთის სტატიებს თვალს ერთდროულად ვავლებდი. დრო გადიოდა.

იმ ღირსსახსოვარ დილას, როცა ეს ამბავი დაიწყო – 1982 წლის 18 სექტემბერს – ბინის კარი სადღაც ათის ნახევრიდან ათ საათამდე გამოვიხურე. მე და ჩემი ცოლი ბრუკლინში, კობლ ჰილში ვცხოვრობდით – ბრუკლინ ჰაითსსა და კეროლ გარდენზს შორის. ჩვეულებრივ, სასეირნოდ ჩრდილოეთით დავდიოდი ხოლმე, მაგრამ იმჯერად სამხრეთის მიმართულება ავირჩიე, კორტ სტრიტთან მარჯვნივ შევუხვიე და ექვსი თუ შვიდი კვარტალი ასე ვიარე. ცას ცემენტის ფერი ედო: ნაცრისფერ ღრუბლებს, ნაცრისფერ ჰაერს მათსავით ნაცრისფერი ქარი არხევდა, ერეკებოდა და წვრილ წვიმად წურავდა. ასეთი ამინდი ყოველთვის მიყვარდა, პირქუში ატმოსფერო მთლიანად

მავსებდა და ოდნავადაც აღარ მედარდებოდა, რომ ცხოვრების საუკეთესო წლები, როგორც ჩანდა, უკვე უკან მომეტოვებინა. შინიდან ასე, ათი წუთის გამოსული ვიქნებოდი, როცა კეროლ სტრიტსა და პრეზიდენტ სტრიტს შორის, ქუჩის გადაღმა, საკანცელარიო ნივთების მაღაზიას მოვკარი თვალი. მაღაზია ფეხსაცმლის სახელოსნოსა და ღვინის სადღეღამისო სარდაფს შუა კოხტად იყო ჩამჯდარი. შეუხედავი, გაქუცული შენობების რიგში თვალშისაცემი, დასახსომებელი ფასადი მხოლოდ მას ჰქონდა. მაშინვე მივხვდი, რომ დიდი ხნის გახსნილი არ უნდა ყოფილიყო. სიახლე ყოველთვის ცნობისმოყვარეობას აღგვიძრავს, თანაც მაღაზიის ვიტრინა ძალიან ორიგინალურად გაეფორმებინათ (კალმისტრებით ნაგები ცათამბჯენები, ფანქრებით და სახაზავებით გამოყვანილი მანჰეტენის სილუეტი ცის ფონზე), მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, „ქაღალდის სასახლე“ მაინც ძალიან პატარა იყო იმისათვის, რომ იქ ფეხი განსაკუთრებული მოლოდინით შეგედგა. თუკი მაინც გადავწყვიტე ქუჩაზე გადასვლა და ახალი მაღაზიის სტუმრობა, მიზეზი ის იყო, რომ მუშაობის დაწყება მსურდა. ამ მოთხოვნილებას ჯერ ვერ ვაცნობიერებდი – ძნელად აღსაწერ სურვილს, რომელიც ბოლო ხანებში მომეძალა, ჯერ სახელს ვერ ვარქმევდი, არადა, ის სწორედ იმის ნიშანი იყო, რომ წერა მინდოდა. საავადმყოფოდან მაისში გამოვეწერე და მას მერე არაფერი – წინადადება კი არა, სიტყვაც არ დამეწერა. თითქოს ამის სურვილი არც მქონდა, მაგრამ ახლა, აპათიასა და სიჩუმეში გატარებული ოთხი თვის შემდეგ, მოულოდნელად ქაღალდისა და წერისთვის საჭირო სხვა ნივთების მარაგის შევსება მომ̣ინდა: ახალი ფანქრები და კალმები, ახალი ბლოკნოტი, ახალი სამელნე და საშლელები, წიგნაკები და საქაღალდეები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ახალი.

სალაროს უკან, კარის სიახლოვეს, ჩინელ მამაკაცს მოვკარი თვალი: ჩემზე ოდნავ ახალგაზრდა ჩანდა. მაღაზიაში შესვლამდე ვიტრინაში შევიხედე და იქაურობას თვალი შევავლე. ის კაცი გადაშლილ უბის წიგნაკს ჩასცქეროდა და მასში შავი ფანქრით ციფრებს სვეტებად წერდა. მოკლესახელოიანი პერანგი ეცვა, იმის მიუხედავად, რომ იმ დღეს გვარიანად გრილოდა – თხელი, ღიასაყელოანი საზაფხულო პერანგი, რომლის სახელოებიც წვრილ სპილენძისფერ მკლავებს ვერ უმალავდა. კარი რომ შევაღე, მის თავზე დაკიდებულმა ზანზალაკმა დაიწკარუნა და კაცმა წუთით თავი ასწია, რათა თავის თავაზიანი დაკვრით მომსალმებოდა. საპასუხოდ მეც დავუქნიე თავი, მაგრამ ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ ჩინელი ისევ დაიხარა და თვლას და ანგარიშს დაუბრუნდა.

შეიძლება, დაემთხვა და გარეთ, კურტ სტრიტზე, იმ წუთებში მოძრაობა შენელებული იყო, შესაძლოა, ვიტრინას ჰქონდა სქელი მინა, მაგრამ მაღაზიას თვალი მოვავლე თუ არა, მაშინვე გავაცნობიერე, როგორი სრულყოფილი, იდეალური სიმშვიდე იყო შიგნით. იმ დღეს შესული პირველი მომხმარებელი ვიყავი, სიჩუმე კი ისეთი იდგა, ზურგს უკან ფანქრის წვერის მოძრაობის ხმა მესმოდა. ახლაც კი, როცა იმ დილას ვიგონებ, მაშინვე ფანქრის წვერის წრიპინი მახსენდება. ეს ხმა ისე მკაფიოდ ჩამესმის, რომ ვხვდები – თუკი ამბავში, რომლის მოყოლასაც ახლა ვაპირებ, რამე აზრი ყრია, მაშინ ყველაფერი იმ წუთებში დაიწყო, როცა სამყაროს ყველა ხმასა და ხმაურში მხოლოდ ფანქრის წვერის ხმა გამოვარჩიე.

თაროებს აუჩქარებლად დავუყევი. რამდენიმე ნაბიჯს რომ გადავდგამდი, ვჩერდებოდი და გასაყიდად გამოდებულ ნივთებს ვათვალიერებდი. იმათი უმეტესობა სტანდარტული სასკოლო და საოფისე საქონელი გამოდგა, მაგრამ, ასეთი

სიუხვის მიუხედავად, თითოეული ნივთი საოცრად სწორად და გააზრებით იყო შერჩეული. მრავალფეროვნებამაც გამოცა: სხვადასხვა სიგრძის ექვსნაირი სპილენძის სამაგრი, ქაღალდის დასტის დამჭერი – თორმეტ სახეობამდე, ერთი სიტყვით, სულო და გულო, მეპატრონეს თითქმის არაფერი დავიწყებოდა. მერე კუთხეში მოვუხვიე და ის-ის იყო, კარისკენ უნდა წავსულიყავი, რომ თვალი საუცხოო ხარისხის უცხოური ნაწარმით დატვირთულმა თარომ მომტაცა. რა აღარ ეწყო ზედ: ტყავის ყდიანი იტალიური ბლოკნოტები, ფრანგული სატელეფონო წიგნაკები, იაპონური ბრინჯის ქაღალდის შეკვრები. იქვე რვეულების ორი დასტა იდო: ერთში გერმანულები ეწყო, მეორეში – პორტუგალიურები. პორტუგალიური რვეულები განსაკუთრებით მიმზიდველად მომეჩვენა და როგორც კი ერთ-ერთი იმათგანი ხელში დავიჭირე, მისი მაგარი ყდა, უჯრედებიანი ფურცლები, ხარისხიანი, სქელი ქაღალდი თითებით შევიგრძენი, მაშინვე მივხვდი: იქიდან ისე ვერ გავიდოდი, რომ ერთი ასეთი რვეული არ შემეძინა. არაფერი განსაკუთრებული, ფუფუნებისთვის განკუთვნილი მათში არ ყოფილა. პრაქტიკული, საჭირო ნივთები იყო – სადა შესახედაობის, მარტივი და კარგად სახმარი; ისეთიც კი არა, რომ ვინმესთვის ჩუქება მოგსვლოდა აზრად. ნაჭრის ფაქტურის ყდა მომეწონა და კიდევ მათი ფორმა და ზომა: ცხრა და მეოთხედი ინჩის სიგრძისა და შვიდი და მეოთხედი ინჩის სიგანის ფორმატი, ჩვეულებრივ რვეულზე უფრო მოკლე და განიერი. ვერ ავხსნი, რატომ, მაგრამ ეს პროპორციები აუხსნელ კმაყოფილებას მგვრიდა და როცა რვეული ხელში პირველად დავიჭირე, ლამის ფიზიკური სიამოვნება განვიცადე, ძნელად აღსაწერი სიხარულის უეცარი მოზღვავება ვიგრძენი. დასტაში მხო-

ლოდ ოთხი ასეთი რვეულიღა იყო დარჩენილი, ყოველი მათგანი სხვადასხვა ფერისა: შავი, წითელი, ყავისფერი და ლურჯი. ლურჯი ავირჩიე, ის ცალი, რომელიც დასტას ზემოდან ედო.

იმ ნივთების მოსაძებნად, რომელთა შესაძენადაც მაღაზიაში შემოვედი, კიდევ ხუთი წუთი დამჭირდა, მერე კი სალაროსკენ გავემართე და შენაძენი დახლზე დავაწყვე. მამაკაცმა კიდევ ერთხელ გამიღიმა თავაზიანად და სალაროს აპარატის კლავიატურას თითებით დაურბინა. ყოველი ახალი ნივთის გატარებისას ღილაკებს ხმაურით აჭერდა, მაგრამ როცა ჯერი ლურჯ რვეულზე მიდგა, მცირე ხანს შეყოვნდა, ჩემი შენაძენი ჰაერში შეათამაშა, დაატრიალა და ყდას თითები ფაქიზად დაუსვა – ნივთის ჯეროვნად დამფასებელი კაცის ჟესტი იყო, მკაფიო, ზუსტი, ლამის ალერსის გამომხატველი.

– მშვენიერი წიგნაკია, – წარმოთქვა შესამჩნევი აქცენტით, – მაგრამ მეტი აღარ არის. პორტუგალიური აღარ არის. ძალიან ცუდი ამბავია.

ვერ გავიგე, რას გულისხმობდა. მისი ნათქვამის გაგება არც მიცდია, ჩუმად რაღაც ჩავილაპარაკე, რვეულს განსაკუთრებული ხიბლი და სისადავე შევუქე და მერე საუბრის თემა შევცვალე.

– დიდი ხანია, ამ ბიზნესში ხართ? – ვკითხე, – ყველაფერი სრულიად ახალი გაქვთ, მაღაზია კი – სუფთა და დაწკრიალებული.

– ერთი თვეა, – მომიგო, – აგვისტოს ათში დიდი გახსნა გვქონდა.

ამას რომ ამბობდა, მომეჩვენა, რომ რაღაცნაირად წელში გაიმართა, პატარა ბიჭივით გაიჯგიმა და მკერდი მეომრის შემართებით გაშალა, მაგრამ როგორც კი ვკითხე, მაღაზიაში

საქმე როგორ მიგდით-მეთქი, რვეული დახლზე ფრთხილად დადო და თავი გააქნია.

– ძალიან მძიმედ, – მითხრა, – ბევრი იმედგაცრუება იყო.

თვალებში რომ ჩავხედე, მივხვდი: იმაზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, ვიდრე თავიდან მეგონა. ოცდათხუთმეტისა მაინც იქნებოდა, შეიძლება ორმოცისაც. რაღაც უაზრობა ვთქვი, საქმე უნდა გააგრძელოთ და მდგომარეობაც გამოსწორდება-მეთქი, მაგრამ იმან მხოლოდ თავი გამიქნია და გამიღიმა.

– მაღაზიის გახსნა ყოველთვის იყო ჩემი ოცნება, – მითხრა, – ასეთი მაღაზიის, სადაც ბევრი კალამი და ქაღალდია. ჩემი დიდი ამერიკული ოცნება. საქმე, შემოსავალი ყველასთვის. ხომ სწორად ვამბობ?

– დიახ, – ვუპასუხე, თუმცა ჯერ ვერ ვხვდებოდი, საით მიჰყავდა ეს საუბარი.

– ყველას აქვს სიტყვები, – განაგრძო მაღაზიის მეპატრონემ, – ყველას უნდა რაღაცის ჩაწერა. სკოლის ბავშვები გაკვეთილებს ჩემ რვეულებში წერენ. მასწავლებლები ნიშნებს ჩემ რვეულებში უწერენ. სასიყვარულო წერილებს ჩემ კონვერტებში დებენ და ისე გზავნიან. დავთრები ბუღალტრებისთვის, წიგნაკები საყიდლების სიისთვის, ბლოკნოტები საქმეების ჩამოსაწერად. რაც აქ არის, ყველაფერი მნიშვნელოვანია ცხოვრებაში და ამის გამო ბედნიერი და ამაყი ვარ.

ისეთი საზეიმო გამომეტყველებით წარმოთქვა ეს ტირადა, ცხოვრების საზრისისა და მისადმი ერთგულების იმგვარი შეგრძნებით, უნდა გამოვტყდე, გულიც კი ამიჩუყდა. საკანცელარიო მაღაზიის გამყიდველია, მაგრამ ხედავ, რანაირი-მეთქი, – გავიფიქრე, – მყიდველს ქაღალდის მეტაფიზიკაზე ესაუბრება, როგორი პასუხისმგებლობით ემსახურება

ადამიანთა მოდგმას, მის ურიცხვ მოთხოვნილებებს რა მძაფ-
რად შეიგრძნობს-მეთქი. არ გამოვრიცხავ, ალბათ იყო ამაში
რაღაც კომიკურიც, მაგრამ ნამდვილად შემიძლია ვთქვა: ამ
კაცს რომ ვუსმენდი, გაცინების სურვილი ერთხელაც არ
გამჩენია.

– კარგი ნათქვამია, – ვუთხარი, – შეუძლებელია, არ და-
გეთანხმოთ.

ჩემმა ქათინაურმა თითქოს გუნება გამოუკეთა და გა-
მოაცოცხლა. ძლივს შესამჩნევად გამიღიმა, თავი მსუბუქად
დამიკრა და სალაროს აპარატის კლავიატურაზე თითებით თა-
მაში განაგრძო.

– აქ, ბრუკლინში, ბევრი მწერალია, – მითხრა, – ეს უბანი
მწერლებითაა სავსე. ალბათ კარგი იქნება ჩემი ბიზნესისთვის.

– ალბათ, – დავეთანხმე, – თუმცა მწერლებს ერთი ცუდი
საქმე სჭირთ: უფრო ხშირად ფული არა აქვთ ხოლმე.

– აჰ! – აღმოხდა მოულოდნელად, სალაროდან ამომხედა,
გულღიად გამიღიმა და ოკრობოკრო კბილები გამოაჩინა, –
მგონი თვითონაც მწერალი უნდა იყოთ!

– ოღონდ ეგ არავის უთხრათ, – ვუპასუხე. ვცდილობდი,
საუბრისთვის სახუმარო ტონი მიმეცა, – ჩვენ შორის დარჩეს
ეს ამბავი, საიდუმლოდ.

რაც ვთქვი, მაინცდამაინც სასაცილო არ უნდა ყოფილიყო,
მაგრამ ჩემს თანამოსაუბრეს რიგიან ხუმრობად მოეჩვენა და
რამდენიმე წუთი გულის წასვლამდე იცინა. რაღაც უცნაური,
სტაკატოს რიტმი იყო მის სიცილში – ლაპარაკსაც ჰგავდა
და იმავდროულად სიმღერასაც, ხორხიდან არაბუნებრივი ხმა
ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მექანიკურად ამოსდიოდა.

– ჰა, ჰა, ჰა. ჰა, ჰა, ჰა. ჰა, ჰა, ჰა. ეს ეგ. არავის ვუთხრა,
– მითხრა სიცილით, როგორც კი სული ოდნავ ოთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი საიდუმლოა. მარტო მე და თქვენ უნდა ვიცოდეთ! აი, პირზე ბოქლომი დავიდე. ჰა, ჰა, ჰა!

მერე სალაროს მიუბრუნდა და საქმე განაგრძო. იმ დროისთვის, როცა ყველა ჩემი შენაძენი აღნუსხა და დიდ პარკში ჩააწყო, უკვე სერიოზული გამომეტყველება დაბრუნებოდა.

– თუ ერთ დღეს ლურჯ პორტუგალიურ რვეულში მოთხრობას ჩაწერთ, – მითხრა თავისი კოჭლი ინგლისურით, – ძალიან გახარებული კაცი ვიქნები. გულში სიხარული მექნება.

უცებ ვერ მოვისაზრე, რა უნდა მეპასუხა ამ სიტყვებზე, მაგრამ სანამ რამეს მოვიფიქრებდი, ჩინელმა პერანგის გულის ჯიბიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო და დახლს ზემოდან გამომიწოდა. ბარათის ზედა ნაწილში მსხვილი ასოებით იყო დაბეჭდილი სიტყვები: „ქაღალდის სასახლე“. მათ მისამართი და ტელეფონის ნომერი მოჰყვებოდა, დაბლა კი, მარჯვენა ქვედა კუთხესთან ბოლო ინფორმაცია ეწერა: „მ. რ. ჩანგი, მაღაზიის მფლობელი“.

– გმადლობთ, ბატონო ჩანგ, – ვუთხარი ისე, რომ ბარათისთვის თვალი არ მომიცილებია. მერე ჯიბეში ჩავიცურე და საფულე ამოვიღე, რათა გავსწორებოდი.

– ბატონი არა, – მითხრა ჩანგმა და ისევ იმ გულღია ღიმილით გამიღიმა, – მ. რ. მირჩევნია. ასე უფრო მნიშვნელოვნად ჟღერს. უფრო ამერიკულად.

კიდევ ერთხელ დავიბენი და სათქმელს თავი ისევ ვერ მოვაბი. გონებაში რამდენიმე მოსაზრებამ გამირბინა იმის თაობაზე, თუ რის აღმნიშვნელი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ინიციალები. მენტალური რესურსები. მრავალჯერადი რეინტერპრეტაცია. მისტერიაზე რეფლექსია. თუმცა ვარაუდი ხმამაღლა არ გამომითქვამს. ნაფიქრალიდან ზოგი რამ მაინც

უთქმელი უნდა დარჩეს-მეთქი, – ვუთხარი საკუთარ თავს და ეს პატარა კაცი ჩემი გონების უხეირო გავარჯიშების შედეგებით აღარ შემიწუხებია.

ხანმოკლე და დამაბნეველი პაუზის შემდეგ ჩანგმა შენაძენით სავსე თეთრი პარკი გამომიწოდა და მადლობის ნიშნად თავი დამიკრა.

– აბა, ხელი მოგმართვოდეთ! წარმატებებს გისურვებთ თქვენც და თქვენს მაღაზიასაც, – მხოლოდ ეს ვუთხარი.

– ძალიან პატარაა ეს ქაღალდის სასახლე, – მომიგო, – ბევრი არაფერი მაქვს. მაგრამ მეტყვით, რა გჭირდებათ და ყველაფერს შევუკვეთავ. ყველაფერს ვიშოვი, რაც გინდათ.

– ძალიან კარგი, – მივუგე, – მაშ, შევთანხმდით.

მივტრიალდი და მაღაზიიდან გასასვლელად მოვემზადე, მაგრამ მოულოდნელად ჩანგი დახლს უკანიდან გამოსხლტა, გასასვლელში ჩამიდგა და კარისკენ გზა მომიჭრა. როგორც ჩანს, ჩვენ შორის ახლახან დადებულ მნიშვნელოვან შეთანხმებას მასზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა და ახლა ხელის ჩამორთმევით სურდა მისი დაგვირგვინება.

– მაშ, შევთანხმდით, – გაიმეორა, – თქვენთვისაც კარგია, ჩემთვისაც კარგი. ასე არ არის?

– ასეა, ასე, – დავეთანხმე და ხელი ჩამოსართმევად გავუწოდე. ამ პატარა წვრილმანისთვის ამოდენა მნიშვნელობის მინიჭება აბსურდად მომეჩვენა, მაგრამ თამაშის გაგრძელება ჩემგან ბევრს არაფერს მოითხოვდა. ესეც რომ არა, უკვე წასვლა მინდოდა და მივხვდი, რაც ნაკლებს ვილაპარაკებდი, მით მალე გავაღწევდი მაღაზიიდან.

– ესე იგი, თქვენ მთხოვთ, მე ვშოულობ. რაც არ უნდა შემიკვეთოთ, ყველაფერს გიშოვით. მ. რ. ჩანგი – საქონლის მომწოდებელი!

ამის შემდეგ ჩემი ხელი კიდევ ორჯერ თუ სამჯერ ღონივრად შეარხია, მერე კარი გამიღო და მომღიმარი სახით და თავის დაკვრით გამაცილა. მაღაზიიდან გვერდულად გავსრიალდი და თავი სექტემბრის უჟმურ დღეს მივეცი.[1]

ერთ მახლობელ სასაუზმეში დავაპირე შესვლა, მაგრამ იმ ოცდოლარიანიდან, რომელიც შინიდან გამოსვლის წინ საფულეში ჩავიდე, სამი კინკილა დოლარი და რაღაც ხურდაღა შემომრჩენოდა – თუ გადასახადის წილს და მომტანის

[1] იმ დილის შემდეგ ოცი წელი გავიდა. იქიდან, რაც იმ დღეს ერთმანეთს ვუთხარით, ბევრი რამ უკვე დამავიწყდა. დიალოგის გამოტოვებულ ნაწილს მეხსიერებაში ვეძებ, მაგრამ ერთმანეთთან დაუკავშირებელი რამდენიმე ფრაგმენტის, კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზებისა და სიტყვების გარდა არაფერი მახსენდება. ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, ისაა, რომ სახელით და გვარით გავეცანი. ეს ალბათ მას შემდეგ მოხდა, რაც ჩემმა თანამოსაუბრემ გაარკვია, რომ მწერალი ვარ. ჩემი ვინაობაც მაშინ იკითხა – ხომ შეიძლება, როდესმე შემთხვევით თქვენს წიგნს გადავაწყდეო. მახსოვს, ვუთხარი, ორი ვარ-მეთქი, ჯერ ჩემი გვარი დავუსახელე, მერე კი გავუმეორე, სიდნი ორი-მეთქი. ჩანგის ინგლისური ისედაც მოიკოჭლებდა, ამ „ორ“-მა (მთარგმნელის შენიშვნა: or – ან (ინგ.)) სულ დააბნია, და როცა გაღიმებულმა თავი დავუქნიე, სახეზე უხერხულობის და დაბნეულობის ღიმილი მოეფინა. ის-ის იყო, ჩემი გვარის ასო-ასოდ წარმოთქმა დავაპირე, რომ ჩანგმა ხელების განზე ქნევა დაიწყო – ნიჩბის მოსმას ასახიერებდა, რადგან, როგორც ჩანს, ამჯერად მოეჩვენა, რომ oar (მთარგმნელის შენიშვნა: oar – ნიჩაბი (ინგ.)) წარმოვთქვი. არამეთქი, თავი გავუქნიე და ისევ გავუღიმე. ახლა უკვე საბოლოოდ ნირწამხდარმა ჩანგმა ხმამაღლა ამოიოხრა და თქვა:

ფეხის ქირასაც მივათვლიდი, ეს ფული 2.99 დოლარიან სტანდარტულ მენიუსაც ვერ გასწვდებოდა. ხელში საკანცელარიო ნივთებით სავსე ჩანთა მეჭირა, თორემ ფეხით გასეირნებაზე უარს არ ვიტყოდი. რაკი ამასობაში ამინდიც გვარიანად გაფუჭებულიყო (ცოტა ხნის წინ თითქოს წვრილად ცრიდა, ახლა კი კოკისპირული წვიმა მოდიოდა), ქოლგა გავშალე და შინისაკენ გავეშურე.

შაბათი დღე იყო და დილით, როცა სახლიდან გავდიოდი, ჩემი ცოლი ჯერ კიდევ საწოლში იწვა. გრეისი ყოველდღე ცხრიდან ხუთამდე მუშაობდა და გამოძინებას მხოლოდ შაბათ-კვირას ახერხებდა, უმაღვიძაროდ ადგომის ფუფუნება მხოლოდ ამ დღეებში ეძლეოდა. მის გაღვიძებას მოვერიდე: საძინებლიდან შეძლებისდაგვარად უხმაუროდ გამოვიძურწე, სამზარეულოს მაგიდაზე კი პატარა წერილი დავუტოვე. შინ დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ წერილს რამდენიმე წინადადება ჰქონდა მიწერილი: „სიდნი, იმედია, კარგად ისეირნე. საყიდლებზე გავდივარ. მალე მოვალ, დროებით. გკოცნი, გ.“.

– საშინელი ენაა ეს ინგლისური. ჩემი საწყალი ტვინი ვერ ერევა.

ეს გაუგებრობა მანამდე გრძელდებოდა, სანამ დახლიდან ლურჯი რვეული არ ავიღე და ყდის შიდა მხარეს ჩემი სახელი და გვარი მსხვილი ოთხკუთხა ასოებით არ დავუწერე. თითქოს ცნობისმოყვარეობა მაშინღა დაიკმაყოფილა და კმაყოფილმა შემომხედა. ამდენი ჯახირის შემდეგ იმის თქმა კი აღარ მომინდა, რომ ამერიკაში დასახლებული პირველი ორები სინამდვილეში ორლოვსკის გვარისანი იყვნენ. ბაბუაჩემმა გვარი ასეთნაირად შეიმოკლა, რათა მისთვის უფრო ამერიკული ჟღერადობა მიეცა – ზუსტად ისე, როგორც ჩანგმა დაამატა თავისას ის დეკორატიული და აზრსმოკლებული ინიციალები – მ. რ.

დერეფნის ბოლოს მივაშურე, სადაც პატარა ოთახში კაბინეტი მქონდა მოწყობილი და დილის შენაძენი ჩანთიდან ამოვაწყვე. ჩემი კაბინეტი, გვერდით რომ ტუალეტი იყო, იმაზე დიდი არ იქნებოდა, თუმცა მაგიდას, სავარძელს და მინიატურულ, ოთხთაროიან ვიწრო წიგნის კარადას მაინც იტევდა და ჩემს მოთხოვნებს (მოთხოვნები კი დიდი არასდროს მქონია, ჩემთვის ისიც საკმარისი იყო, რომ სიტყვის ქაღალდზე გადატანის საშუალება და სკამი მქონოდა) სავსებით აკმაყოფილებდა. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ამ კაბინეტში რამდენჯერმე შევედი, მაგრამ არ მახსენდება, სექტემბრის იმ დილამდე – რომელიც, დღემდე მირჩევნია, სექტემბრის *ღირსსახსოვარ* დილად მოვიხსენიო – სკამზე ერთხელ მაინც დავმჯდარიყავი. ახლა, როცა ჩემი, ბოდიში მომითხოვია და, მოდუნებული უკანალი ხის სკამზე დავდე, თავი ისე ვიგრძენი, როგორც მძიმე და გრძელი გზიდან დაბრუნებულმა კაცმა, როგორც ხელმოცარულმა მოგზაურმა, შინ არყოფნისას დაკარგული მდგომარეობის დაბრუნებას რომ ცდილობს. ნეტარება დამეუფლა იმის გამო, რომ იქ ვიჯექი. მიხაროდა, რომ იქ ჯდომა ნეტარებას მანიჭებდა და იმ ბედნიერების წინათგრძნობაში, საწერ მაგიდასთან ჯდომა რომ მპირდებოდა, გადავწყვიტე, ეს განცდა დღესასწაულივით აღმენიშნა და ჩემს ლურჯ რვეულში რამე დამეწერა.

კალმის გული მელნით დავტენე, რვეული პირველ გვერდზე გადავშალე და მის პირველ ხაზს თვალი გავუსწორე. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა დამეწყო წერა. ამ სავარჯიშოს დანიშნულება იმდენად წერა არ იყო, რამდენადაც საკუთარი თავისთვის დამტკიცება: ის რაღაც, რაც ადრე მაწერინებდა, ჩემში არ ჩამკვდარიყო. არც მერე ექნე-

ბოდა მნიშვნელობა, რას დავწერდი, მთავარი ის იყო, რაღაც დამეწერა. ნებისმიერი რამ გამოდგებოდა, ნებისმიერი წინადადება. და მაინც, არ მინდოდა, ახალი რვეულის უხინჯო სითეთრეში მდარე სისულელით შევჭრილიყავი და ამიტომ ფეხს ვითრევდი, პატარა კვადრატებს, მკრთალ ცისფერ ხაზებს, რომლებიც ამ სითეთრეს სერავდნენ და ერთმანეთს კვეთდნენ, თვალს დიდხანს ვუშტერებდი. რვეულის ფურცელს მიჩერებულმა ფიქრები ლაღად მივუშვი და ცოტა ხანში გავაცნობიერე, რომ ერთ საუბარს ვიხსენებდი, რომელიც ორი კვირით ადრე ჩემსა და ჩემს ერთ მეგობარს, ჯონ ტრაუზეს შორის გაიმართა. როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, წიგნებზე ბევრს არ ვსაუბრობდით ხოლმე, მაგრამ იმ დღეს ჯონმა მითხრა, ბოლო ხანებში იმ მწერლების ხელახლა კითხვა დავიწყე, ახალგაზრდობაში გამორჩეულად რომ მიყვარდაო – მაინტერესებს, მათ მიმართ ჩემმა სიყვარულმა დროს თუ გაუძლოო. უნდოდა, გაერკვია, ისეთსავე შთაბეჭდილებას მოახდენდნენ თუ არა ეს წიგნები, როგორსაც ოცდაათზე მეტი წლის წინათ. ჯერ ათი მწერალი გადაიკითხა ჯონმა, მერე ოცი – ვინ აღარ, ფოლკნერიდან და ფიცჯერალდიდან დაწყებული დოსტოევსკით და ფლობერით დამთავრებული. ზოგ მათგანზე ვისაუბრეთ, მაგრამ ყველაზე მკაფიოდ მეხსიერებაში მაინც ერთი კომენტარი ჩამრჩა, რომელიც მაშინ ამომიტივტივდა, როცა კაბინეტში საწერ მაგიდას მივუჯექი და ჩემ წინ გადაშლილ ლურჯ რვეულს დავაცქერდი. ტრაუზეს კომენტარი დეშილ ჰემეთის ერთ-ერთ წიგნში მოთხრობილ ეპიზოდს შეეხებოდა.

– ეს ამბავი, თავისთავად, რომანის მასალაა, – მითხრა მაშინ ჯონმა, – ამაზე ფიქრისთვის მე უკვე ბებერი ვარ, მაგრამ შენნაირ ახალგაზრდა კაცს კი შეუძლია, ხორცი შეასხას და

რაღაცად აქციოს. გასაგიჟებელი მასალაა. შენ მარტო იმაზე დაგჭირდება ფიქრი, როგორ გაშალო ამბავი.[2]

ფლიტკრაფტის ეპიზოდს გულისხმობდა, „მალტის შევარდნის“ მეშვიდე თავიდან – იმ საგულისხმო იგავს, სემ სფეიდი

---

[2] ჯონი ორმოცდათექვსმეტი წლის იყო. ამ ასაკში კაცი ალბათ ახალგაზრდად აღარ ითვლება, მაგრამ არც იმდენად ხნიერია, რომ თავი ბებრად ჩათვალოს, მით უფრო, რომ ტრაუზე, თავისი ასაკის კვალობაზე, შესანიშნავ ფორმაში იყო და შესახედად ორმოცდახუთს ოდნავ გადაცილებულ, მოწიფულ მამაკაცს ჰგავდა. მაშინ სამიოდე წლის გაცნობილი მყავდა: ჩვენი მეგობრობა გრეისთან ქორწინებას თავისთავად მოჰყვა. მეორე მსოფლიო ომის მომდევნო წლებში გრეისის მამა პრინსტონში ჯონთან ერთად სწავლობდა და მართალია, მერე სხვადასხვა სფეროში გააგრძელეს მოღვაწეობა (გრეისის მამა ვირჯინიაში, შარლოთსვილში ოლქის ფედერალური სასამართლოს მოსამართლე იყო), ახლო ურთიერთობა მაინც შეინარჩუნეს. ამიტომ იყო, რომ მე ჯონი ოჯახის მეგობრად გამაცნეს და არა ცნობილ რომანისტად. არადა, მის ნაწერებს კოლეჯის წლებიდან მოყოლებული სულ ვკითხულობდი და დღემდე ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო მწერლად ვთვლი.

1952-დან 1975 წლამდე ჯონმა ექვსი წიგნი გამოაქვეყნა, მაგრამ ახლა უკვე შვიდ წელიწადზე მეტი იყო, აღარაფერი დაეწერა. ისიც მართალია, რომ სწრაფად არასდროს მუშაობდა, თან რომანსა და რომანს შორის ჩვეულზე ხანგრძლივი ინტერვალი სულაც არ ნიშნავდა, რომ ჯონი უქმად იყო. საავადმყოფოდან ჩემი გამოწერის შემდეგ რამდენიმე საღამო ერთად გავატარეთ. რას აღარ გადასწვდა ჩვენი საუბარი: ჩემს ჯანმრთელობას (გულწრფელად აწუხებდა ჩემი მდგომარეობა და ცდილობდა, ჩემს ფეხზე დაყენებაში რამე წვლილი მაინც შეეტანა), ჯეიკობს, მის ოცი წლის ვაჟს, რომელმაც ბოლო ხანებში არაერთ უსიამოვნებაში გახვია, „მეტსის“ (მთარგმნელის შენიშვნა: ბეისბოლის ნიუიორკული გუნდი; ოსტერის ბევრი პერსონაჟი სწორედ ამ

ბრიჯიდ ო'შონესის რომ უყვება. ეს ერთი კაცის ამბავია, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი ცხოვრებიდან გააბიჯებს – სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაუჩინარდება. ფლიტკრაფტი ზედმიწევნით ნორმალური, ჩვეულებრივი ტიპია – ვილაცის ქმარი, ვილაცის მამა, წელგამართული ბიზნესმენი, კაცი, რომელსაც ცხოვრებაზე არ დაეჩივლება. ერთ დღესაც ფლიტკრაფტი სამსახურიდან გამოდის და სასადილოდ მიიჩქარის, როცა ხარაჩომიდგმული სახლის მეათე სართულიდან დიდი ძელი ვარდება და მასთან ისე ახლოს ეცემა, ერთი-ორი ინჩიც და თავს გაუჭეჭყავდა. თუმცა ფლიტკრაფტს ძელი ასცდება და თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ტროტუარიდან ასხლეტილი წვრილი ნატეხი სახეს ოდნავ დაუსერავს, სრულიად უვნებლად გადარჩება. და მაინც, წერა იმდენად ახლო იყო, რომ ფლიტკრაფტი ამ შემთხვევას ვერაფრით ივიწყებს. ჰემეთი წერს, ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მის ცხოვრებას ვილაცამ სახურავი ახადა და მისი მამოძრავებელი მექანიზმი დაანახაო. ფლიტკრაფტი ახლაღა ხვდება, რომ სამყარო ის არაა, რაც ადრე ეგონა; თურმე არც წესრიგია და არც აბსოლუტური გონი, რასაც ის ეფუძნება; ესე იგი, თავიდანვე ცდებოდა, როცა ასე მიაჩნდა, თურმე ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა. სამყაროს შემთხვევის

გუნდს გულშემატკივრობს) თავგანწირულ მცდელობებს, გუნდური თამაში რამენაირად გამოესწორებინა („მეტსი" ჩვენი დიდი გატაცება იყო). ამ თემებს შორის რამდენჯერმე მიმახვედრა, რომ თავ-ფეხიანად იყო რაღაც საქმეში, შესაძლოა, რაღაცის წერაში, ჩაფლული, თავისუფალი დროის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ პროექტზე ეხარჯებოდა, რომელიც, თავის მხრივ, თითქოს კარგად მისდიოდა და როგორც ჩანდა, მალეც დაასრულებდა.

ძალა მართავს. ცხოვრების ყოველ ახალ დღეს ბედის თამაშს ვაწყდებით. თავად სიცოცხლეც ნებისმიერ დროს შეიძლება წაგვერთვას – აი, ასე, უცაბედად, უაზროდ. სადილობას რომ ამთავრებს, ფლიტკრაფტს უკვე გადაწყვეტილი აქვს: ძველებურად ველარ იცხოვრებს, ამ დამანგრეველ ძალას უნდა დაემორჩილოს, საკუთარი ცხოვრება უნდა დაამსხვრიოს – რამე აზრსმოკლებული და, ამავე დროს, სრულიად გააზრებული, უარმყოფელი აქტის მეშვეობით. ხანძარი ხანძარშივე უნდა დაინთქას. შინაც კი არ ბრუნდება, რომ ოჯახის წევრებს გამოეთხოვოს, ბანკს მაინც მიაკითხოს და სახსარი რამ მოიმარაგოს; აი, ასე, მაგიდიდან დგება, ქუჩაში გადის, სხვა ქალაქში მიემგზავრება და ცხოვრებას თავიდან იწყებს.

იმ დღის შემდეგ, როცა მე და ჯონმა ამ პასაჟზე ვისაუბრეთ, ორი კვირა გავიდა, მაგრამ ერთხელაც არ მიფიქრია, რომ ამ ამბის გაშლას მოვკიდებდი ხელს. დიახ, ჯონს ვეთანხმებოდი, კარგი მასალა იყო – რომელ ჩვენგანს არ სწვევია ცდუნება, საკუთარი ცხოვრების სადავე ასე ლაღად მიეშვა! ვის არ გასჩენია დროდადრო სხვად ქცევისა და იმ სხვის ცხოვრებით ცხოვრების სურვილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაფიქრს და ნანატრს სინამდვილეშიც გაიმეორებ. და მაინც, იმ დილას, როცა ლამის ცხრა თვის თავზე საწერ მაგიდას პირველად მივუჯექი, როცა ახალშეძენილ რვეულს დავცქეროდი და თავს ვიმტვრევდი, როგორი უნდა ყოფილიყო პირველი წინადადება, რომლის გამოც მერე უხერხულობას არ ვიგრძნობდი და რომელიც გამბედაობას არ დამაკარგვინებდა, უცებ გადავწყვიტე, ფლიტკრაფტის ეპიზოდი გამეშალა. ეს მხოლოდ საბაბი იყო – გამამართლებელი მიზეზი, რომელიც რაღაცას მაინც დამაწერინებდა. რამდენიმე მეტ-ნაკლებად საინტერესო იდეის გადაბმა და უკვე უფლება მექნებოდა

ჩამეთვალა, რომ წერა დავიწყე. დაწყება მჭირდებოდა, თორემ მერე, თუნდაც კალამი ოც წუთში დამედო და ნაწერს აღარასდროს მივბრუნებოდი, მაინც კმაყოფილი ვიქნებოდი. სწორედ ამას ვფიქრობდი, როცა კალამს ჩაჩი წავაძრე, მისი წვერი ლურჯი რვეულის პირველი გვერდის ზედა ხაზს დავაბჯინე და წერას შევუდექი.

სიტყვები კალამს სწრაფად, ძალდაუტანებლად მოაწყდნენ, ჯაფა სულ არ დამდგომია. ხელი მარჯვნიდან მარცხნივ მისრიალებდა, გაოცებულს სიტყვების ლოდინი არ მჭირდებოდა, თითქოს იქვე მყავდნენ ჩასაფრებულნი, საკუთარ რიგს, კალმის წვერიდან დაბადებას ელოდებოდნენ. ჩემი ფლიტკრაფტი სხვა ადამიანად გარდაიქმნა – კაცად, რომელსაც ნიკ ბოუენი ერქვა. ნიკ ბოუენი ოცდათხუთმეტი წლისაა, ნიუ-იორკის ერთ-ერთ გამომცემლობაში რედაქტორად მუშაობს, ცოლიც ჰყავს, სახელად ევა. ჰემეთისეული პროტოტიპის მსგავსად, ბოუენი თავისი საქმის კარგი მცოდნეა, კოლეგებს უყვართ, ფინანსურად უზრუნველყოფილია, ცოლთან ბედნიერია და ასე შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, დაუკვირვებელ თვალს შეიძლება ასე მოეჩვენოს, მაგრამ ამბის ჩემეული ვერსია სწორედ იმით იწყება, რომ ბოუენის ცხოვრებას სიმძიმილი გამოერევა. სამუშაო მობეზრებული აქვს (თუმცა კი ამის აღიარება ძალიან უჭირს), ხოლო ევასთან შეხმატკბილებულ ცოლ-ქმრობაში გატარებული ხუთი სტაბილური წლის შემდეგ მისი ქორწინება უკვე სულს ღაფავს (კიდევ ერთი ფაქტი, რომლის საღიარებლად ბოუენს გამბედაობა არ ჰყოფნის). ამ ბურჟუაზიულ უკმაყოფილებაში დარჩენა ნიკს არ შეუძლია და თავისუფალ დროს უმეტესად ტრაიბეკაში, დებროს სტრიტზე ატარებს – ავტოფარეხში, სადაც ქორწინების მესამე წელიწადს შეძენილი, ახლა კი უკვე დამტვრეული „იაგუარის“ გაცო-

ცხლებას ლამობს. ჰო, პრესტიჟულ ნიუ-იორკულ კომპანიაში ერთ-ერთ საუკეთესო რედაქტორად ითვლება, მაგრამ სიმართლე თუ გინდათ, მუშაობა თავით კი არა, ხელებით ურჩევნია.

ამბავი კი ასე იწყება: ბოუენი საწერ მაგიდაზე რომანის ხელნაწერს აღმოაჩენს. მცირე მოცულობის რომანია, ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი სათაურით – „მისნის ღამე". მის ავტორობას თითქოს სილვია მაქსველს მიაწერენ, ოციანი-ოცდაათიანი წლების პოპულარულ მწერალს, რომელიც ოცი წლის წინ გარდაიცვალა. აგენტი, რომელმაც რომანი ბოუენს გამოუგზავნა, ამტკიცებს, რომ „მისნის ღამე", რომელიც დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა, 1927 წელსაა დაწერილი. ეს ის წელია, როცა მაქსველი ახალგაზრდა ინგლისელ მხატვართან, ვინმე ჯერემი სკოტთან ერთად (სკოტი მოგვიანებით კოსტიუმების ცნობილი მხატვარი გახდა და ბრიტანულ და ამერიკულ კინოში მოღვაწეობდა) საფრანგეთში გაიქცა. წელიწადნახევარში სასიყვარულო ისტორიას წერტილი დაესვა და სილვია მაქსველი ნიუ-იორკში დაბრუნდა, რომანის ხელნაწერი კი სკოტს დაუტოვა. ჯერემი სკოტი მის დანატოვარს მთელი ცხოვრება თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, ხოლო როცა ოთხმოცდაშვიდი წლის ასაკში (ჩემი ამბის დაწყებამდე შვიდი თვით ადრე) გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ ანდერძში ერთ-ერთ პუნქტად თხოვნა შეეტანა. მწერალი მისი უკანასკნელი ნების აღმსრულებლებს სთხოვდა, ხელნაწერი ახალგაზრდა ამერიკელი ქალისათვის, ვინმე როზა ლეითმანისათვის გადაეცათ, რომელიც მაქსველს შვილიშვილად ერგებოდა. სწორედ ამ გოგონას წყალობით მოხვდა ტექსტი აგენტის ხელში. როზა ლეითმანის დაჟინებული თხოვნით, სანამ რომანის წაკითხვის შესაძლებლობა სხვებს მიეცემოდათ, ხელნაწერი ჯერ ნიკ ბოუენს უნდა გადასცემოდა.

ხელნაწერიანი პაკეტი ნიკის კაბინეტში პარასკევ საღამოს ხვდება, სამსახურიდან მისი გასვლის შემდეგ, სულ რამდენიმე წუთის დაგვიანებით. ორშაბათ დილით, როცა ბოუენი შაბათ-კვირის შემდეგ კაბინეტში პირველად შედის, ხელნაწერი უკვე საწერ მაგიდაზე უდევს. ნიკი სილვია მაქსველის სხვა ნაწერების დიდი დამფასებელია, ამიტომ ერთი სული აქვს, როდის დაეწაფება ამ ახალ რომანს. თუმცა პირველი გვერდის ჩაკითხვას ვერ ასწრებს, რომ მის ოთახში ტელეფონი რეკავს. მდივანი ატყობინებს, რომ მოსაცდელში როზა ლეითმანი ელოდება და მასთან სულ რამდენიმე წუთით ითხოვს შეხვედრას. „შემოუშვით", – ამბობს ნიკი და ახლად გადაშლილ გვერდზე პირველი ფრაზების (*„ომი თითქმის დამთავრებული იყო, მაგრამ ჩვენ ვერ ვხვდებოდით. ძალიან პატარა ადამიანები ვიყავით საიმისოდ, რომ ყველაფერი გვცოდნოდა და რაკი ომი ყველგან იყო, არ...“*) წაკითხვას ვერ ასწრებს, რომ კაბინეტში სილვია მაქსველის შვილიშვილი შემოდის. გოგონას სადაზე სადა ტანისამოსი აცვია, თითქმის მაკიაჟშეუხებელი სახე აქვს, მოკლე, არცთუ მოდური ვარცხნილობა. „და მაინც, რა მიმზიდველია," – ფიქრობს ნიკი, – „რა ახალგაზრდა და დაუცველი, კაცს გული შეგეკუმშება". ნიკს ეს გოგონა იმედის და ამოუწურავი ენერგიის სიმბოლოდ ესახება. ეს განცდა მისი დანახვის პირველსავე წუთებში ეუფლება, თან ისეთი ძალით, რომ რამდენიმე წამით სუნთქვა ეკვრის. სწორედ ეს დამემართა, როცა გრეისი პირველად დავინახე: გონება დამეხშო, ქარიშხალივით რაღაც დამეჯახა და ერთიანად დამადამბლავა; ამოვისუნთქე და ჩასუნთქვა ველარ შევძელი – ამიტომ იყო, რომ ამ გრძნობების ნიკ ბოუენისათვის გადაცემა და სხვა კონტექსტში აღწერა არ გამჭირვებია. დანარჩენი უფრო მეტადაც კი გამიადვილდა, რადგან გადავწყვიტე, რო-

ზა ლეითმანის პერსონაჟისთვის გრეისის სხეული მიმეცა. ყველაზე უმნიშვნელო, მაგრამ ამავე დროს განუმეორებელი წვრილმანებიც კი მისი დავუტოვე: მუხლისთავზე ბავშვობის დროიდან შემორჩენილი ნაირევი, ოდნავ გაღუნული ნეკა თითი, მარჯვენა ღაწვის თავზე კოხტად დასმული ხალი.[3]

---

[3] გრეისიც სწორედ ამ გარემოში, გამომცემლობაში გავიცანი. ალბათ ესაა მიზეზი, რომ ბოუენს იგივე საქმიანობა გამოვუძებნე, რითაც იმხანად თავად ვიყავი დაკავებული. 1979 წელი იყო, ჩემი მეორე რომანის გამოცემიდან დიდი დრო არ გასულიყო. პირველი რომანი და მოთხრობების კრებული სან-ფრანცისკოში ერთმა პატარა გამომცემლობამ დამისტამბა, ახლა კი უკვე დიდ, კომერციულ ნიუიორკულ გამომცემლობასთან, „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთთან“ მეჭირა საქმე. კონტრაქტის დადებიდან ორი კვირის თავზე რედაქტორის სანახავად გამომცემლობაში მივედი. სიტყვამ მოიტანა და შუა საუბარში წიგნის ყდის დიზაინზე დავიწყეთ მსჯელობა. აი, მაშინ იყო, რომ ბეტი სტოლოვიცი საწერ მაგიდაზე მდგარ ტელეფონს დასწვდა და მითხრა, ხომ არ სჯობს, გრეისი დავისწროთ და მისი აზრი მოვისმინოთო. როგორც გაირკვა, გრეისი „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთის“ დიზაინის განყოფილებაში მუშაობდა და ჩემი პატარა წიგნის „ავტოპორტრეტი წარმოსახვითი ძმის თანხლებით“ (რომანს, რომელიც წარმოსახვის თამაშისა და კოშმარული ხილვების ნაზავს წარმოადგენდა, ბოლოს სწორედ ეს სათაური ავურჩიე) გაფორმება თურმე მას ჰქონდა მინდობილი.

მე და ბეტიმ კიდევ რამდენიმე წუთს მშვიდად ვიმუსაიფეთ, მერე კი კარი გაიღო და ოთახში გრეის ტებეთსი შემოვიდა. სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთი დაჰყო ჩვენთან, მაგრამ ოთახიდან რომ გადიოდა, მე ეს ქალი უკვე მიყვარდა. აი, ასე, მოულოდნელად და უცაბედად, სიყვარული თავზე დამატყდა – ამას წყალი არ გაუვიდოდა. ასეთი ამბები მხოლოდ რომანებში წამიკითხავს და ყოველ ჯერზე მიფიქრია, რომ პირველი ნახვის თუ შემოხედ-

ბოუენის შემთხვევაში კი სულ პირიქით მოვიქეცი. ჩემგან ხაზგასმით განსხვავებულ კაცად, ჩემს ინვერსიად შევქმენი. მე მაღალი ვარ, მაშასადამე, ნიკი დაბალი უნდა ყოფილიყო. მე წითური თმა მაქვს, ამიტომ მას მუქი წაბლისფერი უნდა ჰქონოდა. მე თერთმეტ ზომა ფეხსაცმელს ვიცვამ, ბოუენი

ვის ძალას – იმ ყბადაღებულ წუთს ვგულისხმობ, როდესაც მამაკაცი ტრფობის მომავალ საგანს თვალებში პირველად ჩახედავს – ავტორები ყოველთვის გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. პესიმიზმი დაბადებიდან დამყვა და ამიტომ ის, რაც განვიცადე, ჩემნაირი კაცისთვის გამაოგნებელი აღმოჩენა იყო. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს დროში უკან გადავინაცვლე და ტრუბადურების საუკუნეში აღმოვჩნდი, თითქოს La Vita Nuova-ს ზოგიერთი პასაჟის არსი იმ წუთას გამეხსნა („როს ჩემს ფიქრებში ნაშობი დიდებული ქალბატონი პირველად იხილეს ჩემმა თვალებმა“) და ათასობით მივიწყებული სასიყვარულო სონეტის გახუნებული ტროპების ძალა საკუთარ თავზე გამოვცადე. ვიწვოდი, ვშრებოდი, სული მელეოდა, ლაპარაკის უნარი დავკარგე. და ეს ყველაფერი უმდარეს გარემოში – მეოცე საუკუნის მიწურულის ერთ ჩვეულებრივ ამერიკულ ოფისში, დაუნდობლად მჭახე ფლუორესცენტული განათების ქვეშ დამემართა – დედამიწის ზურგზე ყველაზე შეუფერებელ ადგილას, სადაც შეიძლება მთელი შენი ცხოვრების ოცნებას და ვნებას გადაეყარო.

ასეთ შემთხვევებს არც ახსნა მოეძებნება, არც ობიექტური მიზეზი, რომელიც გაგვაგებინებდა, თუ რატომ გვიყვარდება მაინცდამაინც ეს და არა სხვა ადამიანი. გრეისი უდავოდ შესანიშნავი გარეგნობის ქალი იყო, მაგრამ ჩვენი შეხვედრის იმ პირველ, დამანგრეველ წუთებშიც კი, როცა ხელი ჩამოვართვი და ბეტის საწერ მაგიდასთან მდგარ სავარძელში ჩემ თვალწინ ჩაესვენა, მაშინაც კი ვიტყოდი, რომ გამორჩეული სილამაზის პატრონი არ ყოფილა. კინოინდუსტრიის ქალღმერთები მათი სხეულებრივი სრულყოფილების ძალით გვაჯადოებენ, მაგრამ

– რვანახევარს. მისი შექმნისას პროტოტიპად არცერთი ჩემი ნაცნობი არ მყოლია გუნებაში (ყოველ შემთხვევაში, ცნობიერად ასე იყო), მაგრამ როდესაც ყველა თვისება მივანიჭე და ერთ არსებად ავაწყვე, გამაოგნებლად ცოცხალი მეჩვენა – ლამის თვალით დავინახე. თითქოს ოთახში შემოვიდა, გვერდით დამიდგა, ხელი მხარზე დამადო და საწერი მაგიდისკენ გად-

---

გრეისის ხიბლი ამნაირი სრულყოფილებიდან სულაც არ მოდიოდა. ეჭვი არ არის, მარილიანი, თვალშისაცემი და სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა (თუმცა, მგონი, ეს სიტყვებიც გარკვეულ განმარტებას მოითხოვს), მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წარმოუდგენლად მიზიდავდა, მაინც ვიცოდი, რომ ეს შთაბეჭდილება ფიზიკურ ხიბლზე ბევრად ძლიერი იყო, რომ ოცნება, რომლის გზასაც მე შევუდექი, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ცხოველური სურვილის წუთიერი მოძალება. გრეისმა გონიერი და დახვეწილი ადამიანის იერითაც მომხიბლა, მაგრამ ამასობაში ჩვენი საუბარი გრძელდებოდა და წიგნის ყდაზე გამოთქმულ მის მოსაზრებებს რომ ვუსმენდი, თანდათანობით ვრწმუნდებოდი: იდეების არტიკულირებაში მაინცდამაინც ძლიერი ვერ იყო – აზრს ზუსტად ვერ გადმოსცემდა, მისი გამოთქმისას ჭოჭმანობდა, მწირი, ლამის ფუნქციურ სიტყვებამდე დაყვანილი ლექსიკა ჰქონდა, აბსტრაქტული განზოგადების უნარს თითქოს მოკლებული იყო. რაც იმ საღამოს თქვა, იქიდან გამორჩეული ან დაუვიწყარი არაფერი ყოფილა. ჩემი წიგნის მისამართით გამოთქმულ რამდენიმე კეთილგანწყობილ რემარკას თუ არ ჩავთვლით, იმ დღეს იმის თქმაც გამიძნელდებოდა, შენიშნა თუ არა საერთოდ ჩემი არსებობა. და მაინც: ვიწვოდი, ვშრებოდი, სული მელეოდა, ისე, როგორც სიყვარულის მარწუხებში მოქცეულ მამაკაცს შეიძლება დაემართოს.

მეტრი და სამოცდაათი სიმაღლისა მაინც ჩანდა. თხელი, ფაქიზი აღნაგობა ჰქონდა: გრძელი და თხელი ყელი, ასეთივე ხელები და თითები, ფერმკრთალი კანი და მოფერფლისფრო ქერა თმა.

მოხრილმა იმ სიტყვების კითხვა დაიწყო, მე რომ ვწერდი... თითქოს თვალს ადევნებდა, როგორ ვაცოცხლებდი თვალსა და ხელს შუა კალმის მეშვეობით.

ბოლოს და ბოლოს, ნიკი როზას დაჯდომას სთავაზობს, როზა მისი მაგიდის წინ მდგარ სკამს ირჩევს. ამ სცენას თან უხეიროდ გაწელილი უხერხულობა ახლავს. ნიკი გონს

მოგვიანებით მივხვდი, რას მაგონებდა მისი თმა; ასეთი „პატარა პრინცის“ პერსონაჟს აქვს წიგნის ავტორისეულ ილუსტრაციებში – დაკულულებული, შიგადაშიგ ყალყზე მდგარი. ალბათ ეს ასოციაცია მას შემდეგ გამიჩნდა, რაც გრეისის ოდნავ ანდროგინული აურა შევიგრძენი, რომელსაც ჩაცმის მანერით თითქოს ხაზს უსვამდა. იმ საღამოსაც მამაკაცისას მიმსგავსებული ტანსაცმელი ეცვა: შავი ჯინსი, თეთრი მაისური და ტილოს ცისფერი პიჯაკი. ოთახში შემოსულმა ხუთ წუთში პიჯაკი გაიხადა, სავარძლის საზურგეზე გადაკიდა და როცა მისი მკლავები დავინახე – ეს გრძელი, დახვეწილი, სულისწამღებად ქალური ხელები – მივხვდი: სიმშვიდეს ვერ დავიბრუნებდი, სანამ მისი სხეულის შეხების, მის კანზე ხელის დასმის უფლებას არ მოვიპოვებდი.

თუმცა ეს არ კმარა, მინდა, გრეისის სხეულს, მისი ფიზიკური რაობის შემთხვევით ფაქტებს გავცდე. სხეული, გარეგნობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია – უფრო მეტადაც, ვიდრე ჩვენ გვსურს ამის აღიარება – ოღონდ საქმე ისაა, რომ სხვა ადამიანში სხეული არ გვიყვარდება, სიყვარულით ერთმანეთი გვიყვარს და თუ უმეტესად მაინც ძვლებისა და ხორცის გარსში ვართ გამომწყვდეულები, ამის გარდა კიდევ ბევრი სხვაც რჩება. ეს ყველას გვესმის, მაგრამ საკმარისია, ზედაპირული, გარეგნული ნიშნების შრეს გავცდეთ, სიტყვები მაშინვე შემოგვეფანტება ხოლმე; სათქმელი გვისხლტება, იდუმალი ბურუსის, არსგამოცლილი მეტაფორების უკან გვემალება. ზოგი ამას ცხოველმყოფელ ცეცხლს უწოდებს, სხვები – შინაგან ცეცხლს. ფაქტი ერთია: მისი აღწერის ყველა მცდელობა ცეცხლს და ნათებას უკავშირდება,

მოსვლას კი ახერხებს, მაგრამ სათქმელად ენაზე არაფერი ადგება. ყინულს ისევ როზა ალღობს: ნიკს ეკითხება, ჰქონდა თუ არა დრო შაბათ-კვირას რომანის ბოლომდე წასაკითხად. „არა," – პასუხობს ბოუენი, – „წიგნი დაგვიანებით მომიტანეს. მხოლოდ ამ დილით ვნახე".

როზას თითქოს შვება ეუფლება. „ძალიან კარგი," – ეუბნება ბოუენს, – „ხმები დადის, რომ ეს რომანი ნაყალბევია, რომ სინამდვილეში ბებიაჩემის დაწერილი არ უნდა იყოს. ვერ მოვისვენე, სანამ კალიგრაფიის ექსპერტი არ მოვიწვიე და ხელნაწერი შესასწავლად არ გადავეცი. პასუხი შაბათს მო-

---

და ეს ძალა, ყოველგვარი სიცოცხლის ეს დვრიტა, რომელსაც ხანდახან სულსაც ვუწოდებთ, მეორე ადამიანს თვალების მეშვეობით წარმოაჩენს თავს. რა თქმა უნდა, მართლები იყვნენ პოეტები, როცა ამ თვალსაზრისს ხორცს ასხამდნენ. სურვილის მისტერია სატრფოს თვალებში ჩახედვით იწყება, რადგან მხოლოდ იქ, თვალებში შეიძლება ადამიანის დანახვა.

გრეისს ლურჯი თვალები ჰქონდა. მუქი ლურჯი თვალები ნაცრისფერი და ყავისფერი სხივების კონტრასტული შენარევებით – რთულად აღსაწერი ფერი იყო, რადგან განათების მიხედვით ყოველ ჯერზე სხვადასხვაფრად მოჩანდა. იმ პირველ დღეს, როცა გრეისი ბეტის კაბინეტში ვნახე, გავიფიქრე, არასდროს მინახავს ქალი, რომელიც ასეთ სიმშვიდეს, აუმღვრეველ ენერგიას ასხივებს-მეთქი. გრეისს იმ დროს ოცდაშვიდი წელიც არ შესრულებოდა, მაგრამ ჩვენთან, დანარჩენებთან შედარებით თითქოს ყოფიერების უფრო მაღალ საფეხურზე იყო გადასული. იმას კი არ ვგულისხმობ, თითქოს გრეისი გარემოსგან გაუცხოებული იყო, მინიერ ყოფას გარიდებული მას თავზე დაფარფატებდა და ქედმაღლურად ან გულგრილად დაჰყურებდა. პირიქით, იმ პირველი შეხვედრის დროსაც ცოცხალი და მხიარული იყო, წამდაუწუმ იცინოდა, ხშირად იღიმებოდა, საუბრისას ზუსტი და ადეკვა-

ვიდა. ექსპერტიზამ ხელწერის ნამდვილობა დაადგინა. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ დარწმუნებული იყოთ: რომანი სილვია მაქსველის დაწერილია“.

„როგორც ჩანს, ეს რომანი ძალიან მოგწონთ,“ – ამბობს ნიკი. „დიახ,“ – პასუხობს როზა, – „ჩემზე ძალიან იმოქმედა“. „1927 წელს ყოფილა დაწერილი,“ – აგრძელებს ნიკი, – „ესე იგი, „ცეცხლწაკიდებული სახლის“ და „ხსნის“ შემდეგ დაუწერია, „ხეებიანი პეიზაჟის“ წინ. მაშასადამე, მისი მესამე რომანი გამოდის. იმ დროს ოცდაათი წლისაც არ იქნებოდა, არა?“ „ოცდარვის იყო,“ – პასუხობს როზა, – „იმდენის, რამდენისაც ახლა მე ვარ“.

საუბარი კიდევ თხუთმეტ თუ ოც წუთს გრძელდება. ნიკს ამ დილით უამრავი საქმე აქვს საკეთებელი, მაგრამ თავს ძალას ვერ ატანს, რომ როზას თავის მოუცლელობაზე მიანიშნოს.

ტური ჩანდა. ასეთივე იყო მისი ჟესტებიც, მაგრამ იმ წუთებში, როცა, როგორც პროფესიონალი, ბეტის და ჩემ მიერ შეთავაზებულ იდეებს უფიქრდებოდა, ვიგრძენი, რამდენად თავისუფალი იყო მისი არსება შინაგანი ბრძოლის, გაორების ნებისმიერი კვალისაგან. ისეთი სულიერი წონასწორობა ჰქონდა, როგორიც სრულიად გამორიცხავს თანამედროვე ადამიანისთვის დამახასიათებელ შინაგან კონფლიქტსა და აგრესიას – დაეჭვებას, შურს, სარკასტულობას, სხვისი განსჯის თუ დამცირების სურვილს, პატივმოყვარეობას – პიროვნული ამბიციის ამ მძიმე ტვირთს. ახალგაზრდა იყო, მაგრამ დაღვინებული, გამოწრთობილი სული ჰქონდა, და იმ პირველ დღეს, როცა „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთის“ ოფისში გვერდით ვეჯექი და მისი სხეულის წაგრძელებულ ფორმებს თვალით ვსწავლობდი, სიყვარულით სულ სხვა რამ მიყვარდებოდა: სიმშვიდის გარსი, რომელიც თითქოს რბილად ეხვია, ნათელი, სხივოსანი გარინდება, მისგან რომ გამოსჭვივოდა.

ისეთი ბუნებრივი და უშუალოა ეს გოგონა, ისეთი ალალი, რომ ნიკს უნდა, კიდევ ცოტა ხანს უყუროს, კიდევ შეისრუტოს ის ნათელი, მან რომ მოიტანა – ნიკი ამას სილამაზეს არქმევს, სწორედ იმიტომ, რომ ამ სილამაზეს გოგონა თავადაც ვერ აცნობიერებს, არ იცის ან არ აინტერესებს, როგორი გავლენა აქვს სხვა ადამიანებზე. ასე მუსაიფობენ რაღაც ხანი, მნიშვნელოვანს არაფერს ამბობენ. ამ საუბარში ნიკი შეიტყობს, რომ როზა სილვია მაქსველის უფროსი ვაჟის ქალიშვილია (ეს ვაჟი მაქსველს მეორე ქორწინებაში, თეატრის ცნობილი რეჟისორისგან, სტიუარტ ლეითმანისგან შეეძინა), ჩიკაგოში დაიბადა და იქვე გაიზარდა. „რატომ გინდოდათ ასე ძალიან, რომ რომანი პირველს მე წამეკითხა?“ – ეკითხება ბოუენი. „საგამომცემლო საქმისა არაფერი გამეგება,“ – პასუხობს გოგონა, – „მაგრამ თანამედროვე ავტორებს შორის ელის ლაზარი ჩემი საყვარელი მწერალია. როგორც კი გავიგე, მისი რედაქტორი ყოფილხართ, გადავწყვიტე, ბებიაჩემის რომანი თქვენთვის გადმომეცა“. ნიკს ეღიმება. „ელისს ესიამოვნებოდა ამის მოსმენა,“ – ეუბნება როზას, მერე კი რამდენიმე წუთში, როცა გოგონა დგება და წასასვლელად ემზადება, თაროდან წიგნებს იღებს და როზას ელის ლაზარის პირველ გამოცემებს სჩუქნის. „იმედი მაქვს, „მისნის ღამე“ მოლოდინს არ გაგიცრუებთ,“ – ეუბნება როზა. „მოლოდინი რატომ უნდა გამიცრუოს?“ – ეკითხება ნიკი, – „სილვია მაქსველი გამორჩეული მწერალია“. „როგორ გითხრათ,“ – ამბობს როზა, – „ეს წიგნი დანარჩენებისაგან ძალიან განსხვავდება“. „რას გულისხმობთ?“ – ეკითხება ნიკი. „არ ვიცი,“ – პასუხობს როზა, – „ყველა თვალსაზრისით სხვა წიგნია. რომ წაიკითხავთ, თავად მიხვდებით“.

სიუჟეტის განვითარებისთვის კიდევ ბევრი რამაა მოსაფიქრებელი, ბევრი სხვა დეტალია თავმოსაყრელი და სცენაში

შესატანი, რათა დასრულებულობის და ბუნებრივობის შთაბეჭდილება, ასე ვთქვათ, ნარატიული ბალასტი შეიქმნას. მაგალითად, რამდენი ხანია, რაც როზა ნიუ-იორკში ცხოვრობს? რას საქმიანობს? აქვს თუ არა სამსახური და თუ აქვს, რანაირი სამსახურია ეს? მნიშვნელოვანია მისთვის, თუ მხოლოდ ფულის შოვნის საშუალებაა, რომელიც ბინის ქირის და სხვა ხარჯების დაფარვას შეაძლებინებს? მის პირად ცხოვრებას რაც შეეხება: როგორია მისი სტატუსი – მარტოა თუ გათხოვილი? ვინმეს ეკუთვნის მისი გული თუ თავისუფალია? იქნებ ანკესი აქვს გადაგდებული, გულის სწორს ეძებს, ანდა, ვინ იცის, იქნებ იმ ერთადერთის გამოჩენას ელოდება? როცა საქმე როზას საქმიანობაზე მიდგა, თავში მაშინვე ფოტოგრაფობა მომივიდა; ეს ან რეჟისორის ასისტენტობა – ხელობები, რომლებიც სახეებთანაა დაკავშირებული და არა სიტყვებთან – ისევე, როგორც გრეისის პროფესია. ცხადია, როზას ქმარი არ უნდა ჰყავდეს; ისიც აშკარაა, რომ არც განათხოვარი უნდა იყოს, მაგრამ რომანისმაგვარი რაღაც მაინც ხომ ექნება. ან, მთლად უკეთესი, ახლახან დაშორდა ვიღაცას – ხანგრძლივი, მისთვის მძიმე ურთიერთობის შემდეგ. ჯერჯერობით არცერთ ამ საკითხზე არ მინდოდა შეჩერება. არც ნიკის ცოლთან დაკავშირებული მსგავსი საკითხები – პროფესია, მუსიკალური თუ ლიტერატურული გემოვნება, ან მათი ოჯახური ურთიერთობა – მაინტერესებდა. ჯერ ხომ რომანს არ ვწერდი, მხოლოდ მოქმედების ხაზის განვითარებაზე ვფიქრობდი, იმის ფუფუნება არ მქონდა, წვრილმან საფიქრალზე შევჩერებულიყავი. ეს ყველაფერი ფიქრს და განსჯას მოითხოვს, მე კი ახლა წინ გახედვა მჭირდებოდა, იმის განსაზღვრა, რა გზით წამიყვანდა ის სცენები და სურათები, რომლებიც თავში წამდაუწუმ მიელავდა. აქ

უკვე წარმოსახვას ლაგამს ველარ ვდებდი, ვერც არჩევანს ვაკეთებდი. იმ დილით მხოლოდ ის შემეძლო, ჩემში მომხდარი ცვლილებებისთვის ყური მიმეგდო და როცა კალამს სიტყვა მოადგებოდა, შეძლებისდაგვარად სწრაფად ჩამეწერა.

ნიკი, ჩემი პერსონაჟი, არც მექალთანეა, არც ავხორცი კაცი. ცოლის მოტყუება და ღალატი აზრად არ მოსდის და ჯერ არც სილვია მაქსველის შვილიშვილთან დაკავშირებით აქვს გეგმები. თუმცა, ეჭვი არ არის, გოგონა გულში ჩაუვარდა, მისმა ნათელმა არსებამ და ქცევის სისადავემ დაატყვევა. როცა როზა ფეხზე დგება და წასასვლელად ემზადება, ნიკს თავში აზრი გაუელვებს – უცაბედი აზრი, სურვილის წუთიერი იმპულსი – რომ ახლა ალბათ ყველაფერს მისცემდა, ოღონდ კი ამ ქალთან ერთად საწოლში აღმოჩენილიყო. იმდენად ძლიერია ეს იმპულსი, რომ ამ სურვილს საკუთარ ქორწინებასაც კი შესწირავდა. ჰო, ასეც არის: მამაკაცს ამნაირი აზრები დღეში ოცჯერ მაინც მოსდის და თუ უცებ რაღაც წუთიერ ცდუნებას აჰყვა, ეგ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად იმპულსის კარნახით იმოქმედებს. განდევნის თუ არა ამ ცდუნებას, ნიკს საკუთარი თავის მიმართ ზიზღი ეუფლება, რომელსაც თან დანაშაულის გრძნობა ერთვის. სინდისი რომ დაიმშვიდოს, ცოლს სამსახურში ურეკავს (იურიდიული ფირმაა, საბროკერო, თუ სულაც საავადმყოფო – ეს გზადაგზა, წერის პროცესში გადაწყდება), ატყობინებს, რომ ცენტრში, ერთ-ერთ რესტორანში მაგიდის დაჯავშნას აპირებს და საღამოს ვახშმად პატიჟებს.

საღამოს რვა საათზე ცოლ-ქმარი ერთმანეთს რესტორანში ხვდება. სანამ სასმელს წრუპავენ და პირველ კერძებს შეექცევიან, საამოდ მუსაიფობენ, მაგრამ მერე რაღაც უმნიშვნელო საოჯახო საკითხის გარჩევა იწყება (გატეხილი

სკამი, ევას რომელიღაც ნათესავის მოულოდნელი ჩამოსვლა ნიუ-იორკში – მიზეზს არც აქვს მნიშვნელობა) და საუბარი კამათში გადადის. მძიმე კამათი არაა, მაგრამ ხმებს თანდათანობით გაღიზიანების ტონალობა ერევა; გუნების წასახდენად უკვე ესეც საკმარისია. ნიკი ევას ბოდიშს უხდის; მობოდიშება მიღებულია, მაგრამ ამასობაში საუბრის ცეცხლი მიინავლა, რამდენიმე წუთისწინანდელი ჰარმონია დაიკარგა, ამიტომ, როცა მთავარი კერძის მოტანის დრო დგება, მაგიდას ორივე უბრად უზის. რესტორანი ხალხითაა გადაჭედილი, ყოველი მხრიდან გაცხოველებული საუბრის ნაწყვეტები ისმის. ნიკი დარბაზს აზრგამოცლილი მზერით ათვალიერებს და უცებ სადღაც, კუთხის მაგიდასთან, რომელსაც ხუთი თუ ექვსი სული უზის, თვალში როზა ლეითმანი ხვდება. ევა მის მზერას ამჩნევს. „ნაცნობი ხომ არ დაინახე?“ – ეკითხება ქმარს. „ჰო,“ – პასუხობს ნიკი, – „აი, ის გოგონა დღეს დილით გამომცემლობაში იყო მოსული, ჩემს ოთახში იჯდა“. მერე ცოლს როზას შესახებ ყველაფერს უამბობს, ბებიამისის, სილვია მაქსველის დაწერილ რომანს ახსენებს და ცდილობს, საუბრის თემა შეცვალოს, მაგრამ ევა სწორედ მაშინ აბრუნებს თავს, ამხელა დარბაზში მზერით როზას მაგიდას ეძებს. „რას იტყვი, ძალიან ლამაზია, არა?“ – ეკითხება ნიკი. „მშვენიერი გოგონაა,“ – პასუხობს ევა, – „მაგრამ უცნაური ვარცხნილობა აქვს, საკმაოდ უხეიროდაც აცვია“. „ამას რა მნიშვნელობა აქვს,“ – ამბობს ნიკი, – „ისეთი ენერგია მოდის მისგან. ცოცხალი ადამიანია, ყველაზე ცოცხალი იმათგან, ვისაც ბოლო თვეების განმავლობაში შევხვედრივარ. ასეთი ქალი ნებისმიერ კაცს გააცოცხლებს, გააცოცხლებს და გულმუცელსაც ამოუტრიალებს“.

რა შეიძლება კაცმა ცოლს ამაზე უარესი უთხრას? მით

უფრო, ცოლს, რომელიც გრძნობს, როგორ უუცხოვდება ქმარი თვალსა და ხელს შუა. „რას იზამ," – ამბობს ევა გაბზარული ხმით, – „შენ კიდევ ჩემთან ერთად ჯდომა გაქვს მოსჯილი. საშინელებაა. გინდა, მივიდე და ჩვენს მაგიდასთან მოვიპატიჟო? გულმუცელამოტრიალებული კაცი ჯერ არ მინახავს. ეგება მეც ვისწავლო რამე ამ ცხოვრებაში".

რა უპატიებელი სისასტიკე ჩაიდინა უნებლიეთ! ნიკი შეცდომის გამოსწორებას ცდილობს. „საკუთარ თავზე ხომ არ მითქვამს," – პასუხობს შეწუხებული, – „კაცი" ნებისმიერ მამაკაცს ნიშნავდა. ზოგადად – მამაკაცს".

ვახშმის შემდეგ ნიკი და ევა შინ, უესტ ვილიჯში ბრუნდებიან. ბეროუ სტრიტზე, კარგად მოწყობილ, კოხტა ორსართულიან სახლში ცხოვრობენ – კაცმა რომ თქვას, სინამდვილეში ეს ჯონ ტრაუზეს სახლია, რომელიც ფლიტკრაფტის იგავისთვის თავიდანვე მქონდა შეგულებული, იმ კაცისადმი მადლიერების უსიტყვო ნიშნად, ვინც რომანის იდეა მომაწოდა. ნიკს წერილი აქვს დასაწერი, რამდენიმე ქვითარი – შესავსები, ამიტომ, სანამ ევა დასაწოლად ემზადება, ნიკი სასადილო ოთახის მაგიდას მიუჯდება და პატარ-პატარა საქმეების მოშორებას იწყებს. ამას სადღაც ორმოცი-ორმოცდახუთი წუთი უნდება, მაგრამ დამშვიდებას ვერც მერე ახერხებს. უკვე გვიანი ღამეა, მაგრამ თვალს რული არ ეკარება. ნიკი საძინებლის კარს უხმოდ აღებს. ევას ჯერ ღვიძავს და ნიკი აფრთხილებს, რომ წერილის გასაგზავნად აპირებს გასვლას. „ქუჩის კუთხემდე მივალ, წერილს საფოსტო ყუთში ჩავაგდებ და დავბრუნდები. სულ ხუთი წუთის საქმეა," – ეუბნება ცოლს.

ამბავი თუა, მერე იწყება. ბოუენი კუთხეში მიდებულ კეისს იღებს („მისნის ღამის" ხელნაწერი შიგნით უდევს), წერილს მის ჯიბეში აცურებს და სახლიდან გადის. ადრიანი გაზაფხულია,

ქალაქს სუსხიანი ქარი აწიოკებს, ქუჩის აბრებს აზანზარებს, გადაყრილ გაზეთებს ჰაერში აფარფატებს. ნიკი ფიქრებში ისევ როზა ლეითმანს და დილანდელ შეხვედრას უტრიალებს, რომელმაც მის ცხოვრებაში მღელვარება შემოიტანა; თან ცდილობს, რესტორანში მის ხელმეორედ ნახვას და ამ ორ-მაგად დამაფიქრებელ შემთხვევას რაღაც აზრი, გასაღები გამოუძებნოს. ამ ფიქრებშია, როცა ნისლმოდებული ქუჩის კუთხეში კეისიდან წერილს იღებს და საფოსტო ყუთში აგ-დებს. „რაღაც დაიმსხვრა, განადგურდა ჩემში," – ფიქრობს თავისთვის და მას შემდეგ, რაც ევასთან უსიამოვნებები და-ეწყო, პირველად უსწორებს თვალს სამწუხარო სიმართლეს: მისმა ქორწინებამ მარცხი განიცადა, მისი ცხოვრება ჩიხშია შესული. იმის მაგიერ, რომ შინ დაბრუნდეს, გზას აგრძელებს. ქუჩას მიუყვება, კუთხეში უხვევს, მერე სხვა ქუჩას მიუყვება, ხელახლა უხვევს, თერთმეტსართულიან სახლს უსწორდება, ამასობაში კი სახლის ფასადზე დატანილ ქვიშაქვის ბარე-ლიეფს, რომელიღაც ზღაპრულ ქმნილებას გაავებული ქარი ჯიუტად უტევს, თავს ნელ-ნელა ურყევს და ქვისსავე სხეულს აგლეჯს. ნიკი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს, მერე კიდევ ერთს... ამ დროს ქმნილებას თავი სძვრება, ნიკი კი სადაცაა, ზემოდან მომწყდარი ქვის ტრაექტორიას გადაკვეთს. აი, სწორედ ასე, ოდნავი სახეცვლილებით ფლიტკრაფტის საგა კიდევ ერთხელ მეორდება. ბარელიეფის ნატეხი ნიკის თავს რაღაც სან-ტიმეტრებით სცდება, მის მხარს სულ ოდნავ ეხახუნება, კეისს ხელიდან აგდებინებს, მერე მის ფეხებთან ადენს ბრაგვანს და ტროტუარს ათასობით პატარა ნამსხვრევად ეფინება.

დარტყმის ძალა ბოუენს ტროტუარზე ანარცხებს. ნიკი გაოგნებულია, დაბნეული, შეშინებული. თავიდან, რა თქმა უნდა, ვერც ხვდება, რა ამბავია მის თავს. მკლავზე რაღაცამ

გაჰკრა, კეისი ხელიდან გააგდებინა (შოკის მომენტი სწორედ ეს იყო), ამას ასფალტზე ქვის დახეთქების აფეთქებისმაგვარი ხმა მოჰყვა – რამდენიმე წუთი გავა, სანამ მეხსიერებაში ამ თანმიმდევრობის აღდგენას მოახერხებს და როგორც კი აღიდგენს, ტროტუარიდან იმის შეგნებით ადგება, რომ შეიძლებოდა მკვდარი ყოფილიყო. ცხადია, ამ ქვას ნიკი უნდა მოეკლა. შუაღამით სახლიდან სწორედ იმიტომ გამოვიდა, რომ ეს ქვა თავში დასცემოდა და თუკი უტყუარ სიკვდილს თავისი სიცოცხლე გამოსტაცა, ეს მხოლოდ ერთ რამეს უნდა ნიშნავდეს: დღეს მას ახალი სიცოცხლე მიეცა – ძველი ცხოვრება დასრულებულია, ახლა მისი წარსულის ყოველი წამი და წუთი ვიღაც სხვას ეკუთვნის, მას კი – აღარ.

სწორედ ამ დროს კუთხიდან ტაქსი უხვევს და ქუჩას მოუყვება. ნიკი მანქანას ხელს უწევს. ტაქსი ჩერდება და ნიკი მანქანაში ჯდება. „საით?“ – ეკითხება მძღოლი. ნიკს წარმოდგენა არ აქვს, საით წავიდეს და ამიტომ პირველსავე სიტყვას წარმოთქვამს, რაც ენაზე ადგება. „აეროპორტისკენ,“ – ამბობს მტკიცე ხმით. „რომელი აეროპორტი გინდათ?“ – ეკითხება მძღოლი, – „კენედის, ლა გარდიას თუ ნიუ-არკის?“ „ლა გარდია,“ – პასუხობს ნიკი და მანქანა გეზს ლა გარდიასკენ იღებს. აეროპორტში მისვლისთანავე ნიკი სალაროსკენ მიემართება და მომდევნო რეისის დროს კითხულობს. „გააჩნია, სად მიფრინავთ,“ – პასუხობს მოლარე. „ეგ სულ ერთია, საითაც იქნება,“ – ეუბნება ნიკი. მოლარე ავიარეისების განრიგს თვალით დაუყვება. „შემდეგი რეისი კანზასისაა,“ – პასუხობს მერე, – „ამ თვითმფრინავში ჩასხდომა ათ წუთში დაიწყება“. „შესანიშნავია,“ – ამბობს ნიკი და მოლარეს საკრედიტო ბარათს უწვდის, – „მაშ, მომეცით ერთი ბილეთი“. „ცალმხრივი მგზავრობის ბილეთი გნებავთ თუ ორი გზის?“

– ეკითხება მოლარე. „ცალი გზის იყოს," – ამბობს ნიკი და ნახევარი საათის შემდეგ უკვე იმ თვითმფრინავში ზის, რომელიც ღამეულ ცას კანზასისაკენ მიაპობს.

იმ დილით სწორედ ასე დავტოვე – ჰაერში გამოკიდებული, თვითმფრინავში, რომელიც გაურკვეველი, ბინდით მოცული მომავლისაკენ მიასრიალებდა. გამიჭირდება იმის თქმა, რამდენ ხანს ვწერდი; ის კი ვიგრძენი, რომ თანდათანობით გზნება შემომელია, ამიტომ კალამი დავდე და წამოვდექი. რომ გადავხედე, ლურჯ რვეულში რვა გვერდი შემევსო. ჩემი ვარაუდით, ორი-სამი საათის სამუშაო უნდა ყოფილიყო, მაგრამ დრო მაინც ძალიან სწრაფად გასულიყო. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საწერ მაგიდასთან სულ რამდენიმე წუთს დავყავი. ოთახის კარი რომ გავიხურე, დერეფანს გავუყევი, სამზარეულოში შევედი და გრეისს შევეჩეხე, რომელიც ქურასთან იდგა და ჩაის აყენებდა.

– არ ვიცოდი, რომ სახლში იყავი, – მითხრა.

– რა ხანია, დავბრუნდი, – მივუგე, – კაბინეტში ვიყავი.

გრეისი გაოცებული ჩანდა.

– მერე არ გესმოდა, რომ ვაკაკუნებდი?

– არა, მაპატიე. ალბათ მთელი ყურადღება საწერზე მქონდა გადატანილი.

– რომ არ გამომეპასუხე, კარი შემოვაღე და შემოვიხედე. ოღონდ შენ ოთახში არ იყავი.

– რა თქმა უნდა, ოთახში ვიყავი. საწერ მაგიდასთან ვიჯექი.

– არ ვიცი. მე ვერ დაგინახე. იქნებ მაგ დროს სხვაგან იყავი. მაგალითად, სააბაზანოში.

– არ მახსენდება, რომ სადმე გავსულიყავი. სანამ კაბინეტში ვიყავი, მაგიდას ვუჯექი.

– შენ უკეთ იცი, სიდნი, – გრეისმა მხრები აიჩეჩა. ამნაირი სისულელის გამო კამათი აშკარად არ სურდა, არც საამისო გუნებაზე იყო. ცოლად ჭკვიანი ქალი მყავდა, რომელმაც თავისი დამაბრმავებელი, იდუმალი ღიმილით გამიღიმა, მერე კი ქურას მიუბრუნდა და ჩაის სამზადისი გააგრძელა.

ნაშუადღევს რომ გადასცდა, წვიმამაც გადაიღო. რამდენიმე საათის შემდეგ კი ბრუკლინის ერთ-ერთი ავტოკომპანიის დანჯღრეული ლურჯი „ფორდი“ უკვე ბრუკლინის ხიდზე მიგვაქროლებდა, რათა ჯონ ტრაუზესთან ერთად გვესადილა. საავადმყოფოდან ჩემი გამოწერის შემდეგ მე, გრეისმა და ჯონმა წესად დავიდეთ, ორ კვირაში ერთხელ, შაბათობით ერთად გვესადილა. შეხვედრის ადგილი მონაცვლეობდა: ხან ჩვენთან, ბრუკლინში ვიკრიბებოდით (და სადილს მე და გრეისი ვამზადებდით), ხან – უესტ ვილიჯში, ახალ და უძვირეს ფრანგულ რესტორანში „Chez Pierre“, სადაც ჩვენი კულინარიული აღვირახსნილობის საფასურს, ჩვენი მეგობრის დაჟინებით, ყოველთვის ის იხდიდა. იმდღევანდელი პროგრამის თანახმად, ერთმანეთს „Chez Pierre“-ის ბართან, რვის ნახევარზე უნდა შევხვედროდით. ასე ვიყავით შეთანხმებულები, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე ჯონმა დაგვირეკა, ფეხზე რაღაც დამემართა, ალბათ შეხვედრის გადადება მოგვიწევსო. ეს „რაღაც“ ფლებიტის (სისხლში თრომბების მომრავლებით გამოწვეული ვენის ანთება) შეტევა გამოდგა, თუმცა პარასკევს ჯონმა ისევ დაგვირეკა და გვითხრა, თავს ოდნავ უკეთ ვგრძნობო. ფეხით სიარული ექიმმა ამიკრძალა, მაგრამ თუ შინ მესტუმრებით, ჩინურ კერძებს შევუკვეთავ და ერთად სადილობაც გამოგვივაო.

„არ მინდა, შენი და გრეისის[4] ნახვის შესაძლებლობა ხელიდან გავუშვა. მაინც ხომ უნდა ვისადილოთ ცალკ-ცალკე, არა სჯობს, ეგ საქმე აქ, ჩემთან, ერთად ვქნათ? ფეხი სკამზე უნდა მქონდეს შემოდებული – ექიმმა ასე დამიბარა, ასეთ მდგომარეობაში სულ აღარ მტკივა“.

---

[4] ჯონი ერთადერთი იყო, ვისთვისაც ჩემი ცოლი ადრინდელივით „გრეისი“ დარჩა. სხვები, მათ შორის, საკუთარი მშობლები, მეც კი, გრეისს ვეძახდით (მთარგმნელის შენიშვნა: Gracie Grace-ს საალერსო ფორმაა). მისი სახელის კნინობითი ფორმა არასდროს წარმომითქვამს, იმის მიუხედავად, რომ უკვე სამ წელიწადზე მეტი იყო, ერთად ვიყავით. ჯონი ხომ მთელი ცხოვრება იცნობდა – დაბადების დღიდან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომ ეს და სხვა პრივილეგიები თავიდანვე დაჰყვა და ოჯახის მეგობრის სტატუსიდან ლამის სისხლით ნათესავის, ვთქვათ, საყვარელი ბიძის მდგომარეობამდე თუ „უპორტფელო“ ნათლიის „წოდებამდე“ აღამაღლებდა.

ჯონს გრეისი ძალიან უყვარდა, გრეისიც ასეთივე სიყვარულით პასუხობდა და რაკი მე მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მამაკაცი ვიყავი, ჯონმა ამ განსაკუთრებულ ურთიერთობათა წრეში გაშლილი ხელებით მიმიღო. ჩემი ავადმყოფობის პერიოდში თავისუფალი დროის დიდ ნაწილს გრეისს უთმობდა, ოღონდ კი მისთვის მძიმე დღეები შეემსუბუქებინა, მერე კი, როცა სიკვდილთან ორთაბრძოლაში გავიმარჯვე, დღე არ გავიდოდა, საავადმყოფოში არ მოსულიყო, ჩემთვის არ დაეხედა, სასთუმალთან არ ჩამომჯდომოდა და ცოტა ხანს მაინც კომპანია არ გაეწია. მერეღა მივხვდი, რატომ აკეთებდა ამას – ცოცხალთა სამყაროდან არ მიშვებდა. ამიტომ, ვეჭვობ, იმ დღეს (1982 წლის 18 სექტემბერს), როცა მე და გრეისი მის მოსანახულებლად მივეშურებოდით, მთელ ნიუ-იორკში ჩვენზე ძვირფასი ვინმე ჰყოლოდა. არც ჩვენ გვყავდა მასზე მეტი გულშემატკივარი და

ასე და ამგვარად, ლურჯ რვეულში დაწყებული რომანისათვის ჯონის ბინა უკითხავად მივისაკუთრე და იმ საღამოს, როცა ბეროუ სტრიტზე კარი გაიღო და ჯონმა შინ შეგვიპატიჟა, უცნაური, თუმცა, უნდა ითქვას, არცთუ უსიამოვნო განცდა გამიჩნდა, რომ წარმოსახვით სივრცეში შევდგი ფეხი – ოთახში, რომელიც იყო და თან არც იყო სინამდვილეში. ტრაუზეს ბინაში მანამდე იმდენჯერ ვიყავი ნამყოფი, დათვლა გამიჭირდება, მაგრამ ახლა, როცა ბრუკლინში, ჩემს კაბინეტში, აქაურობაზე ფიქრით ტვინი ვიღრძე, ეს ბინა კი ჩემი ამბისთვის გამოგონილი ადამიანებით დავასახლე, აღმოჩნდა, რომ ჯონის ბინა მოგონილი სამყაროს ნაწილად ქცეულიყო, ზუსტად იმდენადვე, რამდენადაც ხელშესახები ნივთებისა და ცოცხალი ადამიანების სამყაროს ნაწილად რჩებოდა. ჩემდა გასაკვირად, ამ განცდას ჯონის ბინაშიც არ გაუვლია. მეტსაც ვიტყვი: რაც უფრო საღამოვდებოდა, მით უფრო მიძლიერდებოდა ეს შეგრძნება და სადღაც ცხრის ნახევრისთვის, როცა ჩინური კერძები მოიტანეს, ბოლომდე ვიყავი მოცული იმით, რასაც, უკეთესი ტერმინის არარსებობის გამო, ცნობიერების გაორებას დავარქმევ. იმაში, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, ვმონაწილეობდი კიდეც და თან თითქოს ამ ყველაფრიდან სრულიად ამოვარდნილიც

ახლობელი. ეს იყო მიზეზი, რის გამოც იმ შაბათი საღამოს შეხვედრებს იმოდენა მნიშვნელობას ანიჭებდა და არც დათქმული დღის შეცვლა სურდა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხი ძალიან აწუხებდა. ჯონი მარტო ცხოვრობდა და რაკი ხალხში იშვიათად ჩნდებოდა, ჩვენთან ურთიერთობა მისთვის საზოგადოებაში ტრიალის ჩანაცვლების ფორმად იქცა – შეუცვლელ საშუალებად, თითო-ოროლა საათი მაინც სასიამოვნო მუსაიფში გაეტარებინა.

ვიყავი, ფიქრებში მსუბუქად დავფარფატებდი, რადგან თავი ბრუკლინში, ჩემს ოთახში, საწერ მაგიდასთან მჯდომარე წარმომედგინა და ამ ბინის შესახებ წერას ლურჯ რვეულში ვაგრძელებდი, ისე კი მანჰეტენზე, ორსართულიანი ბინის ზედა სართულზე სავარძელში ვიჯექი, საკუთარ სხეულს მკვიდრად ჩაფრენილი, ჯონის და გრეისის საუბარს ვუსმენდი და იმდენსაც კი ვახერხებდი, შიგადაშიგ სიტყვა ჩამეგდო. ადამიანი ფიქრებმა შეიძლება ისე გაიტაცოს, სადაც არის, იქ ველარ იყოს – მაგრამ საქმეც ეგაა, რომ მე ყველა ქმედებაში ვმონაწილეობდი. იქ ვიყავი, არაფერი გამომრჩენია, მაგრამ ამავე დროს – სულ სხვაგანაც ვიყავი, რადგან ნამდვილი, წყალგაუვალი ჩემთვის აღარაფერი დარჩენილიყო, სიტყვებს „იქ“ და „აქ“ მნიშვნელობა შეეცვალათ. ბინა, რომელშიც ვიმყოფებოდი, ახლა ილუზორული ადგილი იყო, რომელიც ჩემს თავში არსებობდა და ამავე დროს, თავადაც იქ ვიყავი – ორივეგან, ერთდროულად. ბინაში და ამბავში. ამბავში, რომელიც იმ ბინაში ხდებოდა, რომელზეც გუნებაში ვწერდი.

აშკარად იგრძნობოდა, ჯონს ფეხი იმაზე მეტად სტკიოდა, ვიდრე ჩვენთან აღიარებდა. კარი რომ გააღო, ყავარჯენს იყო ჩამოყრდნობილი. მერეც, კიბეზე რომ ადიოდა, დივანზე შეგულებულ ადგილს რომ დაუბრუნდა, სადაც მტკივანი ფეხისთვის და ზურგქვეშ ამოსადებად ბალიშები და დაგორგოლავებული საბანი ჰქონდა გამზადებული, შუბლი შესამჩნევად ეჭმუხნებოდა, იგრძნობოდა, რომ თითოეული ნაბიჯი ტკივილს ჰგვრიდა, მაგრამ ის კაცი არ იყო, ცუდად ყოფნა ვინმესთვის შეემჩნევინებინა. თვრამეტი წლის ასაკში, იმ წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, წყნარი ოკეანის ფრონტზე რიგით ჯარისკაცად მსახურობდა, ეგეც რომ არა, მამაკაცების იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც

საკუთარი თავის მიმართ სიბრალულის ჩაკვლას ღირსების საკითხად თვლიდა და აღშფოთებას ძლივს მალავდა, როცა ვინმე თავს დაჰკანკალებდა. იმ დღეს ჯონმა ერთი-ორჯერ გემრიელად გადაუარა რიჩარდ ნიქსონს, რომლის წყალობითაც სიტყვამ „ფლებიტი“ მისი მმართველობის წლებში კომიკური შეფერილობა შეიძინა, მაგრამ საკუთარ ტკივილზე საუბარს მაინც ჯიუტად გაურბოდა. თუმცა მის საძინებელში რომ ავედით, გრეისს საშუალება მისცა, საწოლში ჩაწოლისას დახმარებოდა, ბალიშების წყება და დაგორგოლავებული საბანი ფეხქვეშ და სხეულის გარშემო შემოაწყობინა და „ყოვლად აუტანელი უსუსურობისთვის“ მოგვიბოდიშა. მერე, როგორც კი ამ თავის ბუდეში მოკალათდა, მომიტრიალდა და მითხრა: „საინტერესო ტანდემი ვართ მე და შენ, სიდ. შენი თავბრუსხვევები და ცხვირიდან სისხლის დენა არ გვეყოფოდა, ახლა მე დავკოჭლდი. დედამიწის მუწუკები ვართ, ჩემო კარგო“.

ტრაუზე თავს დიდად არასდროს უვლიდა, არც გარეგნობას აქცევდა ყურადღებას, მაგრამ იმ დღეს მისი მიშვებულობა განსაკუთრებით თვალშისაცემი მომეჩვენა. გვარიანად მოთელილი ჯინსის და ნაქსოვი ჯემპრის, ამათზე მეტად კი ძირგაშავებული წინდების შემხედვარე კაცი ადვილად მიხვდებოდა, რომ ტანსაცმელი რამდენიმე დღე არ გამოეცვალა. აწეწილი თმა დიდხანს წოლისგან კეფაზე ჰქონდა მიტკეპნილი, სახე არეოდა და ასაკთან შედარებით გაცილებით ხნიერად გამოიყურებოდა. ვერ ვიტყვი, რომ მისმა იერმა გამაკვირვა ან შემაშფოთა. როცა ადამიანი ტკივილს არ იყუჩებს და უძილობას თავს აწამებინებს, უკეთესი შესახედავი ვერ იქნება, მაგრამ გრეისს, ყველაზე მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანს, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ, გუნება გაუფუჭდა და ჯონს ნირწამხდარი დასტრიალებ-

და. სანამ საჭმელს შევუკვეთდით, ათი წუთის განმავლობაში დაწვრილებით იძიებდა, რა უთხრეს ჯონს ექიმებმა, რა წამლები დაუნიშნეს. მერე, რაკი ჯონმა დაარწმუნა, რომ სიკვდილს არ აპირებდა, გრეისმა სხვა, პრაქტიკულ საკითხებზე გადაინაცვლა: გამოჰკითხა, ვინ ყიდულობდა მისთვის სურსათს, ვინ უკეთებდა საჭმელს, ვინ ყრიდა ნაგავს და ასე შემდეგ. ამ ყველაფერს მადამ დიუმა მიგვარებსო, – უპასუხა ჯონმა. მარტინიკელ ქალს გულისხმობდა, რომელიც ბოლო ორი წელი ბინას ულაგებდა, ხოლო როცა არ ეცალა, მას საკუთარ ქალიშვილს უგზავნიდა.

– ოცდაორი წლის გოგონაა, – დასძინა ჯონმა, – ძალიან გონიერი. შესახედავად – მშვენიერი. ისე დადის, გეგონება, იატაკს ფეხს არ აკარებსო. თან ფრანგულში გავარჯიშების საშუალებაც მაქვს.

ჯონს ჩვენი ნახვა ისე გაეხარდა, სანამ იქ ვიყავით, მთელი საღამო არ გაჩუმებულა, არადა, სხვა დროს ბევრი ლაპარაკი არ იცოდა. თავს ვერ გამოვიდებ, რომ მიზეზს მივუხვდი, მაგრამ მაინც ისე მგონია, რომ ამდენს ტკივილი ალაპარაკებდა. საუბარი მტკივანი ფეხიდან ყურადღების გადატანის კარგი ხერხი იყო – შვება, რომელსაც თან თავაწყვეტილობის, სიგიჟის ელემენტები ახლდა. ეს და რა თქმა უნდა, კიდევ სასმელი, რომელსაც იმ დღეს მეტისმეტად ეძალებოდა. ღვინის ყოველ ახალ ბოთლს, რომელსაც კორპს ვაძრობდი, სასმისს პირველად ჯონი უშვერდა და იმ სამი ბოთლი ღვინიდან, რომელიც იმ საღამოს შეისვა, ნახევარი მაინც მისმა დასუსტებულმა ორგანიზმმა დანთქა. ეს ხომ ბოთლნახევარი ღვინოა და ამის გარდა, ჩვენი წამოსვლის წინ კიდევ ორი ჭიქა შეუზავებელი შოტლანდიური ვისკიც გადაჰკრა. ჯონს ჩემი თანდასწრებით ამდენი ადრეც დაელია და იმდღევანდელზე

მეტიც რომ მოსვლოდა, დათრობით არ დაითრობოდა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არაფერი დაეტყობოდა: არც ენა არევია როდესმე, არც ფეხი. მაღალი, ბრგე კაცი იყო, ჩასხმული და ღონიერი, სასმელს იოლად იტანდა.

– სანამ ვენების პრობლემები დამეწყებოდა, – დაიწყო უცებ მოყოლა ჯონმა, – ერთი კვირით ადრე, ტინას ძმამ, რიჩარდმა დამირეკა.[5]

---

[5] ტინა ჯონის მეორე ცოლი იყო. მისმა პირველმა ქორწინებამ ათ წელიწადს (1954 წლიდან 1964-მდე) გასტანა, მერე გაიყარნენ. პირველ ცოლზე ჯონს ჩემი თანდასწრებით სიტყვა არასდროს დასცდენია, მაგრამ გრეისისგან ვიცი, რომ მის ოჯახში ელინორი მაინცდამაინც არავის უყვარდა: ტებეთსები მას ერთ ცხვირაწეულ, გულცივ ქალად თვლიდნენ, რომელიც ქალაქ პატერსონის მუშათა კლასის წიაღში შობილ ქმარს თუ არა, მის ოჯახს კი ნამდვილად თავისი მასაჩუსეთსელი ცისფერსისხლიანი წინაპრების სიმაღლიდან დასცქეროდა. მერე რა, რომ ელინორი ლამის ისეთივე ცნობილი მხატვარი გახლდათ, როგორიც ჯონი – მწერალი. მათი გაყრის ამბავი ტებეთსების ოჯახში არავის გაკვირვებია, დიდად არც გული დასწყვეტიათ. ცუდი თუ რამე მოხდა, მხოლოდ ის, რომ ჯონს ელინორთან ურთიერთობა გაყრის შემდეგაც უწევსო, – მითხრა მაშინ გრეისმა. ისიც ჯონის სურვილით კი არა, აუცილებლობის გამო: მათი გაუწონასწორებელი და უსაქციელო ვაჟი, ჯეიკობსი მშობლებს გამუდმებით პრობლემებში ხვევდა.

მერე ჯონმა ტინა ოსტროვი, თორმეტი წლით უმცროსი მოცეკვავე და ქორეოგრაფი გაიცნო და როცა 1966 წელს მასზე იქორწინა, ტებეთსების კლანი მის გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით შეხვდა. მათი აზრით, ჯონმა მხოლოდ ახლა შეირთო ისეთი ქალი, როგორსაც იმსახურებდა. დრომ დაადასტურა, რომ ტებეთსები არ ცდებოდნენ. ტინა საოცარი ადა-

კარგა ხანი იყო, რიჩარდი არ მენახა – მგონი, ტინას დაკრძალვის დღიდან, ესე იგი, რომ დაფიქრდე, უკვე რვა წელიწადია, რვაზე მეტი. არც არაფერი მსმენოდა მის შესახებ. ტინას ოჯახთან ურთიერთობა იმ წლებშიც ნაკლებად მქონდა, როცა ჩემი ცოლი ცოცხალი იყო, ახლა კი, როცა ტინა აღარ არის, მათთან დაახლოება აზრად მით უფრო არ მომსვლია. კაცმა რომ თქვას, ურთიერთობის განახლება არც მათ არ უცდიათ, რაზეც მაინცდამაინც არასდროს მინაღვლია. უნდა ვაღიარო: ძმები ოსტროვები, თავიანთი ავეჯის მაღაზიებით, მოსაწყენი ცოლებითა და უნიჭო შვილებით, ხშირად არ

მიანი იყო, – ამბობდა ხოლმე გრეისი, – ჯონი კი არ უყვარდა, აღმერთებდაო. მაგრამ ბედნიერი არც ეს ქორწინება გამოდგა, რადგან ოცდაჩვიდმეტი წელი არ შესრულებოდა ტინას, როცა საშვილოსნოს სიმსივნით გარდაიცვალა. კიბო წელიწადნახევრის განმავლობაში დღითიდღე უსწრაფებდა სიცოცხლეს. ტინა რომ დაასაფლავა, ჯონი დიდი ხნით დამუნჯდა (ესეც გრეისის სიტყვებია), რაღაცნაირად გაქვავდა, თითქოს სუნთქვითაც აღარ სუნთქავდაო. ჯერ პარიზში გადავიდა ერთი წლით, მერე – რომში, ბოლოს კი პორტუგალიის ჩრდილოეთ სანაპიროზე, რომელიღაც პატარა სოფელში დასახლდა. 1978 წელს, როცა ნიუიორკში დაბრუნდა და საცხოვრებლად ბეროუ სტრიტი აირჩია, მისი ბოლო რომანის გამოქვეყნებიდან სამი წელიწადი იყო გასული. ხმები დადიოდა, თითქოს ჯონს ტინას გარდაცვალების შემდეგ წერისათვის თავი დაენებებინა. მას მერე კიდევ ოთხი წელიწადი იყო გასული, ჯონის ახალი ნაწერი კი მაინც არ ჩანდა – ყოველ შემთხვევაში, არაფერი ისეთი, რის გამოჩენასაც თავად ისურვებდა. თუმცა რაღაცას მაინც წერდა. ვიცოდი, რომ წერდა. თავად მითხრა, მაგრამ ის კი აღარ ვიცოდი, რა იყო ეს რაღაც. იქნებ ეთქვა კიდეც, მაგრამ კითხვა ვერ შევბედე.

მახსენდებოდნენ. ტინას რვა თუ ცხრა ბიძაშვილ-მამიდაშვილი ჰყავდა, მაგრამ ნიუ-ჯერსის უღიმღამო ყოველდღიურობიდან თავის დასაღწევად გამბედაობა და ნიჭი მხოლოდ მას ეყო, მხოლოდ მან მიღწია ყველაფერს თავისით და საკუთარი თავი თავად გამოძერწა. ამიტომ იყო, რომ რიჩარდის ზარი ჩემთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გამოდგა. როგორც თავად მიამბო, ახლა ფლორიდაში ცხოვრობდა, ნიუ-იორკში კი საქმეზე იყო ჩამოსული. ერთად სადილობაზე უარს ხომ არ მეტყვიო, – მკითხა, – რომელიმე კარგ ადგილას მე გეპატიჟებიო. სხვა გეგმები არ მქონდა და მიპატიჟებაზე თანხმობა ვუთხარი. არ ვიცი, რატომ დავთანხმდი, მაგრამ უარის სათქმელად საპატიო მიზეზი მართლა არ მქონდა. ერთი სიტყვით, დრო და ადგილი დავთქვით და მეორე საღამოს, რვა საათზე ერთმანეთს შევხვდით.

ჯერ მინდა, კარგად აგიხსნათ, რა კაცია ეს რიჩარდი. ყოველთვის ერთი წყალწყალა ტიპი მეგონა – ზერელე, უინტერესო ადამიანი. ტინაზე ერთი წლით უმცროსი იყო, ესე იგი, ახლა ორმოცდასამი წლისაა, მაგრამ სკოლის კალათბურთის გუნდში ბრწყინვალე თამაშს თუ არ ჩავუთვლით, ცხოვრებაში არაფერი მნიშვნელოვანი არ გაუკეთებია. ხან კოლეჯიდან აგდებდნენ, ხანაც – სამსახურებიდან, ცოლს ჯიუტად არ ირთავდა, ზრდასრული ადამიანის ცხოვრებას გაურბოდა. კი, გადასარევად შეგხვდებოდა, კეთილგანწყობილი კაცი იყო, მაგრამ შინაგანად – დუნე და დოყლაპია. რაღაც ნაპერწკალი აკლდა, რაც მე ყოველთვის მაღიზიანებდა. ერთადერთი ღირსება ჰქონდა, რის გამოც მომწონდა – ყოველთვის უსაშველოდ ერთგული იყო ტინასი, ძალიან უყვარდა, მგონი ისევე ძალიან, როგორც მე – ამაში ეჭვი არ მეპარება. უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ცოლს ყოველთვის კარგ ძმობას უწევდა.

ამ მხრივ მართლაც სამაგალითო იყო. დაკრძალვაზე ხომ იყავი, გრეისი. გეხსომება, რაც ხდებოდა იმ დღეს. ასობით ადამიანი იყო მოსული ეკლესიაში, ყველას სახე ჩამოსტიროდა. კოლექტიური გლოვის საათები მოაწყვეს, ამდენი ცრემლი ცხოვრებაში არ მინახავს. თუმცა ამდენ მგლოვიარე და ცრემლიან ადამიანს შორის ყველაზე ცუდად რიჩარდი იყო. რიჩარდი და მე, რა თქმა უნდა. ეკლესიაში წინა მერხსაც ერთად ვუსხედით. პარაკლისი რომ დასრულდა, ფეხზე წამოდგომა სცადა და კინაღამ დაეცა, ძლივს მოასულიერეს. მე მეჭირა, ხელები მოვხვიე, თორემ წაიქცეოდა.

რამდენი წელი გავიდა მას მერე. ამ ტრავმის მონელება ორივეს ერთნაირად მოგვიწია, თუმცა მისი გზა-კვალი კი დავკარგე. იმ საღამოს, მასთან ერთად სადილობას რომ დავთანხმდი, ველოდი, რომ დროს უინტერესოდ გავატარებდი. რამდენიმესაათიანი უაზრო და უშინაარსო საუბრისათვის ვემზადებოდი, მერე თავს დავუკრავ და წამოვალ-მეთქი, ვფიქრობდი. თურმე როგორ ვცდებოდი. ახლა მიხარია იმის აღიარება, რომ რიჩარდთან დაკავშირებით მწარედ შევცდი. საკუთარი სიბრიყვის აღიარება ყოველთვის მახარებს და სხვათა შორის, იმის შეგრძნებაც, რომ ჩემი წინასწარი განწყობა სწორი არ გამოდგა და ამ ცხოვრებისა თურმე მაინც არაფერი გამეგება.

ჩვენი შეხვედრა იმით დაიწყო, რომ მისი დანახვისთანავე უზარმაზარი სიამოვნება ვიგრძენი. თურმე აღარ მხსომებია, რამდენად ჰგავდა და-ძმა ერთმანეთს, რამდენად ერთნაირი ნაკვთები ჰქონდათ. თვალის ფორმა და ჭრილი, მომრგვალებული ნიკაპი, კოხტა ტუჩ-კბილი, წარბების ხაზი – წინ მამაკაცის სხეულში ჩასახლებული ტინა მეჯდა. ყოველ შემთხვევაში, მისი მოძრაობები, მიხვრა-მოხვრა, ქცევის მა-

ნერა – ყველაფერი იმ განუმეორებელ დროს მაგონებდა, რომელიც უკვე დამვიწყებოდა. უცებ საშინლად მომინდა, ასე, პირისპირ, ტინასთან ერთად ვმჯდარიყავი, მისი არსებობა კვლავ შემეგრძნო, სიხარულმა ამავსო, რომ ტინას ნაწილი მის ძმაში აგრძელებდა სიცოცხლეს. ერთი-ორჯერ ზუსტად ტინას ჟესტი გაიმეორა, შუა საუბარში თვალები ზუსტად მისნაირად გამიკვესა და ამან ისე ამაღელვა, კინაღამ მაგიდაზე გადავიხარე და ვაკოცე. მისი ტუჩების შეგრძნებაღა მაკლდა, სხვა ყველაფერი თვალწინ მედგა. თქვენ ალბათ გაგეცინებათ, მე კი ვნანობ, რომ თავი შევიკავე.

რიჩარდი, რა თქმა უნდა, ისევ რიჩარდი იყო, ან რა შეცვლიდა, მაგრამ რაღაცნაირად უკეთესი გამხდარიყო. როგორ ვთქვა: თითქოს საკუთარ ტყავში ახლა თავს უკეთ გრძნობდა. ცოლი შეურთავს, თურმე ორი პატარა გოგონა ჰყავს. შეიძლება, ამანაც იმოქმედა, შეიძლება იმ რვა წელიწადმა, ჩვენი ბოლო შეხვედრიდან რომ გავიდა – არ ვიცი. ახლაც ისეთივე მოსაწყენი, დროებითი და უპერსპექტივო სამუშაო აქვს – ხან კომპიუტერის ნაწილებს ჰყიდის, ხან რაღაცის კონსულტანტია, დამავიწყდა კიდეც, რისი – საღამოებსაც ძველებურად ტელევიზორის წინ წამოწოლილი ატარებს. ფეხბურთს უყურებს, კომედიებს, პოლიციურ ტელესერიალებს, ბუნების მოყვარულთა არხს – ყველაფერი მოსწონს, რაც კი კაცმა ტელევიზორში შეიძლება ნახოს. წიგნებს არ კითხულობს, არჩევნებზე არ დადის, არც წარმოდგენა აქვს და არც საკუთარი აზრი იმის შესახებ, რაც დღეს მსოფლიოში ხდება. თექვსმეტი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და ერთხელ არ შეუწუხებია თავი, ჩემი რომელიმე წიგნი გადაეშალა. ჩემთვის, რასაკვირველია, სულ ერთია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მიგახვედროთ, როგორი ზარმაცი კაცია და რამდენად აკლია ცნობისწადილი. და მაინც, იმ სა-

ლამოს მასთან ერთად ყოფნა მსიამოვნებდა. მომწონდა იმის მოსმენა, რა სატელევიზიო გადაცემებს უყურებს, მომწონდა მისი ცოლის და პატარა გოგონების, მისი საყვარელი და ლამის ყოველდღიურად სავალდებულო ჩოგბურთის ამბები, მისი დასაბუთება, თუ რა უპირატესობა აქვს ნიუ-ჯერსიდან ფლორიდაში გადაბარგებას. უკეთესი კლიმატია, ხომ გესმის, გამოვემშვიდობე თოვლიან ნამქერებს და ყინვიან ზამთრებს, ახლა წელიწადის ყოველ დღეს ზაფხულში ვატარებო. იმდენად არაფრის მომცემი იყო ეს საუბარი, ბავშვებისა და ოჯახის ამბები, იმდენად ჩვეულებრივი, და მაინც – არც ვიცი, როგორ აგიხსნათ – ეს კაცი საკუთარ თავთან ისეთ ჰარმონიაში იყო, თავისი ცხოვრებით იმდენად კმაყოფილი მეჩვენა, ლამის იყო, შემშურებოდა.

ერთი სიტყვით, ვსხედვართ ასე, არაფრით გამორჩეულ რესტორანში, არაფრით გამორჩეულ ვახშამს შევექცევით, სულ უმნიშვნელო თემებზე ვმუსაიფობთ და უცებ რიჩარდს თეფში და ჩანგალი ავიწყდება, თვალს თვალში მიყრის და რაღაც ამბის მოყოლას იწყებს. ამ ყველაფერსაც ამის გამო გიამბობთ – მარტო იმიტომ, რომ რიჩარდის ამბავი მოგიყვეთ. არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, როცა მოისმენთ, ჩემზე კი მისმა ნაამბობმა ძალიან იმოქმედა. დიდი ხანია, ამაზე საინტერესო არაფერი მომისმენია.

სამი თუ ოთხი თვის წინ რიჩარდი თავისი სახლის საკუჭნაოში რაღაცას ეძებდა და მუყაოს ყუთში ფირის ძველ, სამგანზომილებიან გამშვებს გადააწყდა. ბუნდოვნად ახსოვდა: რაღაც ასეთი მისმა მშობლებმა მაშინ იყიდეს, როცა ძალიან პატარა იყო, მაგრამ ვერ გაიხსენა, როდის და რა დანიშნულებით იყენებდნენ. მითხრა, თითქმის დარწმუნებული ვარ, ეს მოწყობილობა ხელში არასდროს მჭერიაო. ყუთიდან

რომ ამოიღო და თვალიერება დაუწყო, აღმოჩნდა, რომ ეს ის იაფფასიანი, ადვილად მტვრევადი გამშვები კი არ იყო, რომლითაც ადრე ტურისტული სანახების და ლამაზი პეიზაჟების მზა ფოტოებს უშვებდნენ კედელზე, არამედ სერიოზული, რთული ოპტიკური მოწყობილობა, უვნებლად გადარჩენილი ნაშთი სამგანზომილებიანი გამოსახულებით არანორმალური გატაცებისა, რომელიც ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გაჩნდა, მაგრამ მალევე გაქრა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საგანგებო აპარატით შეგეძლო სამგანზომილებიანი სურათები გადაგეღო, სლაიდებად გაგემჟღავნებინა, მერე ამგვარ გამშვებში ჩაგედო და სამგანზომილებიანი ფოტოალბომის მფლობელი გამხდარიყავი. გადასაღები აპარატი აღარსად ჩანდა, სამაგიეროდ, რიჩარდმა სლაიდებით სავსე ყუთი იპოვა. სულ თორმეტი სლაიდი იყოო – ეტყობა, მისმა მშობლებმა იმ ახალთახალი ფოტოაპარატით მხოლოდ ერთი ფირი გადაიღეს, მერე კი აპარატი საკუჭნაოში შეინახეს და აღარასდროს გახსენებიათ.

ისე, რომ არც იცოდა, რას ნახავდა, რიჩარდმა ერთ-ერთი სლაიდი გამშვებში ჩადო, განათების ღილაკს თითი დააჭირა და ფოტოს გახედა. ერთი წამიც საკმარისი იყოო, – ასე მითხრა, – და ჩემი ცხოვრების ოცდაათი წელიწადი ერთ წამში ისე გაქრა, თითქოს არც ყოფილაო. 1953 წელი იდგა და რიჩარდი მშობლების ძველ სახლში იყო – უესთ ორანჯში, ნიუ-ჯერსის შტატში, ტინას მეთექვსმეტე დაბადების დღეზე მოსული სტუმრებით გაძეძგილი ოთახის შუაგულში. იმ დროს, გოგონას რომ თექვსმეტი წელი შეუსრულდებოდა, ოჯახები დიდი ზარზეიმით აღნიშნავდნენ ხოლმე. უცებ ყველაფერი გაახსენდა, რაც იმ დღეს ხდებოდა: ოფიციანტები სამზარეულოში კერძებს გამოსატანად ამზადებდნენ, შამპანურის სასმისებს

ბარზე ამწკრივებდნენ, შემოსასვლელთან ზარი შეუჩერებლად რეკავდა – მუსიკა, საუბრის ხმა, სიცილი, ტინას კეფაზე დამაგრებული შინიონი, მისი გრძელი ყვითელი კაბის შარიშური. აი, ასე, ერთმანეთის მიყოლებით, რიჩარდი აპარატში სლაიდს სლაიდზე დებდა, სანამ თორმეტივე არ ნახა. ყველანი იქ იყვნენ, იმ ფოტოებზე: დედამისი, მამამისი, ყველა ბიძაშვილი და მამიდაშვილი, დეიდები და ბიძები, მისი და, დის მეგობრები, თავადაც. საკუთარი თავიც ნახა, თოთხმეტი წლის აწოწილი ბიჭი ყელზე უხეიროდ გამოჩრილი ყრონტით, კეფაზე აჭრილი თმით, საყელოს ქვეშ ამოტარებული ღილიანი წითელი ბაფთით. ჩვეულებრივი ფოტოსურათების თვალიერებას არ ჰგავდა, ეს სულ სხვა რამე იყოო, – მითხრა რიჩარდმა. ამასთან ვერც საოჯახო ვიდეო მოვიდოდა, რომლის მხტუნავი, ფერგადარეცხილი კადრები მოლოდინს ხშირად გვიცრუებს და მხოლოდ იმის შეგრძნებას გვიმძაფრებს, რომ წარსულმა უკანმოუბრუნებლად ჩაიარა. ეს სამგანზომილებიანი გამოსახულებები წარმოუდგენლად კარგად იყო შენახული, სიმკვეთრე, კონტურები დაუჯერებლად ჰქონდათ შენარჩუნებული. ზედ ყველა ცოცხალი ადამიანივით გამოიყურებოდა, სიცოცხლის ენერგიას ასხივებდა – წამში ჩაჭერილი აწმყოს, იმ მარადი „ახლას“ ენერგიას, რომელიც ოცდაათ ჩავლილ წელიწადზე გადაჭიმულიყო. ინტენსიური ფერები, უწვრილესი დეტალები უკიდურესი სიმკვეთრით ანათებდნენ და თან გარემომცველი სივრცის, სიღრმის ილუზიას ქმნიდნენ. „რაც უფრო დიდხანს ვუყურებდი სლაიდებს,“ – მითხრა მაშინ რიჩარდმა, – „მით მეტად მიძლიერდებოდა შეგრძნება, რომ ცოტაც და დავინახავდი, როგორ სუნთქავს თითოეული მათგანი“. ყოველ ჯერზე, როცა გამოსახულებას ცვლიდა და შემდეგ სლაიდზე გადადიოდა, ეჩვენებოდა, თით-

ქოს ერთი-ორი წამი და ზედ გამოსახული ადამიანები მოძრაობას დაიწყებდნენ.

ჯერ ყველა სლაიდი სათითაოდ ნახა, მერე ერთმანეთის მიყოლებით გაუშვა და სწორედ მაშინ, ამ თანმიმდევრულ თვალიერებაში გააცნობიერა, რომ სურათებზე გამოსახული ადამიანების უმეტესობა ცოცხალი აღარ იყო. მამამისი გულის შეტევით გარდაიცვალა 1969 წელს, დედა – თირკმლის უკმარისობით 1972-ში. ტინა 1974 წელს კიბომ შეიწირა. მშობლების ექვსი და-ძმიდან ახლა მხოლოდ ორიღა იყო ცოცხალი. ერთ ფოტოსურათზე რიჩარდი სახლისწინა მოლზე მშობლებთან და ტინასთან ერთად იდგა, ყველანი, ხელიხელგადახვეულები, ერთმანეთს მიკრულები და მიხუტებულები, ლაღად მომღიმრები, სასაცილოდ გამოცოცხლებული გამომეტყველებით ობიექტივს გამოსცქეროდნენ. როცა რიჩარდმა ეს ფოტო გამშვებში მეორედ ჩადო, მოულოდნელად თვალები ცრემლებით აევსო. ამ ერთმა ფოტომ ბოლო მოუღო. აი, მანდ მიხვდა, რომ მეტს ველარ გაუძლებდა. გამშვები განზე გადადო, ხელები სახეზე აიფარა და აქვითინდა. ჰო, ზუსტად ეს სიტყვა იხმარა – „ქვითინი“. იმდენი ვიქვითინე, ცრემლები გამომელიაო.

არ დაგავიწყდეთ, ვისზეა ლაპარაკი – რიჩარდზე, რომლისთვისაც იოტისოდენა სენტიმენტალობა და პოეტურობა არ შემიმჩნევია და რომელიც, ჩემი წარმოდგენით, კარის სახელურზე ბევრად მგრძნობიარე არ უნდა ყოფილიყო. აი, ასეთი კაცი რაღაც ფოტოსურათებს გადააწყდა, დაათვალიერა და მას შემდეგ სხვა ველარაფერზე ფიქრობს. სამგანზომილებიანი გამშვები მისთვის ჯადოსნური ფარანივით რამ გამოდგა, დროში ამოგზაურა და მიცვალებულებს შეახვედრა. დილაობით, სანამ სამსახურში წავიდოდა და მერეც, შინ რომ ბრუნდებოდა, სულ ამ ფოტოებს უყურებდა. როგორც

ყოველთვის, საკუთარ საკუჭნაოში, მარტოდმარტო, ცოლის და ბავშვების უჩუმრად. შეპყრობილივით მიეჯაჭვა 1953 წლის იმ საღამოს და მის გარეშე ცხოვრება აღარ შეეძლო. ეს მოჯადოება ორ თვეს გრძელდებოდა, ერთ დილით კი, როცა რიჩარდმა ავტოფარეხს მიაშურა, აღმოჩნდა, რომ გამშვები აღარ მუშაობდა. მოწყობილობის შიგნით რაღაც გაფუჭდა და განათების ღილაკი გაიჭედა. ალბათ ძალიან ხშირად ვრთავ-დიო, – ასე მითხრა და რაკი არ იცოდა, რა მოეხერხებინა გამშვებისათვის, ნაღვლობდა, რომ მისი იდუმალი თავგადა-სავალი დასრულდა. ლამის ზღაპრიდან გადმოსულ ნივთს, რომელიც ასე უცნაურად აღმოაჩინა, სამუდამოდ უნდა გა-მოთხოვებოდა. მისთვის ეს კატასტროფული დანაკარგი, მო-უნელებელი დარტყმა იყო. სინათლეზე გახედვას და სლა-იდების ასე თვალიერებას აზრი არ ჰქონდა. სამგაზომილე-ბიანი ფოტოები სულ სხვა რამეა, აუცილებლად გამშვები გჭირდება, რომ ჩვეულებრივ, თვალისათვის აღსაქმელ გა-მოსახულებებად იქცეს. თუ გამშვები არ გაქვს, ვერც გა-მოსახულებას ნახავ. რაკი გამოსახულებას ვერ ხედავდა, მის-თვის დროში მოგზაურობასაც წერტილი დაესვა. როგორც კი დროში მოგზაურობის საშუალება წაერთვა, სიხარულის უნარიც დაკარგა. ადრინდელი დანაკარგის შეგრძნება განუ-ახლდა, დარდი და ნაღველი ისევ მოეძალა – თითქოს მისთვის ძვირფასი ადამიანების გაცოცხლება მოეხერხებინოს, ახლა კი ისინი ხელმეორედ უნდა მიებარებინა სამარისათვის.

ასეთ მდგომარეობაში იყო ორი კვირის წინ, როცა პირ-ველად ვნახე. გამშვები სულ ახალი გაფუჭებული იყო და რიჩარდს ეს ამბავი ჯერ მონელებული არ ჰქონდა. ვერ აღ-გიწერთ, როგორ ამაღელვა, როგორ ამიჩუყა გული მისმა ნაამბობმა. ძნელი წარმოსადგენია, რა სანახავი იყო ეს სევ-

დიანად მოდუდუნე, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კაცი, რომელიც საუბრის მსვლელობისას თვალსა და ხელს შუა ფილოსოფოსად მექცა: თურმე სულს მიუწვდომელზე ოცნების ბალღამი უღარავდა. შევპირდი, ყველაფერს ვიღონებ და დაგეხმარები-მეთქი. ნიუ-იორკში ვართ, ბოლოს და ბოლოს, ამ ქალაქში კი ყველაფრის შოვნა შეიძლება, რაც დედამიწის ზურგზე მოიპოვება და რადგან ასეთი აპარატი არსებობს, ალბათ ისეთი კაციც უნდა მოიძებნოს, ვინც ამ აპარატს შეგიკეთებს-მეთქი. ჩემმა მეტისმეტმა მონდომებამ რიჩარდი, ცოტა არ იყოს, დააბნია კიდეც, თუმცა შეთავაზებისთვის მადლობა გადამიხადა და მერე ამ საუბარს წერტილი დავუსვით. საქმეს მეორე დილიდანვე შევუდექი. გავიკითხე, გამოვიკითხე და მეორე თუ მესამე დღეს დასავლეთის ოცდამეთერთმეტე ქუჩაზე ფოტოაპარატების სახელოსნოს გადავაწყდი, რომლის მფლობელიც შემპირდა, გამშვებს შევაკეთებო. რიჩარდი უკვე ფლორიდაში იყო, როცა დავურეკე და ეს სასიხარულო ამბავი წვრილად მოვუყევი. მეგონა, სიხარულისგან გაგიჟდებოდა და მერე ერთად დავიწყებდით იმაზე ფიქრს, როგორ უნდა შეეფუთა თავისი აპარატი ნიუ-იორკში გამოსაგზავნად, მაგრამ სულ სხვაგვარად კი მოხდა: ხაზის მეორე ბოლოს ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა. „არც კი ვიცი, რა გითხრა, ჯონ," – გავიგონე ბოლოს, – „შენთან საუბრის დღიდან სულ ამაზე ვფიქრობ. შეიძლება, არც იყო კარგი, დღე და ღამე იმ ფოტოების ყურებაში რომ ვიყავი. არლინიც სულ მებუტებოდა, ვერც ჩემს გოგონებს ვაქცევდი იმდენ ყურადღებას, რამდენიც ბავშვებს სჭირდებათ. იქნებ უკეთესიც იყოს, რომ გაფუჭდა. ადამიანმა დღევანდელი დღით უნდა იცხოვროს, ხომ მართალი ვარ? რაც ადრე იყო, წარსულს უნდა გავატანოთ. შეიძლება ძალიანაც მიჯაჭვული

ვიყავი იმ ფოტოებზე, მაგრამ ადამიანს წარსულის დაბრუნება მაინც არ შეუძლია“.

ასე დასრულდა ეს ამბავი – ჯონისთვის ერთობ გამაწბილებლად, ყოველ შემთხვევაში, თავად ასეთი განცდა ჰქონდა. თუმცა გრეისი არ დაეთანხმა. ორი თვის განმავლობაში გარდაცვლილ ადამიანებთან ერთად ცხოვრება მაინცდამაინც გონივრული საქციელი არ უნდა ყოფილიყო, – შეეკამათა. რიჩარდი თავს ხიფათში იდგებდა, როცა იმ ფოტოებს ვერ წყდებოდა, ხომ შეიძლებოდა, მძიმე დეპრესია დამართოდაო. აზრის გამოთქმა მეც დავაპირე და ის-ის იყო, პირი გავაღე, რომ – მაშინ ეს ხშირად მემართებოდა – ცხვირიდან სისხლი წამსკდა. ეს სისხლდენები საავადმყოფოში დაწოლამდე ერთიორი თვით ადრე დამეწყო და მართალია, ავადმყოფობის სხვა სიმპტომები უკვე კარგა ხნის გამქრალი იყო, ცხვირიდან სისხლის დენა ჯიუტად მიმეორდებოდა, თან ყველაზე უდროო დროს. უკვე ვფიქრობდი, ეს უცაბედი უხერხულობები, როგორც ჩანს, მთელი ცხოვრება გამყვება-მეთქი. თავი მეზიზღებოდა, რადგან მათ წინაშე უძლური ვიყავი, ისე, როგორც იმ საღამოს მოხდა – მეგობართან ზიხარ, საუბრობ, მერე მოულოდნელად ამჩნევ, რომ ცხვირიდან სისხლი გდის, პერანგს და შარვალს გისვრის, შენ კი ვერაფერს აკეთებ, რომ ამას სხვა დროს მაინც გადაურჩე. ექიმები მეუბნებოდნენ, სანერვიულო არაფერიაო, სისხლის დენას არც ჯანმრთელობისთვის სახიფათო შედეგი შეიძლება ჰქონდეს და ეს არც უარესობის ნიშანიაო, მაგრამ მათი ნათქვამი ნუგეშად ვერ გამომადგებოდა და ვერც უსუსურობის ან სირცხვილის გრძნობას დამიცხრობდა. ყოველ ჯერზე, როცა სისხლი ასეთნაირად წამსკდებოდა, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც პატარა ბიჭი, რომელმაც შარვალში ჩაისველა.

სკამიდან წამოვხტი, სახეზე ცხვირსახოცი ავიფარე და იმ სააბაზანოსკენ წავედი, რომელიც ჯონის საძინებელთან ყველაზე ახლოს იყო. გრეისს ჩემი დახმარება უნდოდა და წესით, ადამიანურ პასუხს იმსახურებდა, მე კი არც მახსოვს, რა ვუპასუხე. მგონი, მივუგდე, არაფერია, თავი დამანებე-მეთქი. ჩემს ხმაში გაღიზიანება იგრძნობოდა, რამაც ჯონი ძალიან გაახალისა, რადგან ზურგს უკნიდან შემომესმა, როგორ როხროხებდა, ოთახიდან რომ გამოვდიოდი:

– როგორ გამოწერილივით იცის წვევა ამ სისხლდენებმა! სიდნი ორის მენსტრუალური ციკლი! გულს ნუ გაიტეხ, სიდნი. ის მაინც გეცოდინება, რომ ფეხმძიმედ არ ხარ!

ბინაში ორი სააბაზანო იყო, დუპლექსის ორივე სართულზე თითო-თითო. სხვა დროს ჩვენს საღამოებს ქვემოთ, ჯონის სასტუმრო ან სასადილო ოთახში ვატარებდით, მაგრამ ახლა მისი ფლებიტიანი ფეხის გამოისობით მეორე სართულზე აღმოვჩნდით – ბოლო დროს ჯონი უმეტესად იქ, საძინებლის სიახლოვეს ტრიალებდა ხოლმე. ზედა სართულზე კიდევ ერთი სასტუმრო ოთახი ჰქონდა – პატარა, მყუდრო სივრცე, ერკერში გაჭრილი უზარმაზარი ფანჯრებით, წიგნის თაროებით სამი კედლის გაყოლებაზე და იმავე კედლების ნიშებში შედგმული მუსიკალური ცენტრით და ტელევიზორით – იდეალური სივრცე გამოჯანმრთელების გზაზე შემდგარი ინვალიდისთვის. ზედა სართულის სააბაზანომდე ამ და რამდენიმე სხვა ოთახის გავლით უნდა მივსულიყავი, ესე იგი, მისი კაბინეტიც უნდა გამევლო – ადგილი, სადაც ჯონი წერდა ხოლმე. პირველად რომ შევედი, შუქი ავანთე, მაგრამ კაბინეტისათვის თვალის მოსავლებად არ მცხელოდა, ყურადღება ჩემს ცხვირსა და სისხლდენაზე მქონდა გადატანილი. სააბაზანოში ალბათ თხუთმეტიოდე

წუთი გავატარე. თავგადაწეული ვიდექი და ნესტოებს ხელს ვუჭერდი, სანამ ამ ნაცადმა ხერხმა არ გაამართლა, მაგრამ მაინც იმდენი სისხლი დავკარგე, მეგონა, ცოტაც და სისხლის გადასასხმელად საავადმყოფოში გაქცევა დამჭირდებოდა. ვიდექი და თეთრი ფაიფურის ნიჟარის ფონზე სისხლნარევი წყლის ნაკადს დავყურებდი. რა გადარეულმა წარმოსახვამ შვა ეს, გარკვეული თვალსაზრისით, ესთეტიკური შოკის მომგვრელი ფერი! ყველა სხვა სითხე, რომელიც ჩვენი სხეულებიდან გამოედინება – მოთეთრო ფურთხი, რძისფერი სპერმა, ყვითელი შარდი, ცხვირის მომწვანო-მოყავისფრო გამონადენი, ამასთან შედარებით, მქრალი და უფერულია, გახუნებული ტონები აქვს. ყველა სითხე, რომელსაც ჩვენი ორგანიზმი შეიცავს, ზამთრის და შემოდგომის ფერებისაა, მაგრამ ის, რაც ვენებში დაგვირბის, რაც გვასულდგმულებს, შეშლილი მხატვრის წარმოსახვაში ნაშობი ალისფერია – ახალთავმოხსნილი საღებავივით ელვარე და ცოცხალი.

სისხლდენა რომ შემიწყდა, ცოტა ხანს კიდევ ნიჟარაზე წახრილი ვიდექი და როგორც შემეძლო, თავის მოწესრიგებას ვცდილობდი, იმდენად მაინც, რომ სხვა ადამიანებს დავნახებოდი. პერანგიდან ლაქების ამოყვანა უკვე დაგვიანებული იყო (სისხლი ზედ პატარ-პატარა წრეებად შემხმობოდა, თან მათი ამორეცხვის მცდელობამ ჟანგისფრად ნადღაბნი ადგილები დამიტოვა), სამაგიეროდ, ხელ-პირი ძალიან კარგად დავიბანე, თმა ნამიანი თითებით გადავივარცხნე, მერე კი, საქმის დასასრულებლად, ჯონის სავარცხელიც დავიხმარე. სააბაზანოდან რომ გამოვდიოდი, საკუთარი თავის მიმართ სიბრალულს უკვე ველარ ვგრძნობდი, თითქოს უსუსურობის შეგრძნებაც მიმავიწყდა. პერანგი და შარვალი საძაგელი შესახედაობის ლაქებით იყო აჭრელებული, მაგრამ

ცხვირიდან ჩანჩქერი მაინც აღარ მდიოდა და წიწკნის და წვის შეგრძნებებმაც გამიარა.

ჯონის საძინებლისკენ რომ მივემართებოდი, მისი კაბინეტის გავლა მომიხდა და ჩემდა უნებურად, თვალი საწერი მაგიდისკენ გამექცა. ღმერთმანი, კონკრეტულს არაფერს ვეძებდი, კარს მიახლოებულმა იქაურობას მხოლოდ თვალი მოვავლე და უცებ ვხედავ, ათასნაირ კალმისტარს, ფანქარს და ქაღალდის არეულ-დარეულ დასტებს შორის ლურჯი მაგარყდიანი რვეული დევს – ზუსტად ისეთი, როგორიც იმ დილას ბრუკლინში შევიძინე. მწერლის საწერი მაგიდა ხომ წმიდათაწმიდაა, მთელს სამყაროში ყველაზე ხელშეუხებელი და თვალუკრავი ადგილი; პატრონის ნებართვის გარეშე უცხოს იქ არაფერი ესაქმება. იმ დღემდე ეგ კანონი არასდროს დამირღვევია, მაგრამ უცებ ისე გავოგნდი, ცნობისმოყვარეობამ – ინტერესმა, გამეგო, ნამდვილად ჩემნაირი იყო თუ არა ჯონის რვეული – ისე წამძლია, რომ წესი, რიგი – ყველაფერი დამავიწყდა და მაგიდასთან მივედი, რათა ეს ნივთი ახლოდან მენახა. დახურული რვეული რომელიღაც ლექსიკონზე იდო. დასათვალიერებლად დავიხარე, მაგრამ ხელის შეხებაც არ დამჭირვებია: სწორედ ისეთი რვეული იყო, შინ რომ საწერ მაგიდაზე დავტოვე. რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო, რომლის დადგენასაც დღემდე ვლამობ, ამ აღმოჩენამ უზომოდ ამაღელვა. ვითომ რა მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ რვეულში წერდა ჩემი მეგობარი? ჯონი პორტუგალიაში რამდენიმე წელი ცხოვრობდა. ეჭვი არ არის, იქ ასეთი რვეული ყოველ ნაბიჯზე, ალბათ ყოველ მეორე საკანცელარიო მაღაზიაში იყიდება. ვითომ რატომ არ შეიძლებოდა, პორტუგალიაში დამზადებულ ლურჯ მაგარყდიან რვეულში ჯონსაც ეწერა? რასაკვირველია, შეიძლებოდა და მაინც, იმ გაუცნობიერებელი,

შემპარავად ტკბილი შეგრძნების გახსენებაზე, დილით რომ დამეუფლა, როცა ლურჯ რვეულს ვყიდულობდი, მერე, იმის გათვალისწინებით, რომ მივიტანე თუ არა შინ შენაძენი, უჩვეულოდ ნაყოფიერი დილა გამომივიდა (ჩემი პირველი ლიტერატურული მცდელობა იმ წელს) და რამდენიმე საათი შეუჩერებლად ვწერე, სხვას რომ თავი დავანებოთ, თუნდაც იმის გამო, რომ ჯონთან გატარებული მთელი საღამო იმდღევანდელ ნაწერზე ვფიქრობდი, ეს დამთხვევა რაღაც უცნაურად მენიშნა, ბედისწერის ნიშნად, შავი მაგიის ჯადოსნობად მეჩვენა.

სანამ სასტუმრო ოთახში დავბრუნდებოდი, გავიფიქრე, ჯონს არაფერს ვეტყვი-მეთქი. ცოტა სიგიჟეს ჰგავდა ეს ამბავი, მეტისმეტად პირადი და ამოუთქმელი იყო ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა. თან არ მინდოდა, ჯონს ისეთი შთაბეჭდილება შექმნოდა, თითქოს სხვის სივრცეში შეჭრა ჩვეულებრივ რამედ მიმაჩნდა. თუმცა როცა ოთახში შევედი და დივანზე მიწოლილი, მაღალ სკამზე ფეხშემოდებული ჩემი მეგობარი დავინახე, რომელიც ჭერს საკუთარი მარცხის შეგრძნებით იყო მიჩერებული, სახეზე კი უიმედობა ეწერა, გადაწყვეტილება მაშინვე შევიცვალე. გრეისი ქვემოთ, სამზარეულოში იყო, თეფშებს რეცხავდა და საჭმლის მონარჩენს აბინავებდა, ამიტომ დივანის გვერდით, ჯონისგან რამდენიმე ნაბიჯში, სკამზე ჩამოვჯექი. უკეთ თუ გრძნობ თავსო, მკითხა. ჰო, ბევრად უკეთ ვარ-მეთქი, – მივუგე, მერე მისკენ გადავიხარე და ვუთხარი:

– დღეს დილით ძალიან უცნაური რამე შემემთხვა. საკანცელარიო მაღაზიაში შევედი და რვეული ვიყიდე. ისეთი არაჩვეულებრივი რვეული იყო, ისეთი მიმზიდველი და ხიბლიანი, რომ წარმოიდგინე, ძველებურად წერის სურვილი გამიღვიძა. რა წუთსაც სახლში შევდგი ფეხი, საწერ მაგიდას მივუჯექი და ორი საათი თავაუწევლად ვწერდი.

– რა კარგი ამბავი მითხარი, სიდნი, – შესძახა ჯონმა, – მუშაობა დაგიწყია და ეგაა!

– თანაც ფლიტკრაფტის ეპიზოდით დავიწყე.

– მართლა? მთლად უკეთესი!

– ვნახოთ, რა გამოვა. ჯერჯერობით რაღაც დაუმუშავებელი ჩანაწერებია, დიდად ვერაფრით გაგახარებ. მაგრამ მეჩვენება, რომ ამ რვეულმა ენერგიით ამავსო და ახლა ერთი სული მაქვს, როდის გათენდება ხვალინდელი დღე. მუქი ლურჯი რვეულია, ძალიან სასიამოვნო ტონალობის ფერი; ზამბარაზეა აკინძული, მაგარი ყდა აქვს და სად, სად და პორტუგალიაშია დამზადებული.

– პორტუგალიაში?

– ჰო, არ ვიცი, რომელ ქალაქში, მაგრამ ყდის შიდა მხარეს ბეჭედი აქვს, „დამზადებულია პორტუგალიაში“ აწერია.

– კი, მაგრამ ეგეთი რამე აქ ხელში როგორ ჩაიდგე?

– ჩვენს სახლთან ახლოს ახალი მაღაზია გაიხსნა: „ქაღალდის სასახლე“. მეპატრონე ჩინელია, გვარად ჩანგი. ასეთი რვეული ოთხი ჰქონდა.

– მაგ რვეულებს მაშინ ვყიდულობდი, როცა პორტუგალიაში ჩასვლა მიწევდა ხოლმე. ძალიან კარგებია. მკვიდრად ნაკინძი, საიმედო. თუ საწერად ერთხელ მაინც გამოიყენე, მორჩა, მერე სხვას ველარაფერს იგუებ.

– დღეს მეც ასეთი განცდა გამიჩნდა. იმედია, ეგ რამე განსაკუთრებულ, ნარკოტიკულ მიჯაჭვულობას არ აჩენს.

– „ნარკოტიკული მიჯაჭვულობა“ ცოტა გადამეტებული ნათქვამია, მაგრამ, თქმა არ უნდა, განსაკუთრებული ხიბლი ნამდვილად აქვთ. ფრთხილად იყავი, სიდ. რამდენი წელია, მარტო ეგეთებში ვწერ და კარგად ვიცი, რასაც ვამბობ.

– ახლა ისე გამოგივიდა, თითქოს რაღაც ხიფათსაც შეიცავენ ეგ რვეულები.

– ეგ იმაზეა დამოკიდებული, რას წერ შიგნით. ეს რვეულები თითქოს საოცარ კეთილგანწყობას ასხივებენ, მაგრამ ხანდახან დაუნდობლებიც ხდებიან ხოლმე, ამიტომ უნდა გაფრთხილდე. თორემ ვერც შეამჩნევ, შიგნით როგორ ჩაიკარგები.

– შენ დაკარგულს სულაც არ ჰგავხარ, არადა, სწორედ ამ წუთას ვნახე ერთი ეგეთი შენს საწერ მაგიდაზე, სააბაზანოდან რომ გამოვედი.

– სანამ ნიუ-იორკში გადმოვიდოდი, ეგ რვეულები უხვად მოვიმარაგე. სამწუხაროდ, ის ერთი ცალი, შენ რომ დაინახე, ჩემი მარაგიდან უკანასკნელია, ისიც თითქმის მთლიანადაა შევსებული. არ ვიცოდი, რომ ამერიკაშიც შეიძლებოდა ამათი შოვნა. უკვე ვფიქრობდი, უნდა გავარკვიო, ვინ აწარმოებს და რვეულები უშუალოდ მათგან გამოვიწერო-მეთქი.

– იმ მაღაზიის მფლობელმა მითხრა, რომ მწარმოებელი კომპანია გაკოტრებულა.

– ჩემი ბედიც ეგ ყოფილა. თუმცა არ მიკვირს. დარწმუნებული ვარ, ასეთ რვეულებზე დიდი მოთხოვნა არ იქნებოდა.

– თუ გინდა, ორშაბათს გიყიდი.

– ლურჯები კიდევ იყო?

– მხოლოდ შავი, წითელი და ყავისფერი. ბოლო ლურჯი ცალი მე ვიყიდე.

– ძალიან საწყენია. მე მარტო ლურჯები მომწონდა. მომიწევს, როგორც ჩანს, ჩვევების შეცვლა, რაკი, როგორც ამბობ, კომპანია აღარ არსებობს.

– მეცინება, მაგრამ ამ დილას, რვეულების დასტას რომ დავხედე, მაშინვე ლურჯი ამოვირჩიე. რას უნდა ნიშნავდეს ეგ, როგორ გგონია?

– არაფერსაც არ ნიშნავს, სიდ. არაფერს, გარდა იმისა,

რომ ცოტათი აფრენ. და, შენი არ იყოს, მეც ვერ ვარ სრულ ჭკუაზე. ყური მიგდე, მწერლები არ ვართ, ბოლოს და ბოლოს? მერე ჩვენნაირებს ეგეთები დამართნიათ?

შაბათის საღამოები ნიუ-იორკში ყოველთვის უზომოდ ხმაურიანია, ქუჩები ხალხითაა გადაჭედილი, მაგრამ იმ საღამოს მაინც რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა და გზაში იმდენჯერ შევფერხდით, სახლამდე მისვლას საათზე მეტი მოვანდომეთ. გრეისმა მოახერხა და ზედ ჯონის კართან ტაქსი გააჩერა, მაგრამ როცა სალონში აღმოვჩნდით და გაირკვა, რომ ბრუკლინში მივდიოდით, მძღოლმა საწვავის ნაკლებობა მოიმიზეზა და წაყვანაზე უარი გვითხრა. მე ერთ ამბავს დავაწევდი, მაგრამ გრეისმა მკლავქვეშ ხელი გამიყარა და ტაქსიდან მშვიდად გადმომიყვანა. ამის მერე საიმედო აღარაფერი გამოჩენილა, ამიტომ მეშვიდე ავენიუმდე ფეხით ვიარეთ, გზას კი უმეტესად მთვრალი ლაწირაკებისა და შეშლილი მაწანწალების ბრბოში ვიკვლევდით. იმ ღამით უესტ ვილიჯში სახიფათო ენერგიების მოზღვავება იგრძნობოდა, თითქოს პატარა ბიძგი აკლდა და ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა, ძალადობის სცენებს შევსწრებოდით. ამნაირ გარემოცვაში სიარულმა ერთიანად გამომფიტა, ფეხზე ძლივს ვიდექი, ვბარბაცებდი და გრეისს დროდადრო მკლავზე ვეჭიდებოდი. ბეროუ სტრიტისა და მეშვიდე ავენიუს კუთხეში ათი წუთი მოგვიხდა ყურყუტი, სანამ ცარიელი ტაქსი გამოჩნდებოდა. ამასობაში გრეისმა ექვსჯერ მაინც მომიბოდიშა იმისთვის, რომ იმ პირველი ტაქსის მძღოლთან ურთიერთობის გარკვევა არ დამაცადა. „მაპატიე, ჩემი ბრალია, ხმა არ ამოგაღებინე," – მითხრა შეწუხებულმა, – „ყველაზე ნაკლებად ახლა აქ, სი-

ცივეში დგომა გჭირდება. რა ვქნა, ბრიყვებთან კამათი არ შეიძლია. დიდი ხნით გამოვყავარ მდგომარეობიდან“.

თუმცა გრეისს იმ საღამოს ნერვებმა მაინც უმტყუნა და ამის მიზეზი მხოლოდ ბრიყვი მძღოლი არ ყოფილა. მეორე ტაქსიში ჩავსხედით თუ არა, რამდენიმე წუთში ჩემს ცოლს მოულოდნელად ტირილი წასკდა. ამას არც ქვითინი ერქვა, არც ხმამაღლა ტირილი, ცრემლები თვალების კუთხეებში უგროვდებოდა და გადმოსდიოდა: როცა კლარკსონის კუთხესთან, წითლად ანთებულ შუქნიშანზე გავჩერდით და ლამპიონების შუქი მანქანაში ჩამოგვეღვარა, გრეისის უპეებში ჩამდგარი ცრემლები მოძრავ კრისტალებს მივამსგავსე. ასე მისთვის ნერვებს არასდროს უღალატია. იმ საღამომდე ტირილითაც არასდროს უტირია. საერთოდ, გრძნობების გამომჟღავნება ნაკლებად სჩვეოდა, მაშინაც კი, როცა მისი ნერვები უმძიმეს განსაცდელს უძლებდა (მაგალითად, ჩემი ავადმყოფობის დროს, ან საავადმყოფოში ყოფნის ყველაზე მძიმე და უიმედო პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში); სულ მეჩვენებოდა, რომ თავდაჭერილობისა და ყველაზე საზარელი ჭეშმარიტებისთვის თვალის გასწორების თანდაყოლილი უნარი ჰქონდა. ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი, მაგრამ მხოლოდ თავი გააქნია და ზურგი მაქცია. ხელი მოვხვიე და კითხვა გავუმეორე, მაგრამ ჩემი ხელი მოიშორა – ასეთი რამ ადრე არასდროს გაუკეთებია. აუტანლად მტრული ჟესტი იყო გრეისისგან, მაგრამ მანამდეც ვთქვი: ეს მის საქციელს არ ჰგავდა. უნდა ვაღიარო, რომ გული საშინლად მეტკინა. არ მინდოდა, ჩემი წყენა მეგრძნობინებინა ან უნებლიეთ სამაგიერო გადამეხადა, ამიტომ ტაქსის კარისკენ უხმოდ მივიწიე და სანამ მანქანა მეშვიდე ავენიუს სამხრეთისკენ მიუყვებოდა, გზას ხმაამოუღებლად გავყურებდი. ვარიკის და კენელის

გზაჯვარედინზე რომ დავდექით, ჩვენ წინ გზა ჩაიხერგა და მოძრაობა რამდენიმე წუთით გადაიკეტა. შთამბეჭდავი სანახაობა იყო: მსუბუქი მანქანებისა და სატვირთოების ზედახორა, მძღოლები ერთიმეორეს სიგნალს აძლევენ, უშვერი სიტყვებით ამკობენ – ერთი სიტყვით, მეორედ მოსვლაა, ნიუიორკულად. ამხელა ხმაურსა და აურზაურში გრეისი უცებ მომიტრიალდა და პატიება მთხოვა. „თავი ველარ მოვთოკე, ხომ ნახე, როგორ გამოიყურებოდა დღეს ჯონი," – იმართლა თავი, – „როგორი მოტეხილია. ყველა, ვინც მიყვარს, თვალწინ მიდნება. ამდენის ატანა უკვე აღარ შემიძლია".

არ დავუჯერე. მე, მის ქმარს, დღითიდღე უკეთესობა მეტყობოდა და ამიტომ დაუჯერებლად მომეჩვენა, გრეისზე ასე მხოლოდ ჯონის ფლებიტს ემოქმედა. რაღაც სხვა იყო, რაც გრეისს გულს უღრღნიდა – რაღაც საიდუმლო, რომელიც მხოლოდ მისი იყო და ჩემთვის გაზიარება არ სურდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ თუ გულის გადაშლას ვთხოვდი, ეს საქმეს მხოლოდ გააფუჭებდა. მალე ისევ მისკენ გადავიხარე, მხარზე ხელი მოვხვიე და ჩემკენ აუჩქარებლად მოვიზიდე. ამჯერად წინააღმდეგობა არ გაუწევია. პირიქით, ვიგრძენი, როგორ მოუდუნდა კუნთები, ერთ-ორ წუთში კი თავი მკერდზე მომაყრდნო. ხელი შუბლზე ნაზად დავადე და თითები თმაში შევუსრიალე. ეს ჩვენი ძველი რიტუალი იყო, ჩვენი განსაკუთრებული სიახლოვის უსიტყვო გამოხატულება. ამას რომ ვაკეთებდით, საკუთარ თავს ვახსენებდით, რანი ვიყავით ერთად და რაკი გრეისის შეხება, მისი სხეულის შეგრძნება და ფერება არასდროს მბეზრდებოდა, ალერსს ნაჩვევი ჩემი ხელი მის სხეულს შეუჩერებლად დაუყვებოდა, სანამ უესტ ბროდვეიზე არ გავედით და მანქანა ბრუკლინის ხიდისკენ არ გასრიალდა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს. როცა ტაქსიმ მარცხნივ გაუხვია, ჩემბერს სტრიტი გაიარა და ბრუკლინის ხიდისკენ წავიდა, აღმოჩნდა, რომ ყველა გადამკვეთი ქუჩა ჩახერგილი იყო. ჩვენი მანქანა დადგა და ველარც წინ წავიწიეთ, ველარც უკან დავბრუნდით. ტაქსის მძღოლი, რომელსაც, როგორც გაირკვა, ბორის სტეპანოვიჩი ერქვა, თვალებს უნუგეშოდ აცეცებდა და მოგუდული ხმით რუსულად იგინებოდა. ეჭვიც არ მეპარება, ეგ გინება უფრო საკუთარი თავისადმი იყო მიმართული, რომ გაბრიყვდა და შაბათ საღამოს ბრუკლინის ხიდს გადასასვლელად მიადგა. გამყოფი მინისკენ გადავიხარე და ფულის მისაწოდებლად გამოჭრილი სარკმლიდან შევეხმიანე. ჩავძახე, არ ინერვიულოთ, მოთმინებას აუცილებლად დაგიფასებთ-მეთქი. „ოჰო?!“ წამოიძახა, – „ნეტავ, რას ეგ უნდა ნიშნავდეს!“ იმაზე მეტ ფულს, ვიდრე მოელით-მეთქი, – გავეპასუხე. როგორც კი სახლში მიგვიყვანთ, პირობას გაძლევთ, იმდენს გადაგიხდით, რამდენსაც ამაღამ არავინ აღარ გადაგიხდით-მეთქი.

გრეისს მძღოლის „რას ეგ უნდა ნიშნავდეს“-ს გაგონებაზე ჩუმად ჩაეცინა, რაც იმის ნიშნად ჩავთვალე, რომ თანდათანობით გუნებაზე მოდიოდა. ისევ საზურგეს მივესვენე და გრეისის თმაში თითებით ხეტიალი გავაგრძელე. მერე მანქანა საათში ერთი მილის სიჩქარით ხიდს შეუდგა და სანამ ასე, მდინარის თავზე ვიყავით გამოკიდებულები, ცალ მხარეს თავისუფლების ქანდაკება მოჩანდა და მეორე მხარეს – ათასფრად განათებული ცათამბჯენები, გრეისს საუბარი გავუბი – ერთადერთი მიზნით, რომ მისი ყურადღება მიმეპყრო და საშუალება არ მიმეცა, კვლავ თავის პირქუშ ფიქრებს დაბრუნებოდა.

– დღეს საინტერესო რამე აღმოვაჩინე, – ვუთხარი.

– იმედია, სასიამოვნო აღმოჩენა იყო.

– მე და ჯონმა დავადგინეთ, რომ ერთი და იმავე გატაცების მსხვერპლნი ვყოფილვართ.

– მართლა?

– როგორც გაირკვა, ლურჯი ფერი ორივეს განსაკუთრებით გვყვარებია. უფრო ზუსტად გეტყვი: ლურჯი ფერი კი არა, ერთნაირი ლურჯი რვეულები, რომლებსაც ადრე პორტუგალიაში აწარმოებდნენ.

– ლურჯი ისედაც განსაკუთრებული ფერია – ღრმა სიმშვიდისა და გარინდების. მეც ჩემს ფერად ვთვლი. იმდენად მიყვარს, როცა წიგნის დიზაინს ვაკეთებ, თავს ძალას ვატან, რომ ყველა ყდა ლურჯი არ გამომივიდეს.

– შენც თვლი, რომ ფერები გრძნობებს გადმოსცემენ?

– რა თქმა უნდა, გადმოსცემენ.

– თვისებებსაც?

– რას გულისხმობ?

– ყვითელი სიმხდალის ფერია, თეთრი – სისუფთავის, სიწმინდის, შავი – ბოროტების, მწვანე – უმანკოების.

– ისე, მწვანე შურის ფერიცაა.

– კი, შურისაცაა. ოღონდ ლურჯი რისი ფერია?

– არ ვიცი. იქნებ იმედის?

– და კიდევ სევდის. ნახე, რამდენი ფრაზაა ინგლისურში, სადაც ლურჯი სევდის კონტექსტშია ნახმარი.

– „უხუნებელი ლურჯი“ დაგავიწყდა, ინგლისურში სიმყარის, საიმედოობის, ერთგულების სიმბოლოდ რომ შემორჩა.

– მართალი ხარ. გამოდის, რომ ერთგულების ფერიცაა.

– სამაგიეროდ, ვნება ყოველთვის წითელია. ამ აზრს, მგონი, ყველა ეთანხმება.

– სოციალიზმის წითელი დროშა.

– კიდევ: კაპიტულაციის თეთრი ალამი.

– ანარქიზმის შავი დროშა. „მწვანეებიც“ ხომ არსებობენ.

– არა, წითელი მაინც სიყვარულის და სიძულვილის ფერია. ომის ფერი.

– ბრძოლის ველზე ადამიანს საკუთარი ფერები გააქვს, ხომ მართალია? თავისი დროშის ფერები.

– ჰო, მგონი, რაღაც მსგავსი ფრაზაც არსებობს.

– ასეთი ფრაზა თუ გაგიგია: „ფერების ომი“?

– ფერების ომი პირველად მესმის.

– ეგ ჩემი ბავშვობისდროინდელი ამბიდანაა. ზაფხულობით, სანამ შენ ვირჯინიაში ცხენზე ამხედრებული დანავარდობდი, მე ნიუ-იორკის შტატის ჩრდილოეთ საზღვართან, საზაფხულო ბანაკში მამწესებდნენ. პონტიაკის სახელობის ბანაკი იყო, ასე ინდიელების ცნობილი ბელადის პატივსაცემად ერქვა. ბავშვებს ორ გუნდად გვყოფდნენ და რა თამაშიც არ უნდა გვეთამაშა, მომდევნო ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში მეტოქეებად ვითვლებოდით, ერთმანეთს ყველაფერში ვეჯიბრებოდით.

– მაინც რაში?

– ბეისბოლში, კალათბურთში, ჩოგბურთში, ცურვაში, ბაგირის ქაჩვაში, კვერცხებიანი კოვზებით სირბილსა და სიმღერაშიც კი. ერთი ბანაკის ფერი თეთრი იყო, მეორის – წითელი, ამიტომ ჩვენც თეთრები და წითლები გვერქვა.

– გასაგებია, ესე იგი, ფერების ომიც აქედან მოდის.

– სპორტის ჩემნაირი თავგადაკლული მოყვარულისთვის ამაზე უკეთეს გართობას ვერ მოიგონებდი. ზოგ წელიწადს თეთრების გუნდში ვიყავი, ზოგსაც – წითლებისაში. თუმცა მოგვიანებით მესამე გუნდი გაჩნდა – რაღაც საიდუმლო საზოგადოების მსგავსი: „მონათესავე სულთა საძმო“. რამდენი

ხანია, ეს ამბები არ გამხსენებია, იმ წლებში კი ძალიან სერიოზულად აღვიქვამდი. მესამე გუნდი სწორედ ლურჯებისა იყო.

– „საიდუმლო საზოგადოება“. რაღაც ბავშვურ სისულელედ მეჩვენება ეგ სახელწოდება.

– იყო კიდეც... სისულელე იყო. თუმცა რომ დავფიქრდე... შეიძლება არც იყო. ახლა, როცა ამაზე ვფიქრობ, სისულელედ საერთოდ არ მეჩვენება.

– მაშინ ალბათ შენც სხვანაირი იყავი. ახლა ვერცერთ გუნდში ვერ წარმომიდგენიხარ.

– ლურჯებში ჩემით არ შევსულვარ, დანარჩენებმა შემიყვანეს. თან, მართალი გითხრა, პირდაპირ საზოგადოების ერთ-ერთ მაგისტრადაც ამირჩიეს. მაშინ ძალიან დიდ პატივად მივიჩნიე ეგ ამბავი.

– წითლებსა და თეთრებში უკვე იყავი ნამყოფი. ლურჯების წევრობაში რა იყო ასეთი განსაკუთრებული?

– ამ თამაშში რომ ჩავერთე, თოთხმეტი წლის ვიყავი. იმ წელს ბანაკში ახალი ხელმძღვანელი მოვიდა. დანარჩენ ხელმძღვანელებზე ოდნავ უფროსი იყო, სხვები ცხრამეტიოცი წლისანი იქნებოდნენ, კოლეჯის მოსწავლეები. ბრიუსი ერქვა... ბრიუს... გვარი დამავიწყდა... ალბათ მერე გამახსენდება. ბრიუსს უკვე ბაკალავრის ხარისხი ჰქონდა და კოლუმბიის უნივერსიტეტის პირველი წელი დაეხურა, იურისტობას აპირებდა. გაქუცული, ჯუჯასავით დაბალი ბიჭი – ცოტა უცნაური იყო ასეთი არასპორტული კაცის დანახვა ბანაკში, სადაც ყველაფერი სპორტის გარშემო ტრიალებდა. თუმცა ბრიუსი შესანიშნავი იუმორისა და მახვილი გონების პატრონი გამოდგა, ჩვენთვის, დანარჩენებისთვის თავსატეხი კითხვები არ ელეოდა. ადლერი. აჰა, გამახსენდა. ბრიუს ადლერი. ბიჭები რაბინს ვეძახდით.

– ლურჯების გუნდიც ბრიუსმა შექმნა?

– შეიძლება ასეც ითქვას. უფრო ზუსტად, აღადგინა. საკუთარი ნოსტალგიიდან გამოქნა.

– ვერაფერი გავიგე.

– რამდენიმე წლით ადრე, სანამ ჩვენთან მოვიდოდა, ბრიუსი ხელმძღვანელად სხვა ბანაკში მუშაობდა. იმ ბანაკის ფერები ლურჯი და რუხი იყო. ზაფხულის მიწურულს, როცა ფერების ომი დაიწყო, ბრიუსი ლურჯების გუნდში გაამწესეს. ცოტა რომ მიიხედ-მოიხედა, მისდა გასაკვირად აღმოაჩინა, რომ ყველა, ვინც მოსწონდა, ვისაც პატივს სცემდა, იმ გუნდში მასთან ერთად იყო. რუხების გუნდი კი, პირიქით, უმეტესად არასასიამოვნო ხალხით გამოდგა შევსებული. ბრიუსის წარმოდგენით, „ლურჯი გუნდი“ სულ სხვა რამის აღმნიშვნელი უნდა გამხდარიყო – ადამიანის იდეალს უნდა მივახლოებოდით, ერთმანეთის გამტანი, გამგები და თანამგრძნობი პიროვნებების მჭიდრო, შეკრული გუნდი უნდა შეგვექმნა, ასე ვთქვათ, სრულქმნილი საზოგადოების ოცნებისთვის უნდა შეგვესხა ხორცი.

– რაც უფრო მეტს ჰყვები, სიდ, მით უფრო უცნაური ხდება შენი ნაამბობი.

– ვიცი, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ბრიუსი ამ ყველაფერს სერიოზულად არ ეკიდებოდა. „ლურჯობის“ ეშხიც სწორედ ეგ იყო. თავიდანვე ხუმრობად იყო ჩაფიქრებული.

– მერე რაბინებს არასერიოზულობა ეპატიებათ?

– ალბათ არც ეპატიებათ, მაგრამ ბრიუსი ხომ რაბინი არ ყოფილა. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო, რომელიც არდადეგებზე მუშაობით ფულს აგროვებდა და თან ცოტა გართობაც უნდოდა. მერე, როცა სამუშაოდ ჩვენს ბანაკში მოვიდა, ერთ-ერთ ხელმძღვანელს იმ ლურჯი გუნდის ამბავი

უამბო და ორივემ ერთად გადაწყვიტა, ახალი განშტოება, საიდუმლო ორგანიზაცია შეექმნათ.

– შენ როდის და როგორ აგირჩიეს?

– ძილში, შუაღამით. ვიწექი და ღრმა ძილით მეძინა, როცა ბრიუსმა და მეორე ხელმძღვანელმა ჯანჯღარით გამაღვიძეს, მითხრეს, რომ რაღაც ჰქონდათ ჩემთვის სათქმელი. ტყეში გამოგვყევიო და მერე მე და კიდევ ორ ბიჭს ჩირაღდნებით შუაგული ტყისკენ გაგვიძღვნენ. პატარა კოცონი ჰქონდათ დანთებული, რომელსაც გარშემო შემოვუსხედით. მაშინ გაგვანდეს, რას ნიშნავდა ლურჯების გუნდი, რატომ აგვირჩიეს მაგისტრებად და ისიც გვითხრეს, რა თვისებებს მოითხოვდნენ გუნდის წევრებისგან – იმ შემთხვევისთვის, თუ სხვა კანდიდატურების შეთავაზების სურვილი გაგვიჩნდებოდა.

– რა თვისებები დაგისახელეს?

– განსაკუთრებული მოთხოვნები არც ჰქონიათ, რომ იცოდე. ლურჯი გუნდის წევრობა ადამიანის რომელსამე ტიპს არ გულისხმობდა, თითოეული განსხვავებული, სხვებისგან მკვეთრად გამორჩეული და დამოუკიდებელი პიროვნება უნდა ყოფილიყო. ერთი კი იყო: ვისაც იუმორის კარგი გრძნობა არ ჰქონდა – იუმორის გრძნობას, შენც კარგად იცი, ყველა სხვადასხვაგვარად ამჟღავნებს – გუნდის წევრი ვერაფრით გახდებოდა. იუმორის გრძნობის თავისებურებას რაც შეეხება, ვიღაც სულ ანეკდოტებს ჰყვება, ვიღაც კიდევ ცალ წარბს ასწევს და გარშემო ყველა ხარხარებს. მაშასადამე, კარგი იუმორი, ცხოვრების ირონიულად აღქმის ნიჭი, აბსურდულობის განცდის უნარი. თუმცა მხოლოდ ეს თვისებები არა. თავმდაბლობა და კეთილგონიერება, ადამიანებისადმი კეთილგანწყობა და კეთილი გული. პატივმოყვარე და უხეშ ადამიანებს, ბრიყვებს, ცრუპენტელებს, ხელმრუდ ხალხს გუნდში არავინ მიიღებდა.

ლურჯი გუნდის წევრს ცნობისწადილი, წიგნების სიყვარული უნდა ჰქონოდა; იმ ფაქტის აღიარება უნდა შეძლებოდა, რომ ადამიანი სამყაროს საკუთარი ნებისამებრ ვერ მოდრეკს; კიდევ მჭვრეტელობის ნიჭი, ზნეობრივი პრინციპების ფაქიზი შეგრძნება და სამართლიანობის სიყვარული მოეთხოვებოდა. გასაჭირში რომ ენახე, ლურჯების გუნდის წევრს უკანასკნელი პერანგი უნდა გაეხადა და შენთვის ჩაეცმია; გაჭირვებულისთვის ჯიბეში ფული ისე უნდა ჩაეცურებინა, რომ ჯიბის პატრონს ვერაფერი შეემჩნია. ალბათ ნელ-ნელა ხვდები, რასაც ვგულისხმობ. ამაზე მკაფიოდ ახსნა მიჭირს. ყველაფერი, რაც გითხარი, ჩვენი მსოფლმხედველობის მხოლოდ ნაწილი იყო, ჩამოთვლილთაგან ერთი თვისება დანარჩენების გარეშე წევრობისთვის არ კმაროდა.

– ვისაც შენ აღწერ, ჩვეულებრივი გაგებით, კარგი ადამიანია. მარტივად და გასაგებად. მამაჩემი ასეთ ადამიანზე იტყოდა, *პატიოსანი კაციაო,* ბეტი სტოლოვიცი – სინდისიერი ადამიანიაო... ჯონი ასეთებზე ამბობს, სხვებივით ნაბიჭვარი არ არისო. აზრი მგონი ერთი და იგივეა.

– შეიძლება, მაგრამ მე ლურჯი გუნდის იდეა უფრო მომწონს. ეს იდეა მის წევრებს შორის ერთობის, სოლიდარობის სულისკვეთებას გულისხმობს. თუ ლურჯ გუნდში ხარ, შენიანებს შორის საკუთარი პრინციპების განმარტება აღარ გჭირდება. დანარჩენები საქციელის მიხედვით ამოგიცნობენ.

– ჰო, მაგრამ ყველა ადამიანს ქცევის საკუთარი წესი აქვს. დღეს შეიძლება კარგი ჩანდეს, ხვალ – ცუდი. ადამიანს შეცდომები მოსდის. სიდ, ხანდახან კარგი ადამიანებიც ძალიან ცუდად იქცევიან.

– რა თქმა უნდა. არ გედავები. სრულყოფილი ვერავინ იქნება.

– ჰო, ადამიანებს შეცდომები მოსდით. შენ კი ახლა ისეთ ხალხზე ლაპარაკობ, ვისაც ეჩვენება, რომ სხვებზე უკეთესია, ჩვენთან, დანარჩენებთან, რიგით ადამიანებთან შედარებით ზნეობრივი უპირატესობა აქვს. დარწმუნებული ვარ, ხელის ჩამორთმევის რაღაც საიდუმლო წესიც გექნებოდათ, ხომ მართალი ვარ? გექნებოდათ, სხვებისგან, ბრიყვებისგან გამორჩეულობის აღსანიშნავად. ალბათ თვლიდით, რომ რაღაც განსაკუთრებული ცოდნა გაქვთ – ისეთი, რომლის მოსაპოვებლად სხვებს გონიერება არ ჰყოფნით.

– ღმერთო ჩემო, გრეის! ოცი წლის წინანდელ სულელურ, ბავშვურ გართობაზე გიყვები. რა საჭიროა ამ ამბის ასე ქექვა და წვრილად გარჩევა?

– ამას იმიტომ გეუბნები, რომ ამ სისულელეებისა დღემდე გჯერა. შენი ხმა მაფიქრებინებს, რომ არ ვცდები.

– არაფერიც არ მჯერა. ადამიანს სიცოცხლე სწყურია – მარტო ესაა, რისიც ნამდვილად მწამს. სიცოცხლე მინდა, მინდა, შენ გვერდით ვიყო. სხვა სურვილი არ მაქვს – მხოლოდ ეს, გრეის, სხვა არაფერი დედამიწის ზურგზე.

ჩვენი საუბარი, ცოტა არ იყოს, დამთრგუნველ ნოტაზე დასრულდა. გრეისის გუნებაზე მოყვანის უხეირო მცდელობებმა ნაყოფი მხოლოდ მცირე ხნით გამოიღო. მერე ბნელ ფიქრებში უფრო ღრმად ჩაძირული დავტოვე: ისე გამოვიდა, რომ საუბრის თემა სწორად ვერ შევარჩიე, მან კი, გაუაზრებლად, მწარედ გამკილა. ასე ხელაღებით გამტყუნება გრეისს არასდროს სჩვეოდა. ადრე, როცა მსგავს თემებზე ჩამოვარდებოდა საუბარი (უსაგნო, სასხვათაშორისო მუსაიფს ვგულისხმობ, როცა შემთხვევითი ასოციაციის გამო საუბარი სულ სხვა თემაზე გადადის ხოლმე), წვრილმანებს არასდროს ეკიდებოდა, პირიქით, ძალიან ახალისებდა ჩემი

წარმოდგენები, რომლებითაც საუბრების დროს უხვად ვუ-მასპინძლდებოდი, იშვიათად აღიქვამდა სერიოზულად და არც საწინააღმდეგო არგუმენტების ძიებით იწუხებდა თავს, თამაშში მხარს მიბამდა, ამითაც კმაყოფილი იყო და ახი-რებანარევი შეხედულებების ფრქვევაში ხელს არ მიშლიდა. ოღონდ იმ საღამოს – იმ *ღირსსახსოვარი დღის* ბოლოს – სხვაგვარად მოიქცა და ცრემლებთან მისი უშედეგო ბრძოლის, იმ უბედური, დათრგუნვილი გამომეტყველების შემხედვარე, რომელიც მანქანაში ჩაჯდომისთანავე გაუჩნდა, მივხვდი, რომ რაღაც ძალიან უჭირდა, სახელდაურქმეველ წუხილს, საფიქრალს, რომელიც გულს უღრღნიდა, თავს ვერ აღწევდა. რამდენი რამის კითხვა მინდოდა, მაგრამ ადრინდელივით თავს ვიკავებდი, რადგან ვიცოდი, გულს მაინც არ გადამიხსნიდა, სანამ უკეთ არ გახდებოდა და ჩემთან ლაპარაკს შეძლებდა, თუმცა დარწმუნებული ამაშიც კი არ ვიყავი.

ამ დროს ხიდიც გადავიარეთ და მანქანა ჰენრი სტრიტს – ბრუკლინ ჰაითზიდან კობლ ჰილისკენ მიმავალ ვიწრო ქუჩას დაადგა, რომლის ტროტუარებიც კოხტა წითელი აგურით იყო მოკირწყლული. სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ საქმე ჩემში არ უნდა ყოფილიყო. გრეისის გაღიზიანება მე კი არა, ჩე-მმა ნაამბობმა გამოიწვია – ნაპერწკალი ჩემი კომენტარებისა და მისი ფიქრთა ჯაჭვის გახახუნებამ წამოანთო. *ხანდახან კარგი ადამიანებიც ძალიან ცუდად იქცევიან.* მაშ, გამოდის, გრეისი როდესღაც ცუდად მოიქცა? შეუძლებელია ამის გაგება, „თუმცა“, – გავიფიქრე, – „აშკარაა, რომ რომელიღაც საქციელის გამო სინდისი ჰქენჯნის“. იმის მიუხედავად, რომ გრეისის თავდაცვითი რემარკები ჩემმა ფრაზებმა გამოიწვია, სრულიად დარწმუნებული ვიყავი: მე, მის ქმარს, ისინი არ მეხებოდა. ატლანტიკ ავენიუ რომ გადავკვეთეთ და სახლს

მივუახლოვდით, თითქოს ნაფიქრალს მიმიხვდაო, გრეისმა ჩემკენ ხელი გამოიწვდინა, ზურგზე დამისვა, მერე თავისკენ მიმიზიდა და ტუჩები ტუჩებზე მომაჭდო, ენა პირში შემისრიალა და ხანგრძლივი, გამომწვევი და გამაღიზიანებელი კოცნით მაკოცა – ტრაუზე ამას მგონი *ღრმა წყლებში დაყვინთვას* ეძახდა. „ამაღამ ისეთი სექსი უნდა გვქონდეს...," – ყურში ჩამჩურჩულა, – „კარს მივიხურავთ თუ არა, ტანსაცმელი უნდა შემომახიო და ისეთი სექსი უნდა გვქონდეს, ცოცხალი არ უნდა დავრჩე, სიდ".

მეორე დილით გვიანობამდე გვეძინა, თორმეტ საათამდე, შეიძლება, პირველის ნახევრამდეც არ ავმდგარვართ. იმ დღეს გრეისის ერთ-ერთი ბიძაშვილი ქალაქში იყო ჩამოსული და ერთმანეთს ორ საათზე, გუგენჰაიმთან უნდა შეხვედროდნენ, მერე რამდენიმე საათის გატარებას მეტროპოლიტენ მუზეუმში აპირებდნენ, მუდმივი ექსპოზიციის ნახვა ჰქონდათ დაგეგმილი. უქმე დღეებში გრეისის საყვარელი საქმიანობა გამოფენებზე სიარული იყო და შინიდან მშვიდი და სასიამოვნო გუნება-განწყობით გავიდა.[6]

---

[6] მისი გრაფიკული ნამუშევრების დიდი ნაწილი მხატვრობასთან მუდმივი შეხებითა და გამოფენების შთაბეჭდილებებით იყო შთაგონებული და ამ წლის დასაწყისამდე, სანამ დავეცემოდი და ათასი უბედურება დამემართებოდა, შაბათ საღამოებს გალერეებსა და მუზეუმებში ერთად ვატარებდით. რაღაც თვალსაზრისით, ჩვენი ქორწინება სწორედ მხატვრობამ გახადა შესაძლებელი. ჩვენს ურთიერთობაში ხელოვნებას ამოდენა როლი რომ არ ეთამაშა, ალბათ გრეისის მოსაპოვებლად გამბედაობა არ მეყოფოდა. ბედმა გამიღიმა და ერთმანეთს „ჰოლსტ ენდ მაკდერ-

შევთავაზე, მეტროს ჩასასვლელამდე მიგაცილებ-მეთქი, მაგრამ უკვე აგვიანდებოდა და რაკი მეტროს სადგური ჩვენი სახლიდან კარგა შორს იყო (მთელი მონტეგიუ სტრიტი გვქონდა გასავლელი), არ უნდოდა, ამდენი კვარტალი და თან ასე აჩქარებით ვეტარებინე. კიბის ძირამდე მაინც ჩავაცილე, ქუჩაშიც გავყევი, თუმცა პირველივე კუთხეში ერ-

---

მოთის“ ნეიტრალურ გარემოში, ეგრეთ წოდებულ სამუშაო ვითარებაში შევხვდით. სხვანაირად, ვთქვათ, რომელიმე სადილზე ან წვეულებაზე რომ გამეცნო, ან თუნდაც, ავტობუსში ან თვითმფრინავში, ხელმეორედ შეხვედრას ჩემი ნამდვილი განზრახვის გაუზიარებლად ვერ შევთავაზებდი, არადა, ალღო მკარნახობდა, რომ გრეისთან დაახლოება მხოლოდ დიდი სიფრთხილით შეიძლებოდა. დარწმუნებული ვარ, სულ ოდნავ რომ მეჩქარა, ერთი პატარა, მაგრამ ნაადრევი შეხებაც საკმარისი იქნებოდა, რომ ის სამუდამოდ დამეკარგა.

ბედად, მასთან დარეკვის მიზეზი ბუნებრივად მომეცა. გრეისს ჩემი წიგნის გარეკანი უნდა გაეფორმებინა, მეც დიზაინის ახალი იდეა მოვიმიზეზე, გაცნობიდან ორი დღის შემდეგ სამსახურში დავურეკე და გამომცემლობაში კიდევ ერთი შეხვედრა ვთხოვე. როცა გენებოთ, ნებისმიერ დროსო, მითხრა. მაგრამ ეს *ნებისმიერი დრო* ძნელად განსასაზღვრი რამე გამოდგა. იმ დროს ყოველდღიური სამსახური მქონდა (ბრუკლინის ჯონ ჯეის სკოლაში ისტორიას ვასწავლიდი) და გამომცემლობაში ოთხ საათზე ადრე ვერაფრით მივიდოდი. გრეისს კვირის სამუშაო დღეები ჩემ საპირისპიროდ ჰქონდა დაგეგმილი: როგორც აღმოჩნდა, ყველა მნიშვნელოვანი საქმე დღის მეორე ნახევარში ჰქონდა საკეთებელი. შეხვედრა მომდევნო კვირის ორშაბათს ან სამშაბათს შემომთავაზა, მაგრამ ვუთხარი, ლიტერატურული კითხვის დღეები მაქვს, ქალაქიდან გასასვლელი ვარ-მეთქი (რაც სრული სიმართლე იყო, მაგრამ რომც არ ყოფილიყო, რაღაც ამდაგვარი, მგონი, მაინც გამოსაგონი მექნებოდა). ბოლოს გრეისმა მოწყა-

თმანეთს დავემშვიდობეთ და ჩვენ-ჩვენ გზას დავადექით. გრეისი კორტ სტრიტს ბრუკლინ ჰაითსის მიმართულებით გაუყვა, მე კი რამდენიმე კვარტალი გამოვიარე, ლანდოლფის ტკბილეულის მაღაზიაში შევედი და სიგარეტი ვიყიდე. იმ დღეს ჩემი სეირნობა ამით დასრულდა. ერთი სული მქონდა, როდის მივუბრუნდებოდი ლურჯ რვეულს და ამიტომ ფეხით სიარულის ყოველდღიურ ნორმაზე აღარ მიფიქრია, მაშინვე

ლება მოიღო და პარასკევს, სამუშაო საათების შემდეგ ცოტა ხნით შეხვედრა შემომთავაზა. „რვა საათზე ერთგან უნდა ვიყო," – მითხრა მაშინ, – „მაგრამ თუ ხუთის ნახევარზე მოხვალთ, არაფერია, ერთ საათს დავრჩები".

საქმე ისაა, რომ ჩემს წიგნს სათაურად უილემ დე კუნინგის 1938 წლის ნამუშევრის სახელწოდება მივეცი. ფანქრით შესრულებული „ავტოპორტრეტი წარმოსახვითი ძმის თანხლებით" მცირე ფორმატის ნახატია, რომელზეც ერთმანეთის გვერდით მდგარი ორი ბიჭია გამოსახული. ერთი მეორეზე ორიოდე წლით უფროსი ჩანს, ერთს გრძელი შარვალი აცვია, მეორეს – მუხლს ოდნავ ჩაცილებული. ნახატი ხომ ძალიან მომწონდა, მაგრამ მისი სახელწოდება უფრო მეტად მაინტერესებდა და ჩემი წიგნის სათაურად იმიტომ კი არ გამოვიყენე, რომ დე კუნინგთან ასოციაციურ კავშირს ვეძებდი; თავისთავად მომწონდა, მეჩვენებოდა, რომ რაღაცნაირად ჩემს რომანს ეხმიანებოდა და უხდებოდა. კვირის დასაწყისში, ბეტი სტოლოვიცის კაბინეტში რომ ვისხედით, გრეისს ყდაზე ამ ნახატის დატანა შევთავაზე. ახლა მისთვის იმის თქმას ვაპირებდი, რომ ჩემი შეთავაზება არ გაეთვალისწინებინა – ფანქრით გაკეთებული შტრიხები მეტისმეტად შეუმჩნეველი იყო, შემცირებულ ფორმატში ტექსტურა არ გამოჩნდებოდა და ეფექტი, რომელსაც ორიგინალი ახდენდა, დაიკარგებოდა. სინამდვილეში ეგ სულ არ მადარდებდა. რამდენიმე დღით ადრე ბეტისთან რომ საპირისპირო რამ მეთქვა, ახლა იმას

მოვტრიალდი და შინისკენ გავეშურე. ათ წუთში უკვე ჩვენს ბინაში ვიყავი და დერეფნის ბოლოს, კაბინეტში საწერ მაგიდას ვეჯექი. რვეული გადავშალე და იმ გვერდზე გადავფურცლე, რომელზეც შაბათს წერა შევწყვიტე. დაწერილი არც კი გადამიკითხავს, კალამი ავიღე და წერა დავიწყე.

მაშ ასე, ბოუენი თვითმფრინავში ზის, ბნელ ღამეს გასცქერის და კანზას-სითისკენ მიფრინავს. ძველი კაეშნისა და

გადავთქვამდი, ოღონდ კი გრეისსთან შეხვედრის საშუალება მომცემოდა – მხატვრობამ მისკენ მიმავალი გზა გამიხსნა, ის იმ ხერხად მექცა, რომელიც ჩემი ნამდვილი განზრახვის დაფარვაში მეხმარებოდა.

როცა შეხვედრა სამუშაო საათების შემდეგ შემომთავაზა, გულში იმედი ჩამესახა, მაგრამ გრეისს იმავე დღის რვა საათზე სადღაც სხვაგან ელოდებოდნენ და ეს ამბავი იმედს ძირშივე მიკლავდა. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მამაკაცს უნდა შეხვედროდა (აბა, ვის უნდა ხვდებოდეს პარასკევ საღამოს ლამაზი ქალი!). სრულიად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, რამდენად ღრმა და სერიოზული იყო მისი გრძნობა ამ მამაკაცის მიმართ. ვინ იცის, იქნებ პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა, შესაძლოა, საქმროსთან ან საყვარელთან ერთად ვახშმობა ჰქონდა დაგეგმილი. იქნებ ის და მისი საყვარელი ცოლქმარივით ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ? გათხოვილი რომ არ იყო, ეს ნამდვილად ვიცოდი (ბეტიმ მითხრა იმ პირველი შეხვედრის დღეს, როგორც კი გრეისმა მისი კაბინეტის კარი გაიხურა), მისი პირადი ცხოვრების სხვა გარემოებები კი ჩემთვის ბუნდოვანი რჩებოდა. ბეტის ვკითხე, ვინმეს თუ ხვდება-მეთქი, მაგრამ მან არაფერი იცოდა. გრეისს პირადი ცხოვრება ყოველთვის გასაიდუმლოებული ჰქონდა, მის ახლობელთაგან არავინ იცოდა, რას აკეთებდა და ვისთან ეჭირა საქმე სამსახურს გარეთ. მას მერე, რაც გამომცემლობაში დაიწყო მუშაობა, რამდენიმე რედაქტორს

გიჟური გადაწყვეტილების კვალდაკვალ მის სულში დიდი სიმშვიდე და სიცარიელის საამო შეგრძნება ისადგურებს. ბოუენი თავს ერთხელაც არ ეკითხება, რას აკეთებს ამ თვითმფრინავში. არც სინანულს გრძნობს, არც ეჭვები ეძალება. ოდნავაც არ ნანობს, რომ თავის ქალაქს, სამსახურს, ევას

უცდია მისი სადმე დაპატიჟება, მაგრამ თურმე ყველა უარით გაუსტუმრებია.

ძალიან მალე მივხვდი: გრეისი ის ადამიანი არ იყო, ვინმესთვის გული გადაეშალა. ათი თვის განმავლობაში – გაცნობის დღიდან ჩვენს ქორწინებამდე ერთხელაც არ უხსენებია, მინიშნებითაც კი არ მიუნიშნებია, რომ ჩემამდე სხვა მამაკაცებთანაც ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა. არც მე მიკითხავს რამე ისეთი, რის თქმასაც თავად არ თვლიდა საჭიროდ. რაღაც ძალა იგრძნობოდა გრეისის დუმილში. რაკი ისე უნდა გყვარებოდა, როგორც თავად მოითხოვდა, მაშინ ის ზღვარიც უნდა მიგეღო, რომელიც საკუთარ თავსა და სიტყვებს შორის თავად ჰქონდა დადებული.

(ერთხელ, სულ თავიდან, საკუთარ ბავშვობაზე რომ მიყვებოდა, საყვარელი თოჯინა ახსენა, რომელიც შვიდი წლის ასაკში მშობლებმა უყიდეს. თოჯინას პერლი ერქვა, ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში გრეისი მას ყველგან თან დაატარებდა და უახლოეს მეგობრად თვლიდა. ახლა ეს ამბავი სახსენებელიც არ იქნებოდა, მაგრამ მის ნაამბობში ერთი რამ მენიშნა: პერლს ყველაფერი ესმოდა, რასაც გრეისი ეუბნებოდა და თურმე მასთან საუბარიც კი შეეძლო, მაგრამ გრეისის თანდასწრებით სიტყვა არასდროს წარმოუთქვამს. იმიტომ კი არა, რომ არ შეეძლო: პერლმა დუმილი არჩია).

ერთმანეთი რომ გავიცანით, ვიღაც ნამდვილად იყო მის ცხოვრებაში – ამაში დარწმუნებული ვარ – მაგრამ ამდენი წლის განმავლობაში ვერც იმ კაცის სახელი შევიტყვე, ვერც ის, რამდენად სერიოზული იყო გრეისის გრძნობა მის მიმართ. ძალიან სერიოზული უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენი ურთიერთობის

უკანმოუხედავად ტოვებს. ხვდება, რა ცუდად მოექცა ცოლს, მაგრამ თავს ირწმუნებს, რომ ბოლოს და ბოლოს ევაც მიხვდება, რამდენად უკეთესი იქნება მის გარეშე ცხოვრება. გაუვლის თუ არა მისი გაუჩინარებით გამოწვეული შოკი, ახალი, უფრო სავსე ცხოვრების დაწყებას შეძლებს. ჰო, ვერ არის მთლად აღფრთოვანების და თანაგრძნობის ღირსი

პირველი ექვსი თვე ჩემთვის უმძიმესი გამოდგა და ცუდად დასრულდა: გრეისმა ჩემთან ურთიერთობის გაწყვეტა მოისურვა და მთხოვა, მისთვის აღარასდროს დამერეკა. თუმცა იმ პირველი თვეების იმედგაცრუებებს, სათუო და დროებით გამარჯვებებს, ოპტიმიზმის უსუსურ წამოფეთქებებს, აღმაფრენებსა და კაპიტულაციებს შორის ისეთი ღამეებიც იყო, როცა გრეისი ჩემთვის ვერ იცლიდა და ისეთებიც, როცა მისი საწოლისკენ გზა უეცრად მეხსნებოდა, მაგრამ მისი დევნის და ძიების იმ ციებცხელებიან, სასოწარკვეთით მოწამლულ თვეებშიც კი გრეისი მომაჯადოებელ არსებად, ჩემს სურვილსა და დანარჩენ სამყაროს შორის მოკიაფე ნათებად, ერთადერთი და მარადი სიყვარულის განსახიერებად რჩებოდა. რაკი შევპირდი, შევუსრულე კიდეც – მისთვის ერთხელაც აღარ დამირეკავს, მაგრამ გავიდა ექვსი თუ შვიდი კვირა და მოულოდნელად თვითონ გამოჩნდა. არაფერი აუხსნია, თავად მივხვდი: ის მეორე მამაკაცი, ჩემი მეტოქე, სამუდამოდ გაქრა მისი ცხოვრებიდან. ახლა მხოლოდ ურთიერთობის აღდგენა კი არ სურდა, დაქორწინებაც თავად შემომთავაზა. *ქორწინება* ის სიტყვა იყო, რომელიც მისი თანდასწრებით არასდროს წარმომითქვამს: მისი დანახვის დღიდან თავში მიტრიალებდა, მაგრამ წარმოთქმა არასდროს გამიბედავს, მეშინოდა, არ დამეფრთხო. და ახლა ამას გრეისი მთავაზობდა! ლამის იყო, განვეწყვე, რომ დამსხვრეული გულით მომიწევდა დარჩენილი სიცოცხლის გალევა, ახლა კი თვითონ მთავაზობდა, მთელი ცხოვრება ერთ სულ და ერთ ხორც – მის გვერდით გამეტარებინა.

მისი გადაწყვეტილება, მაგრამ ბოუენი ამ ახალი იდეითაა ატანილი, მის მარწუხებშია მოქცეული. იმდენად დიდია ეს იდეა, მის უწინდელ სურვილებსა და მოვალეობებზე იმდენად მძლავრი, რომ გრძნობს, სხვა გზა არც აქვს: მას უნდა დაჰ-ყვეს და დამორჩილდეს – დე, უპასუხისმგებლო იყოს მისი საქციელი, დე, ისეთი რამ ჩაიდინოს, რაც ერთი დღით ადრე თავადაც უზნეობად მოეჩვენებოდა. „ადამიანი შემთხვევით კვდება," – აი, როგორ აღწერს ამ იდეას ჰემეთი, – „იქამდე ცოცხლობს, სანამ ბრმა შემთხვევა მისთვის მოიცლის... სა-ნამ თავისი ცხოვრების გარემოებებს ერთ დიდ წესრიგად გადააქცევდა, [ფლიტკრაფტი] საკუთარ სიცოცხლეს ნაბიჯ-ნაბიჯ შორდებოდა. ძელის დაცემის ადგილიდან ოცი ნაბი-ჯიც არ გაევლო, რომ უკვე იცოდა: მის სულს სიმშვიდე აღარ ეღირსებოდა, სანამ ნამდვილი არსებობის ამ უეცარ გამონათებას არ აუწყობდა თავის ცხოვრებას. სანამ ცოლ-თან ერთად ვახშმობდა, სწორედ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა ეს. შემთხვევით ჩამოვარდნილ ძელს მისი სი-ცოცხლისთვის წერტილის დასმა შეეძლო: ამიტომ დარჩენილი სიცოცხლეც ასე უნდა შეეცვალა, ასე უნდა წასულიყო – უცებ, ყველასთვის მოულოდნელად, შემთხვევით მიღებული გადაწყვეტილებით".

მართალია, ბოუენზე ვწერდი, მაგრამ მისი საქციელის გამართლება სულაც არ მომეთხოვებოდა. ბოუენი იგივე ფლიტკრაფტი იყო, ჰემეთის რომანში კი ფლიტკრაფტი ცოლს ისევე მოექცა, როგორც ბოუენი – ჩემსაში. ასეთი იყო ამ ამბის სიუჟეტური კვანძი. თავს პირობა მივეცი, რომ მას მივყვებო-დი და პირობის დარღვევას არ ვაპირებდი. თან მესმოდა, რომ ამ ამბავში მარტო ბოუენი არ იყო მნიშვნელოვანი, არც ის, რაც თვითმფრინავში ასვლის შემდეგ შეემთხვეოდა. კი-

დევ ევაზეც უნდა მეფიქრა და იმისგან დამოუკიდებლად, რამდენად გამიტაცებდა ნიკის თავგადასავალი კანზას-სითიში, სანამ განაჩენს გამოვიტანდი, ნიუ-იორკში უნდა დავბრუნებულიყავი, რათა მენახა, რა ხდებოდა ევას თავს. მისი ბედი ჩემთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორიც მისი ქმრისა. ბოუენი ცხოვრებაში განურჩევლობას და გულგრილობას, გარემოებების აუღელვებლად აღქმის უნარს ეძებს, მაშინ, როცა ევას გარემოებებთან ნამდვილი ომი ეწყება, მათი მსხვერპლი ხდება და იმ წუთიდან, როცა ქუჩის კუთხეში ბოუენი შინ დაბრუნებას გადაიფიქრებს, ევას გონება ათასნაირი გრძნობის – პანიკის და შიშის, წყენის და მრისხანების, სასოწარკვეთილების – ბრძოლის ველად იქცევა. წინასწარ ხელებს ვიფშვნეტდი, უკვე წარმომედგინა, როგორ შევიდოდი ამ მისტერიაში, როგორ გავივლიდი ვნებების, ტანჯვის ამ ლაბირინთს მასთან ერთად, როგორ შევძლებდი მისი განცდების აღწერას. ასეა თუ ისე, ლა გარდიას აეროპორტიდან აფრენის შემდეგ ნახევარი საათია გასული, როცა ნიკი კეისს ხსნის, იქიდან აუჩქარებლად იღებს სილვია მაქსველის ხელნაწერს და კითხვას იწყებს. აი, ეს იყო თხრობის მესამე ელემენტი, რომელიც თავში ამდენ ხანს მიმწიფდებოდა; გადავწყვიტე, სანამ ნიკის თვითმფრინავი კანზას-სითიში დაფრინდებოდა, სიუჟეტურ ხაზში ჯერ ნიკის ამბავი შემომეტანა, მერე – ევასი; და ბოლოს – წიგნი, რომლის კითხვასაც ნიკი იწყებს და მაშინაც აგრძელებს, სანამ თავად მისი ამბები, უფრო კი ამბებში შობილი ამბები ერთიმეორეს მისდევს. სხვა რომ არაფერი, ნიკი წიგნიერი კაცია, მაშასადამე, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც წიგნის ძალაუფლებას ვერ უძალიანდება. ნელ-ნელა, თანდათანობით, სილვია მაქსველის ნაწერში თავფეხიანად ეფლობა და ყოველ

ახალ გვერდთან ერთად, რომანში აღწერილ და საკუთარ ამ-ბებს შორის კავშირს შეიგრძნობს: თითქოს რაღაცნაირად, მეტაფორულად წიგნი მას ელაპარაკება, სულ ახლახანს თავს გადამხდარ ამბებზე ნართაულად მიანიშნებს.

ჯერჯერობით ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, რად შეიძლებოდა მექცია ეს „მისნის ღამე". მხოლოდ შესავალი მქონდა მოხაზული, ჯერ, ასე ვთქვათ, მხოლოდ მოთელვას ვიწყებდი. ფაბულისთვის ბევრი რამ მქონდა მოსაფიქრებელი, თუმცა ერთი კი უკვე ვიცოდი: მოკლე ფილოსოფიური რომანი უნდა ყოფილიყო მომავლის წინასწარმეტყველებაზე, დროის შესახებ დაწერილი ერთგვარი იგავი. რომანის მთავარ გმირად ვინმე ლემიუელ ფლეგი მყავდა ჩაფიქრებული – ბრიტანე-ლი ლეიტენანტი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ჭურვის აფეთქების შედეგად ბრმავდება. მძიმედ დაჭრილი, სისხლისაგან სანახევროდ დაცლილი, გზაკვალდაკარგული, ტკივილისგან აღმუვლებული ფლეგი ბრძოლის ველიდან სამ-შვიდობოს გააღწევს, მაგრამ საკუთარ სამხედრო ნაწილ-თან კავშირს კარგავს. მარტოდმარტო, დაბრმავებული მი-ფორთხავს, მიღოღავს, წარმოდგენა არ აქვს, სად იმყოფება, არდენის ტყეში შედის და იქ გრძნობას კარგავს. იმავე დღეს, მოგვიანებით, გულწასულს ორი პატარა ფრანგი ბავშვი პო-ულობს, თერთმეტი წლის ბიჭი და თოთხმეტი წლის გოგონა – ფრანსუა და ჟენევიევი. როგორც ირკვევა, ბავშვები ამ ომის დროს დაობლებულან, მარტოები ცხოვრობენ ტყის შუაგულში, მიტოვებულ ქოხმახში – ერთი სიტყვით, ზღაპრულ გარემოში მცხოვრები ზღაპრის პერსონაჟები არიან. ბავშვები ფლეგს თავიანთ ქოხში მიათრევენ, უვლიან, ფეხზე დააყენებენ. მერე, რამდენიმე თვეში, ომი მთავრდება და ლეიტენანტი ინგლის-ში ორივე ბავშვთან ერთად ბრუნდება. რომანში მთხრობელი

ჟენევიევია, რომელიც მამობილის უცნაურ კარიერას და თვით-მკვლელობის ამბავს 1927 წლის გადმოსახედიდან იხსენებს. ფლეგს მხედველობის დაკარგვამ მომავლის განჭვრეტის ნიჭი გაუხსნა: უცაბედი, ეპილეფსიის მსგავსი შეტევების დროს, რომლებიც რვიდან ათ წუთამდე უგრძელდება, ფლეგი მიწაზე ეცემა, ბნედიანივით იკრუჩხება, მაგრამ სწორედ ასეთ დროს იშვება ხოლმე მის გონებაში მომავლის სურათები. შეტევები მოულოდნელად ეწყება, ისე, რომ მათი თავიდან აცილება ან შეჩერება შეუძლებელია. მომავლის ხედვის ნიჭი ფლეგისთვის წყევლაცაა და კურთხევაც. მათი წყალობით იხვეჭს ქონება-სა და გავლენას, მაგრამ, ამავე დროს, ყოველი შეტევა უძ-ლიერესი ფიზიკური ტკივილით მოდის – სულის ტკივილზე რომ არაფერი ითქვას, რადგან მის მიერ დანახულ მომავლის სურათებში ბევრი რამაა ისეთი, რის ცოდნასაც ფლეგი არ-ცოდნას ამჯობინებდა, მაგალითად, დედამისის სიკვდილის დღე, ან ინდოეთის რკინიგზაზე მომხდარი კატასტროფა, რო-ცა მატარებელი რელსებიდან გადავიდა: შემთხვევა, რომელ-მაც ორასი მგზავრის სიცოცხლე ერთდროულად შეიწირა. ფლეგი შეძლებისდაგვარად ცდილობს, ბავშვებთან ერთად მყუდრო, შეუმჩნეველი ცხოვრებით იცხოვროს, მაგრამ ამა-ოდ, განმარტოებას ვინღა აცლის. თუმცა, საკუთარ წინას-წარმეტყველებათა ასტრონომიული სიზუსტისა და დიაპა-ზონის (ამინდის პროგნოზიდან საპარლამენტო არჩევნებისა და კრიკეტის ფინალური მატჩის შედეგებამდე) წყალობით, ფლეგი ომის შემდგომდროინდელი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადამიანი ხდება. მერე, დიდების მწვერ-ვალზე ყოფნის ჟამს, უიღბლო სიყვარული ეწვევა და ნიჭი, რომელიც მანამდე აცხოვრებდა, გამანადგურებელ ძალად ექცევა. ფლეგს ვინმე ბეტინა ნოთი უყვარდება. ორი წლის

განმავლობაში ბეტინა მის სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობს, ქორწინებაზეც კი თანხმდება. ქორწინების წინა ღამით ფლეგს შეტევა განუმეორდება, რომლის დროსაც გულის გასატეხ ამბავს შეიტყობს: ქორწინებიდან ერთი წელიც არ იქნება გასული, რომ ბეტინა უღალატებს. მისი პროგნოზი ჯერ მცდარი არასდროს გამომდგარა, ამიტომ ფლეგი ხვდება: ეს ქორწინება თავიდანვე განწირულია. ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ბეტინა უმანკო ქალიშვილია – უბრალო და უდანაშაულო, რადგან კაცი, რომლის გამოც ქმრის ღალატს გაივლებს გულში, ჯერ არ გაუცნია. ფლეგი ბედის მიერ მისთვის გამზადებულ გამოცდას ვერ უძლებს და გულში დანას იკრავს.

ნიკის თვითმფრინავი მიწაზე ეშვება. ბოუენი ნახევრად წაკითხულ ხელნაწერს ისევ კეისში ინახავს, აეროპორტის შენობიდან გამოდის და ტაქსის აჩერებს. კანზასი მისთვის უცხო ქალაქია. არც ნამყოფია იქ, არც ისეთს იცნობს ვინმეს, კანზას-სითიში კი არა, მისგან ათასი მილის დაშორებით მაინც რომ ცხოვრობდეს. ვინმემ რომ სთხოვოს, ამ ქალაქს რუკაზეც ვერ იპოვის. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ტაქსის აჩერებს და მძღოლს სთხოვს, ქალაქის საუკეთესო სასტუმროში წაიყვანოს. ამ ფრაზის გაგონებაზე მძღოლი, ტანმსხვილი შავკანიანი მამაკაცი, რომელსაც დაუჯერებელი სახელი, ედ ვიქტორი* აქვს, სიცილით კვდება. – იმედია, ცრუმორწმუნე არ ხართ, – ეუბნება ბოუენს ღიმილით.

– ცრუმორწმუნე? – ეკითხება ნიკი, – ცრუმორწმუნეობა რა შუაშია?

– საუკეთესო სასტუმრო ხომ გინდათ. ჰოდა, საუკეთესო აქ „ჰაიათ რიჯენსია“. არ ვიცი, კითხულობთ თუ არა გაზეთებს:

---

* Victory – გამარჯვება (ინგ.).

შარშან აქ, ჰაიათში, საშინელი უბედურება დატრიალდა. დაკიდებული დერეფნები ჭერს მოწყდა და ვესტიბიულის იატაკს დაენარცხა. ასზე მეტი ადამიანი დაიღუპა იმ დღეს.

– დიახ, ეგ მახსოვს. „ტაიმის“ პირველ გვერდზე იყო სტატია და ფოტოსურათი.

– სასტუმრო კი მუშაობს, მაგრამ ხალხს, ხომ იცით, ცუდი რამეები ახსენდება. იქ გაჩერებას ყველა ერიდება. თუმცა, თუ ცრუმორწმუნე არ ხართ, მე მაგ სასტუმროს გირჩევდით.

– კეთილი, – ამბობს ნიკი, – იყოს „ჰაიათი“. დღეს ცა თავზე ერთხელ უკვე ჩამომემხო. თუ წერას კიდევ აქვს რამე ჩემთვის გამზადებული, სადაც არ უნდა ვიყო, მაინც მომაგნებს.[7]

ნიკის პასუხი ედ ვიქტორის ამხიარულებს და, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მასლაათობენ ასე, სანამ მანქანა ქალაქის

---

[7] კანზას-სითი ნიკ ბოუენის გასაგზავნად სულ შემთხვევით მომივიდა თავში – დავფიქრდი თუ არა, პირველად ეს ქალაქი გამახსენდა. შეიძლება, იმიტომ, რომ ნიუ-იორკიდან ასე შორს მდებარეობს, ასე ვთქვათ, ამერიკის გულისგულში, მის ცენტრალურ რეგიონებს შორის მკვიდრად ზის: მისი უცნაურობისა და უცხოობის გამო, ერთგვარი ოზის ქვეყანაა. უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ნიკს კანზას-სითიში გადავისროდი, როცა „ჰაიათ რიჯენსიში“ ჩემ ამბამდე თოთხმეტი თვით ადრე (1981 წლის ივლისში) მომხდარი უბედური შემთხვევაც გამახსენდა. იმ დღეს ღია ცის ქვეშ, უზარმაზარ შიდა ეზოში დაახლოებით ორი ათასი ადამიანი იმყოფებოდა – ერთ-ერთ დაკიდებულ სართულზე სამეჯლისო ცეკვების კონკურსი ტარდებოდა. განივმა ძელებმა, რომლებსაც დაკიდებული კონსტრუქციები ებჯინებოდა, ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლო და ისინი ოთხი სართულის სიმაღლიდან მოწყდა. დღესაც, ოცდაერთი წლის თავზეც კი, ეს ამბავი ამერიკის სასტუმროებში მომხდარ უბედურ შემთხვევათა შორის მასშტაბურობით პირველ ადგილს იკავებს.

ქუჩებში გზას მიიკვლევს. საუბარში ირკვევა, რომ ედი ტაქსის მძღოლობას თავს ანებებს. ოცდათოთხმეტი წელია, ტაქსის საჭეს უზის, ახლა კი მისი მუშაობის ბოლო ღამეა. უკანასკნელად გამოვიდა აეროპორტში, ბოუენი მისი ბოლო მგზავრია – უკანასკნელი ადამიანი, რომელსაც ედი თავისი მანქანით სადმე მიიყვანს. ნიკი ედის სამომავლო გეგმებით ინტერესდება: რას აპირებს, როგორ უნდა გაიტანოს დღეიდან თავი. ამის გაგონებაა და ედვარდ ვიქტორი (დიახ, ესაა მისი სრული გვარ-სახელი) ჯიბეში ხელს იყოფს, სავიზიტო ბარათს იღებს და ნიკს უწვდის: „ისტორიული ძეგლების დაცვის და მოვლის ბიურო“ – წერია მუყაოს ნაჭერზე, ქვემოთ – მისი სახელი: ედ ვიქტორი, კუთხეში კი – ბიუროს მისამართი და ტელეფონის ნომერი. ნიკს აინტერესებს, თუ რას ნიშნავს ბარათზე ამოტვიფრული ეს სიტყვები, მაგრამ კითხვას ვერ ასწრებს, რომ მანქანა სასტუმროს შესასვლელს უსწორდება და ედ ვიქტორი ხელს უწვდის, რათა მისი ცხოვრების უკანასკნელი გასამრჯელო აიღოს. ბოუენი გადასახდელ ფულს ოც დოლარს ამატებს, ტაქსის უკვე ყოფილ მძღოლს იღბალს უსურვებს და ავბედითი სასტუმროს მბრუნავი კარისკენ მიემართება.

რაკი ნაღდი ფული ცოტა აქვს და გადახდა, როგორც ჩანს, საკრედიტო ბარათით მოუწევს, ნიკი ნამდვილი სახელით და გვარით რეგისტრირდება. აღდგენილი ვესტიბიული რამდენიმე დღის წინ გარემონტებულს ჰგავს და ნიკს თავი ვერ დაულწევია განცდისთვის, რომ მას და სასტუმროს შენობას, გარკვეული აზრით, ერთი ბედი აქვთ: ორივე წარსულის დავიწყებას, ახალი ცხოვრების დაწყებას ლამობს – ეს ოქროსფრად მობრჭყვიალე, უზარმაზარჭაღებიანი, გამჭვირვალელიფტებიანი, ერთიანად მოციმციმე სასახლე და

კაცი, რომელსაც ერთი ხელი ტანისამოსის, ორი საკრედიტო ბარათის და ნახევრად წაკითხული რომანის გარდა ქვეყნად აღარაფერი აბადია. ნიკი ნომრის გასაღებს იღებს, ლიფტით მეათე სართულზე ადის და მომდევნო ოცდათექვსმეტი საათით ნომერში იკეტება. შიშველ ტანზე მოცმული სასტუმროს ხალათით დაიარება, საჭმელს სასტუმროს სერვისს უკვეთავს, ხან ფანჯარასთან დგას, ხან სააბაზანოს სარკის წინ დგება და საკუთარ თავს უმზერს, უმეტესად კი სილვია მაქსველის რომანს კითხულობს. კითხვას პირველივე ღამეს, დაძინებამდე ასრულებს, მეორე დღეს კი რომანს თავიდან იწყებს. მთელი დღე კითხულობს, კითხულობს მეორე და მესამე დღესაც, მეოთხე დღეს კითხვას მეოთხედ იწყებს და წიგნის ორას ცხრამეტ გვერდს ისეა ჩაფრენილი, თითქოს მისი სიცოცხლე ამ რომანზე იყოს დამოკიდებული. ლემიუელ ფლეგის ამბავი მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ „მისნის ღამეს“ იმიტომ კი არ კითხულობს, რომ სულიერ მღელვარებას ან გართობას ეძებს. წიგნში აღწერილ ამბებში იმისთვის კი არ ეფლობა, რომ ხვალინდელ დღეზე დაფიქრების აუცილებლობას გაექცეს. არა, კარგად იცის, რას იზამს ხვალ. წიგნი, რომელიც თან აქვს, მხოლოდ საშუალებაა, რომელიც ამის გაკეთებაში დაეხმარება. ახლა ცდილობს, წარსულზე ფიქრს გაუძალიანდეს, თავს იწვრთნის, დავიწყებაში ვარჯიშობს. სწორედ ეს არის გასაღები ამ შეშლილი ავანტიურისა, რომელიც მაშინ დაიწყო, როცა ქვის ბარელიეფი ასფალტს დაასკდა. თუკი ძველ ცხოვრებასთან კავშირი გაწყვეტილია, მაშინ ისე უნდა იმოქმედოს, თითქოს ხელახლა დაიბადა, თავი უნდა დაირწმუნოს, რომ წარსულის ტვირთი ჩამოიცილა და ახლა, ჩვილი ბავშვივით, მხრებზე არაფერი აწევს. რასაკვირველია, მოგონებები მაინც მოდიან, მაგრამ

მისამართი ეშლებათ, რადგან მის ამ ახალ ცხოვრებასთან საერთო აღარაფერი აქვთ, იმის ნაწილი არ არიან, რაც ახალი დაწყებულია და ამიტომ, როცა ფიქრები ნიუ-იორკისკენ და იქ დატოვებული ძველი ამბებისკენ (რომლებიც უკვე ილუზიად იქცა) ეპარება, თავს არ იზოგავს, რომ გონება წარსულიდან აწმყოსკენ მოატრიალოს. აი, ამიტომ კითხულობს ამ წიგნს. ამიტომაა, რომ როგორც კი ამთავრებს, კითხვას თავიდან იწყებს. წარსულის მოგონებებიდან, რომლებიც მას აღარ ეკუთვნის, თავი ამ წიგნს უნდა გამოატყუებინოს და რაკი ხელნაწერი ყურადღების კონცენტრირებას, სხეულის და გონების მზადყოფნას ითხოვს – სხვანაირად ხომ ვერც წაიკითხავ! – მის გვერდებში იკარგება, აღარ ახსენდება, ვინ იყო უწინ.

სამი დღის შემდეგ ნიკი, ბოლოს და ბოლოს, სასტუმროს ოთახიდან გამოდის. ქუჩაში გადის, მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზიას პოულობს და ერთი საათის განმავლობაში, თაროებს, საკიდებსა და მუყაოს ყუთებს შორის, ახალ გარდერობს არჩევს. ყიდულობს ყველაფერს – შარვლიდან და პერანგებიდან დაწყებული, ქვედა საცვლებით და წინდებით დამთავრებული. მერე კი, როცა ფულის გადახდის დრო დგება და ბოუენი გამყიდველს „ამერიკან ექსპრესს“ აწვდის, სალაროს აპარატი ბარათს არ იღებს. „თქვენი ანგარიში გაუქმებულია,“ – ატყობინებს კლერკი. ნიკი ამ უცნაური და მოულოდნელი ამბით გაოგნებულია, მაგრამ თავს ისე აჩვენებს, თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება. „ეგ არაფერი,“ – ამბობს, – „ვიზა ბარათით გადავიხდი“. კლერკი ახლა ვიზა ბარათს ატარებს და სალარო აპარატი მასაც უკან აგდებს. ნიკისთვის დამაბნეველი, უხერხული წუთები დგება. ამ გაუგებრობას ერთი კარგი ანეკდოტი მოუხდებოდა, მაგრამ ნიკს თავ-

ში სასაცილო არაფერი მოსდის. კლერკს ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ დრო დააკარგვინა, ტრიალდება და მაღაზიიდან გადის.

ამ ყველაფერს ახსნა ადვილად მოეძებნება. სასტუმროსკენ გაბრუნებული ნიკი ხვდება, რაც მოხდა. ევამ მისი ბარათები გააუქმებინა და ნიკი საკუთარ თავს განსაკუთრებული სიამაყის გარეშე უტყდება, რომ მის ადგილას თავადაც ასე მოიქცეოდა. ქმარი წერილის გასაგზავნად სახლიდან გადის და შინ აღარ ბრუნდება. რა უნდა იფიქროს ასეთ დროს ცოლმა? ცხადია, მიხვდება, რომ მიატოვეს, მაგრამ არა პირველსავე დღეს. ამ დასკვნამდე მისვლას დრო სჭირდება. პირველი რეაქცია შიში და განგაშის გრძნობა იქნება, მერე თვალწინ ყველა შესაძლო უბედური შემთხვევა წარმოუდგება. სატვირთო მანქანამ გადაუარა, ზურგში დანა ჩასცეს, შეიარაღებულმა ბანდამ გაძარცვა და მერე თავში რაღაც ჩაარტყეს. თუ მისი ქმარი ძარცვის მსხვერპლი გახდა, მაშინ ქურდი მის საფულეს წაიღებდა და საკრედიტო ბარათების გამოყენებას შეეცდებოდა. რაკი მტკიცებულება არ აქვს (არც განცხადებაა გაზეთში, არც ქუჩაში უპოვნიათ ამოუცნობი გვამი) და ვერცერთ ვერსიას ვერ ეჭიდება, სიფრთხილე კარნახობს, ბანკებს საკრედიტო ბარათები გააუქმებინოს.

ნიკს ნაღდ ფულად სულ რაღაც სამოცდარვა დოლარი აბადია. არც ჩეკები აქვს თან და თითქოს ეს არ კმაროდა, „ჰაიათ რიჯენსისკენ“ მიმავალ გზაზე მდგარი ბანკომატი ატყობინებს, რომ მისთვის „სითიბანკის“ ბარათიც გაუუქმებიათ. სულ მოულოდნელად ისეთი სიტუაცია იქმნება, რომ სასოწარკვეთასთან გამკლავება ძალიან უჭირს. საკუთარი ფულისკენ მიმავალი ყველა გზა გადაუჭრეს. ძალიან მალე სასტუმროშიც გაირკვევა, რომ „ამერიკან ექსპრესი“,

რომლითაც ორშაბათ საღამოს სასტუმროში რეგისტრაცია გაიარა, დანარჩენი ბარათებივით უვარგისი გამხდარა და ეს რომ მოხდება, ყველაზე უარესს მერე უნდა ელოდეს, ალბათ სისხლის სამართლის ბრალდებისგანაც კი მოუწევს თავის დაცვა. ევასთან დარეკვასა და შინ დაბრუნებაზეც კი ფიქრობს, მაგრამ თავს ვერაფრით აიძულებს, ყურმილი აიღოს და ცოლს დაელაპარაკოს. ამდენი რამე იმისთვის ხომ არ მომხდარა, რომ გასაჭირის პირველივე ნიშნებისთანავე ბედს დამორჩილდეს და შინ გაიქცეს; რაც მთავარია, შინ დაბრუნების არანაირი სურვილი არ აქვს. არა, სულ სხვა რამ აქვს გასაკეთებელი. ლიფტით სასტუმროს მეათე სართულზე ადის, საკუთარი ნომრის კარს აღებს და როზა ლეითმანის ნომერს კრეფს. პირველივე იმპულსით აკეთებს ამას, ისე, რომ წარმოდგენა არ აქვს, რას ეტყვის როზას. ბედად, როზა შინ არ ხვდება, ნიკი ავტომატურ ჩამწერზე გზავნილს უტოვებს – გზავნილი კი არა, აბდაუბდა მონოლოგია, აზრის გამოტანა (თუ მის სიტყვებში რამე აზრი ყრია) სხვას კი არა, თავადაც გაუჭირდება.

„როზა, მე ახლა კანზასში ვარ," – ამბობს ყურმილში, – „არ ვიცი, რატომ ვარ აქ, მაგრამ ვარ კია. შეიძლება ძალიან დიდი ხნით მომიხდეს აქ დარჩენა, ამიტომ თქვენთან დალაპარაკება მჭირდება. უკეთესი იქნება, თუ ერთმანეთს პირისპირ შევხვდებით, მაგრამ ალბათ ჩემგან დიდი თავხედობა იქნება იმის თხოვნა, რომ თვითმფრინავში ჩაჯდეთ და ჩემს ერთ ხელის დაქნევაზე გამოფრინდეთ. თუ გამოფრენას ვერ მოახერხებთ, გთხოვთ, დამირეკეთ. „ჰაიათ რიჯენსიში" ვარ გაჩერებული, მეათე სართულზე, ორმოცდამეექვსე ნომერში. ბებიათქვენის წიგნი უკვე რამდენჯერმე წავიკითხე და თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ეს რომანი საუკეთესოა იქიდან,

რაც მას ოდესმე დაუწერია. მადლიერი ვარ, რომ ხელნაწერი მე მომიტანეთ. კიდევ იმისთვის ვარ მადლიერი, რომ იმ დღეს, ორშაბათს, ჩემს ოთახში შემოხვედით. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ თავისთვის ვერაფერი მომიხერხებია: სულ თქვენზე ვფიქრობ. თქვენ მე იმ დღეს გულზე გადამიარეთ. ჩემგან რომ გახვედით, მას მერე გული არ მიმთელდება. არ ვიცი, შეიძლება თუ არა, ადამიანი ათ წუთში შეგიყვარდეს. მე თქვენზე არაფერი ვიცი. ისიც კი არ ვიცი, გათხოვილი ხართ თუ ვინმესთან ერთად ცხოვრობთ, თავისუფალია თქვენი გული თუ სხვას ეკუთვნის, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარებს თქვენთან საუბარი, როგორ გამაბედნიერებს თქვენი ხელახლა ნახვა. სხვათა შორის, აქ ძალიან ლამაზი ადგილებია, სულ ბრტყელი და უცნაური პეიზაჟები. ახლა ფანჯარასთან ვდგავარ, ქალაქს გავყურებ. ასობით შენობაა გარშემო, ასობით მანქანა, მაგრამ თან წარმოუდგენელი სიჩუმეა. ხმაურს ხმაგაუმტარი მინა არ უშვებს. ფანჯრის იქითა მხარეს სიცოცხლეა, შიგნით, ჩემკენ კი ყველაფერი მკვდარივითაა, ყველაფერი ირეალური მეჩვენება. პრობლემა ისაა, რომ ამ სასტუმროში ველარ გავჩერდები. ერთადერთი ადამიანი, რომელიც აქ ჩამოსვლის შემდეგ გავიცანი, ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობს. იმ კაცს ედ ვიქტორი ჰქვია. მისი სავიზიტო ბარათი ჯიბეში მიდევს. მინდა, რომ ედის ნომერი გქონდეთ. ხომ შეიძლება, სანამ სასტუმროდან წავალ, მანამდე დარეკვა ვერ მოასწროთ. თუ დარეკავთ, ედს ეცოდინება, სად ვარ. 816-765-4321. ვიმეორებ: 816-765-4321. რა უცნაურია. ციფრები კლებადობით არის დაწყობილი, ყოველ მათგანს ერთით ნაკლები მოსდევს. ასეთი რამ სხვა ნომრებისთვის არ შემიმჩნევია. როგორ გგონიათ, ნეტავ ნიშნავს ეს რამეს? ალბათ არა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ვცდები. ამას თუ მივხვდი,

თქვენც გაგაგებინებთ. თუ არ შემომეხმიანებით, რამდენიმე დღეში ისევ დავრეკავ. ადიოს“.

ერთი კვირა გავა, სანამ ამ შეტყობინებას როზა მოისმენს. სამწუხაროა: ნიკს რომ ოცი წუთით ადრე დაერეკა, როზა ყურმილს აიღებდა და უპასუხებდა, მაგრამ ახლა ბინიდან ახალი გასულია და ნიკის ზარის შესახებ არაფერი იცის. იმ წუთებში, როცა ნიკის ხმას ავტომატური ჩამწერი იწერს, როზა ყვითელ ტაქსიში ზის, ჰოლანდის გვირაბამდე სამი კვარტალი აშორებს, ნიუარკის აეროპორტში მიიჩქარის, იქიდან კი საღამოს ჩიკაგოში მიფრინავს. შაბათს მისი და თხოვდება და რაკი ცერემონია მათი მშობლების სახლში უნდა ჩატარდეს, როზა დას მეჯვარედ და მოწმედ უნდა გაჰყვეს, ამიტომ ჩიკაგოში ადრე სურს ჩაფრენა, რათა ოჯახს საქორწინო მზადებაში მიეხმაროს. რა ხანია, მშობლები არ უნახავს, ამიტომ ამ შემთხვევით ისარგებლებს და ქორწილის შემდეგ დედ-მამასთან კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება. ნიუ-იორკში სამშაბათ დილას აპირებს დაბრუნებას. ზუსტად ამ წუთას კაცმა ტელეფონით, უფრო სწორად, ხმის ჩამწერი აპარატით სიყვარული აუხსნა, მაგრამ ერთი კვირა გავა, სანამ როზა ამას გაიგებს.

ნიუ-იორკის სხვა ნაწილში (იმავე ოთხშაბათს, დღის მეორე ნახევარში ხდება ეს ამბავი) ნიკის ცოლის, ევას ფიქრებიც როზა ლეითმანს დასტრიალებს. ორმოცა საათზე მეტია გასული, რაც ნიკი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. პოლიცია ვერაფრით დაეხმარა: ვერცერთი უბედური შემთხვევა და ძარცვის ფაქტი ვერ მოუძებნეს, რომელთა მსხვერპლის აღწერილობა მისი ქმრისას დაემთხვეოდა. თუ გატაცებაა, გამტაცებლისგან წერილს მიიღებდა, ან აქამდე ტელეფონით დაუკავშირდებოდნენ, ამიტომ ევა თანდათანობით იმ ეჭვის-

კენ იხრება, რომ ნიკი გაიპარა, მიატოვა, ისე, რომ უკან არ მოუხედავს. აქამდე წუთითაც არ უეჭვია, რომ მის ქმარს შეიძლებოდა ფარული რომანი ჰქონოდა, მაგრამ ახლა იხსენებს, რა უთხრა იმ ორშაბათ საღამოს რესტორანში ნიკმა როზაზე, როგორი მონუსხული ჩანდა ამ გოგონათი – იმდენად, რომ საკუთარი გატაცების დაუფარავად აღიარებასაც არ მორიდებია. ახლა ევა ფიქრობს, რომ შეიძლება ეს ცოლ-ქმრული ღალატი მათი გაქცევით დაგვირგვინდა და ამ წუთებში ნიკი სწორედ იმ გაკნაჭულ, თმააკორტნილ ქერა გოგოსთან მტლაშამტლუშობს.

ევა სატელეფონო ცნობარში როზას ნომერს პოულობს და შინ ურეკავს. რასაკვირველია, ვერავინ უპასუხებს, რადგან როზა უკვე თვითმფრინავში ზის. ევა მას მოკლე შეტყობინებას უტოვებს და ყურმილს კიდებს. როზა თხოვნას არ უსრულებს, საღამოს არ ურეკავს, ამიტომ იმავე ღამით ევა როზას ხელახლა ურეკავს და კიდევ ერთ შეტყობინებას უტოვებს. ასე მეორდება რამდენიმე დღის განმავლობაში – ზარი დილით, ზარი საღამოს – და რაც უფრო დიდხანს იწელება როზას დუმილი, მით უფრო უკიდეგანო ხდება ევას მძვინვარება. ბოლოს საქმე იმით მთავრდება, რომ ევა როზასთან ჩელსიში მიდის, მესამე სართულისკენ რისხვით მიიწევს და მისი ბინის კარზე აკაკუნებს. არავინ უღებს. ევა ისევ აბრახუნებს, კარს მუშტებს უშენს, სახელურს გაავებით ეჯაჯგურება. ამაოდ. არავინაა პასუხის გამცემი. ევა ამ სიჩუმეს ერთადერთი რამის დასტურად თვლის – რომ ახლა, ამ წუთებში, როზა ნიკთან ერთადაა. უგუნური ვარაუდია, ღმერთმანი, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული. მხოლოდ აფორიაქებულ გონებას შეუძლია ამ ყველაფრისგან ისეთი ამბის შეკოწიწება, მისი ქმრის გაუჩინარებას რომ ახსნის, ევას

ყველაზე შავ-ბნელ ეჭვებს სიმყარეს შესძენს და საკუთარ ქორწინებასთან დაკავშირებული შიშების საფუძვლიანობას დაუდასტურებს. ახლა ქაღალდის ნაგლეჯზე წერილს უწერს და კარქვეშ უცურებს. „აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ნიკის შესახებ. სასწრაფოდ დამირეკეთ“, – წერია წერილში, ქვემოთ ხელმოწერაა: „ევა ბოუენი“.

ამ დროისათვის ბოუენი სასტუმროდან კარგა ხნის წასულია. ედ ვიქტორის ძიებას ნიკი ქალაქის ყველაზე საძაგელ უბანში, ძველ პანსიონამდე მიჰყავს. გარშემო სულ მიტოვებული საწყობები და გახუნებულ-ნახანძრალი შენობები მოჩანს. ჩაშავებულ ქუჩებში ფეხით მოსიარულე იშვიათად ხვდება, ჰაერში შიშის, ნგრევის, უიმედობის ატმოსფერო სუფევს – აქაურობა არაფრით ჰგავს შავი გეტოების სილატაკის სურათებს, რომლებიც ნიკს ამერიკის სხვა ქალაქებში უნახავს. არა, ეს ჩვეულებრივი გეტო არ არის – ჯოჯოხეთის მისადგომებია, ცარიელი ღვინის ბოთლებით, ნახმარი ნემსებით, მიჭყლეტილ-მოჭყლეტილი, გამოფუღრული მანქანებით სავსე არსაითი. ძველი პანსიონი კვარტლის ყველაზე მყარი, მკვიდრად ნაშენი შენობაა, იმის უკანასკნელი მონარჩენი, რასაც აქაურობა ოთხმოცი, ასი წლის წინ წარმოადგენდა. ნიკს რომ ნებისმიერ სხვა ქუჩაზე, სხვა ადგილას ენახა ეს შენობა, ჩათვლიდა, რომ სახლი დასანგრევადაა გამზადებული, მაგრამ ამ ქუჩის კვალობაზე სახლი ლამის მიმზიდველად გამოიყურება: აქერცლილ-ჩამოყრილი ყვითელი საღებავის ფენით დაფარული სამსართულიანი შენობა, ცერად დახრილი საფეხურები და სახურავი, პლასტიკატის ფირფიტებით აჭედილი ცხრავე ფანჯარა წინა ფასადზე.

ნიკი კარზე აკაკუნებს, მაგრამ არავინ პასუხობს. კაკუნს არ ეშვება და რამდენიმე წუთის შემდეგ კარს მოხუცი ქა-

ლი უღებს, რომელსაც მწვანე სააბაზანო ხალათი აცვია და იაფფასიანი წითური პარიკი ახურავს. ნიკს უნდობლად, უხალისოდ ათვალიერებს, ისე, თითქოს სიცოცხლის უცნობ ფორმას ხედავდეს; ვიზიტის მიზეზს ეკითხება. „ედთან მოვედი," – პასუხობს ბოუენი, – „ედ ვიქტორისთან. დაახლოებით ერთი საათის წინ ტელეფონით ველაპარაკე, მელოდება". დუმილი იწელება, ქალი ხმას არ იღებს. ნიკს უსიცოცხლო, ჩამქრალი თვალებით ზომავს, მზერა მისი კეისისკენ გაურბის, მერე სახეს უბრუნდება, ვერ გაუგია, რას აკეთებს მის სახლში თეთრი ადამიანი. ნიკი ჯიბეში ხელს იყოფს და ედის სავიზიტო ბარათს იღებს. იქნებ ამან მაინც დაარწმუნოს მოხუცი, რომ აქ ყოფნის მიზეზი აქვს, მაგრამ ქალი თითქმის ბრმაა და როცა მისი ბარათისკენ იხრება, ნიკი ხვდება, რომ მოხუცი ზედ დაწერილ სიტყვებს ვერ არჩევს. „რა ამბავია, ცუდ საქმეში ხომ არ გახვეულა?" – ეკითხება მოხუცი. „არა, არანაირად," – პასუხობს ნიკი, – „თუმცა თავს ვერ გამოვიდებ, არ ვიცი". „ესე იგი, პოლიციელი არ ხართ, ხომ?" – ამბობს ქალი. „აქ იმიტომ ვარ, რომ ედის რჩევა მჭირდება," – პასუხობს ნიკი, – „ედი ერთადერთი ადამიანია, ვისაც შეუძლია რჩევით დამეხმაროს". პაუზა კიდევ ერთხელ იწელება, მერე მოხუცი ხელს ზემოთ მიმავალი კიბისკენ იშვერს. „მარცხნივ, მესამე ოთახი," – ეუბნება, – „ადით და არ მოგერიდოთ, მაგრად დაუკაკუნეთ. ედს ამ დროს სძინავს ხოლმე. თან, ცოტა არ იყოს, ყურში აკლია".

მოხუცი ქალი არ ტყუის. ედს, როგორც ირკვევა, ყურთ გვარიანად აკლია – ნიკი ბნელ კიბეზე ფრთხილად ადის, დერეფნის ბოლოს მის კართან ჩერდება და ათჯერ თუ თორმეტჯერ მაგრად აკაკუნებს, სანამ ტაქსის ახლა უკვე ყოფილი მძღოლის ხმა შინ შეიპატიჟებდეს. ნიკის ერთადერთი

კანზასელი ნაცნობი, ჩასხმული და კუნთმაგარი, თავის საწოლზე ზის, აჭიმი ორივე მხარზე გადმოსცურებია, შარვლის წესიერად შეკვრაც კი არ უფიქრია; ხელში ნამდვილად პისტოლეტი უჭირავს და სტუმარს შიგ გულში უმიზნებს. ბოუენმა ამდენი წელი ისე იცხოვრა, მიზანში ერთხელაც არავის ამოუღია, თუმცა შეშინებას ვერ ასწრებს, რომ ედ ვიქტორი იარაღს სასთუმლის მაგიდაზე დებს.

– ოჰო, თქვენ ხართ? – ამბობს, – ნიუ-იორკიდან გამოქცეული მეხდაცემული კაცი.

– რა ხდება, ვინმე გემუქრებათ? – ეკითხება ნიკი და მართალია, ხიფათმა გადაიარა, მაგრამ მკერდში მაინც მოუხვედრელი ტყვიის სიმწარეს გრძნობს.

– ცუდი დროა, – პასუხობს ედი, – მით უმეტეს, ამნაირ უბედურ ადგილებში. კაცი ველარ მოდუნებულა. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. სამოცდაშვიდი წლის კაცი ვარ, მუხლი ძველებურად აღარ მიჭრის.

– ტყვიას ჯერ კაცი არ გაქცევია, – პასუხობს ნიკი მოკლედ.

ედი პასუხად რაღაცას ბურტყუნებს, მერე კი, როცა ნიკს დაჯდომას სთხოვს და ერთადერთ სკამს მიუჩოჩებს, მოულოდნელ ლიტერატურულ წიაღსვლას აკეთებს:

– თოროს სახლში სამად სამი სკამი ედგა, ერთი – მარტოობისთვის, მეორე – მეგობრობისთვის და მესამე – საზოგადოებისთვის. ასე უწერია, ყოველ შემთხვევაში. როგორც ხედავთ, მე მხოლოდ მარტოობისთვის ვარ მზად. საწოლს თუ მივათვლით, შეიძლება მეგობრობაზეც გავქაჩო. საზოგადოებისთვის აქ ადგილი არ არის. ყელში ამოვიდა ეგ საზოგადოება, სანამ ტაქსის მძღოლად ვითვლებოდი.

ბოუენი ხის სწორსაზურგიან სკამზე ჯდება და პატარა, სუფთად მილაგებულ ოთახს თვალს ავლებს. ბერის სენაკს

ჰგავს იქაურობა, განდეგილი კაცის თავშესაფარს: მკაცრი, სპარტანული საცხოვრისია, ცხოვრებისთვის ყველაზე აუცილებელი ნივთების გარდა, თვალს ზედმეტი არაფერი ხვდება: ერთი ვიწრო საწოლი, ერთი კომოდი, ქურა, დაბალი მაცივარი, საწერი მაგიდა და წიგნის სტელაჟი, რომელზეც რამდენიმე ათეული წიგნი აწყვია, მათ შორის – რვა თუ ათი ლექსიკონი და კოლიერის ენციკლოპედიის ოცივე კარგად შენახული ტომი. თავმოზღუდული, შინაგან ცხოვრებაზე კონცენტრირებული, შინაგანი დისციპლინის მქონე კაცის ოთახია. როცა ნიკს მზერა ედ ვიქტორიზე გადააქვს, რომელიც საწოლზე წამოწოლილა და მას თვალს მშვიდად ადევნებს, აქაურობის მთავარ შტრიხს ამჩნევს, რომელიც აქამდე არ შეუნიშნავს. კედლებზე არცერთი ნახატი არ კიდია, ნახატი კი არა, ფოტო ან რაიმე ნაკეთობაც კი არსად ჩანს. ოთახის ერთადერთი მორთულობა კედელზე, საწერი მაგიდის თავზე დაკიდებული 1945 წლის კალენდარია, რომელიც აპრილის თვეზეა გადაშლილი.

– გაუგებრობაში მოვხვდი, – ამბობს ბოუენი, – ვიფიქრე, ეგებ თქვენ შეძლოთ ჩემი დახმარება.

– ვნახოთ, მოვისმინოთ, მოვიფიქროთ, – პასუხობს ედი, თან ხელს სასთუმლის მაგიდაზე მიგდებული უფილტრო „პელ მელისკენ“ იწვდის. ასანთს აჩხაკუნებს, სიგარეტს უკიდებს, ნაფაზს იგრძელებს და მერე ხველა ეწყება, ჩამპალ ბრონქებში წლობით დაგროვილი ლორწო და ნახველი უტრიალებს. ოციოდე წამის განმავლობაში ოთახს კონვულსიური ხველის ხმა აზანზარებს. ედი ბოუენს ცალყბად, ანცად ეღრიჯება:

– რატომ ეწევიო, მეკითხებიან... ხველება მიყვარს-მეთქი, – ვეუბნები.

– თქვენი შეწუხება არ მინდოდა, – ამბობს ნიკი, – ალბათ ცუდ დროს მოვედი.

– შეწუხება რაზე მეტყობა. კაცი ოც დოლარს მჩუქნის, ორი დღის მერე კი მეცხადება და გაუგებრობაში მოვხვდიო, მეუბნება. არა, მეგობარო, ცნობისმოყვარეობა გამელვიძასავით.

– სამუშაო მჭირდება. ნებისმიერი სამუშაო. კარგი ავტომექანიკოსი ვარ. იქნებ იმ ტაქსის კომპანიაში, სადაც აქამდე მუშაობდით, ჩემთვის რამე სამსახური გამოიძებნოს?

– გასაგებია. ესე იგი, ნიუ-იორკიდან ტყავის კეისით და ხარისხიანი კოსტიუმით ჩამოსული, მაგარფეხსაცმლიანი კაცი მეუბნება, რომ ავტომექანიკოსობა უნდა. ჯერ ტაქსის მძღოლებს ფულებს სჩუქნის, მერე იძახის, გავბანკროტდიო. ახლა ალბათ იმასაც მეტყვი, ზედმეტი კითხვები არ იყოსო. მართალი ვარ? ხომ არ მეშლება?

– კითხვები მართლაც არ გვინდა. მე ის კაცი ვარ, მეხი რომ დაეცა, ხომ არ დაგავიწყდათ? წესით და რიგით, ახლა მკვდარი უნდა ვიყო, ამიტომ მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ ვარ და რა ვარ. ერთადერთი, რასაც მნიშვნელობა აქვს, დღევანდელი დღეა. დღეს კი ფული მჭირდება და რამენაირად უნდა ვიშოვო.

– ახლა ერთ რამეს გეტყვი. მაგნაირი ტანსაცმელი უფრო ხშირად უმაქნის იდიოტებს აცვიათ. ტაქსის კომპანიას შევეშვათ, ნიუიორკელო. თუმცა, ვხედავ, ცუდ დღეში ჩავარდნილხარ და მინდა, გითხრა, რომ შეიძლება მქონდეს კიდეც რაღაც სამუშაო შენთვის ჩემს ბიუროში. ღონიერი ზურგი დაგჭირდება მაგ საქმისთვის და კარგი თავი – საქმე ციფრებთან გექნება. თუ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებ, მეგობარო, მაშინ სამუშაოზე ამყავხარ. კაი მოსაწონ ხელფასსაც დაგინიშნავ. შეიძლება, მათხოვარს ვგავარ, მაგრამ ფული თავზე საყრელად მაქვს, ტომრებით მიწყვია. იმაზე მეტი მაქვს, ვიდრე დახარჯვას შევძლებ.

– „ისტორიული ძეგლების დაცვა და მოვლა“. ხომ ესაა თქვენი ბიზნესი?

– მაგას ბიზნესი არ ჰქვია. მუზეუმივით რაღაცაა, უფრო კერძო არქივი შეიძლება დაერქვას.

– ზურგიც ღონიერი მაქვს და მიმატება-გამრავლებაც არ შემეშლება. რა სახის სამუშაოა?

– მე ჩემი საკუთარი სისტემით ვმუშაობ. არსებობს დრო და არსებობს სივრცე. მარტო ორი შესაძლებლობა გვაქვს. აქამდე მონაცემებს გეოგრაფიული, სივრცითი პრინციპით ვახარისხებდი. ახლა მეორე პრინციპზე მინდა გადასვლა, ქრონოლოგიურ მიდგომას ვგულისხმობ. ეს უკეთესი მეთოდია და ვნანობ, რომ მონაცემების დახარისხებისას აქამდე არ ვიყენებდი. ვინც ამ საქმეს მოკიდებს ხელს, სიმძიმეების ზიდვაც მოუხდება. მარტო ვერ გადავზიდავ, ჯანი არ მეყოფა. დამხმარე მჭირდება.

– რომ გითხრათ, ეგ დამხმარე მინდა ვიყო-მეთქი, სამუშაოს როდის მომცემთ?

– ამ წუთიდან, თუ ასე გინდა. წავიდეთ, ყველაფერს გაჩვენებ. მერე გადაწყვიტე, გაინტერესებს ეს საქმე, თუ არა.

ამ ადგილას პატარა შესვენება მოვიწყვე, ჯერ წავიხემსე (კრეკერები, სარდინის კონსერვი), მერე სამხარს ორი ჭიქა წყალი დავაყოლე. ხუთი საათი სრულდებოდა. გრეისს ნათქვამი ჰქონდა, რომ ექვსისთვის ან შვიდის ნახევრისთვის დაბრუნდებოდა, ამიტომ, სანამ დრო მქონდა, მინდოდა, უკანასკნელ წუთამდე ჩემს ლურჯ რვეულში მეწერა. სამზარეულოდან კაბინეტისკენ დერეფანს რომ მივუყვებოდი, სააბაზანოში შევუხვიე, შარდის ბუშტი შევიმსუბუქე, პირზე

წყალი შევისხი და მხნეობაშემატებულმა ვიგრძენი, რომ ამ-ბის გასაგრძელებლად მზად ვიყავი. თუმცა სააბაზანოდან რომ გამოვდიოდი, ბინის კარი გაიღო და დერეფანში ფერ-დაკარგული, ქანცგამძვრალი გრეისი დავინახე. მანამდე შე-თანხმებულები ვიყავით, რომ მისი ბიძაშვილი, ლილი უნდა მოეყვანა (ერთად ვივახშმებდით, ლილის სასტუმრო ოთახში, გასაშლელ დივანზე დავაძინებდით, მეორე დღეს, ადრიანი დილით კი გოგონა ნიუ-ჰევენში დაბრუნდებოდა; ლილი იელში სწავლობდა, არქიტექტურის ფაკულტეტის მეორე კურსზე). გრეისი მარტო დაბრუნდა და რამე ხომ არ მოხდა-მეთქი, ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ ოდნავ შესამჩნევად გა-მიღიმა, დერეფანს ჩემკენ აჩქარებული ნაბიჯით გამოუყვა, მერე მკვეთრი მოძრაობით მარცხნივ შეუხვია, სააბაზანოში შევარდა, მუხლებზე დაემხო და უნიტაზში არწყია.

ღებინებას რომ მორჩა, ფეხზე წამოდგომაში მოვეხმარე და საძინებელი ოთახისკენ წავიყვანე. საშინლად ფერმკრთალი იყო. ცალი ხელი მის წელზე მქონდა მოხვეული, მეორე – მხარზე და ვგრძნობდი, როგორ ცახცახებდა მთელი სხეულით, გეგონებოდა, ტანში დენს უტარებდნენ. ალბათ გუშინდელმა ჩინურმა საჭმელმა მაწყინაო, შემომჩივლა. ვუთხარი, მეც ხომ ყველაფერი იგივე ვჭამე, რაც შენ და არაფერი დამმართვია-მეთქი. მართალი ხარო, დამეთანხმა, მაშინ ალბათ რაღაც საზიზღრობა შემეყარაო – „საზიზღრობაში“ ქალაქში გავრცე-ლებულ ვირუსს გულისხმობდა, რომელიც ადამიანის სისხლ-სა და შინაგან ორგანოებში იბუდებს. მიკვირს, მე ხომ ავად არასდროს ვხდებიო, შემომჩივლა, როცა ტანზე გავხადე და საწოლში ვაწვენდი. შუბლზე ხელი დავადე, არც ცივი მეჩვენა, არც ცხელი. სასთუმლის მაგიდის უჯრა აჩქარებით გამოვწიე, თერმომეტრი ამოვიღე და პირში ჩავუდე. სიცხე არ ჰქონდა.

ეს უკვე კარგი ნიშანია-მეთქი, – ვუთხარი. ახლა თუ კარგად გამოიძინებ, დილით ბევრად უკეთესად იქნები-მეთქი, რაზეც გრეისმა მიპასუხა, აუცილებლად უნდა მოვმჯობინდე, ხვალ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს, ვერ გამოვტოვებო.

სუსტი ჩაი გავუკეთე, პური ტოსტერში გავუხუხე და მერე ერთი საათი საწოლთან ვუჯექი, ლილიზე ვესაუბრებოდი, რომელსაც ცუდად გახდომისთანავე ჯერ „მეტროპოლიტენის“ ტუალეტში შეეყვანა, მერე ტაქსიში ჩაესვა და სახლში გამოეშვა. მოსვა თუ არა ჩაის რამდენიმე ყლუპი, გამომიცხადა, ბევრად უკეთ ვარო, მაგრამ თხუთმეტ წუთში გულზიდვის შეგრძნება განუახლდა და ისევ სააბაზანოსკენ გაიქცა. მეორედ რომ აღებინა, თანდათანობით თვალშიც გამოიხედა, მოსულიერდა, თუმცა კიდევ ნახევარი საათი თუ ორმოცი წუთი გავიდა, სანამ ბოლომდე დამშვიდდებოდა და რული მიეკარებოდა. მანამდე კი მშვიდად ვიმუსაიფეთ; შიგადაშიგ ჩუმდებოდა, მერე საუბარს ხელახლა ვიწყებდით. მთელი ეს დრო, სანამ ძილმა საბოლოოდ არ დარია ხელი, თავზე ხელს ვუსვამდი და ვეფერებოდი. რა კარგი ყოფილა მომვლელის როლში ყოფნა, – ვუთხარი, – რამდენიმე საათით მაინც-მეთქი. ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ შორის სულ პირიქით ხდებოდა. ამას ისე მივეჩვიე, აზრად აღარ მომსვლია, რომ შეიძლებოდა, ოჯახში ავად სხვაც გამხდარიყო.

– შენ არ გესმის, რა ხდება, – მითხრა გრეისმა, – გუშინდელი საღამოსთვის ვისჯები.

– ისჯები? არ მესმის, რას მეუბნები.

– გუშინ ტაქსიში ისე ცუდად გელაპარაკე. საზიზღრად ვიქცეოდი.

– არა, ცუდად არ იქცეოდი. ეგრეც რომ იყოს, ეჭვი მეპარება, ღმერთი ადამიანებზე ჯავრს კუჭ-ნაწლავის ვირუსებით იყრიდეს.

გრეისმა თვალები დახუჭა და გამიღიმა.

– შენ ხომ ყოველთვის გიყვარდი, სიდნი?

– დაგინახე თუ არა, იმ წუთიდან.

– იცი, ცოლად რატომ გამოგყევი?

– არა. გამბედაობა არ მყოფნიდა, ერთხელ მაინც მეკითხა.

– იმიტომ, რომ ვიცოდი, ყოველთვის მხარში მედგებოდი.

– ხომ ხედავ, როგორ შეცდი, გრეის. თითქმის ერთი წელია, სულ მარტო მყავხარ მიტოვებული. ჯერ ჩემი ავადმყოფობით ჯოჯოხეთი გამოგაცდევინე, ახლა გადაუხდელი სამედიცინო ქვითრების გამო ცხრა ათასი დოლარი ვალად გვაქვს აკიდებული. შენ რომ არ მუშაობდე, ქუჩაში აღმოვჩნდებოდით. მხრებით თქვენ მატარებთ, მის ტებეთს. მე კი, ეტყობა, ჟიგოლოდ ვიქეცი.

– მე ხომ ფულზე არ ვლაპარაკობ.

– ვიცი, რომ ფულს არ გულისხმობდი. მაგრამ იმის განცდა კი უნდა გქონდეს, რომ ფსონს მაინცდამაინც სწორად არ ჩახვედი.

– სინამდვილეში, სიდ, ვალში მე ვარ შენთან. წარმოდგენაც არ გაქვს, რამხელა ვალში – ვერც ვერასდროს მიხვდები. სანამ გიყვარვარ, სანამ შენთვის იმედი არ გამიცრუებია, ყველაფერს გავუძლებ და მოვერევი.

– არ მესმის, რას ამბობ.

– აუცილებელი არცაა, რომ გესმოდეს. გიყვარდე, გულიდან არ ამომიღო – დანარჩენი თავისით მოგვარდება.

აი ასე, უკანასკნელი თვრამეტი საათის განმავლობაში, ჩვენ შორის მეორედ შედგა ეს უცნაური, დამაბნეველი საუბარი. გრეისმა კიდევ ერთხელ მიმანიშნა რაღაც ისეთზე, რასაც სახელს ჯიუტად არ არქმევდა, როგორც ჩანს, რაღაც დაუამებელი ტკივილი სულს უხრავდა. ამ ყველაფერმა და-

უკმაყოფილებლობის განცდა დამიტოვა; თავი უსუსურად ვიგრძენი იმის გამო, რომ დაახლოებითაც ვერ ვხვდებოდი, რას გულისხმობდა. არადა, როგორ სინაზეს ასხივებდა იმ საღამოს, როგორ სიამოვნებდა ჩემგან მზრუნველობის ყოველი უმნიშვნელო ნიშანი, რა ბედნიერი იყო, როცა გვერდით, საწოლთან ვუჯექი. იმ ყველაფრის მერე, რაც შარშან ერთად გადავიტანეთ, იმ სიმყარის, ერთგულების და გამძლეობის შემყურეს, ჩემი ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს რომ გამოამჟღავნა, ვერ წარმომედგინა, ჩემთვის იმედი როგორღა უნდა გაეცრუებინა. რომც გაეცრუებინა, შეყვარებულ კაცს იმდენი ჭკუამჩატობა და ერთგულება კი მქონდა, ყველაფერზე თვალი დამეხუჭა და ეჭვებს არ ავყოლოდი. მინდოდა, სიცოცხლის ბოლომდე მისი ქმარი მრქმეოდა და თუკი ოდესღაც გრეისს სადღაც ფეხი დაუცდა, რაღაც ისეთი ჩაიდინა, რაც მაინცდამაინც არ ეამაყებოდა, მთელი ჩვენი ცხოვრების პერსპექტივაში ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? მისი განსჯა რა ჩემი საქმე იყო. ქმარი ვიყავი მისთვის, ზნეობრივი ქცევის პოლიცია ხომ არა. რაც არ უნდა ჩაედინა, მაინც გვერდში ვედგებოდი. *გიყვარდე, გულიდან არ ამომიღოო*, ხომ მითხრა. ასეთი უბრალო რამე მთხოვა და თავად თუ გადაიფიქრებდა, თორემ მე მის ნება-სურვილს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავემორჩილებოდი.

შვიდის ნახევარი ხდებოდა, როცა გრეისს ჩაეძინა. ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიპარე და წყლის დასალევად სამზარეულოს მივაშურე, თან ვფიქრობდი, რა კარგია, რომ ლილიმ გეგმები შეიცვალა და ღამის გასათენებლად არ გამოჰყვამეთქი. განა რამეს ვერჩოდი გრეისის უმცროს ბიძაშვილს, პირიქით, მის მიმართ ძალიან კარგად ვიყავი განწყობილი, მისი ვირჯინიული აქცენტიც კი მომწონდა, რომელიც, ლი-

ლისგან განსხვავებით, გრეისს თითქმის არ გამოჰყოლია, მაგრამ მასთან მთელი საღამო ტკბილად საუბარს ნამდვილად ვერ შევძლებდი, როცა საძინებელში ავადმყოფი გრეისი მეწვა. მანამდე მეგონა, რომ რაკი მანჰეტენიდან ლილისთან ერთად აპირებდა დაბრუნებას, საღამოს მუშაობა აღარ მეწერა, მაგრამ ახლა, როცა ყველა ვალდებულებისგან თავისუფალი ვიყავი, ხელს აღარაფერი მიშლიდა, შემეძლო ჩემს ლურჯ რვეულს დავბრუნებოდი, რაც სიხარულით გავაკეთე კიდეც. ჯერ ადრიანი საღამო იყო. გრეისს ღრმა ძილით ეძინა. კრეკერებით და სარდინებით წახემსების შემდეგ შიმშილის გრძნობა სულ არ მაწუხებდა – ამიტომ ისევ დერეფნის ბოლო ოთახს მივაშურე, საწერ მაგიდასთან ჩემი ადგილი დავიკავე, ლურჯი რვეული იმ დღეს უკვე მეორედ გადავშალე და დილის ოთხის ნახევრამდე ისე ვიმუშავე, სკამიდან ერთხელაც არ წამოვმდგარვარ.

მაშ ასე, ამასობაში რაღაც დრო კიდევ გავიდა. მეორე ორშაბათს, ბოუენის გაუჩინარებიდან შვიდი დღის თავზე, მისი ცოლი გაუქმებული „ამერიკან ექსპრესის“ საბოლოო ანგარიშს იღებს. ხარჯების ჩამონათვალს ათვალიერებს, ბოლო გვერდს უკანასკნელ ხაზამდე კითხულობს – „დელტა ეარლაინის“ ავიარეისის ბილეთია კანზასამდე, თან ფული წინა ორშაბათსაა გადახდილი – და უცებ ევა ხვდება, რომ ნიკი ცოცხალია, ყოველ შემთხვევაში, იმის შესაძლებლობა, რომ ცოცხალი იყოს, ძალიან დიდია. ოღონდ კანზას-სითი რა შუაშია? ახლა ევა ცდილობს, წარმოიდგინოს, რატომ უნდა გაფრენილიყო მისი ქმარი ისეთ ადგილას, სადაც ნაცნობ-მეგობარი არავინ ჰყავს (არც ნათესავები, არც გამომ-

ცემლობასთან მოთანამშრომლე ავტორები; თითქოს ძველი მეგობრებიც კი არ უნდა ეგულებოდეს). არცერთი შესაძლო მოტივი ევას აზრად არ მოსდის. მის ძველ ეჭვებსაც წყალი უდგება, თითქოს ახლა ნიკი როზა ლეითმანთან ერთად იმყოფებოდეს. გოგონა ნიუ-იორკში ცხოვრობს და თუ ნიკი მასთან ერთად გაქცევას გადაწყვეტდა, მიყრუებულ შუა დასავლეთს რატომ აირჩევდა? რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ როზა ლეითმანი წარმოშობით კანზასიდან იყოს, მაგრამ ევას ეს ვარაუდი მაინცდამაინც ხელმოსაჭიდად არ ეჩვენება.

ახლა აღარც თეორიები შერჩა, აღარც ვარაუდები, რომლებსაც ადამიანი დაეყრდნობოდა და რისხვა, გაავება, ბოლო დღეებში გულ-მუცელს რომ უწვავდა, თანდათანობით უცხრება, ბოლოს კი სულაც უქრება. სიცარიელის და არეულობის შეგრძნებას ახალი განცდა ცვლის, რომელიც ევას ფიქრებს მთლიანად ავსებს: იმედი ან იმედის მსგავსი გრძნობა. ნიკი ცოცხალია, მისი საკრედიტო ბარათით ორი კი არა, ერთი ბილეთია შეძენილი, მაშასადამე, ძალიან დიდია ალბათობა, რომ იქ, სადაც არის, მარტო იყოს. ევა კანზას-სითის პოლიციის განყოფილებაში რეკავს და დაკარგული ადამიანების ძიების განყოფილებასთან დაკავშირებას ითხოვს. ცუდი ისაა, რომ პოლიციის სერჟანტი, რომელიც ზარს პასუხობს, მის დასახმარებლად სულაც არაა განწყობილი. „ქმრები, ქალბატონო, ყოველდღე უჩინარდებიან," – ეუბნება პოლიციელი, – „თუ დანაშაულის ნიშნები არ ჩანს, პოლიცია ვერაფრით დაგეხმარებათ". რა გასაკვირია, ამ დღეებში ნანახმა სიმწარემ და დაძაბულობამ სერჟანტთან საუბრისას იჩინოს თავი: ევა სერჟანტს ცივსისხლიან გარეწარს უწოდებს და ყურმილს უკიდებს. მორჩა, ფიქრობს ევა, კანზას-სითის რეისის ბილეთს იყიდის და ნიკის ძიებას თავად შეუდგება.

მოუსვენრობა, შფოთვა, რომელიც ქალს ეუფლება, იმდენად დიდია, გულხელდაკრეფილს შინ რა დასვამს; ამრიგად, გადაწყვეტილია: საღამოსვე მიემგზავრება.

მერე სამსახურში, საკუთარ კაბინეტში რეკავს, ხმის ავტომატურ ჩამწერზე მდივანს ერთი კვირის სამყოფ მითითებებს უტოვებს, უხსნის, რომ სასწრაფოდ მოსაგვარებელი ოჯახური საქმე გამოუჩნდა. „ქალაქიდან რამდენიმე დღით გამგზავრება მომიწევს," – ამბობს ყურმილში, – „მაგრამ ტელეფონით დაგიკავშირდებით ხოლმე". იმ პოლიციელს თუ არ ჩავთვლით, რომელმაც მისი დახმარება არ ისურვა, დღემდე ნიკის გაუჩინარების შესახებ სიტყვა არავისთან დასცდენია. საკუთარ მეგობრებს და თანამშრომლებს არაფერს ეუბნება, ნიკის მშობლებთან ამ თემაზე დალაპარაკებაც კი შეუძლებლად ეჩვენება. არც მაშინ ტყდება, როცა, სამშაბათს, მისი ქმრის სამსახურიდან რეკავენ იმის გასარკვევად, სად არის ნიკი. ევა პასუხობს, ნიკს კუჭ-ნაწლავის უძლიერესი ვირუსი შეეყარა და ფეხზე ვერ დგება, ლამის უგონო მდგომარეობაშიაო. მომდევნო ორშაბათს, როცა, წესით და რიგით, ნიკი გამოჯანმრთელებული უნდა იყოს და სამსახურს უნდა დაუბრუნდეს, ევა ქმრის თანამშრომლებს ატყობინებს, ნიკი გამომჯობინდა, მაგრამ ახლა დედამისი დაეცა ცუდად ბოსტონში, ნიკს საავადმყოფოში მოუწევს მისი დაწვენაო. ეს ტყუილები თავდაცვის ხერხია – დაბნეულობით, დამცირების შიშით გამოწვეული. აბა, რანაირი ცოლი ჰქვია, თუ ქმრის საქმეებში არაა ჩახედული, თუკი იმასაც ვერ მიმხვდარა, რატომ განიზრახა ქმარმა ასე მოულოდნელად გამგზავრება? სიმართლის რკვევა დიდხანს მოუწევს, ამიტომ ჯერ არ ტყდება, რომ ნიკი გაექცა და მიატოვა. ჯერჯერობით ძალიან ძნელია ამის აღიარება.

მაშ ასე, ევა ნიკის რამდენიმე ბოლოდროინდელ ფოტოსურათს არჩევს, ტანისამოსს პატარა ჩემოდანში აწყობს და ლა გარდიას აეროპორტისკენ მიემართება, სადაც ათისნახევრიან რეისზე ერთი ბილეთი წინდაწინ აქვს დაკვეთილი. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა თვითმფრინავი კანზასის აეროპორტში ეშვება, ევა ტაქსის აჩერებს, მძღოლს სთხოვს, კარგი სასტუმრო ურჩიოს და თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს კითხვას, რომელიც წინა კვირას ნიკმა ედ ვიქტორის დაუსვა. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ევა *საუკეთესოს* კი არა, *კარგ* სასტუმროს ეძებს, დანარჩენი წვრილმანები, მძღოლის პასუხის ჩათვლით, თითქმის ერთი ერთზე მეორდება. ტაქსი ევას „ჰაიათისკენ“ მიაქროლებს და ისე, რომ წარმოდგენაც არ აქვს, რამდენად იმეორებს საკუთარი ქმრის მიერ გავლილ გზას, ევა სასტუმროში ბინავდება... ევა ის ქალი არ არის, ფული ტყუილ-უბრალოდ ფლანგოს, ამიტომ პატარა, ერთსაწოლიან ნომერს ითხოვს – და მაინც, ოთახს მასაც მეათე სართულზე აძლევენ, დერეფნის მეორე ბოლოში, იმ ნომრის მოპირდაპირე მხარეს, სადაც ნიკმა ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ ორი ღამე გაატარა. მისი ოთახი ოდნავ სამხრეთითაა, თორემ, სხვა მხრივ, ევას ფანჯრებიდანაც ქალაქის იგივე ხედი მოჩანს, ნიკი რომ უმზერდა აქ ყოფნისას – შენობების იგივე განლაგება, ქუჩებისა და ტრასების იგივე ქსელი, იგივე ცა, ქალაქის თავზე გაწოლილი ღრუბლებიანად – ხედი, რომელსაც ფანჯარასთან მდგარი ნიკი როზა ლეითმანს აღუწერდა, სანამ ანგარიშის მოსვლას დაასწრებდა და სასტუმროდან ჩუმად გაიპარებოდა.

ევას უცხო საწოლში ცუდად სძინავს, ყელი უშრება, ღამის განმავლობაში სამჯერ ან ოთხჯერ მაინც დგება და სააბაზანოში შედის; ყოველ ჯერზე თითო ჭიქა წყალს სვამს, ციფრული საათის წითლად ანთებულ დანაყოფებს

შესაქერის, ჭერში დატანებული საჰაერო ხვრელების დუდუნს უგდებს ყურს. ხუთი საათისთვის თვლემა ეპარება, სამიოდე საათი ღრმა ძილით სძინავს, მერე ოთახების მომსახურების სერვისს საუზმეს უკვეთავს. ათის თხუთმეტ წუთზე უკვე შხაპიც გადავლებული აქვს, ტანზეც აცვია, მაგარი შავი ყავით გულიც მოუმაგრებია და ნომრიდან გადის. ახლა ლიფტით პირველ სართულზე ჩავა, ლიფტიდან გარეთ, ქუჩაში გააბიჯებს, რათა ქმრის ძებნას შეუდგეს. ევა იმ რამდენიმე ფოტოსურათის იმედადაა, ხელჩანთაში რომ უწყვია. ქალაქის ქუჩებში ივლის და ამ ფოტოებს გამვლელ-გამომვლელს, რაც შეიძლება, მეტ ადამიანს უჩვენებს. ჯერ სასტუმროებით და რესტორნებით დაიწყებს, მერე ტანსაცმლის და სურსათის მაღაზიებს დაივლის, ტაქსოპარკების თანამშრომლებს გამოჰკითხავს, დაწესებულებებს შემოირბენს – ვინ მოთვლის, კიდევ რას იზამს, ოღონდ კი ვინმემ მისი ქმარი იცნოს და ევა სწორ კვალზე დააყენოს. თუ პირველი დღე შედეგს არ მოიტანს, მაშინ ამ ფოტოების ასლებს გააკეთებინებს და მთელ ქალაქში გააკრავს – განათების ბოძებზე, კედლებზე, ტელეფონის ჯიხურებზე. ერთ ფოტოს „კანზას სითი სთარშიც“ დააბეჭდინებს, თუმცა მარტო ამ გაზეთში არა, ყველა გამოცემაში, რომელიც ქალაქის მიდამოებში იყიდება. დგას ევა ლიფტში, ლიფტი პირველი სართულისკენ მისრიალებს და სანამ ვესტიბიულში აღმოჩნდება, გუნებაში იმ ტექსტს ადგენს, განცხადებას რომ უნდა დაურთოს: *დაიკარგა,* ან: *ეს ადამიანი ხომ არსად შეგხვედრიათ?* ფოტოს ქვეშ კი – ნიკის ასაკი, წონა და თმის ფერი იქნება მითითებული, შემდეგ – საკონტაქტო ნომერი და მპოვნელისათვის თუ ცნობის მომწოდებლისათვის გასამრჯელოს შეპირება. ევას ჯერ არ გადაუწყვეტია, რა ოდენობის უნდა იყოს ეს გასამრჯელო

და სწორედ ამ ფიქრებშია, როცა ლიფტის კარი იღება. ათასი დოლარი? იქნებ ხუთი ათასი? ათი ათასი?... „თუ ეს სტრატეგია არაფერს მოიტანს," – ფიქრობს თავისთვის, – „მაშინ ძიების მომდევნო ეტაპზე გადავალ და კერძო დეტექტივს დავიქირავებ. რომელიმე ყოფილ პოლიციელს კი არა, გამომძიებლის ლიცენზია ლამის თავისთავად რომ ერგო; არა, ნამდვილ ექსპერტს, ადამიანს, რომელსაც ამ სამყაროს გაუჩინარებული, აორთქლებული, დღისით, მზისით გამქრალი შვილების ძიებაზე ჭიპი აქვს მოჭრილი".

ვესტიბიულში სამი წუთის გამოსული არ იქნება, რომ უკვე პატარა სასწაული ხდება. რეგისტრაციის განყოფილებაში მორიგე კლერკს ნიკის ფოტოს უჩვენებს და ისიც – ქერა, თეთრად მოელვარეკბილებიანი ახალგაზრდა ქალი – მაშინვე თავს უქნევს. ამას სასტუმროს სარეგისტრაციო ჩამონათვალში ქექვა მოსდევს და ნიკ ბოუენის შესახებ ჩანაწერი, 1982 წლის ნელი კომპიუტერების კვალობაზეც კი, უსწრაფესად იძებნება. იქვე ირკვევა, რომ ბოუენს სასტუმროში ორი დღე და ორი ღამე გაუტარებია და ისე გაუჩინარებულა, ფულის გადახდა არც უფიქრია. ჩანაწერს თან მისი საკრედიტო ბარათის მონაცემებიც ახლავს, მაგრამ „ამერიკან ექსპრესის" სისტემაში შემოწმებისთანავე ირკვევა, რომ ეს ბარათი უკვე გაუქმებულია. ევა მენეჯერთან შეხვედრას ითხოვს, ნიკის მაგიერ ფულის გადახდას აპირებს და როცა მენეჯერის ოთახში საკუთარ, ვარგის ბარათს იღებს და მოხელეს უწვდის, რათა ქმრის მიერ დატოვებული ვალი დაფაროს, მოულოდნელად გრძნობა ერევა, ტირილს ველარ იკავებს, ცრემლებად იღვრება, ნიკის გაუჩინარების შემდეგ პირველად ტირის დაუფარავად. გრძნობების ასეთი მოუთოკავი, ქალური გამომზეურების შემყურე მისტერ ლოიდი თავს უხერხულად

გრძნობს, მაგრამ მომსახურების სფეროს პროფესიონალი ვეტერანი თავის საქმეს ძარღვის აუტოკებლად აკეთებს და მისის ბოუენს ნებისმიერ დახმარებას ჰპირდება. რამდენიმე წუთის შემდეგ ევა ისევ მეათე სართულზე ბრუნდება. ახლა მექსიკელ მოახლეს ესაუბრება, რომელსაც 1046-ე ოთახის დალაგება ევალება. ქალი ატყობინებს, სასტუმროში ყოფნის ბოლო წუთამდე ნიკს სახელურზე „ნუ შეგვაწუხებთ“ წარწერა ჰქონდა გამოკიდებული და ამიტომ ის, ვინც ნომერში ცხოვრობდა, ერთხელაც არ მინახავსო. კიდევ ათი წუთი და ევა უკვე სასტუმროს სამზარეულოშია, ოთახების მომსახურების ოფიციანტს, ლეროი უოშინგტონს ელაპარაკება – კაცს, რომელსაც ნიკთან შეკვეთილი საჭმელი აჰქონდა ხოლმე. ლეროი ევას ფოტოებზე გამოსახულ მამაკაცს მაშინვე სცნობს და არც იმის თქმა ავიწყდება, რომ მისტერ ბოუენი ფეხის ქირას ერთობ გულუხვად უხდიდა, თუმცა სიტყვაძუნწი კი იყო და „ღრმად ჩაფიქრებული“ კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა. ახლა ევა ეკითხება, მარტო იყო ნიკი თუ ქალთან ერთადო. მარტოო, პასუხობს ლეროი უოშინგტონი. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ქალი სააბაზანოში ან ტუალეტში დაემალა, მაგრამ საჭმელს ყოველთვის ერთი ადამიანისთვის უკვეთდა, დილაობითაც საწოლის მხოლოდ ერთი მხარე ხვდებოდა აშლილი.

ახლა, როცა ნიკის სასტუმროს დავალიანება გადაიხადა, თან თითქმის დარწმუნებულია, რომ მისი ქმარი სხვა ქალთან ერთად არ გაქცეულა, ევა თავს ისევ სრულუფლებიან ცოლად გრძნობს – ცოლად, რომელიც ქმრის საპოვნელად უკან არაფერზე დაიხევს: ყველაფერს იღონებს, მაგრამ საკუთარ ქორწინებას მაინც გადაარჩენს. „ჰაიათ რიჯენსის“ სხვა თანამშრომლების გამოკითხვას ხელმოსაჭიდი არაფერი მოაქვს.

რა გამოიცნობს, საით წავიდა ნიკი, როცა სასტუმროდან ქუჩაში გააბიჯა, მაგრამ ევას მხნეობა და გამბედაობა მაინც ემატება, რადგან იცის, რომ ნიკი იქ იყო, სადაც ახლა თავად იმყოფება. თითქოს ეგ იმის ნიშანი შეიძლება იყოს, რომ მისი ქმარი სადღაც შორიახლო ტრიალებს, არადა, ერთსა და იმავე სასტუმროში მათი გაჩერება მხოლოდ დამთხვევა იყო – სივრცითი თანხვედრა, რომელიც ევას მის ძიებაში ბევრს ვერაფერს შემატებს.

და მართლაც, ქუჩაში გასულს უიმედობის განცდა ახალი ძალით უბრუნდება და გულს უსერავს. იმ ფაქტს ხომ მაინც ვერაფერი შეცვლის, რომ ნიკი სიტყვის უთქმელად წავიდა სახლიდან – ცოლიც, სამსახურიცა და სხვა დანარჩენიც, რაც ნიუ-იორკში მისი ცხოვრების ნაწილი იყო, დაუნანებლად მიატოვა. ამის ერთადერთ ახსნად ახლა ევას ის ეჩვენება, რომ ნიკს, როგორც ჩანს, ძლიერი ნერვული კრიზისი ჰქონდა. მაშ, გამოდის, სანამ მასთან ერთად ცხოვრობდა, მისი ქმარი უბედური იყო, ასე არ არის? ნუთუ სწორედ ევაა მიზეზი, რომელმაც ნიკს თავზეხელაღებული ნაბიჯი გადაადგმევინა და სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა? „დიახ," – პასუხობს ევა საკუთარ თავს, – „ალბათ მე ვიყავი". ქალს ყველაზე დიდ საშინელებად ის ეჩვენება, რომ ახლა ნიკს გროში არ აბადია. უბედური, სანახევროდ შეშლილი მისი ქმარი უცხო ქალაქში ჯიბეგაფხეკილი დაეხეტება. ასე რომ მოხდა, მისი, ევას ბრალიცაა, ყველაფერი, ამოდენა ბედის უკუღმართობა სულ მისი მიზეზით ხდება.

ესეც იმავე დილის ამბებია: სანამ ევა ამ უცხო ქალაქს უშედეგოდ უვლის, გაკითხვა-გამოკითხვას არ ეშვება, კანზასსითის ცენტრში რესტორანს და მაღაზიას არ ტოვებს, როზა ლეითმანი თვითმფრინავში ზის და ნიუ-იორკისკენ მიფრინავს.

ჩელსიში, თავისი ბინის კარს დღის პირველ საათზე აღებს და პირველი, რასაც ხედავს, ზღურბლთან დაგდებული ქაღალდის ნაგლეჯია – ევას წერილი. წაკითხულით გაოგნებული, წერილის ტონით შეშფოთებული, ჩანთას იქვე, კართან აგდებს და ევას მიერ მითითებული ორი ნომრიდან რეკვას პირველზე იწყებს. ბეროუ სტრიტზე მის ზარს არავინ პასუხობს და როზა ხმის ჩამწერზე შეტყობინებას ტოვებს, წერილის დამწერს უხსნის, რომ რამდენიმე დღე ქალაქში არ იმყოფებოდა, მაგრამ ახლა სახლის ნომერზე მის ზარს აუცილებლად უპასუხებს. მერე ევას სამსახურში რეკავს. მდივანი ეუბნება, რომ მისის ბოუენი მივლინებაშია, მაგრამ დღის მეორე ნახევარში მისი ზარის შესახებ აუცილებლად შეატყობინებენ. როზა შეფიქრიანებული და დაბნეულია. ნიკ ბოუენს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეხვდა და მასზე თითქმის არაფერი იცის. ჰო, მის კაბინეტში საუბარი არაჩვეულებრივად სასიამოვნოდ წარიმართა, ფიქრობს ახლა როზა, ისიც აშკარად იგრძნო, რომ ნიკ ბოუენს ძალიან მოეწონა (ეს მის თვალებში ამოიკითხა, მისმა დაჟინებულმა მზერამ მიახვედრა), თუმცა კაცი ძალიან თავშეკავებით, ჯენტლმენურად იქცეოდა, თითქოს თავს შორსაც კი იჭერდა. იმდღევანდელი შთაბეჭდილებაც ახსოვს: აგრესიული შემოტევა ამ კაცისთვის უცხო უნდა ყოფილიყო, უბედურ ადამიანს უფრო ჰგავდა, თითქოს სევდის ხილული ჩრდილი სდევდა. „მაშ, ცოლი ჰყოლია“, – ფიქრობს როზა, – „ესე იგი, ჩვენ შორის ზღვარიც გაივლო, მასზე ფიქრს აზრი არ ჰქონია“. დასანანია: რაღაც ჰქონდა ისეთი, რაც როზას გულს ეხმიანებოდა, სასიამოვნო განცდას აღუძრავდა.

გოგონა სამგზავრო ჩანთიდან ნივთების ამოლაგებას იწყებს, თან, სანამ ხმის ავტომატურ ჩამწერს ჩართავდეს, ცალი თვალით ფოსტას ათვალიერებს. ჩამწერის ღილაკს პირ-

ველად რომ აჭერს, სადაცაა, ორი საათი შესრულდება. მაშინვე ბოუენის ხმა ესმის, რომელიც სიყვარულში უტყდება და კანზას-სითიში მასთან ჩასვლას სთხოვს. დგას როზა გაშეშებული, ნიკის ხმას გაოგნებული უსმენს. რაც ესმის, იმდენად უცნაურად ეჩვენება, რომ როცა ჩანაწერი სრულდება, უკან ორჯერ ახვევს და თავიდან უსმენს. ედ ვიქტორის ნომრის სწორად ჩაწერაც ვერ მოუხერხებია, იმის მიუხედავად, რომ ციფრები ერთმანეთს კლებადობით მისდევს, რის გამოც შეუძლებელია ადამიანს ნომერი ზეპირად არ დაახსომდეს. მერე ცდუნება იპყრობს, ხმის ჩამწერი გამორთოს და მაშინვე კანზას-სითიში დარეკოს, მაგრამ მალევე ხვდება, რომ ჯერ დანარჩენი თოთხმეტი ჩანაწერის მოსმენა სჯობს – ხომ შეიძლება, ნიკს კიდევ ერთხელ დაერეკა. ასეც იქცევა და ვარაუდი უმართლდება. ერთხელ პარასკევს დაურეკავს, ერთხელაც – კვირას. „იმედი მაქვს, იმდღევანდელმა ჩემმა გზავნილმა არ დაგაფრთხოთ," – ასე იწყება მეორე ჩანაწერი, – „მაგრამ თითოეულ იმ სიტყვას დღესაც გაგიმეორებდით. თქვენზე ფიქრი არ მშორდება. ჰო, ფიქრებით სულ თქვენთან ვარ და მართალია, როგორცა ჩანს, თქვენი დუმილი იმის ნიშნად უნდა მივიღო, რომ ჩემ მიმართ ინტერესი სრულებით არ გაქვთ – სხვა რა ვიფიქრო? – მადლობელი დაგრჩებით, თუ მაინც დამირეკავთ. სხვა თუ არაფერი, ბებიათქვენის წიგნზე ხომ მაინც გვაქვს სალაპარაკო. ედის ნომერზე დარეკეთ, წინა ჯერზე რომ დაგიტოვეთ: 816-765-4321. სხვათა შორის, ციფრების თანმიმდევრობა შემთხვევითი არ ყოფილა. ედმა ეგ ნომერი შეგნებულად მოითხოვა. როგორც ამბობს, მეტაფორაა – რისი, ეგ ჯერ არ ვიცი. ასე მგონია, ედს უნდა, რომ მე თვითონ მივხვდე". უკანასკნელი ჩანაწერი ამ სამიდან ყველაზე მოკლეა და კარგად ჩანს, რომ ნიკს მისი ხმის გაგონების

იმედი ეწურება. „მე ვარ," – ამბობს ამ ბოლო შეტყობინებაში, – „ეს ჩემი უკანასკნელი მცდელობაა. გთხოვთ, დამირეკეთ. ის მაინც მითხარით, რომ ჩემთან სალაპარაკო არაფერი გაქვთ".

როზა ედ ვიქტორის ნომერს კრეფს, მაგრამ ხაზის მეორე ბოლოს ყურმილს არავინ იღებს. ტელეფონი რეკავს და რეკავს და როზა ასკვნის, რომ, როგორც ჩანს, ედ ვიქტორის ძველი აპარატი უდგას, ავტომოპასუხეები რომ არ აქვთ, ისეთი. როზა ყურმილს კიდებს, საკუთარ გრძნობებს ჯერ არ უღრმავდება (ისედაც უჭირს გაერკვეს, რას გრძნობს), მაგრამ დარწმუნებულია, რომ ამიერიდან ნიკის მიმართ რაღაც ზნეობრივი ვალდებულება აქვს. რადაც უნდა დაუჯდეს, ხმა უნდა მიაწვდინოს, რაც მალე, მით უკეთესი. ჯერ ტელეგრამის გაგზავნას ფიქრობს, შემდეგ კანზას-სითის სააბონენტო ბიუროში რეკავს და ედ ვიქტორის მისამართს ითხოვს, მაგრამ ოპერატორი ატყობინებს, რომ ასეთი ნომერი რეგისტრირებულ ნომერთა სიაში არაა შეტანილი, რაც ალბათ იმას ნიშნავს, რომ ოპერატორს ამგვარი ინფორმაციის გაცემის უფლება არ აქვს. მერე ევას სამსახურში ხელახლა რეკავს, მაგრამ მდივანი ქალი ეუბნება, რომ ევა ჯერ არ გამოჩენილა. ეს არის და ეს. ამის შემდეგ ევა კანზას-სითიში მისი ოჯახის დრამატული ამბებით იმდენად იქნება დაკავებული, რომ სამსახურში დარეკვა რამდენიმე დღე აღარ გაახსენდება, ხოლო როცა დარეკავს, როზა ქალაქში აღარ დახვდება: გოგონა უკვე კანზასისკენ მიმავალ „გრეიჰაუნდის" ავტობუსში იჯდება. კანზას-სითიში რა ესაქმება, რატომ მიდის? იმიტომ რომ მანამდე, რამდენიმე დღის განმავლობაში, ედ ვიქტორისთან ასჯერ მაინც დარეკა, მაგრამ მისთვის ერთხელაც არ უპასუხიათ; იმიტომ, რომ ნიკი მეტად აღარ შეხმიანებია და როზა ამას უბედურების უტყუარ ნიშნად თვლის – სერიოზული, სიცოცხლისათვის

სახიფათო უბედური შემთხვევის ნიშნად; იმიტომ, რომ გოგონა ახალგაზრდაა, თავგადასავლები, ავანტიურა იზიდავს, თან ამჟამად უმუშევარია (სამუშაოსა და სამუშაოს შორის თავისუფალ მხატვარ-ილუსტრატორს მაინც ასე იხსენიებენ); და ალბათ – თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია – სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანმა ამბავმაც იმოქმედა: მამაკაცმა, რომელსაც თითქმის არ იცნობს, გული გაუხსნა და გრძნობა გაუმხილა, გამოუტყდა, რომ დღე და ღამე მასზე ფიქრობს – თურმე რა შეძლებია: უცნობ მამაკაცს თავი ერთი ნახვით შეაყვარა.

მერე, როცა წინა ოთხშაბათს დავუბრუნდი, იმ საღამოს, ბოუენმა რომ ედ ვიქტორის სახლის კიბე აიარა, დღის ბოლოს კი ისტორიული ძეგლების დაცვის ბიუროში თანაშემწედ მუშაობის შეთავაზება მიიღო, მივხვდი, რომ ჩემი ფლიტკრაფტის დღის მონარჩენიც უნდა აღმეწერა.

მაშ ასე, ედი შარვლის ღილებს იკრავს, ნახევრად ჩამწვარ „პელ-მელს“ აქრობს და კიბეზე ნიკთან ერთად ჩადის. ადრიანი გაზაფხულის სუსხიანი საღამოა. ნიკი და ედი ცხრა თუ ათ კვარტალს გაივლიან, ჯერ მარცხნივ შეუხვევენ, მერე მარჯვნივ, უკაცრიელი, მიტოვებული ქუჩების უსასრულო ბადეს მიუყვებიან, სანამ მდინარის პირას მიტოვებული საწყობის ეზოს არ მიადგებიან. მდინარე ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს, ერთი მხარე კანზასს ეკუთვნის, მეორე – მისურის. არ ჩერდებიან, გზას აგრძელებენ, სანამ სანაპიროს არ მიადგებიან. დამხმარე ნაგებობები აღარ ჩანს, ირგვლივ მხოლოდ გაუქმებული სარკინიგზო ხაზები, რელსების ათიოდე რიგი და აქეთ-იქით, ხრეშზე და ტალახში მიყრილ-მოყრილი პალოებია. რელსების პირველ რიგს რომ გადაალაჯებენ,

მდინარის მხრიდან ძლიერი ქარი შემოუბერავთ და ნიკს უნებურად იმ ორშაბათი დღის ქარი ახსენდება, მთელ ნიუ-იორკს რომ აწიოკებდა, სანამ სახლის ფასადს ბარელიეფის ნაწილი არ მოაგლიჯა – ქვის თავი, რომელმაც ნიკი კინაღამ იმ ქვეყანას გაისტუმრა. დიდხანს სიარულისგან აქოშინებული ედი უეცრად მესამე რიგთან ჩერდება და ხელს მიწისკენ იშვერს. ხრეშში საღებავგადაცლილი, გახუნებული ოთხკუთხედი ფიცარი მოჩანს, რომელიც პატარა ასახდელ კარს ჰგავს და იქაურ გარემოს იმდენად ბუნებრივად ერწყმის, ნიკი თავისით ვერასდროს შეამჩნევდა. „ერთი ამას მოქაჩე და განზე გადადე, თუ შეიძლება," – სთხოვს ედი, – „მე თვითონ ვიზამდი, მაგრამ ამ დღეებში ისე გავსუქდი, მეშინია, რომ დავიხრები, ზედ არ დავემხო".

ნიკი ახალი დამქირავებლის თხოვნას ასრულებს და წუთიც არაა გასული, რომ მასთან ერთად ცემენტის კედელზე მიმაგრებულ რკინის კიბეს ქვემოთ მიუყვება. მიწის ზედაპირიდან თორმეტი ფუტით დაბლა ჩადიან. ღიად დატოვებული კარიდან დღის შუქი აღწევს და ნიკი ხედავს, რომ ვიწრო დერეფანში, რკინის კარის წინ დგანან, რომელსაც არც სახელური აქვს, არც რამ მოსაჭიდი, მხოლოდ ზედ დადებული ბოქლომი ჩანს მარჯვენა მხარეს, მკერდის სიმაღლეზე. ედი ჯიბიდან გასაღებს იღებს და ბოქლომს ქვემოდან არგებს. ზამბარიანი მექანიზმი მისი ხელის მოძრაობას ემორჩილება, ედი ბოქლომს ხსნის და მერე პირშეუკრავს რაზის უხეშად გამოჩორკნილ ნახვრეტში ტოვებს. „რა ზუსტი, გაწაფული მოძრაობებია," – ფიქრობს ნიკი, – „რასაკვირველია, ეს კაცი ამ ბნელი მიწისქვეშა სამალავის ხშირი, შესაძლოა, ყოველდღიური სტუმარი იყო, ალბათ, არაერთი წლის განმავლობაში". ამასობაში კი ედი კარს სულ ოდნავ აწვება და

როცა კარი ბოლომდე იღება, ნიკს ისეთი სიბნელე ეჯახება, თვალი ვერაფერს არჩევს, მაგრამ მერე ედ ვიქტორი ზღურბლზე გადააბიჯებს და რამდენიმე წამში ნიკს შუქის ჩამრთველის გაჩხაკუნება ესმის, ჯერ ერთის, მერე – მეორის, მესამის, ალბათ მეოთხისაც. ჭერში რამდენიმე ფლუოროსცენტული პანელი ერთიმეორის მიყოლებით ინთება, გაბმულ ზუზუნს იწყებს. ნიკი საკმაოდ მოზრდილ, საწყობად ჩაფიქრებულ სარდაფში დგას. მიწისქვეშა ოთახი ორმოცდათი ოცდაათ ფუტზე ფართობისა მაინც იქნება. სარდაფს მთელ სიგრძეზე რკინის სტელაჟები მიუყვება. იატაკიდან ჭერამდე (დაახლოებით ცხრა, ზოგან ათი ფუტის სიმაღლის) ერთნაირ რიგებად აყუდებული ეს სტელაჟები მთელ სივრცეს ავსებს, ყოველი მათგანი ჭერს ებჯინება. ბოუენს ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს რომელიღაც გასაიდუმლოებული ბიბლიოთეკის საცავში აღმოჩნდა, აკრძალულ წიგნებს შორის და განდობილთა გარდა, არავის აქვს მათი კითხვის უფლება.

– ესეც ისტორიულ ძეგლთა დაცვის და მოვლის ბიურო, – ამბობს ედი და ნიკს ხელის აქნევით დასათვალიერებლად იწვევს, – ხელით არაფერს შეეხოთ. თვალიერებით კი ათვალიერეთ, რამდენიც გენებოთ.

მოვლენები ისე უცნაურად ვითარდება, იმდენად განსხვავდება ყველაფრისგან, რის ნახვასაც ნიკი მოელოდა, რომ ახლა დაახლოებითაც ვეღარ ხვდება, რა ელის, რა სამუშაოა მისთვის გამზადებული. პირველივე სტელაჟთან მიდის და რას ხედავს: თაროები სატელეფონო ცნობარებითაა გაძეძგილი. თითოეულ მათგანზე ასობით ცნობარი აწყვია, ანბანური თანმიმდევრობით, ქალაქების სახელების მიხედვით; თითქოს სტელაჟებზე ქრონოლოგიური პრინციპითაა დაწყობილი. ნიკი იმ რიგთან დგას, რომელიც ბალტიმორით იწყება და ბოსტო-

ნით მთავრდება. ახლა ყდებსა თუ ყუებზე მიწერილ თარიღებს აკვირდება და ხედავს, რომ ბალტიმორის ცნობარების პირველი ეგზემპლარი 1927 წლითაა დათარიღებული. მერე შიგადაშიგ რამდენიმე წელი გამოტოვებულია, თუმცა, 1946 წლით დაწყებული იმწლევანდელით, 1982 წლისათი დამთავრებული, კოლექცია სრულადაა წარმოდგენილი. პირველი ბოსტონური ცნობარი უფრო ძველიც კია, ყდას 1919 წელი აწერია, მაგრამ გამოტოვებული წლები აქაცაა. ასე გრძელდება იმავე 1946 წლამდე, ამის მერე კი თაროს არცერთი წლის ცნობარი არ აკლია. დასკვნების გასაკეთებლად, რა თქმა უნდა, მწირი ინფორმაციაა, მაგრამ ნიკი მაინც ფიქრობს, რომ ედმა ამ ცნობარების შეგროვება ალბათ 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ დაიწყო. ეს სწორედ ის წელიწადია, როცა ბოუენი ქვეყნიერებას მოევლინა. ჰო, არაფრისმომტან და როგორც ჩანს, უაზრო საქმიანობაში ოცდათექვსმეტი წელი გალია ედმა – ზუსტად იმდენი, რამდენიც ნიკს აქვს უკან მოტოვებული.

ატლანტა, ბაფალო, ცინცინატი, ჩიკაგო, დეტროიტი, ჰიუსტონი, კანზას-სითი, ლოს-ანჯელესი, მაიამი, მინეაპოლისი, ნიუ-იორკის ხუთი რაიონი, ფილადელფია, სენტ ლუისი, სანფრანცისკო, სიეტლი – ამერიკის ყველა მეგაპოლისი, ამათ გარდა, ათობით პატარა ქალაქი, ალაბამას მიყრუებული საგრაფოები, კონექტიკუტის მომცრო ქალაქები, მეინის შტატის კანტიკუნტად დასახლებული ტერიტორიები. თუმცა ცნობარების გეოგრაფია მხოლოდ ამერიკით არ ამოიწურება. ორ რიგად შევსებული, ჭერს მიბჯენილი ოცდაოთხი რკინის სტელაჟიდან ოთხი უცხო ქვეყნების დიდ და პატარა ქალაქებს ეთმობა. ეს არქივები იმდენად სრული, ისეთი მონდომებით შევსებული არაა, როგორც ამერიკული ცნობარების კოლექცია,

მაგრამ კანადასთან და მექსიკასთან ერთად, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა თუ ქალაქების უმეტესობას მოიცავს. აქაა ლონდონი, სტოკჰოლმი, პარიზი, მიუნხენი, პრაღა, ბუდაპეშტი. მისდა გასაკვირად, ნიკი 1937/38 წლების ვარშავის სატელეფონო ცნობარსაც პოულობს: *Spis Abonentów Warszawskiej Sieci Telefonów*. ცდუნებას ებრძვის, სხვა წიგნებს შორის ჩაჭედილი პოლონური ცნობარის გამოძრობა სურს, ფიქრობს, რომ ალბათ ყველა ებრაელი, ვისი გვარიც მასშია შეტანილი, დიდი ხნის წინ დაიღუპა – უფრო სწორად, დახოცეს – დიდი ხნით ადრე, სანამ ედი თავისი კოლექციის შეგროვებას დაიწყებდა.

ეს შემოვლა დაახლოებით ათ-თხუთმეტ წუთს გრძელდება. რომელ თაროსაც არ უნდა მიადგეს ნიკი, ედი მზერით მისდევს და თვალს ოდნავ ირონიული ღიმილით ადევნებს; კმაყოფილია, რომ სტუმრის გაოცება მოახერხა. ბოლოს, როცა ოთახის სამხრეთ კედელთან უკანასკნელ სტელაჟს მიადგებიან, ედის ხმა ისმის:

– ჰოო, შეფიქრიანდა კაცი. ალბათ ფიქრობს, ეს რა ჯანდაბაო, ნეტა რა შარში გავყავი თავიო. ხომ მართალი ვარ?

– დიახ, შეიძლება ასეც ითქვას, – პასუხობს ნიკი.

– აბა, რამე ახსნა თუ მოგეძებნებათ? თუ გაოგნებისგან ფიქრის უნარი დაკარგეთ?

– თავს ვერ გამოვიდებ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ყველაფერი თქვენთვის გაცილებით მეტია, ვიდრე თამაში. აი, ამდენს კი მივხვდი. ის კაცი არ ჩანხართ, საგნების შეგროვებას რომ კოლექციონერული გატაცების გამო იწყებს. ბოთლის თავსახურები, სიგარეტის ყუთები, სასტუმროს საფერფლეები, შუშის ფიგურები, სპილოები – რამდენ ნაგავს აგროვებს ხალხი, ამ სისულელეზე რამდენ დროს

კარგავს. მაგრამ ეს სატელეფონო ცნობარები არც ნაგავია და არც სისულელე. ესენი აშკარად რაღაცას ნიშნავენ თქვენთვის.

– ეს ოთახი მთელ სამყაროს იტევს, – ამბობს ედი, – ყოველ შემთხვევაში, მის რაღაც ნაწილს მაინც – ცოცხალთა და მკვდართა სახელებს. „ისტორიული ძეგლების შენახვის და მოვლის ბიურო“ ხსოვნის სახლია, თუმცა მარტო ეს არაა: დღევანდელი დღისათვის აგებული ტაძარიცაა. როცა ამ ორ დანიშნულებას აერთიანებ, თავს ერთ ადგილას უყრი, გრძნობ, რომ ადამიანთა მოდგმის დასასრული არ დამდგარა.

– მგონი, მაინცდამაინც ვერ გაგიგეთ.

– დასასრული რაცაა, მე უკვე ვნახე. მეხდაცემული კაცი ვარო, ხომ ამბობთ. მაშინ, წესით, უნდა გამიგოთ. ჯოჯოხეთის ფაშვში ჩავედი, დასასრული ვნახე და გარეთ გამოვაღწიე. თქვენც რაღაც ამგვარი გზა გამოგივლიათ, ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს, კიდევ რამდენ წელიწადს იცოცხლებთ. თქვენი ნაწილი ამიერიდან ყოველთვის მკვდარი იქნება.

– ეგ როდის მოხდა?

– 1945 წლის აპრილში. ჩემი შენაერთი გერმანიაში იბრძოდა. დახაუ სწორედ ჩვენ გავათავისუფლეთ. სამი ათასი სულგაუცლელი ჩონჩხი დაგვხვდა იქ. ამგვარი ფოტოები ალბათ ნანახი გექნებათ, მაგრამ იმას, რაც იქ ხდებოდა, ფოტო დაახლოებითაც ვერ გაგრძნობინებს. იქ თვითონ უნდა შედგა ფეხი, ის სუნი შეიყნოსო; იქ უნდა იყო, ხელით შეიგრძნო. ეს ყველაფერი ადამიანებს სხვა ადამიანებმა უყვეს და ამას მშვიდი სინდისით აკეთებდნენ. აი, ეს იყო კაცობრიობის აღსასრული, ბატონო ჩემო. მაშინ იყო, რომ ღმერთმა ჩვენგან პირი იბრუნა; ჩვენგან და მთელი სამყაროსგან და სამუდამოდ მიგვატოვა. მე ამ ამბავს პირადად შევესწარი.

– დახაუში რამდენ ხანს დარჩით?

– ორი თვე. მზარეული ვიყავი. გადარჩენილი ტყვეებისთვის საჭმელს ვაკეთებდი. დარწმუნებული ვარ, სადმე მაინც გექნებათ წაკითხული, რაც ბანაკების ყოფილ ტუსაღებს ემართებოდათ: ზოგიერთი ჭამდა, ჭამდა და ვერ ჩერდებოდა. ნაშიმშილარი ადამიანები ამდენი ხნის განმავლობაში მარტო საჭმელზე ფიქრობდნენ და ახლა, როცა საჭმელი დაინახეს, თავს ვეღარ ერეოდნენ. იქამდე ჭამდნენ, სანამ მუცლები არ გაუსკდებოდათ, მერე კვდებოდნენ. ასობით ადამიანი მოკვდა ამნაირად. ერთხელ ქალი მოვიდა ჩემთან, ხელში ბავშვი ეჭირა. შეშლილი იყო, მაშინვე მივხვდი, ჭკუიდან იყო გადაცდენილი. მზერა ჰქონდა გიჟის, თვალები აქეთ-იქით დაურბოდა. ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, შიმშილისგან სრულიად გამოფიტული, ისიც გასაკვირია, ფეხზე როგორ იდგა. საჭმელს არა, მარტო რძეს თხოულობდა თავისი შვილისთვის. სულს მივცემდი, ოღონდ რამით დავხმარებოდი, მაგრამ ამასობაში ბავშვი მომაწოდა და შევნიშნე: ბავშვი მკვდარი იყო, ალბათ რამდენიმე დღის მკვდარი. სახე სულ დანაოჭებული და გაშავებული ჰქონდა. წარმოიდგინეთ, ჩემზე შავი ერთი ციცქნა სახე, სხეულს, ალბათ, წონა საერთოდ არ ჰქონდა, მარტო ჩირივით გამომხმარი კანი და უწონო ძვლები იყო. მოკლედ, ქალი რძეს მთხოვდა და მეც მკვდარ ბავშვს ცოტა რძე ტუჩებზე დავაწვეთე. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. მერე იმ ქალმა ბავშვი გამომართვა და ისეთი ბედნიერი იყო, ისეთი ბედნიერი... ღიღინი დაიწყო. არ ვაჭარბებ, მღეროდა, თავისებურად, ღუღუნივით ხმას გამოსცემდა. არა მგონია, ოდესმე ისეთი ბედნიერი ადამიანი მენახოს, ვიდრე იმ წუთებში ის ქალი ჩანდა. მერე ზურგი მაქცია და წავიდა, თავისი მკვდარი ბავშვით ხელში, მღერა-მღერით, იმიტომ, რომ, როგორც იქნა, შვილს ცოტა რძე მაინც უშოვა. ასე მიდიოდა, მე კი ვიდექი

და თვალს ვერ ვაშორებდი. რამდენიმე იარდი გაიარა, მერე წაბარბაცდა, მუხლები მოეკვეთა და სანამ მასთან მირბენას და ხელის შეშველებას მოვასწრებდი, ტალახში უსულოდ დაეცა. აი, ამის მერე დამეწყო ეს. როცა უკვე მკვდარ ქალს დავყურებდი, მივხვდი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა. ომის მერე, ასე, ჩვეულებრივად, სახლში ვერ დავბრუნდებოდი და რაც ვნახე, იმის დავიწყებას ვერ შევძლებდი. ის ადგილი აქ, თავში უნდა შემენახა, მთელი დარჩენილი ცხოვრება ყოველდღე ამაზე უნდა მეფიქრა.

ნიკს ჯერ ყველაფერი მაინც არ ესმის. კარგად ხვდება, რამდენი რამე აქვს ედს ნანახი და განცდილი, მის რისხვას, საშინელების განცდას, რისგან გათავისუფლებაც ედს ვერაფრით მოუხერხებია, მთელი გულით თანაუგრძნობს, მაგრამ ვერ ხვდება, რა კავშირშია ეს განცდები ამ სიგიჟესთან, სატელეფონო ცნობარების შეგროვების სურვილთან. ასობით სხვა ხერხი წარმოუდგენია, თუ როგორ შეიძლება სიკვდილის ბანაკში განცდილის ამოთქმა, თუნდაც მთელი სიცოცხლის საქმედ ქცევა, მაგრამ ამ მიწისქვეშა საცავს, რომელშიც მთელი დედამიწის ზურგიდან ნაგროვები სახელები ინახება, ამგვარი არქივის ქონის სურვილს მაინც ვერაფერი გაუგო. თუმცა ვინ არის თავად ისეთი, რომ მეორე ადამიანის ვნება განსაჯოს? – ფიქრობს გუნებაში. ბოუენს სამუშაო სჭირდება, ედის საზოგადოებაში ყოფნა მოსწონს და არც იმის საწინააღმდეგო აქვს რამე, რომ მომდევნო რამდენიმე კვირა ან თვე ამ დავთრების დახარისხებასა და ზიდვაში დაეხმაროს, რაგინდ უაზროდაც უნდა ეჩვენებოდეს ეს საქმიანობა. ჰოდა, ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და სხვა წვრილმანების შესახებ თანხმდებიან, მერე ერთმანეთს ხელს ართმევენ და კონტრაქტს ბეჭედიც ერტყმევა. ახლა ნიკი უხერხულობის

გრძნობას ვერ მალავს, რადგან მომავალი ანაზღაურებიდან მცირე ავანსის თხოვნა სურს. ტანისამოსი სჭირდება, ბინა, რომელშიც უნდა იცხოვროს, ის სამოციოდე დოლარი კი, საფულეში რომ უდევს, ამდენს როგორ გაწვდება. თუმცა ახალი ბოსი თითქოს სათქმელს უთქმელად უხვდება. „ამ ადგილიდან, სადაც ახლა ვდგავართ," – ამბობს ედი, – „დაახლოებით ერთ მილში „კეთილი ნების მისიაა", საქველმოქმედო ორგანიზაცია". იქ ნიკს დღესვე შეუძლია სულ რამდენიმე დოლარად ჩაიცვას და დაიხუროს. ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ შეიძენს, რასაკვირველია, მაგრამ ის სამუშაო, რომელსაც ნიკს თავად სთავაზობს, უბრალო ტანსაცმელს მოითხოვს, ბიზნესმენის კოსტიუმს ხომ არა. თანაც ერთი ხარისხიანი კოსტიუმი ისედაც აქვს და თუ როდესმე ქალაქში გასვლა მოუნდება, მისი ახლანდელი სამოსი გამოადგება.

ტანისამოსის პრობლემა ხომ მოგვარებულია, ახლა ედი დაბინავების საკითხშიც ხელს უმართავს. „აქვე, მიწისქვეშა სართულზე, ერთოთახიანი ბინაა," – ატყობინებს ნიკს, და თუ მიწის ქვეშ ცხოვრების პერსპექტივა უსიამოვნოდ არ ეჩვენება, მაშინ შეუძლია იქ სრულიად უფასოდ იცხოვროს. ბოუენს ხელით ანიშნებს, მომყევიო და დერეფნის შუა ნაწილისკენ მიემართება. მტკივანი, შეშუპებული ფეხებით აუჩქარებლად მიბაჯბაჯებს, სანამ მეორადი მასალის ბლოკებით ამოშენებულ კედელს არ მიადგებიან. „აქ მე თვითონაც ხშირად ვრჩები ხოლმე," – ამბობს ედი, თან ჯიბიდან გასაღებების ასხმულას იღებს. „მაგარი ბინაა," – ეუბნება მხარუკულმა, – „მყუდრო და მოსახერხებელი".

რკინის კარი კედელში მკვიდრად ზის, ფერითაც კედელივით ნაცრისფერია და კაცი თუ კარგად არ დააკვირდა, თვალი ვერც გამოარჩევს. ნიკსაც ხომ არ შეუნიშნავს, არადა, საცავამდე ეს

გზა გამოიარეს. იმ წინა, რკინის კარის მსგავსად, სახელური ან სხვა რამ ხელმოსაჭიდი არც ამ კარს აქვს, თუმცა ძალის დატანება არ სჭირდება, გარედან ოდნავი ბიძგითაც იღება. „ჰო, მართალია," – ამბობს ნიკი თავაზიანად, – „ძალიან მყუდრო ბინაა", მაგრამ სინამდვილეში დამთრგუნველი და პირქუში უფრო ეჩვენება, რადგან ედის ოთახივით მოტიტვლებული და თითქმის უავეჯოა. თუმცა ყველაფერი, რაც ბინაში უნდა იყოს, ნამდვილად აქვს – ფანჯრებისა და იქიდან დასანახი ხედების გარდა – საწოლი, მაგიდა თავის სკამიანად, მაცივარი, ქურა, ტუალეტი, კონსერვებით გავსებული კარადაც კი. არა, არც ისე საზარია აქაურობა და ეგეც რომ არა, განა აქვს არჩევანი, რომ ედის შეთავაზებაზე უარი თქვას? ედიც ნასიამოვნები ჩანს, რომ ნიკმა ბინა არ დაუწუნა და აქ დარჩენაზე ასე ადვილად დათანხმდა. მოკლედ, ეს საქმეც მოგვარებულია. ოთახიდან გადიან, ედი კარს კეტავს და ახლა კიბისკენ მიემართებიან, რომელიც ისევ დღის ნათელში დააბრუნებთ.

– ამ ოთახის შენება ოცი წლის წინ დავიწყე, – უყვება ედი, – სამოცდაორი წლის შემოდგომაზე. გაგანია კუბის კრიზისი იყო. მაშინ მეგონა, რომ ცოტაც და დაგვცხებდნენ, იმ რაკეტებს თავზე დაუნანებლად დაგვაყრიდნენ. ჰოდა, ვიფიქრე, რამე სამალავი რომ მქონდეს, არ მაწყენდა-მეთქი. ერთი სიტყვით, ადგილი, რომელსაც კაცი თავს შეაფარებდა. იცი, რასაც ვგულისხმობ.

– ბუნკერი.

– სწორია, ბუნკერი. მოკლედ, კედელი გამოვანგრიე და ეს პატარა ოთახიც გამომივიდა. თუმცა სანამ ოთახს დავამთავრებდი, კრიზისიც დასრულდა. რას გაიგებ?! წინასწარ მაგას რა გამოიცნობს! ეს მანიაკები, მსოფლიოს რომ მართავენ, ყველაფერზე არიან წამსვლელები.

ნიკი ედს ყურს უგდებს, მაგრამ ამნაირი დასკვნების სმენისას, ცოტა არ იყოს, განგაშის გრძნობა ეუფლება. არა, განა სამყაროს მმართველებზე სხვა აზრისაა, განა ედს არ ეთანხმება. ახლა ის აფიქრებს, შემთხვევით თავისი გეგმები კრამიტდაცურებულ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არასტაბილური ფსიქიკის მქონე კაცს, ან უფრო მარტივად, ცოტა მოგიჟო ტიპს ხომ არ დაუკავშირა. „რა თქმა უნდა, ასეთი რამ სრულიად შესაძლებელია," – ამბობს გუნებაში. თუმცა ედ ვიქტორი ის კაცია, ბედმა რომ შემწედ გამოუგზავნა და თუ ფასადს მოწყვეტილი ბარელიეფის ნაკარნახევ პრინციპს ემორჩილება, მაშინ ამ ახალ ბედს, ავად თუ კარგად, ბოლომდე უნდა მისდიოს. ან არადა, ნიუ-იორკიდან მისი აქეთ, დასაკარგავში წამოსვლა უმნიშვნელო, ბავშვურ ჟესტად გადაიქცევა. თუკი რაც ახლა ხდება, იმის მიღება და მთლიანად გათავისება არ შეუძლია, მაშინ უნდა აღიაროს, რომ დამარცხდა, ცოლს დაურეკოს და გააგებინოს, რომ შინ ბრუნდება.

თუმცა გადის რაღაც ხანი და ნიკი ხედავს, რომ მისი შიში უსაფუძვლო ყოფილა. დღეები გადის, ედი და ნიკი რკინიგზის მიტოვებულ ხაზებქვეშ გაჭრილ ბუნკერში ერთად მუშაობენ, ვაშლის ყუთებში ჩაწყობილ ცნობარებს გორგოლაჭებიანი საზიდრით ეზიდებიან. ნიკს ეჭვი აღარ ეპარება, რომ სიტყვის კაცთან აქვს საქმე. ედს ფოლადივით მტკიცე ხასიათი აქვს. დამხმარისგან თუ თანაშემწისგან გულის გადაშლას არ მოითხოვს, არც მისი ცხოვრების ამბის ცოდნა სჭირდება. ნიკს მისი თავდაჭერილობით აღფრთოვანება დღითიდღე ემატება, მით უფრო, რომ ედი, სხვა მხრივ, დიდი მოლაპარაკე და ცნობისმოყვარე ადამიანი გახლავთ. მეტიც, იმდენად დახვეწილი კაცი აღმოჩნდა, რომ ნიკს სახელს და გვარსაც არ ეკითხება. ერთხელაც, სიტყვას მოაქვს და

ბოუენი ბოსს სთავაზობს, ბილი დაუძახოს, მაგრამ ედს კარგად ესმის, რომ ეს მისი ნამდვილი სახელი ვერ იქნება, ამიტომ ხან „მეხდაცემულ კაცს“ ეძახის, ხან „ნიუიორკელს“, ხანაც „მაგარფეხსაცმლიანს“. ნიკი მათ შორის დადებული შეთანხმებით ძალიან კმაყოფილია. ახლა, როცა სულ „კეთილი ნების მისიაში“ შეძენილი ტანისამოსი აცვია (ფლანელის პერანგები, ჯინსის და ხაკის შარვლები, მაღალყელიანი თეთრი წინდები და ნახმარი სპორტული ფეხსაცმელი), ერთთავად იმ ადამიანებზე ფიქრობს, ვისაც ოდესღაც ეს ყველაფერი ეცვა. საერთოდ, ნახმარ ტანსაცმელს ამგვარ მისიებში ორ შემთხვევაში აბარებენ: ადამიანი ახალ-ახალ სამოსს ყიდულობს და ძველის მიმართ ინტერესს კარგავს, ანდა კვდება და მისი ოჯახის წევრები გარდაცვლილის ნივთებს გასცემენ, რომ ქველმოქმედებად ჩაეთვალოთ და გადასახადები ოდნავ მაინც ჩამოაკლდეთ. ნიკს გარდაცვლილი ადამიანების ტანსაცმლით სიარულის იდეა სულ უფრო და უფრო მოსწონს. ახლა, როცა თავადაც აღარ არსებობს, სწორედ რომ სამისო საქმეა იმათი ნაქონი ძველმანებით სიარული, ვინც ამ ქვეყნად აღარ არის – თითქოს ამ ორმაგ უარყოფას მისი წარსულის სამუდამოდ წაშლა შეეძლოს.

თუმცა სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მოდუნება მაინც არ ივარგებს. ნიკი და ედი მუშაობისას ხშირ-ხშირად ისვენებენ, ყოველი ასეთი შესვენების დროს ედი თანაშემწეს საუბარს უბამს – აშკარაა, რომ ეს საქმე ძალიან უყვარს. რამეს რომ ჰყვება, აზრს რომ გამოთქვამს, ლუდისქილიან ხელს ისე იქნევს, თითქოს დაქცეული ლუდის რაოდენობა ამ ცხოვრებაში სიმყარეს ანიჭებდეს. ედის პირველი ცოლი, ვილჰელმინა 1953 წლის ერთ მშვენიერ დღეს აორთქლებულა, დეტროიტელ კომივოიაჟორთან ერთად გაქცეულა. ქალს,

რომელმაც ვილჰელმინა ჩაანაცვლა და ედის მეორე ცოლი გახდა – სახელად როშელს, სამი ქალიშვილი გაუჩენია და მერე, 1969 წელს, გულის შეტევით გარდაცვლილა. ასე იგებს მის შესახებ რაღაც-რაღაცებს: ედი შესანიშნავი მთხრობელია და ბევრ სხვა რამესაც მოუყვებოდა, მაგრამ ბოუენი ზედმეტი კითხვების დასმისაგან თავს იკავებს – თვლის, რომ რაც ნაკლებს იკითხავს ან შეიტყობს ედის შესახებ, მით მეტი საფუძველი ექნება, საპასუხო კითხვები თავადაც აირიდოს. ასე და ამგვარად, თითქოს უსიტყვო შეთანხმება აქვთ დადებული, ერთმანეთის საიდუმლოს არ შეეხონ. ძალიან კი აინტერესებს, ნამდვილი გვარით გაეცნო ედი თუ სხვა გვარი აქვს, „ისტორიული ძეგლების დაცვის და მოვლის ბიუროს“ მიმდებარე მიწისქვეშა სივრცე ედის საკუთრებაა თუ მთავრობის დაუკითხავად აქვს მითვისებული. ამ თემებს არასდროს ეხება და იმას სჯერდება, რისი მოყოლის სურვილიც ედს თავისით უჩნდება. თუმცა უფრო სახიფათო ის მომენტებია, როცა ნიკს საუბარი იტაცებს და საკუთარ თავზე უნებლიეთ რაღაც წამოსცდება ხოლმე. ასეთ დროს თავს პირობას აძლევს, რომ თითოეულ წარმოთქმულ სიტყვას დაუფიქრდება. ერთ საღამოსაც ედი მეორე მსოფლიო ომის ამბებს იგონებს და რიგით ჯარისკაცს ახსენებს, რომელიც მის შენაერთში ორმოცდაოთხი წლის ბოლოს გადმოიყვანეს. რიგითს ჯონ ტრაუზე ერქვა. „სულ თვრამეტი წლის იყო,“ – ამბობს ედი, – „მაგრამ იმაზე გონიერი, იმაზე გამბედავი ჯარისკაცი შენაერთში არ მყოლია. ახლა ძალიან ცნობილი მწერალია. არც მიკვირს, ისეთი გამორჩეული გონების პატრონი იყო“. და აი, დგება მომენტი, როცა ბოუენს კატასტროფული შეცდომა მოსდის. „ჯონ ტრაუზეს კარგად ვიცნობ,“ – ეუბნება ედს. ედს გამოცოცხლება ეტყობა, თავს წამოწევს და ბოუენს ეკითხება,

ნეტავი ახლა როგორ არის ჯონი, რას შვრებაო. ნიკს ნათქვამი სხვა კალაპოტში გადააქვს. „განა პირადად ვიცნობ," – ამბობს, – „მის წიგნებს, მის ნაწერებს ვგულისხმობდი". ეს საუბარი აქ წყდება და მერე სხვა თემაზე გადადიან. სინამდვილეში კი ბოუენი ჯონის წიგნების პასუხისმგებელი რედაქტორია. ერთი თვეც არ გასულა, რაც ტრაუზეს რომანების ხელახალი გამოცემისთვის რბილი ყდები მოამზადა. ნიკი ჯონს დიდი ხანია იცნობს, მეტიც: მთავარი მიზეზი, რომლის გამოც სამუშაოდ სწორედ იმ გამომცემლობაში მივიდა, სადაც ახლა მუშაობს (უფრო სწორად, რამდენიმე დღის წინ მუშაობდა), ის იყო, რომ ჯონ ტრაუზეს რომანებს სწორედ ეს გამომცემლობა გამოსცემდა.

ნიკი ედთან მუშაობას ხუთშაბათ დილით იწყებს, დავალება კი, რომელიც ამ ცნობარების გადატანაში მდგომარეობს, იმდენად ქანცგამწყვეტია, იმდენად კოლოსალურია ფიზიკური დატვირთვის თვალსაზრისით – უამრავი, არა, უთვალავი ათასობითგვერდიანი წიგნის თაროებიდან გადმოღება, ოთახის სხვა ნაწილში დაწყობა, ახალ ადგილზე გადატანა, იქ ახალი პრინციპით დახარისხება და დალაგება. თან საქმე წინ ძალიან ნელა მიიწევს, გაცილებით ნელა, ვიდრე იმედი ჰქონდათ. ახლა თანხმდებიან, რომ მუშაობა კვირის შვიდივე დღე სჯობს, მაგრამ მომდევნო კვირის ოთხშაბათს (ეს ის დღეა, როდესაც ევა ფოტოსტუდიაში მიდის და დაკარგული ქმრის სურათიან პოსტერს უკვეთავს; როზა ლეითმანიც სწორედ ამ დღეს ბრუნდება ნიუ-იორკში და ავტომოპასუხეზე ბოუენის მიერ დატოვებულ სასიყვარულო გზავნილს გაოგნებული ისმენს) ედის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც ნიკს ისედაც აფიქრებდა, უარესდება და ორივეს სერიოზულ დარტყმას უმზადებს. ყოფილი ტაქსისტი სამოცდასამი წლისაა და სულ ცოტა, ოცდაჩვიდმეტი ფუნტით მეტს იწონის, ვიდრე მისი სი-

მაღლის კაცი უნდა იწონიდეს. დღეში სამ კოლოფ უფილტრო სიგარეტს ეწევა, სიარული უმძიმს, სუნთქვა უძნელდება, ქოლესტერინმოდებულ მის არტერიებსაც კი უჭირთ სისხლის გატარება. გულის ორი შეტევა უკვე გადატანილი აქვს – მოკლედ, იმ სამუშაოსათვის საჭირო ფორმაში ნამდვილად არაა, რომლის მალე დასრულების იმედიც მას და ბოუენს აქვთ. ამხელა სიმძიმეებით კიბეზე აღმა-დაღმა სიარული უზარმაზარ ძალისხმევას და დაძაბვას მოითხოვს; ზედა საფეხურს რომ ასცდება, ლამისაა, ფილტვებმა უღალატოს ხოლმე. კაცმა რომ თქვას, ნიკი ამას თავიდანვე ხვდებოდა, ედს ხშირად აიძულებდა, ჩამომჯდარიყო და სული მოეთქვა, არწმუნებდა, რომ სამუშაოს თავს მარტო გაართმევდა, მაგრამ ედი დიდი ჯიუტი ვინმეა – კაცი, რომელსაც სამყაროს თავისებური ხედვა, მიზანი და ოცნება აქვს ამ ცხოვრებაში. ედი ხედავს, რომ მისი ოცნება – სატელეფონო ცნობარების მუზეუმის დაარსება – სადაცაა ახდება. ამიტომ ბოუენს ყურს არ უგდებს, არ ემორჩილება და როცა კი საჭიროებას ხედავს, მაშინვე პარტნიორის დასახმარებლად მიიწევს. ბოლოს, ოთხშაბათ დილით, საქმე ცუდად მთავრდება. ბოუენი სარდაფის მეორე ბოლოდან საცავში ბრუნდება და ხედავს, ედი იატაკზე ჩაკეცილა, ზურგით ერთ-ერთ სტელაჟს ეყრდნობა, თვალები დახუჭული აქვს, მარჯვენა ხელს კი გულზე მაგრად იჭერს.

– მკერდის არეში ტკივილები გაქვთ, – ამბობს ნიკი, თუმცა ეს ისედაც ადვილი მისახვედრია, – ძალიან გტკივათ?

– ერთი წუთი დამაცადე, – ამბობს ედი, – ახლავე გამივლის.

ნიკს ეს პასუხი არ აკმაყოფილებს, დაჟინებით იმეორებს, უახლოეს საავადმყოფოში წავიდეთ, გადაუდებელი დახმარება გჭირდებათო. ედი რაღაც ხანს კიდევ ეწინააღმდეგება, მაგრამ ბოლოს ფარ-ხმალს ჰყრის.

გადის ერთი საათი და ნიკი და ედი ტაქსის უკანა სავარძელზე სხედან, მანქანა კი სენტ ანსელმის საქველმოქმედო საავადმყოფოსკენ მიქრის. ჯერ ედის უზარმაზარი და უმძიმესი სხეულის ზესკნელს ათრევა გაჭირდა, მერე – ქალაქის ამ ჩამკვდარ, უსიცოცხლო ნაწილში ტაქსის შოვნა. ნიკს ოც წუთს მოუხდა წინ და უკან სირბილი, სანამ ტელეფონის მომუშავე აპარატს იპოვიდა და „თეთრ-წითელი ტაქსების კომპანიის" (ეს ედის ყოფილი სამსახურია) მანქანას გამოიძახებდა. მანქანის მოსვლასაც ხომ დრო უნდა – ესეც კიდევ შენი თხუთმეტი წუთი. ნიკი მძღოლს უხსნის, როგორ უნდა გადაიაროს რკინიგზის ხაზები, რომ მდინარის სანაპიროზე მოხვდნენ. მანამდე კი ედი მანქანაში უნდა ჩასვან, მაგრამ ის სამშენებლო ნარჩენებს შორის მიწაზე გაშხლართული ხვდებათ. ტკივილს მოუმატია (თუმცა კი ჯერ გონზეა, თავს ჯერ კიდევ ერევა საიმისოდ, რომ სანამ ტაქსიში ჩასვამენ, ერთი-ორი ანეკდოტის მოყოლა მაინც მოასწროს), ამიტომ ახლა საავადმყოფოსკენ დიდი სისწრაფით მიქრიან.

სწორედ ეს უსიამოვნო ამბავი ხსნის, თუ რატომ ვერ მოახერხა როზა ლეითმანმა ედთან დალაპარაკება იმ დღის მიწურულს. კაცს, რომელსაც ედ ვიქტორის სახელით ვიცნობთ, სინამდვილეში კი, მძღოლის საბუთებითა და სამედიცინო დაზღვევის დოკუმენტების მიხედვით, გვარად ჯონსონია, იმ დღეს გულის მესამე შეტევა დაემართა. იმ დროისათვის, როცა როზა ნიუ-იორკიდან, თავისი ბინიდან რეკავს, ედ ვიქტორი სენტ ანსელმის ინტენსიური თერაპიის **განყოფილებაში** წევს და თუ იმას დაეჯერება, რაც მის ფეხებთან, საწოლის ქვედა ნაწილში დამაგრებულ ავადმყოფობის ისტორიაში წერია, თავის საქმეს და საკეთებელს კიდევ დიდხანს ვერ დაუბრუნდება. ოთხშაბათიდან შაბათ დილამდე, ანუ კანზას-სითიში

გამგზავრებამდე, როზა ედთან დღე და ღამე რეკავს, მაგრამ არავინაა მისი ზარის გამგონებელი.

მართალია, ედი თავის მოკატუნებას აპირებს, თითქოს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა სულ არ ანაღვლებდეს, მაგრამ საავადმყოფოს გზაზე უკვე ცუდი ამბების მოსასმენად ემზადება. „ვერ ხედავ, რამსისქე ვარ?“ – ეუბნება ნიკს, – „სქელოებს სიკვდილი არ გვეკარება. ეგ ბუნების კანონივითაა: ბედისწერამ შეიძლება სულ პანჩურები გვირტყას, მაგრამ ჩემსისქე კაცი ვერაფერს გრძნობს. გასაგებია ახლა, რა საჭიროა ამხელა ბალიშები? ამნაირ მომენტებში რომ დაგვიცვას“.

„ამდენს ნუ ლაპარაკობთ,“ – ამბობს ნიკი, – „ძალებს უნდა მოუფრთხილდეთ“. ტკივილს, რომელიც გულმკერდს უწვავს და მარცხენა ხელსა და ყბას უკავებს, ედი ახლა სხვა ხერხით იხშობს: „ისტორიული ძეგლების მოვლის და დაცვის ბიუროზე“ იწყებს ფიქრს. „ეტყობა, დიდხანს მომიწევს საწოლში კოტრიალი,“ – ეუბნება ნიკს, – „აზრი, რომ ჩვენი დაწყებული საქმე შეიძლება დიდხანს ვერ დასრულდეს, გულს მიღრღნის“. ნიკი ამშვიდებს, ეუბნება, რომ საქმეს მარტო გააგრძელებს, რომ თავად აქვს ამის სურვილი. ედს თანაშემწის თავდადება გულს უჩუყებს, თვალებს ხუჭავს, რომ ზედ მომდგარი კურცხალი არ გამოაჩინოს. „კარგი კაცი ხარ შენ, ნიუიორკელო“, – ეუბნება ნიკს. მერე, რაკი თავად საამისოდ ძალიან დასუსტებულია, მას სთხოვს, შარვლის ჯიბეში ხელი ჩაუყოს და იქიდან საფულე და გასაღებების ასხმულა ამოიღოს. ნიკი თხოვნას უსრულებს. „ახლა,“ – ეუბნება ედი, – „საფულე გახსენი და რაც შიგნით ფულია, ამოიღე. აი, ასე. ოცი დოლარი მე დამიტოვე, დანარჩენი შენია – ეგ ჯერ ავანსი იყოს“. სწორედ ამ დროს შეიტყობს ნიკი,

რომ ედის ნამდვილი გვარი ჯონსონია, მაგრამ ეს აღმოჩენა მისთვის ბევრს აღარაფერს ცვლის; ედს არაფერს ეუბნება და მის მოცემულ ფულს თვლის – ექვსას დოლარზე მეტი გამოსდის. ლამის ჩურჩულით ნათქვამ ლიტანიასავით ისმენს ედის შეგონებებს, რომელსაც ტკივილი კრიჭას უკრავს და სუნთქვას უძნელებს. ჯერ ასხმულაზე წამოგებული თითოეული გასაღების დანიშნულებას იტყობს: ერთი ძველი პანსიონის შესასვლელი კარისა ყოფილა, მეორე – ამავე სახლში მდებარე მისი ბინის, დანარჩენები – იქაური საფოსტო ყუთის, ბიუროს რკინის კარისა და მიწისქვეშა ბინის, რომელშიც ნიკი შეასახლა. ნიკი თავის გასაღებსაც ასხმულაზე აგებს, როდესაც ედი ეუბნება, რომ ევროპიდან სატელეფონო ცნობარების დიდ ამანათს ელოდება. სთხოვს, არ დაავიწყდეს და პარასკევს ფოსტაში შეიაროს. ამ სიტყვებს ხანგრძლივი პაუზა მოსდევს, ედი ტკივილთან ბრძოლას უხმოდ, შეუმჩნევლად განაგრძობს, მერე სუნთქვა ცოტათი უადვილდება. უკვე საავადმყოფოს შენობასთან არიან, როცა თვალს ახელს და ნიკს თავის ბინაში გადასვლას სთავაზობს. ნიკი მცირე ხანს ფიქრობს, მაგრამ ედის წინადადებაზე მაინც უარს ამბობს. „მადლობელი ვარ, რომ ჩემზე ასე ზრუნავთ," – ეუბნება, – „მაგრამ არაფრის შეცვლა არაა საჭირო. იმ ჩემს ჯურღმულშიც კარგად ვგრძნობ თავს".

მერე საავადმყოფოს წინ რამდენიმე საათს სცემს ბოლთას. წასვლას მანამ არ აპირებს, სანამ არ დარწმუნდება, რომ ედის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. მეორე დილით ედს სამმაგი შუნტირების ოპერაცია აქვს დანიშნული და სამ საათზე, როცა ნიკი სენტ ანსელმის ტერიტორიიდან გადის, დარწმუნებულია, რომ ხვალ საავადმყოფოში დაბრუნებულს ედი ოდნავ მომჯობინებული მაინც დახვდება. ამაში

კარდიოლოგმა დაარწმუნა. სამედიცინო სფეროს პრაქტიკაში კი რა არ მომხდარა, მით უმეტეს, როცა საქმე დაძაბუნებული, ავადმყოფი ადამიანის გაჭრას ეხება. ამიტომ, როცა ედვარდ მ. ჯონსონი, ბევრისთვის ედ ვიქტორის სახელით ცნობილი პაციენტი სამშაბათ დილას საოპერაციო მაგიდაზე სულს დალევს, კარდიოლოგი, რომელიც ნიკს ერთი დღით ადრე დამაიმედებელ სურათს უხატავდა, საკუთარ შეცდომას უხალისოდ აღიარებს, მაგრამ ეს უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი.

ოღონდ იმ დროისათვის ნიკი ისეთ მდგომარეობაში ვერაა, რომ ექიმს მიაკითხოს და მეგობრის სიკვდილისთვის პასუხი მოსთხოვოს. ოთხშაბათს მიწისქვეშა არქივში დაბრუნებულ ბოუენს მისი სიცოცხლის ყველაზე საბედისწერო შეცდომა მოსდის. თუმცა რაკი ჰგონია, რომ ედი ცოცხალია – და ასე ეგონება მისი გარდაცვალების შემდეგაც – დაახლოებითაც ვერ ხვდება, რა გამოუსწორებელი რამ დამართა საკუთარ თავს.

ყველაფერი, რაც ედისგან წამოიღო, გასაღებების ასხმულაცა და ფულიც, შარვლის მარჯვენა წინა ჯიბეში უდევს, როცა კიბით მიწისქვეშ, ძეგლთა დაცვის ბიუროს დერეფანში ჩადის. ხის კარს ბოქლომს ხსნის, გასაღებს „კეთილი ნების მისიაში“ ნაყიდი ხაკის შარვლის მარჯვენა ჯიბეში იდებს. ჯიბეს კი კარგა მოზრდილი ნარღვევი აქვს. გასაღები მაშინვე ნარღვევში ხვდება, ფეხს სრიალ-სრიალით დაუყვება და მიწაზე ნიკის ფეხსაცმელთან ვარდება. ნიკი იხრება, ასხმულას იღებს, მაგრამ იმის მაგიერ, რომ მარცხენა, საღ ჯიბეში ჩაიდოს, ხელში ატრიალებს და საცავში, სადაც მცირე ხნით წამუშავებას აპირებს, ასე შედის. მერე ასხმულას ცნობარების რომელიღაც თაროზე დებს, ჩაკუზვისას და წამოდგომისას ჯიბეში რომ არ იჩხრიალოს და მუდმივად ფეხზე არ ედებოდეს. დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში საცავში ტრიალებს. ჯერ

მოთელვა აქვს, ნამდვილი სამუშაო მერე დაიწყება. ოღონდ ეგაა, რომ იმ დღეს საცავში განსაკუთრებით ცივა და ნიკს სუსხი თანდათანობით ძვალ-რბილში უჯდება. ბოლოს ხვდება, რომ მისთვის გამოყოფილ ბინაში გასვლა სჯობს, იქ ხომ პორტატული ელექტროგამათბობელი უდგას. გასაღებები, რა თქმა უნდა, ახსენდება, იმ ადგილას ბრუნდება, სადაც ასხმულა დადო, მაგრამ იმის მაგიერ, რომ პირდაპირ თავის ბინაში გავიდეს, უცებ ვარშავის 1937/1938 წლების სატელეფონო ცნობარი ახსენდება, რომელმაც პირველ დღეს, ედთან ერთად აქაურობის თვალიერებისას, ასე მიიპყრო მისი ყურადღება. ოთახის მეორე ბოლოსკენ მიემართება, ცნობარის პოვნა და თავის ოთახში გატანა სურს, რათა შესვენების დროს იქ მშვიდად, აუჩქარებლად დაათვალიეროს. გასაღებებს, რომლებიც კვლავ ხელში უჭირავს, ისევ თაროზე დებს, მაგრამ ამჯერად მთელი ყურადღება ამ უცნაური წიგნის ძიებაზე გადააქვს და ბოლოს წიგნს კი პოულობს, მაგრამ გასაღებების ასხმულა ავიწყდება. ჩვეულებრივ ვითარებაში ეგ ხომ დიდი პრობლემა არ იქნებოდა. ასხმულას მაშინვე მოისაკლისებდა, როგორც კი ბინის კარს მიადგებოდა, საცავში შებრუნდებოდა და წამოიღებდა. თუმცა იმ დილით, ედის მოულოდნელი შეტევის შემდეგ დაბნეულსა და შეწუხებულს, ოთახის კარი ღიად დაუტოვებია. ოთახში ვარშავის სატელეფონო ცნობარის ფურცლვა-ფურცლვით შედის და 1945 წლის იმ საზარელ ამბებზე ფიქრობს, რომლებსაც ედი უყვებოდა. მისი გონება სულ სხვაგან ქრის, დანარჩენს ყველაფერს გაუაზრებლად აკეთებს. გასაღებები თუ საერთოდ ახსენდება, ალბათ დარწმუნებულია, რომ ასხმულა შარვლის მარჯვენა ჯიბეში უდევს. ამიტომ ოთახში შედის, სინათლეს ანთებს, ზურგს უკან კარს ფეხის გაკვრით ხურავს და ამ უნებლიე მოძრაობით თავს

სამუდამოდ იკეტავს: მას მერე, რაც ნიკს ოთახი გამოუყო, ედმა კარს ავტომატური საკეტი დაუყენა და ოთახში შესული კაცი გარეთ ისე ველარ გამოვა, თუ კარი შიგნიდან გასაღებით არ გააღო.

რაკი გასაღები შარვლის ჯიბეში ეგულება, ნიკი ჯერ ვერ მიმხვდარა, რა ჩაიდინა. ელექტროგამათბობელს რთავს, საწოლზე ჯდება და ვარშავის სატელეფონო ცნობარს უფრო ყურადღებით ათვალიერებს, მის გაყავისფრებულ, კიდეებდაფლეთილ გვერდებს უკირკიტებს. გადის ერთი საათი და ნიკი გრძნობს, რომ გათბა და შეუძლია სამუშაოს დაუბრუნდეს. სწორედ მაშინ აცნობიერებს თავის შეცდომას. ჯერ ეცინება, მაგრამ მერე თანდათანობით იაზრებს, რაც გააკეთა და გუნება უფუჭდება. სიცილით ნამდვილად აღარ ეცინება და მომდევნო ორი საათი ოთახიდან გაღწევის გადარეულ მცდელობებს მიაქვს.

ბუნკერი, რომელშიც ნიკი იმყოფება, ჩვეულებრივი მიწისქვეშა ოთახი კი არ არის, წყალბადის ბომბის აფეთქებაზე გათვლილი თავშესაფარია. ორმაგ კედლებს ოთხი ფუტის განი აქვს, ცემენტის იატაკი ფეხებქვეშ ოცდათექვსმეტი ინჩის სისქისაა. ჭერსაც კი, რომელსაც ნიკი ახლა იმედის თვალით უყურებს, საგანგებო მასალისაგან დამზადებული ფენა გასდევს. ჭერთან ახლოს ოთხივე კედელს საჰაერო ღიობები აქვს დატანებული. ნიკი ერთ-ერთი მათგანის მკვიდრად ჩასმულ ჩარჩოს ბადეს აგლეჯს, მაგრამ მაშინვე ირკვევა, რომ ღიობიდან საჰაერო გაყვანილობაში მისნაირი ხმელი კაციც ვერ გაეტევა.

ამასობაში კი ზემოთ, ზესკნელში, ნაშუადღევის კაშკაშა მზის ქვეშ, ნიკის ცოლი კანზას-სითის ყველა კედელს და განათების ყველა ბოძს ნიკის გადიდებულ ფოტოებს აკრავს.

მეორე დღეს, ამ ასე თუ ისე დიდი ქალაქის მკვიდრნი საბნებიდან რომ გამოძვრებიან და ყავის მოსადუღებლად სამზარეულოებს მიაშურებენ, დილის გაზეთის მეშვიდე გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოს გადააწყდებიან, რომლის ქვეშაც წარწერაა: *ეს მამაკაცი ხომ არ შეგხვედრიათ?*

უშედეგო მცდელობებით დაქანცული ბოუენი საწოლზე ჯდება და მშვიდად ცდილობს სიტუაციის გაანალიზებას. რა თქმა უნდა, უსიამოვნო ამბავია, მაგრამ პანიკის საფუძველი არ არსებობს. მაცივარი და კარადები სასმელ-საჭმელს მიაქვს, სასმელი წყლის და ლუდის მარაგი ლამის ამოუწურავია და თუ ამასობაში რამე არ ეშველა, შეუძლია აქ ორი კვირა, ასე თუ ისე, კომფორტში გაატაროს. „თუმცა ეჭვი მეპარება, ეს ამბავი ამდენ ხანს გაგრძელდეს," – ფიქრობს ბოუენი, – „ამის ნახევარსაც არ გაგრძელდება. რამდენიმე დღეში ედს საავადმყოფოდან გამოწერენ და რაკი უკეთ იქნება, კიბეზე ჩამოსვლაც არ გაუჭირდება". განა თავისი „ბიურო" არ გაახსენდება, აქ მოსვლა არ მოუნდება? ჰოდა, მოვა თუ არა, მისი პატიმრობაც დასრულდება.

სხვა რა გზა აქვს. ბოუენი ცდილობს, ხანგრძლივი შინაპატიმრობისთვის განეწყოს და ამ აბსურდული ხვედრის ასატანად მოთმინება და გამძლეობა მოიკრიბოს. მეტწილად „მისნის ღამის" ხელნაწერს კითხულობს, ანდა ვარშავის სატელეფონო ცნობარის აბონენტთა ჩამონათვალს უკირკიტებს. კიდევ ფიქრობს, ოცნებობს, დღეში ათასამდე აზიდვას აკეთებს, მომავლის გეგმებს ადგენს. ცდილობს, წარსულზე ფიქრები მოიგერიოს. მართალია, ღმერთი არა სწამს, მაგრამ გუნებაში მაინც ფიქრობს, რომ ალბათ ღმერთი სცდის – ბედის სიმუხთლე ვაჟკაცურად უნდა გადაიტანოს და სულის სიმხნევე არ უნდა დაკარგოს.

კვირა საღამოს, როცა ავტობუსი, რომელშიც როზა ლეითმანი ზის, კანზას-სითიში ჩამოდის, უკვე ნიკის ტუსაღობის მეხუთე დღე სრულდება. „ცოტაც და გამოჩნდება საშველი," – იმხნევებს ნიკი თავს, – „ედი უკვე ნებისმიერ დღეს შეიძლება გამოჩნდეს". ამის გაფიქრებაა და ოთახის ჭერში დაკიდებული ერთადერთი ნათურაც გადაიწვება. ნიკი მარტოდმარტო რჩება ბნელ ოთახში, რომელსაც ელექტროგამათბობლის მოციმციმე სპირალი მკრთალ ნარინჯისფერ შუქს ჰფენს.

ექიმებს გაფრთხილებული ვყავდი, რომ ჩემი გამოჯანმრთელება სწორ რეჟიმსა და საღ ძილზე იყო დამოკიდებული. ყოველდღე დილის ოთხის ნახევრამდე მუშაობა მაინცდამაინც გონივრული საქციელი ვერ იყო, მაგრამ ლურჯმა რვეულმა უკვე იმდენად ჩამითრია, დროის შეგრძნება სრულიად დავკარგე და როცა გრეისს გვერდით ოთხ საათზე მივუწექი, გავიფიქრე, რეჟიმის დარღვევისთვის აუცილებლად დავისჯები-მეთქი. ცხვირიდან სისხლის დენა თუ თავის ძლიერი ტკივილები – ჩემი ჩვეული გაჭირვებები, ალბათ, ხვალ-ზეგვე იჩენდა თავს – ერთი სიტყვით, რამე ისეთი დამემართებოდა, რაც ჩემს ორგანიზმს უარესად დააძაბუნებდა და თავ-ბედს მაწყევლინებდა. თუმცა მეორე დილით თვალი ათის ნახევარზე გავახილე და უნდა ვთქვა, რომ თავს იმაზე უარესად არ ვგრძნობდი, ვიდრე ნებისმიერ სხვა დილას. იქნებ დასვენება ჩემთვის სასარგებლო არც არის-მეთქი, – გავიფიქრე. იქნებ სწორედ მუშაობას ეშველა ჩემთვის? იქნებ წერა იყო ის წამალი, მე რომ საბოლოოდ ფეხზე წამომაყენებდა?

რაკი გრეისს კვირას აღებინა, მეგონა, ორშაბათს შინ დარჩენას მოისურვებდა და სამსახურიდან თავს გაითავი-

სუფლებდა, მაგრამ როცა საწოლში მარცხენა მხარეს გადავბრუნდი, ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე, რომ ლოგინის მეორე ნახევარი ცარიელი იყო. ძებნა დავუწყე და ჯერ სააბაზანოში შევყავი თავი. იქ არ იყო. სამზარეულოში რომ შევედი, მაგიდაზე პატარა წერილი დამხვდა. *„დღეს თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ,“* – წერდა გრეისი, – *„ამიტომ სამსახურში მივდივარ. სიდ, მინდა, მადლობა გითხრა იმ სითბოსთვის, წუხელ რომ გამოიჩინე. ძალიან საყვარელი ხარ. შენზე ძვირფასი არავინ მყავს. ტყუილად კი არ იყავი ლურჯი გუნდის წევრი“*. წერილის ბოლოში თავისი ხელმოწერა დაესვა, მერე კი, გვერდის ქვედა კიდეში, პოსტსკრიპტუმად მწერდა: *„სულ მავიწყდება, რომ გითხრა. წებოვანი ლენტი დაგვიმთავრდა, მე კი ამ საღამოს მამაჩემის დაბადების დღის საჩუქარი მექნება შესახვევი. გეხვეწები, სასეირნოდ რომ გახვალ, უკანა გზაზე ერთი რგოლი იყიდე, კარგი?“*

წვრილმანი იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ სწორედ ასეთი წვრილმანებით ამოიცნობა ადამიანი. ეს თხოვნა გრეისს ყველაზე კარგად ახასიათებდა. წარმოიდგინეთ, ნიუ-იორკის ერთ-ერთ უდიდეს გამომცემლობაში ილუსტრატორად მუშაობდა და თუ რამე იყო მათ ოფისში თავზე საყრელად, პირველ რიგში, წებოვანი ლენტი და მსგავსი საკანცელარიო რამე-რუმეები. ამერიკაში ასეთ წვრილმანს, მგონი, ყველა მომუშავე ადამიანი ხელს გამოაყოლებს. მილიონობით ადამიანი სამსახურებში ყოველდღე იჯიბავს კალმისტარს, ფანქარს, კონვერტს, ქაღალდის დასტის სამაგრს, საშლელს **და** სხვა ათას სისულელეს და არა მგონია, რომელიმე მათგანს ამ წვრილი ქურდბაცაცობისთვის სინდისი აწუხებდეს. თუმცა გრეისი სხვანაირი ადამიანი იყო. აზრადაც არ მოუვიდოდა, ისეთი რამე აელო, რაც მას არ ეკუთვნოდა. განა იმის შიში

ან სიფრთხილე აჩერებდა, რომ თავზე უხერხულ მომენტში წაადგებოდნენ, ან ვინმე რამეს მოისაკლისებდა. არც კანონის მორჩილება იყო ამის მიზეზი, არც ბავშვობაში დაურიგებიათ და არც ათი მცნებისადმი განსაკუთრებული მოწიწებით აღუზრდიათ. არა, ქურდობა – ნებისმიერი სახის ქურდობა მისთვის, როგორც პიროვნებისათვის იყო უცხო, ყველა მისი წარმოდგენის, იმ წესების ღალატად მიაჩნდა, რომელთა მიხედვითაც სურდა, ეცხოვრა. არა მგონია, რასაც ახლა ვიტყვი, სერიოზულად აღექვა, მაგრამ „ლურჯი გუნდის“ ნამდვილი და ყველაზე ერთგული წევრი სწორედ გრეისი იყო. სამზარეულოში დატოვებულმა წერილმა ჩემი ცოლის ბუნება კიდევ ერთხელ შემახსენა, ამ კუთხიდან დამანახა და გული ამიჩუყა. სხვა რამესაც მეუბნებოდა ეს წერილი: რომ გრეისი შაბათ საღამოს, ტაქსიში ჩემ მიმართ გამომჟღავნებული უხეშობის გამო წუხდა და პატიებას მთხოვდა – სათქმელში მსუბუქი, უფაქიზესი ინტონაციების გარევით, ისე, როგორც მხოლოდ მას შეეძლო და გამოსდიოდა.

დილის საუზმეს, რომელიც ყავისგან და ტოსტებისგან შედგებოდა, ყოველდღიური ოთხი ტაბლეტი დავაყოლე, მერე დერეფანს გავუყევი და სამუშაო ოთახის კარი შევაღე. ჩემი წარმოდგენით, პირველ წახემსებამდე მაინც უნდა მემუშავა და დაწყებული ამბავი გამეგრძელებინა. მერე გავიფიქრე, ქუჩაში გავალ და ჩანგის მაღაზიას კიდევ ერთხელ ვეწვევი-მეთქი: მხოლოდ გრეისის პლასტირი კი არ მქონდა საყიდელი, პორტუგალიური რვეულების ჟინიც მჭირდა და ერთი სული მქონდა, გამეგო, კიდევ თუ შეიძლებოდა მათი შეძენა. მნიშვნელობა არ აქვს, ლურჯი თუ აღარ იქნება-მეთქი, – ვფიქრობდი. შავი, წითელი და ყავისფერი მაინც ხომ დამხვდებოდა. მინდოდა, რაც შეიძლება მეტი ასეთი რვე-

ული ჩამეგდო ხელში. გასაგებია, რომ ჯერ სხვა ცალი არ მჭირდებოდა, მაგრამ შემდგომი პროექტებისთვის მინდოდა, პორტუგალიური რვეულები ულევ მარაგად გადამენახა. ცხადია, რაც უფრო დიდხანს ავითრევდი ფეხს და ჩანგის მაღაზიაში წასვლას სამომავლოდ გადავდებდი, მით უფრო იყო მოსალოდნელი, იქ მისულს რვეულები აღარ დამხვედროდა.

აქამდე ლურჯ რვეულში წერას ჩემთვის მხოლოდ სიამოვნება მოჰქონდა; მსუბუქი, ნეტარი შეშლილობის წყაროდ ქცეული წერა სრულყოფილების განცდას მანიჭებდა. სიტყვები დაუბრკოლებელ ნაკადად ამომდიოდა – ისე, თითქოს მათ ვიღაც მკარნახობდა, წინადადებებს იმ უხილავი მოკარნახის ხმა მაწოდებდა, ოცნებების, საზარელი ხილვების, ვერამოთქმული აზრების ლექიან ენაზე რომ მელაპარაკებოდა. თუმცა 20 სექტემბრის დილას, იმ ღირსსახსოვარი დღიდან ორი დღის თავზე, ჩემი მასულდგმულებელი ხმა უცებ დადუმდა. რვეული გადავშალე, მაგრამ პირველსავე ცარიელ გვერდს დავხედე თუ არა, მივხვდი, რომ გზა-კვალი დამეკარგა. ამიერიდან აღარ ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა. ნიკ ბოუენი მიწისქვეშა ოთახში დავტოვე. კარი გამოვუკეტე, შუქი წავართვი და ახლა წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა მეშველა, დახშული სივრციდან როგორ უნდა გამომეხსნა. გამოსავალი ერთი კი არა, ათობით მომაფიქრდა, მაგრამ ყველა ვერსია ერთიმეორეზე უფრო გაცვეთილი, მექანიკური და უსიცოცხლო მეჩვენებოდა. მიწისქვეშა თავშესაფარში ნიკ ბოუენის გამოკეტვა მაცდუნებელი იდეა იყო, შესაზარი და იმავდროულად, იდუმალების ელემენტის შემცველიც – ამას ვერანაირ რაციონალურ ახსნას ვერ მოვუძებნი – და ახლა ველარ შეველეოდი. თხრობა ამ მიმართულებით წამოვიყვანე, მაგრამ ამბის თავდაპირველ მონახაზს მეტისმეტად შორს

გავცდი. მაგალითად, იმ გზას, რომელიც ფლიტკრაფტმა განვლო, ჩემს გმირს უკვე ველარ გამოვატარებდი. ჰემეთი თავის იგავს მოხდენილი, კომიკური მოულოდნელობით ასრულებს და იმის მიუხედავად, რომ ამბავს ჰემეთისეულ ფინალშიც ბედისწერის ბეჭედი ატყვია, მისეული, სწორხაზოვანი შეჯამება ჩემს გემოვნებას არ აკმაყოფილებდა. რამდენიმე წლის განმავლობაში დაუსრულებელი ხეტიალის შემდეგ ფლიტკრაფტი სპოკანში ერთ ისეთ ქალზე დაქორწინდება, რომელიც მისი ყოფილი ცოლის ლამის ზუსტ ასლს წარმოადგენს. სწორედ ამას გულისხმობს სემ სფეიდი, როცა ბრიჯიდ ო'შონესის ეუბნება: „მგონი, ვერც კი მიხვდა, როგორ ჩაბრუნდა იმ საფლავში, რომლიდანაც ტაკომაში ძლივს ამოაღწია. თუმცა მე ამბის სწორედ ეს ნაწილი მომწონდა ყველაზე მეტად. ბედისწერას პირველად მაშინ გაუსწორა თვალი, როცა ჩამოვარდნილ ძელს ძლივს გადაურჩა, მეორედ კი – როცა მიხვდა, რომ ამას იქით თავში აღარაფერი დაეცემოდა. ახლა ამ ფაქტთან მოუხდა შეგუება". კოხტა, სიმეტრიული და ირონიული ფინალია; მაგრამ ისეთ ამბავს, რომლის დაწერასაც მე ვაპირებდი, დაბოლოებად არ გამოადგებოდა, საკმარისად ძლიერი არ იყო. საათზე მეტხანს ვიჯექი საწერ მაგიდასთან, თუმცა სიტყვაც არ დამიწერია. ალბათ ამას გულისხმობდა ჯონ ტრაუზე, როცა ამ პორტუგალიური რვეულების „სისასტიკე" ახსენა. რაღაც ხანი მათ ფურცლებზე ლაღად დანავარდობ, საკუთარი ყოვლისშემძლეობის შეგრძნებით თავბრუდახვეული კამკამა ლურჯ ცაში სუპერმენივით დალივლივებ, მერე კი, უცებ, გაუფრთხილებლად, მიწას ენარცხები, ამდენი აღფრთოვანების, ილუზიებით თავის მოტყუების შემდეგ (უნდა გამოვტყდე: ლამის იყო, დავიჯერე, რომ ამბავს, მოთხრობას რომანად

ვაქცევდი, მისი გამოცემა ცოტა ფულს მაშოვნინებდა და ოჯახში საკუთარი წონისა და მნიშვნელოვნების შეგრძნებას დამიბრუნებდა) თავს საზიზღრად ვგრძნობდი, სირცხვილით ვიწვოდი: ნაჩქარევად დაწერილმა ოცდაათიოდე გვერდმა მაფიქრებინა, რომ სამყარო მალე ჩემ გარშემო დაიწყებდა ბრუნვას. მხოლოდ იმას მივაღწიე, რომ ჩიხში შესვლამდე ვწერე. ვინ იცის, შეიძლება უკან გამოსაბრუნებელი გზაც მეპოვნა, მაგრამ ჯერჯერობით საამისო ნიშნებს ვერ ვხედავდი. ერთადერთი, რაც იმ დილას სულ თვალწინ მედგა, ჩემი სასოწარკვეთილი, ბედისგან გაწირული მთავარი გმირი იყო, მიწისქვეშა წყვდიადში გამოკეტილი პატარა ადამიანი, რომელიც მხსნელსა და მშველელს ელოდებოდა.

იმ დღეს მშვენიერი, თბილი ამინდი იყო, ტემპერატურა ფარენჰეიტით 60 გრადუსს აცდა, მაგრამ ღრუბლები არა და არ იშლებოდა და თორმეტის ნახევარზე, როცა ქუჩაში პირველად გავედი, ვიფიქრე, წვიმას ვერ ავცდებით-მეთქი. თუმცა კიბის უკან ავლა და ქოლგის აღება მაინც დამეზარა.

კორტ სტრიტზე ნელი ნაბიჯით გავედი, მაგრამ მალევე ვიგრძენი, რომ გვიან ღამემდე მუშაობას თავისი ექნა: თავბრუსხვევა განმიახლდა და ერთიანად აჭრილი, არეული ვიყავი. კეროლ სტრიტსა და პრეზიდენტ სტრიტს შუა მოქცეულ კვარტალს თხუთმეტ წუთში მივაღწიე. ფეხსაცმლის სახელოსნო ღია დამხვდა, ისევე, როგორც იმ შაბათ დილას; ღვინის მაღაზიაც მუშაობდა. მხოლოდ მათ შორის დარჩენილი სივრცე იყო ცარიელი. ორმოცდარვა საათის წინ ჩანგის ბიზნესი სტაბილურად და იმედისმომცემად გამოიყურებოდა, მაღაზიას ლამაზად მორთული ვიტრინა ამშვენებდა, მისი თაროები ათასნაირ საკანცელარიო საქონელს მიჰქონდა, ახლა კი – ეს მართლა გამაოგნებელი მეჩვენა – ყველაფერი უკვა-

ლოდ გამქრალიყო. მაღაზიის კარს მეორე, გისოსებიანი კარი ფარავდა, რომელსაც ზედ ბოქლომი ედო და როცა მის რომბისებურ ღიობში შევიჭყიტე, რაფაზე პატარა, ხელით ნაწერი განცხადება დავინახე, რომელიც იუწყებოდა:

მაღაზია ქირავდება. დარეკეთ: 858-1143.

ისეთი დაბნეული და გაოცებული ვიყავი, ერთხანს გაუნძრევლად ვიდექი და მაღაზიის კარს თვალგაშტერებული შევცქეროდი. ნუთუ ჩანგს საქმე ისე ცუდად წაუვიდა, რომ აქაურობიდან აბარგება გადაწყვიტა? ნეტავი როგორ მოხდა ეს? მარცხის განცდა ან დარდი მოეძალა და აქ შეყრილი ავლა-დიდება, მაღაზიის ინვენტარიანად, შაბათ-კვირის განმავლობაში გააზიდვინა? კი, მაგრამ რანაირად? ისიც კი გავიფიქრე, „ქაღალდის სასახლეში“ იმ შაბათი დღის ვიზიტი ხომ არ დამესიზმრა-მეთქი, იქნებ დროთა კავშირი დამერღვა და რაღაც ისეთი მახსოვს, რაც ორი დღის წინ კი არა, გაცილებით ადრე, ვთქვათ, ორი კვირის, ორი თვის წინ მოხდა-მეთქი. ღვინის მაღაზიაში შევედი და დახლს უკან მდგარ კაც, ალბათ, გამყიდველს გამოვკითხე. მასთან გამოლაპარაკებამ შვება მომგვარა, რადგან ჩემზე ნაკლებად გაოგნებული არც ეს ადამიანი ჩანდა. შაბათს ჩანგის მაღაზია ჩვეულებრივად მუშაობდაო, მითხრა ჩემმა თანამოსაუბრემ, შვიდ საათზე, სახლში რომ მივდიოდი, ჯერ კიდევ აქ იყოო. „ალბათ ღამით ან გუშინ საღამოს გაიტანა ყველაფერი,“ – გააგრძელა მერე, – „კვირას მე არ ვმუშაობ. რამონს დაელაპარაკეთ – კვირაობით ეგ მუშაობს ხოლმე. დილით რომ მოვედი, იქაურობა გამოცარიელებული დამხვდა. სასწაული თუ გინდათ, აი ეს არის. გეგონება, ჯადოქარმა თავისი ჯადოსნური ჯოხი აიქნია და პუუუჰ, გაქრა ჩვენი ჩინელი“.

წებოვანი ლენტი სხვა მაღაზიაში ვიყიდე, მერე „ლან-

დოლფისკენ“ ჩავისეირნე, სიგარეტის ყიდვა მინდოდა („პელ-მელი“ ვიყიდე, ან უკვე განსვენებული ედ ვიქტორისათვის პატივის მისაგებად) და კიდევ – სამხრის დროს საკითხავი გაზეთების შერჩევა. ტკბილეულობის მაღაზიიდან ნახევარ კვარტალში ერთი კარგი ადგილი ვიცოდი – „რიტაზი“, პატარა, ხმაურიანი ყავახანა; მთელი ზაფხული იქ დავდიოდი. ერთი თვე იყო გასული, რაც ამ ყავახანაში აღარ ვყოფილვარ და როცა ოფიციანტიცა და ბარმენიც შესვლისთანავე თბილად შემომეგებნენ, გული ამიჩუყდა. მნიშვნელობა არ აქვს, რო-გორ ვგრძნობდი თავს იმ დღეს, მაინც სასიამოვნოა, როცა ვიღაცას ახსოვხარ და შენი გამოჩენა ახარებს. ის შევუკვეთე, რასაც ყოველთვის ვიღებდი ხოლმე – დამდნარყველიანი სენ-დვიჩი – და გაზეთების საკითხავად მოვემზადე. ჯერ „ტაიმსს“ გადავავლე თვალი, მერე „დეილი ნიუზის“ სპორტის გვერდს შევუდექი („მეტსებს“ კვირას „კარდინალებთან“ წაეგოთ), ბო-ლოს კი „ნიუზდეის“ კითხვა დავიწყე. ცხადია, იმას, რასაც მაშინ ვაკეთებდი, დროის ფლანგვა ერქვა, სხვა არაფერი, მაგრამ სამუშაო წინ მაინც არ მიმდიოდა, შინ ყოფნის არა-ნაირი სხვა საჭიროება არ არსებობდა, არც ზარს ველოდებო-დი, ამიტომ ფეხს ვითრევდი და წასვლას სულ არ ვჩქარობ-დი, მით უფრო, რომ მერე წვიმაც დაიწყო, მე კი, როგორც ვთქვი, ვიზარმაცე – სადარბაზოდან გამოსულს რამდენიმე სართულის უკან ავლა დამეზარა და ამიტომ ახლა ქოლგაც კი არ მქონდა.

იმ დღეს „რიტაზში“ ამდენ ხანს რომ არ დავრჩენილიყავი, მეორე სენდვიჩი და ორი ფინჯანი ყავა რომ არ ამეღო, ალ-ბათ ვერც „ნიუზდეის“ ოცდამეჩვიდმეტე გვერდზე დაბეჭდილ სტატიას გადავაწყდებოდი. სწორედ წინა ღამით ლურჯ რვე-ულში ედ ვიქტორის მიერ დახაუში ნანახ და გადატანილ ამ-

ბებზე ვწერდი. მერე რა, რომ ედი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, მხატვრული ტექსტის პერსონაჟი გახლდათ. ის ამბავი, სადაც დედა მკვდარ ბავშვს რძეს ასმევს, ნამდვილი იყო – მეორე მსოფლიო ომის[8] შესახებ დაწერილ ერთ წიგნს დავესესხე.

ყურებში ჯერაც ედის სიტყვები („ეს კაცთა მოდგმის დასასრული იყო") ჩამესმოდა, როცა ახალი ამბების გვერდზე ზერელედ, მშრალად დაწერილი სტატია დავინახე, რომელიც კიდევ ერთ მკვდარ ჩვილს შეეხებოდა. თვით სტატიაც კიდევ ერთი გზავნილი იყო ჯოჯოხეთიდან. შემიძლია აქ სიტყვა-სიტყვით მოვიტანო, რადგან სწორედ ახლა წინ მიდევს. იმ საღამოს, ოცი წლის წინ, გაზეთს მთელი გვერდი მოვახიე და მას მერე საფულით სულ თან დავატარებ.

---

[8] პატრიკ გორდონ-უოქერის „ფარდის ახდას" (ლონდონი, 1945) ვგულისხმობ. მოგვიანებით იგივე ამბავი დაგლას ბოთინგის წიგნში „რეიხის ნანგრევებიდან: გერმანია 1945-49" (ნიუ-იორკი, ქრაუნის გამომცემლობა, 1985) ამოვიკითხე (გვ.43).

აქვე ბარემ იმისაც ვიტყვი, რომ 1937/38 წლების ვარშავის სატელეფონო ცნობარი მართლა მქონდა. ერთი მეგობარი ჟურნალისტისგან მერგო, რომელიც 1981 წელს „სოლიდარნოშჩის" მოძრაობის გასაშუქებლად ვარშავაში მიავლინეს. როგორც ჩანს, ძველმანების ბაზრობაზე იყიდა. რაკი იცოდა, რომ მამაჩემის ორივე მშობელი ვარშავაში იყო დაბადებული, ნიუ-იორკში დაბრუნების შემდეგ მე მაჩუქა. ამ ცნობარს *ჩემი აჩრდილების წიგნი* ვუწოდე. იქ, 220-ე გვერდზე, სულ ძირში, აბონენტებს შორის ცოლ-ქმარი ვიპოვე, იანინა და სტეფან ორლოვსკები. მათ მისამართად ვეინერტის ქუჩა, 19 იყო მითითებული. Orlowscy – ასე იწერება ჩემი გვარის მრავლობითი ფორმა პოლონურად. თავს ვერ გამოვიდებ, რომ მაინცდამაინც ისინი იყვნენ ჩემი ბებია და ბაბუა, მაგრამ ალბათობა ძალიან დიდია.

„ბრონქსში 22 წლის მეძავმა და ნარკომანმა ტუალეტში, უნიტაზზე მჯდომარემ იმშობიარა, ბავშვი კი ნაგვის ყუთში ჩააგდო," – განაცხადა გუშინ ქალაქის პოლიციის წარმომადგენელმა.

მისი განმარტებით, გუშინ, დაახლოებით ღამის 1.00 საათზე ქალს ვინმე ჯონთან სექსი ჰქონდა. ამის შემდეგ ის გამოვიდა ოთახიდან, რომელიც კლიენტმა საირუს ფლეისზე, 450-ე ნომერში, დაიქირავა და კრეკის მოსაწევად ტუალეტში შევიდა. უნიტაზზე რომ დაჯდა, მისივე თქმით, იგრძნო, როგორ „წამოუვიდა წყალი, რომელსაც მერე რაღაც უფრო დიდი მოჰყვა," – გვიამბო სერჟანტმა მაიკლ რაიანმა.

პოლიციაში განმარტავენ, რომ ქალი (რომელიც ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა), როგორც ჩანს, ვერ მიხვდა, რომ მშობიარობდა.

ოცი წუთის შემდეგ ქალს შეუნიშნავს, რომ უნიტაზში მკვდარი ჩვილი ეგდო. ბავშვი პირსახოცში გაუხვევია და სანაგვეში ჩაუგდია. „მერე კლიენტთან დაბრუნდა, რომელთანაც, სავარაუდოდ, კვლავ სექსუალური კავშირი დაამყარა," – ამბობს სერჟანტი რაიანი. თუმცა მალე ისინი ფულის გამო წაკამათდნენ და, პოლიციის ცნობით, ღამის 1:15 საათზე ქალმა კლიენტი დანით მკერდის არეში დაჭრა.

ქალი, რომლის სახელი და გვარი უკვე დადგენილია – კიშა უაითი – დანაშაულის ადგილიდან მიიმალა და შინ, 188-ე ქუჩაზე მდებარე სახლის ერთ-ერთ ბინაში დაბრუნდა. მოგვიანებით უიათმა ბავშვის გვამი სანაგვიდან გაურკვეველი მიზნით ამოიღო. სწორედ ამ დროს მისი დაბრუნება მეზობელმა შენიშნა და პოლიცია გამოიძახა.

სტატიის კითხვა რომ დავამთავრე, გუნებაში ვთქვი: *„აი, ყველაზე შემზარავი ამბავი, რაც კი ოდესმე წამიკითხავს"*.

SPIS ABONENTÓW WARSZAWSKIEJ SIECI

TELEFONÓW

POLSKIEJ AKCYJNEJ SPÓŁKI TELEFONICZNEJ

ROK 1937/38

07	Biuro Zleceń	07
05	Zegar	05

Numery oznaczone gwiazdką * należy brać ze Spisu Abon. 1936/37 r. do czasu ogłoszenia w gazetach o uruchomieniu centrali w Mokotowie.

11 40 44 **Orlean Ch.**, Karmelicka 29
12 20 51 **Orlean Josef**, m., Muranowska 36
12 08 51 **Orlean Josek**, m., Św. Jerska 9
2 37 68 **Orlean Mieczysław**, m., Chłodna 22
12 07 94 **Orlean Ruta**, m., Gęsia 29
6 18 99 **Orleańska Paulina**, Złota 8
2 06 98 **Orleański D.**, m., Moniuszki 8
8 83 21 **Orleńska O.**, artystka teatr. miejsk., m., Marszałkowska 1
12 61 33 **Orlewicz Stanisław**, dr., płk., Pogonowskiego 42
12 69 99 **Orlewicz Stefan**, m., Pogonowskiego 40
11 91 94 **„Orlę"**, Zjedn. Polsk. Młodzieży Prac., okr. Stoł., Leszno 24
2 14 24 **Orlicki Stanisław**, adwokat, Orla 6
11 77 10 **Orlik Józefa**, m., Babice, parc. 165
10 06 84 **Orlikowscy B-cia**, handel win, wódek i tow kolonj., Ząbkowska 22
6 24 38 **Orlikowska Janina**, m., Alberta 2
9 28 26 **Orlikowski Antoni**, lek. dent., pl. 3-ch Krzyży 8
10 12 19 **Orlikowski Jan**, skł. towarów kolonjalnych, Targowa 54
10 26 02 **Orlikowski Jan**, m., Targowa 19
12 73 03 **Orlikowski Stanisław**, m., Zajączka 24
4 22 70★ **Orliński Bolesław**, m., Racławicka 94
5 85 97 **Orliński Maks**, dr. med., chor. nerw., Wielka 14
8 11 10 **Orliński Tadeusz**, dziennik., Jerozolimska 31
9 96 24 **Orlot Leroch Rudolf**, mjr., Koszykowa 79a
„Orlorog", daw. **Orłowski L., Rogowicz J. i S-ka, Sp. z o. o.**, fabr. izol. kork.. bud. wodochr., bituminy, asfaltów
9 81 23 — wydz. techn., pl. 3-ch Krzyży 13
— „ — — (dod.) gab. inż. J. Rogowicza
— „ — — (dod.) biuro i buchalterja
5 05 59 — fabryka, Bema 53
8 07 66 **Orłow Grzegorz**, m., Mokotowska 7
7 01 69 **Orłów Ludwik**, przeds. rob. budowl., Buska 9
11 52 63 **Orłow P. A.**, sprzed. lamp i przyb. gazowych, Zamenhofa 26
4 19 01★ **Orłowscy Janina i Stefan**, m., Wejnerta 19
8 80 57 **Orłowska Halina**, m., Polna 72
3 16 29 **Orłowska Lilla**, Kopernika 12
4 28 36★ **Orłowska Marja**, kawiarnia, Rakowiecka 9
12 52 54 **Orłowska Marja**, m., Cegłowska 14
9 27 63 **Orłowska-Czerwińska Sława**, artystka Opery, Wspólna 37
3 19 47 **Orłowska Stefanja**, mag. kapeluszy damsk., Chmielna 4
9 40 41 **Orłowska-Świostek Zofja**, lek. dent., Wspólna 63
8 61 75 **Orłowska Zofja**, m., Al. 3 Maja 5
6 88 98 **Orłowski Adam**, inspektor skarb., Chłodna 52
8 16 66 **Orłowski Edward**, dr. med., Hoża 15
2 47 59 **Orłowski Feliks**, szofer, Elektryczna 1
11 06 01 **Orłowski Izrael**, m., Gęsia 20
8 53 04 **Orłowski Jan**, m., 6-go Sierpnia 18
5 98 63 **Orłowski Juljan**, Sienna 24
2 57 24 **Orłowski M.**, handel win i tow. kolonj., Marjensztat 7
5 24 65 **Orłowski Maksymiljan**, dr. med., rentgenolog, Graniczna 6

11 69 91 „
12 61 62 **Orth Anna**
Orthwein, Ka
5 01 58 — dyrekc
— „ — — (dod.)
2 63 45 **Ortman S**
2 10 21 **„Ortopedja**
11 56 93 **„Ortozan**
8 75 14 **Ortwein**
2 22 30 **„Orwil"**
5 86 86 „
9 39 69 **„Oryginalna**
9 55 89 **Orynowski**
8 14 23 **Orynżyna**
7 10 92 **Orzażewski**
10 17 29 **Orzażewski**
8 16 19 **Orzażewski**
11 69 79 **Orzech J. B.**
9 98 19 **Orzech L.**
2 16 01 **Orzech M.**
5 33 43 **Orzech Mau**
12 13 01 **Orzech Mori**
5 38 00 **Orzech Paw**
11 84 29 **Orzech Pink**
6 59 39 **Orzech Szym**
2 16 01 **Orzechowa**
6 44 22 „
9 42 28 **Orzechowska**
2 63 15 **Orzechowska**
9 71 24 **Orzechowska**
8 32 16 **Orzechowska**
10 17 31 **Orzechowska**
8 93 81 **Orzechowska**
4 08 59★ **Orzechowska**
8 84 02 **Orzechowski**
6 50 92 **Orzechowski**
5 36 59 **Orzechowski**
12 74 22 **Orzechowski**
6 35 30 **Orzechowski**
5 83 80 **Orzechowski**
5 04 72 **Orzechowski**
5 30 09 **Orzechowski**
9 66 51 **Orzechowski**
4 35 24★ **Orzechowski**
12 52 55 **Orzechowski**
4 32 85★ **Orzechowski**
5 83 22 **Orzechowski**
12 58 23 **Orzechowski**
2 76 02 **Orzechowski**
2 04 23 **Orzechowski**
11 41 31 **Orzelski Mar**
6 77 66 **„Orzeł"**, zob

ჩვილ ბავშვთან დაკავშირებული ამბის გადახარშვა ხომ ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მეოთხე აბზაცს რომ მივადექი და ბავშვის ისტორიას დანის ინციდენტიც დაემატა, მივხვდი, რომ კაცთა მოდგმის აღსასრულის ამბავს ვკითხულობდი, რომ ის ოთახი ბრონქსში ყველაზე საზარელი ადგილი იყო, სადაც ადამიანის სიცოცხლეს მნიშვნელობა, ფასი დაეკარგა. რამდენიმე წუთით შევყოვნდი, აჩქარებულ გულს საგულეში ჩადგომა დავაცადე და მერე სტატია ხელახლა წავიკითხე. მეორედ რომ ვკითხულობდი, თვალები ცრემლებით ამევსო. იმდენად მოულოდნელი იყო ეს ცრემლები, ისეთი მოუმზადებელი ვიყავი მათთან გასამკლავებლად, სახეზე ხელები ავიფარე, რომ არავის დაენახა. ცოტა ნაკლები ხალხი რომ ყოფილიყო იმ ყავახანაში, ალბათ ვერ გავუძლებდი და ქვითინი ამიტყდებოდა. საქმე აქამდე არ მისულა, მაგრამ თავს ძლივს მოვერიე, ადამიანური გამომეტყველება ძლივს დავიბრუნე.

ყავახანიდან შუა წვიმაში გავედი და სახლისკენ გავეშურე. შინ სველი ტანსაცმელი გავიხადე, მშრალი ჩავიცვი, მერე კაბინეტისკენ გავემართე, საწერ მაგიდას მივუჯექი და ლურჯი რვეული გადავშალე: იმ ამბავზე კი არა, რომელსაც აქამდე ვწერდი, არამედ რვეულის ბოლო გვერდზე, ყდის შიდა მხარეს რომ ემეზობლება. სტატიამ იმდენად შემძრა, მასზე პასუხად რაღაცის დაწერა მინდოდა, საკუთარ თავში კატასტროფის შეგრძნება უნდა ჩამეცხრო. დაახლოებით ერთი საათი ვწერდი, უკუღმა, ბოლო გვერდიდან წინისაკენ: ოთხმოცდამეთექვსმეტე გვერდიდან დავიწყე, ოთხმოცდამეთხუთმეტეზე გადმოვედი და ასე შემდეგ. ცხელ გულზე დაწყებული ტექსტის წერას რომ მოვრჩი, რვეული დავხურე, წამოვდექი და დერეფანს სამზარეულოსკენ გავუყევი. ფორთოხლის წვენი დავისხი და როცა წვენის მუყაოს ყუთს ისევ მაცივარში ვდებდი, შემთხვე-

ვით ტელეფონს გავხედე, რომელიც ოთახის კუთხეში, პატარა მაგიდაზე იდო. ჩემდა გასაკვირად, ავტომოპასუხის ნათურა ციმციმებდა. უცნაური იყო: ყავახანიდან რომ დავბრუნდი, არცერთი შეტყობინება არ დამხვედრია, ახლა კი, როგორც აღმოვაჩინე, ერთი კი არა, ორი წაუკითხავი გზავნილი მელოდა. მართლა მეუცნაურა ეს ამბავი. დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია ამ ფაქტისთვის, მაგრამ გაკვირვებით კი გამიკვირდა. არ გამიგია, როდის დარეკა ტელეფონმა. ნუთუ ისეთი თავდავიწყებით ვწერდი, რომ ტელეფონის ზარს ყურადღება არ მივაქციე? შესაძლებელია. თუ ასე მოხდა, მაშინ ასეთი რამ ცხოვრებაში პირველად დამემართა. ჩვენს აპარატს გამორჩეულად ხმამაღალი ზარი ჰქონდა და როცა ვინმე რეკავდა, დერეფნის ბოლოში მუშაობას მაწყვეტინებდა ხოლმე, მაშინაც კი, როცა კარი დახურული იყო.

პირველი შეტყობინება გრეისისა გამოდგა. რაღაც სასწრაფო სამუშაო ჰქონდა დასასრულებელი და მატყობინებდა, რომ სამსახურიდან რვა საათამდე ვერ გამოვიდოდა, ამიტომ მთხოვდა, როცა მომშივდებოდა, არ დავლოდებოდი და მარტოს მევახშმა.

მეორე შეტყობინება ჩემს აგენტს, მერი სკლარს დაეტოვებინა. თურმე იმ დღეს მისთვის ლოს ანჯელესიდან დაურეკავთ და უკითხავთ, კიდევ ერთი სცენარის დაწერაზე ხომ არ დავთანხმდებოდი. მერი მთხოვდა, მისთვის დამერეკა, რათა სხვა დეტალებში უკეთ გავერკვიე.[9]

---

[9] ოთხი წლის წინ, ჩემს პირველ წიგნში დაბეჭდილი ერთ-ერთი მოთხრობის, „Tabula Rasa"-ს მიხედვით სცენარი დავწერე. ფილმს ახალგაზრდა რეჟისორი ვინსენტ ფრანკი იღებდა. მოკლე, მცი-

***

დარეკვით კი მაშინვე დავურეკე, მაგრამ საქმეზე კარგა ხანს ვერ გადავედით. ნაცნობ-მეგობრებთან სხვანაირად აღარც გამომდიოდა, საუბარს ყველა ჯანმრთელობის ამბების გამოკითხვით მიწყებდა და ახლაც ასე მოხდა. ვერც გაამტყუნებდი: ეგონათ, რომ მალე დამკარგავდნენ და ახლაც კი, როცა შინ ვიმყოფებოდი და საავადმყოფოდან გამოწერის დღიდან ოთხი თვე იყო გასული, უჭირდათ დაჯერება, რომ ცოცხალი ვიყავი და წლის დასაწყისში რომელიმე სასაფლაოზე არ მოუხდათ ჩემთან გამოთხოვება.

რებიუჯეტიანი ფილმი იყო მუსიკოსის შესახებ, რომელიც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თანდათანობით გონს მოდის და საკუთარი ცხოვრების ხელახლა შეკონინებას ცდილობს (როგორც ხედავთ, წინასწარმეტყველური ამბავი გამოდგა). 1980 წლის ივლისში ფილმი ფართო ეკრანებზე გამოვიდა და საკმაოდ კარგი გამოხმაურება ჰქონდა. „Tabula Rasa“ მხოლოდ არტჰაუსზე ორიენტირებულ კინოთეატრებში უჩვენეს, ფილმმა კრიტიკოსების მაღალი შეფასებები დაიმსახურა, მერე კი, მისი წყალობით, (მერის ძალიან უყვარდა ჩემთვის ამის შეხსენება) შედარებით ფართო საზოგადოებამ გამიცნო. ჩემი წიგნების მიმართ ყურადღებამ იმატა, ხოლო ცხრა თვის შემდეგ ჩემი მომდევნო წიგნის („ადამიანთა გრძნობების მოკლე ლექსიკონი“) საავტორო უფლება მერიმ „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთს“ ისეთი მომგებიანი კონტრაქტით მიჰყიდა, რომ წინა წიგნთან შედარებით ორჯერ მეტი თანხა გადამიხადეს. ამ ავანსმა, კინოსცენარში აღებულ არცთუ დიდ ჰონორართან ერთად, საშუალება მომცა, კოლეჯში მასწავლებლობისთვის თავი დამენებებინა, არადა, მანამდე შვიდი წლის განმავლობაში თავს ამ საქმით ვირჩენდი. ამ პერიოდში ყველასთვის უცნობ, დაუცხრომელ მწერალთა იმ არმიას ვეკუთვნოდი, დილის ხუთიდან შვიდ საათამდე რომ წერენ, წერენ შაბათ-კვი-

– არა მიშავს, – ვუპასუხე ჩვეულ კითხვაზე მერის, – შიგადაშიგ სისუსტე მერევა, მაგრამ უმეტესად არა მიშავს. ყოველ კვირა უკეთ და უკეთ ვარ.

– შენზე ამბობენ, რაღაცის წერაც კი დაიწყოო. ნეტავ მართალია?

რასაც, ზაფხულობითაც, მაშინ, როცა სხვები შვებულებაში არიან და დროს ატარებენ; ესენი ბრუკლინის ჩახუთულ, ნაქირავებ ბინებში სხედან და დროის იმ დანაკარგის ანაზღაურებას ცდილობენ, როცა წერას სხვა საქმეების გამო იყვნენ მოწყვეტილნი. ახლა, როცა უკვე წელიწადნახევარი იყო, რაც გრეისზე დაქორწინებული გახლდით, დამოუკიდებელი მწერლის მდგომარეობა და საკუთარი ნება-სურვილით წერის ფუფუნება მქონდა მოპოვებული. რა თქმა უნდა, შეძლებულ ცხოვრებამდე ბევრი გვიკლდა, მაგრამ ვხედავდი, რომ თუ მუშაობას სტაბილური, მოზომილი ტემპით გავაგრძელებდი, მაშინ ჩვენი ერთობლივი შემოსავალი თანდათანობით წელს გაგვიმაგრებდა. „Tabula Rasa"-ს ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ რამდენიმე სცენარის დაწერა შემომთავაზეს, მაგრამ ყველა წინადადებაზე უარი ვთქვი, რადგან იმ დროს რომანს ვწერდი და სცენარებს ხელს ვერ შევაშლევინებდი. 1982 წელს, როცა „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთმა" ხსენებული რომანი გამოსცა, მე არც გამიგია: დაახლოებით მეოთხე თუ მეხუთე კვირა იყო, რაც საავადმყოფოში ვიწექი და ამქვეყნიური საქმეებისა არაფერი გამეგებოდა – ისიც კი არ ვიცოდი, რომ თურმე ექიმები ჩემს სიკვდილს დღე დღეზე ელოდებოდნენ.

ფილმ „Tabula Rasa"-ზე მუშაობისას კინემატოგრაფისტთა პროფესიული კავშირის მოთხოვნები იყო გასათვალისწინებელი. რეჟისორს ჩემი სცენარის გამოყენების უფლება არ ჰქონდა, თუ მწერალთა გილდიის წევრი არ გავხდებოდი. გილდიის წევრობა კვარტალში ერთხელ მცირე საწევრო შენატანს და სამწერლობო შემოსავლებიდან მცირე პროცენტის გადარიცხვას გულისხმობდა, სამაგიეროდ, სხვა სიკეთეებთან ერთად, საფუძვლიანი სამედიცინო

– ვინ გითხრა?

– ჯონ ტრაუზემ. დილით დამირეკა, ვილაპარაკეთ, შენ გახსენეთ და სიტყვამ ეგეც მოიტანა.

– მართალია, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რა გამოვა. ალბათ, არც არაფერი.

დაზღვევა მერგო. ის დაზღვევა რომ არა, ჩემი ავადმყოფობის მერე სამევალეო ციხეში მიკრავდნენ თავს. დაზღვევამ ხარჯების უმეტესი ნაწილი დამიფარა, მაგრამ სამედიცინო გეგმა კიდევ ბევრ სხვა რამესაც მოიცავდა, რასაც დაზღვევა ვერ გაწვდა: ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტული პროცედურები რად ღირდა. ერთი სიტყვით, ოცდათექვსმეტი ათასი დოლარი ვალად მქონდა აკიდებული. ასეთი იყო ის ტვირთი, რომელიც მე და გრეისს კიდევ დიდხანს უნდა გვეზიდა. რაც მეტად მიბრუნდებოდა ჯან-ღონე, დარდითაც მით მეტად ვდარდობდი და ტვინს ვიჭყლეტდი, თუ როგორ უნდა ჩამოგვეცილებინა ამ ვალების სიმძიმე. დახმარება გრეისის მამამ შემოგვთავაზა, რომელიც საოლქო მოსამართლე იყო. მდიდარი კაცი ნამდვილად არ ეთქმოდა, თანაც გრეისის ორი უმცროსი დის კოლეჯის გადასახადი მძიმე ტვირთად აწვა, ამიტომ მისგან დახმარების მიღება უხერხულად გვეჩვენა. კრედიტებს ყოველთვიურად მცირე-მცირე თანხების გადახდით ვფარავდით და იმედი გვქონდა, რომ როდესმე ამ ვალდებულებას ბოლომდე მოვიცილებდით – იქამდე მაინც, სანამ საპენსიო ასაკს მივაღწევდით. გრეისი გამომცემლობაში მუშაობდა, რაც, უკეთეს შემთხვევაში, იმას ნიშნავს, რომ ცუდი ხელფასი ჰქონდა. მე უკვე წელიწადი სრულდებოდა, ოჯახში არაფერი შემომეტანა, წარმოუდგენლად მცირე საავტორო პროცენტების და უცხოური გამოცემებიდან მიღებული ავანსების გარდა. ეს იყო და ეს. ამიტომაც, გასაგები იქნება, რატომ დავურეკე მერის დაუყოვნებლივ, მისი შეტყობინების მოსმენისთანავე. სცენარის დაწერაზე არც კი მიფიქრია, მაგრამ ანაზღაურებას გააჩნდა: თუ ამჯერად უკეთ გადამიხდიდნენ, მაშინ სამუშაოზე უარს არ ვიტყოდი.

– იმედი ვიქონიოთ, რომ გამოვა. კინოს ხალხს ვუთხარი, ახალი რომანი დაიწყო და თქვენი წინადადებით ალბათ აღარც დაინტერესდება-მეთქი.

– სინამდვილეში ძალიანაც დავინტერესდი. მეტი რომ არ შეიძლება, ისე. კარგ ფულს თუ იხდიან, ინტერესი უფრო მომემატება.

– ორმოცდაათი ათასს იხდიან.

– არაჩვეულებრივია. ორმოცდაათი ათასი დოლარი მე და გრეისს უზარმაზარ ტვირთს ჩამოგვხსნიდა.

– ცოტა იდიოტური პროექტი მგონია, სიდ. საშენო საქმე ნამდვილად არაა. სამეცნიერო ფანტასტიკას იღებენ.

– აჰ, გასაგებია. მთლად ის არ არის, რასაც მე ვწერ, არა? უფრო ზუსტად რომ ვთქვთ, რაზე ვლაპარაკობთ მე და შენ: ფანტასტების მეცნიერებაზე თუ სამეცნიერო ფანტასტიკაზე?

– შენ მანდ რამე განსხვავებას ხედავ?

– როგორ გითხრა...

– „დროის მანქანის“ რიმეიქის გადაღება უნდათ, სიდ.

– ჰერბერტ უელსის „დროის მანქანის“?

– ჰო. ბობი ჰანტერი იღებს.

– ჰანტერი, რომელიც მაღალბიუჯეტიან სათავგადასავლო ფილმებს ერთი მეორის მიყოლებით აცხობს? მერე მაგ კაცმა ჩემზე რა იცის?

– შენი ფანი ყოფილა. ყველა შენი წიგნი წაკითხული ჰქონია. „Tabula Rasa“-ზე, ფილმზე, თურმე გიჟდება.

– ახლა ალბათ სიხარულით ცას უნდა ვეწიო, მაგრამ ერთი რამე მაინც ვერ გავიგე: მე რატომ ამირჩიეს? ამნაირი პროექტისთვის – ამის თქმა მინდა.

– ნუ ღელავ, სიდ. ახლავე დავურეკავ და შენს უარს გადავცემ.

– მოდი, ორი დღე მომეცი მოსაფიქრებლად, კარგი? წიგნს წავიკითხავ და მერე ვნახოთ. რა იცი, რა ხდება. იქნებ რამე საინტერესო იდეა შევთავაზო.

– კარგი. როგორც მეტყვი, ისე ვიზამ. მაშ, ვეუბნები, რომ ჯერ ფიქრობ. არაფერს ჰპირდები, მაგრამ სანამ რამეს გადაწყვეტ, მოსაფიქრებლად დრო გჭირდება.

– დარწმუნებული ვარ, ჰერბერტ უელსი სახლში უნდა მქონდეს. ძველი, რბილყდიანი გამოცემა მქონდა სადღაც. თორმეტი-ცამეტი წლის ვიყავი, როცა ვიყიდე. ამ წუთასვე მოვძებნი, წავიკითხავ და ერთ-ორ დღეში დაგირეკავ.

1961 წელს ნაყიდ რბილყდიან გამოცემაში, რომელიც თურმე ბავშვობაში ოცდათხუთმეტ ცენტად შემიძენია, ჰერბერტ უელსის ადრეული რომანებიდან ორი – „დროის მანქანა“ და „სამყაროთა ომი“ იყო შეტანილი. „დროის მანქანა“ ას გვერდამდე სიდიდის ტექსტი იყო. დიდი დრო რად უნდოდა, კითხვა ერთ საათში დავასრულე. ყოველნაირი მოლოდინის გამაწბილებელ წიგნად მომეჩვენა – მოუქნელად გამოჩორკნილი, უხეირო ნაწერი, სათავგადასავლო ჟანრის საფარქვეშ ცუდად შენიღბული სოციალური კრიტიკა, არც ისე და არც ასე რომ არ ვარგოდა. გაუგებარი იყო, ვის ან რატომ უნდა გასჩენოდა ამ წიგნის მიხედვით ფილმის გადაღების სურვილი. თანაც ერთი ასეთი ვერსია უკვე არსებობდა და თუ ამ ტიპმა, ბობი ჰანტერმა დაახლოებით მაინც იცოდა, რას ვწერდი, მაშინ ეს მხოლოდ იმის ნიშანი იყო, რომ ამ კაცს სურდა, წიგნში მოთხრობილი ამბავი სხვაგან, სხვა გარემოებებში გადამეტანა და იმ მასალის მიხედვით, რასაც წიგნი იძლეოდა, რაღაც სრულიად ახალი გამეკეთებინა. ასე რომ არ იყოს, მაშინ

მაინცდამაინც მე რატომ მომმართავდა-მეთქი, – გავიფიქრე. ათასობით ისეთი სცენარისტი არსებობდა, რომლებთანაც მე, გამოცდილების მხრივ, ახლოსაც ვერ მივიდოდი. უელსის ამ რომანის მეტ-ნაკლებად მისაღებ სცენარად ქცევა ნებისმიერ მათგანს შეეძლო, შედეგად კი, ჩემი წარმოდგენით, იმ ფილმის მსგავსს მივიღებდით, როდ ტეილორის და ივეტ მიმიოს მონაწილეობით რომ გადიოდა ჩემს ბავშვობაში, ოღონდ, რა თქმა უნდა, აქ უფრო რთული სპეცეფექტები იქნებოდა.

თუ რამე იყო ისეთი, რამაც ამ წიგნში მიმიზიდა, დროში მოგზაურობის ერთობ ამბიციური იდეა გახლდათ. თუმცა, ჩემი შეგრძნებით, უელსმა ამ მხრივაც ჩაისვარა და მოქმედება სულ სხვა, არასწორი მიმართულებით განავითარა: თავისი გმირი მომავალში გაგზავნა, და რაც მეტს ვფიქრობდი ამის შესახებ, მით მეტად მიმტკიცდებოდა აზრი, რომ ადამიანების უმეტესობა მომავალში კი არა, წარსულში მოგზაურობას აირჩევდა. ჯონ ტრაუზეს მიერ მისი ცოლის ძმასა და სამგანზომილებიან გამშვებზე მოყოლილი ამბავი იმის კარგ თვალსაჩინოებად გამოდგებოდა, თუ რა მაგრად ვყავართ ჩაჭერილები ჩვენს მკვდრებს. ჩემთვის რომ არჩევანი მოეცათ, წარსულში ან მომავალში გადავსულიყავი, ჭოჭმანს არ დავიწყებდი, ჯერ არშობილთა საზოგადოებას უთუოდ იმათთან ყოფნას ვამჯობინებდი, ვინც უკვე ცოცხალი აღარ არის. რამდენი უპასუხო გამოცანა აქვს ისტორიას, განა შესაძლებელია, რომ ადამიანს ცნობისმოყვარეობა არ ამოძრავებდეს? განა იმის ცოდნა არ უნდა სურდეს, როგორი იყო სამყარო უწინ, ვთქვათ, ათენი – სოკრატეს, ან ვირჯინია – თომას ჯეფერსონის დროს? განა შესაძლებელია, ტრაუზეს ცოლის ძმისა არ იყოს, იმ ადამიანებთან შეხვედრის ცდუნებას გაუძლო, ვინც ამ ცხოვრებაში დაკარგე? როგორ შეიძლება

სულმა არ წაგძლიოს და იმ დღისკენ არ გასწიო, როცა დედაშენმა და მამაშენმა ერთმანეთი გაიცნეს; ან პაპების და ბებიების ეპოქას, თუნდაც მათ ბავშვობას თვალი არ შეავლო და მათთან გამოლაპარაკების სურვილი არ გაგიჩნდეს? ნუთუ არსებობს ვინმე, ვინც ამ ყველაფერზე უარს იტყოდა და უცხო და უცნაური მომავლის ხილვას ამჯობინებდა? განა ლემიუელ ფლეგმა „მისნის ღამეში“ სწორედ ეს მომავალი არ იხილა და მისმა ხილვამ არ გაანადგურა? ჩვენ ხომ არ გვსურს ვიცოდეთ, როდის მოვკვდებით, როდის გვიღალატებენ, ზურგს გვაქცევენ ის ადამიანები, თავს რომ გვირჩევნია, მაგრამ რას არ მივცემდით, ოღონდ ამ ქვეყნიდან წასულები სიცოცხლეშივე გვენახა, ცოცხლად გაგვეცნო.

იმის გაგებაც შემიძლია, თუ რისთვის დასჭირდა უელსს საკუთარი გმირის მომავალში გაგზავნა. ალბათ მხოლოდ დროში მოგზაურობით ეჩვენებოდა შესაძლებელი ინგლისის კლასობრივი სისტემის უსამართლობების ჩვენება; თუკი მომავალში გადაიტანდა, ნაციონალური უბედურების დონემდე მათი განზოგადება უფრო გაუადვილდებოდა, მაგრამ მაშინაც კი, როცა მის ამ უფლებას ვაღიარებდი, წიგნის სხვა, გაცილებით უფრო დიდი პრობლემისთვის თვალის არიდება ძალიან მიჭირდა. თუ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის ლონდონში მცხოვრებმა ადამიანმა შეძლო და დროის მანქანა გამოიგონა, მაშინ გონივრული იქნება, ვივარაუდოთ, რომ მომავლის ადამიანები ამის გაკეთებას მით უფრო მოახერხებდნენ. თუ თავად ვერ შეძლებდნენ, მაშინ დროში რომელიმე მოგზაური ხომ მაინც მიაწვდიდა ამ იდეას. ხოლო თუ წარსულში დაბრუნება ან დროში წინ გადანაცვლება მომავალი თაობებისთვისაც გახდებოდა შესაძლებელი, მაშინ გამოდის, რომ წარსულიცა და მომავალიც ისეთი ადამიანებით

გაივსებოდა, ვინც დროის მოცემულ მონაკვეთში არ დაბადებულა და მხოლოდ მისი სტუმარი იყო. საბოლოოდ კი დროთა აღრევა გარდაუვალი გახდებოდა, დროის ყოველი მონაკვეთი მასში სხვადასხვა საუკუნიდან „შეპარული“ ტურისტებისთვის ღია იქნებოდა. რაკი მომავლის ადამიანებს წარსულზე ზემოქმედების საშუალება მიეცემოდათ, წარსულიდან მოსული ადამიანები კი მომავლის მოვლენებზე მოახდენდნენ გავლენას, თვით დროის ბუნება შეიცვლებოდა. დრო ცალკეული მომენტების უსასრულო კონტინუუმი კი აღარ იქნებოდა, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით მიისწრაფის, არამედ ასეთსავე უსასრულო, უკიდეგანო, სინქრონიზებულ ნისლეულს დაემსგავსებოდა. მარტივად ვიტყვი: როგორც კი ადამიანი დროში მოგზაურობას დაიწყებდა, დრო, ისეთი სახით, როგორითაც ჩვენ წარმოგვიდგენია, უბრალოდ, აღარ იარსებებდა.

თუმცა, ამასაც დავძენ, ორმოცდაათი ათასი დოლარი უზარმაზარი ფული იყო და რამდენიმე ლოგიკურ წინააღმდეგობას მისკენ მიმავალ გზას ვერ გადავაღობინებდი. წიგნი თავის ადგილას დავაბრუნე და ოთახიდან ოთახში ბოლთის ცემას მოვყევი. მთელი ბინა ასე შემოვიარე, თაროებზე შემოდებული წიგნების სათაურებს უმიზნოდ ვაშტერდებოდი, ფარდებს ვაწვალებდი და ახალდაწყებული წვიმის წვეთებით დანამულ ქუჩას ფანჯრებიდან გადავყურებდი. რამდენიმე საათს სხვა არც არაფერი მიკეთებია. საღამოს შვიდ საათზე სამზარეულოში შევედი და ვახშმის სამზადისს შევუდექი: სამსახურიდან ასეთ დროს დაბრუნებულ გრეისს შინ რამე ხომ უნდა დახვედროდა. ჩვენი ვახშამი იმ დღეს სოკოიანი ომლეტისგან, მწვანე სალათისგან, მოხარშული კარტოფილისგან და ბროკოლისგან შედგებოდა. დიდი კულინა-

რული ოსტატობით ვერ დავიკვეხნი, თუმცა ოდესღაც, ახალგაზრდობაში, მზარეულად ვმუშაობდი, სწრაფად მოსამზადებელი კერძები მებარა და იმ დროიდან მსუბუქი და მარტივი სადილების კეთების უნარი გამომიმუშავდა. რაკი ჯერ კარტოფილი უნდა გამეფცქვნა, ნაფცქვენისთვის ყავისფერი ქაღალდის პაკეტი მოვიმარჯვე და ის-ის იყო, საქმეს უნდა შევდგომოდი, რომ ჩემს თავში უცებ სცენარის ფაბულაც დაიბადა. უფრო ფილმის დასაწყისი იყო, უამრავი დასამუშავებელი დეტალით და მოგვიანებით შესამატებელი შტრიხით, მაგრამ მე უკვე მომწონდა. იმიტომ კი არა, რომ მართლა კარგი იყო, არა, ჩავთვალე, რომ ბობი ჰანტერისთვის იყო ზედგამოჭრილი. ახლა სხვა არც არავის აზრი არ მაინტერესებდა.

გადავწყვიტე, რომ დროში მოგზაური ორი იქნებოდა: წარსულიდან მოსული მამაკაცი და მომავლიდან გადმოსული ქალი. ხან ერთი აღმოჩნდებოდა მოქმედების შუაგულში და ხან მეორე – ასე უნდა გაგრძელებულიყო ფილმის დაახლოებით ერთი მესამედი, სანამ ეს ორნი ერთმანეთს აწმყოში არ შეხვდებოდნენ. მათთვის სახელები ჯერ არ შემერჩია და პირობითად ჯეკს და ჯილს ვუწოდებდი.

ჯეკი უელსის რომანის მთავარ გმირს ძალიან ჰგავს, ოღონდ ბრიტანელი არ არის, ამერიკელია. მოქმედება 1895 წელს ხდება. ჩემი პერსონაჟი ოცდარვა წლისაა, ტექსასის ერთ-ერთ რანჩოში ცხოვრობს, ახალგარდაცვლილი უმდიდრესი მესაქონლის ვაჟია. მაშ ასე, მდიდარი და დამოუკიდებელი ახალგაზრდა, რომელიც მამის დანატოვარი ბიზნესისადმი სრულიად გულგრილია, რანჩოს დედის და დის ანაბარა ტოვებს და თავს მეცნიერულ კვლევა-ძიებასა და ექსპერიმენტებს უძღვნის. ორწლიანი თავდაუზოგავი მუშაობისა და არაერთი მარცხის შემდეგ ჯეკი დროის მანქანის აგებას ახერხებს.

ახერხებს და თავის პირველ მოგზაურობასაც იწყებს – რამდენიმე ათასი წლით დაშორებულ მომავალში კი არა, როგორც უელსის რომანში ხდება – მხოლოდ სამოცდარვა წლით წინ გადაინაცვლებს და მოზიმზიმე აპარატიდან 1963 წლის ნოემბრის ერთ-ერთ უკანასკნელ, მზიან დღეს გადმოდის.

ჯილი კი ოცდამეორე საუკუნის შუახანების შვილია. დროში მოგზაურობა ამ დროისთვის სასწაულების სფეროს აღარ განეკუთვნება, მაგრამ უმკაცრესად იკრძალება. დროში ამნაირ გადაადგილებებს დამანგრეველი, კატასტროფული შედეგების გამოწვევა შეუძლია და მას ძალიან იშვიათად მიმართავენ: მთავრობა თითოეულ ადამიანს სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ასეთი მოგზაურობის უფლებას აძლევს, მაგრამ სიამოვნების მისაღებად ან ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაზე დასაკვირვებლად კი არა – დროში მოგზაურობა ინიციაციის ერთგვარი ხერხია, ზრდასრულობის ასაკში შესვლის რიტუალი. ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანს ოცი წელი უსრულდება. ამ ამბავს ზეიმით აღნიშნავენ და იმავე ღამით იუბილარს წარსულში ერთი წლით აგზავნიან: მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ და საკუთარი წინაპრების გასაცნობად. მგზავრობა მისი დაბადებიდან ორასი წლის წინანდელი პერიოდით იწყება. დროის ასეთი მონაკვეთი დაახლოებით შვიდ წინა თაობას სწვდება. მერე ადამიანი თანდათანობით საკუთარი დროისკენ, აწმყოსკენ მოიწევს. დროში მოგზაურობის დანიშნულება ისაა, ადამიანს თავმდაბლობა, სხვა, მისნაირი ადამიანების მიმართ თანალმობა და შემწყნარებლობა ასწავლოს. დროში გადაადგილება მას ასობით წინაპრის გაცნობის საშუალებას აძლევს, ადამიანურ ურთიერთობათა უამრავი ვარიანტი და კომბინაცია, გენეტიკური ლატარეის ყველა ნომერი, არც მეტი, არც ნაკლები, მის თვალწინ თამაშდება. მოგზაურობის

ბოლოს ადამიანისთვის ცხადი ხდება, რომ ის ურიცხვ შემთხვევითობათა თანხვედრის წყალობით მოევლინა სამყაროს, რომ მის წინაპრებს შორის ყოფილან მათხოვრები და შეშლილები, წმინდანები და გმირები, მახინჯები და მზეთუნახავები, სულგრძელი ადამიანები და უსასტიკესი ავაზაკები, ალტრუისტები და ქურდები. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ამდენი ბედის გააზრება ამ სამყაროში საკუთარი თავის, საკუთარი ადგილის აღქმას სრულიად ცვლის. ამიერიდან შენ, ადამიანი, თავს რაღაც უფრო დიდის ნაწილად თვლი, მაგრამ თან საკუთარ უნიკალურობასაც უფრო მკაფიოდ აღიქვამ და ხვდები, რომ წინ განუმეორებელი, მხოლოდ შენთვის განკუთვნილი მომავალი გელის. ბოლოს და ბოლოს, გესმის, რომ მხოლოდ შენ ხარ პასუხისმგებელი იმ პიროვნებაზე, რომლადაც საკუთარ თავს ძერწავ.

მოგზაურობის დროს გარკვეული წესების დაცვა მოგეთხოვება. საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არამც და არამც არ შეიძლება; სხვათა ქმედებებში არ უნდა ჩაერიო; დროის მანქანაში არავინ უნდა შეუშვა. თუ ამ წესებიდან რომელიმეს დაარღვევ, მაშინ საკუთარი დროიდან, აწმყოდან მოიკვეთები და მთელი დარჩენილი ცხოვრების გატარება დროში გადასახლებულს მოგიწევს.

ჯილის ამბავი მისი მეოცე დაბადების დღის დილას იწყება. როგორც კი საზეიმო სტუმრობანა დასასრულს მიუახლოვდება, ჯილი მშობლებს და სტუმრებს დაემშვიდობება და მთავრობის მიერ გამოყოფილ დროის მანქანაში შეაბიჯებს. გოგონას თან სახელების უზარმაზარი სია მიაქვს. მასში იმ წინაპრების სახელები და ასავალ-დასავალია ჩამოწერილი, რომელთაც დროში გადაადგილების დროს უნდა შეხვდეს. მანქანის პანელში ჩასმული დროის ამზომი მოწყობილობა 1963

წლის 20 ნოემბერზეა დაყენებული – თარიღზე, რომელიც მის დაბადებამდე ზუსტად ორასი წლის წინანდელ დღეს ემთხვევა. ჯილი ქალალდებს უკანასკნელად კითხულობს, მერე კეცავს, ჯიბეში იდებს და მანქანის ძრავას რთავს. მეგობრები, ოჯახის წევრები აცრემლებულები ემშვიდობებიან, ხელს უქნევენ. ათი წამის შემდეგ კი მისი მანქანა გათხელებულ ატმოსფეროში უჩინარდება, ჯილი წარსულის შესახვედრად მიემართება.

ამასობაში ჯეკის მანქანა დალასის შემოგარენში, უკაცრიელ მინდორზე ეშვება. ოცდაშვიდი ნოემბერია, კენედის მკვლელობიდან ხუთი დღეა გასული. ოსვალდი უკვე მოკლულია, ჯეკ რაბიმ მოკლა ქალაქის მერიის მიწისქვეშა დერეფანში. ჯერ ექვსი საათიც არ გასულა, რაც ამ დროში შემოაბიჯა, მაგრამ რამდენიმე გაზეთი და რადიოგადაცემაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ ჯეკი ეროვნული ტრაგედიის უმწვავეს დღეებს შეესწრო. პრეზიდენტის მკვლელობის დღეები თავადაც ახსოვს (გარფილდი, 1881 წელი), ტრავმის და ქაოსის მტკივნეული მოგონებები დღემდე მოჰყვება. ჯეკი რამდენიმე დღეს იჭყლეტს ტვინს დილემაზე: ვერ გადაუწყვეტია, აქვს თუ არა მორალური უფლება, რომ ისტორიის მსვლელობა შეცვალოს. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ჯეკი საკუთარ კითხვას პასუხობს: დიახ, აქვს. თუკი ქვეყნის კეთილდღეობა მოითხოვს, ამ მოვლენებში, დიახაც, ჩაერევა; ყველაფერს იღონებს და ჯონ კენედის გადაარჩენს. ჯეკი მინდორზე დატოვებული მანქანისკენ მიემართება, ქრონომეტრს 20 ნოემბერზე აყენებს და წარსულში, ცხრა დღით უკან ინაცვლებს. მანქანის კაბინიდან გადმოაბიჯებს თუ არა, ათი ფუტის მოშორებით მდგარი სხვა, პრიალა და ზიმზიმა, ოცდამეორე საუკუნის დროის მანქანა ხვდება თვალში. იმ მანქანიდან ჯილი გადმოდის, დარეტიანებული და თმაგა-

წეწილი. გოგონას მზერა მისი დანახვით გაოგნებულ და დაბნეულ ჯეკს სწვდება, მერე ის ჯიბეში ხელს იყოფს და იქიდან ქაღალდზე ჩამოწერილ სიას იღებს. „სერ," – ეუბნება გოგონა, – „ბოდიშს გიხდით, ხომ არ იცით, სად შეიძლება აქ ვინმე ლი ჰარვი ოსვალდის ნახვა?"

ამ ეპიზოდის შემდეგ ბევრი დეტალი დასამუშავებელი მქონდა. ვიცოდი, რომ ჯეკს და ჯილს ერთმანეთი შეუყვარდებოდათ (ჰოლივუდთან მქონდა საქმე, ბოლოს და ბოლოს), ისიც ვიცოდი, რომ საბოლოოდ ჯეკი ჯილს დაიყოლიებდა, ლი ჰარვი ოსვალდის შეჩერებაში და მაშასადამე, კენედის გადარჩენაში დახმარებოდა – იმის ფასადაც კი, თუ გოგონა ამის გამო საკუთარი დროიდან მოიკვეთებოდა და აწმყოს ველარასდროს დაუბრუნდებოდა. ოცდაორი ნოემბრის დილას ჯეკი და ჯილი ოსვალდს ტექსასის სასკოლო წიგნების საწყობთან ჩაუსაფრდებიან, თოფს წაართმევენ, ხელ-ფეხს გაუკოჭავენ და რამდენიმე საათით დაატყვევებენ. თუმცა, მათი მონდომების მიუხედავად, მაინც არაფერი იცვლება. კენედის ვიღაც სხვა ესვრის, პრეზიდენტი დაიღუპება და საბოლოოდ, ამერიკის ისტორია იოტისოდენადაც არ შეიცვლება. ოსვალდი – კაცი, რომელიც პრეზიდენტის მკვლელობას იბრალებდა, სიმართლეს ამბობდა. მნიშვნელობა არ აქვს, მისი გასროლილი ტყვია მოხვდა თუ არა პრეზიდენტს, რადგან ის ამ შეთქმულებაში მონაწილე ერთადერთი სნაიპერი არ ყოფილა.

რაკი ახლა ჯილი შინ ველარ დაბრუნდება, რაკი ჯეკს და ჯილს ერთმანეთი უყვართ და განშორებაზე ფიქრიც კი აუტანლად ეჩვენებათ, ისინი 1963 წელში დარჩენას არჩევენ. ფილმის ფინალურ სცენაში წყვილი დროის მანქანებს ანადგურებს და მინდორშივე წვავს. მერე, მათ წინ ამოწვერილი მზის ფონზე, ნოემბრის ახალი, ოცდამესამე დღის გარიჟრაჟისკენ

მიემართება ორი ახალგაზრდა – ქალი და კაცი, რომლებმაც საკუთარ წარსულზე უარი თქვეს, რათა მომავალს ერთად შეხვედროდნენ.

ერთი სიტყვით, ეს ჩემი ნაწერი, ფენტეზის ჟანრის მდარე ნიმუში, პირდაპირ ნაგავში იყო მოსასროლი, მაგრამ იმ ფილმისთვის კი გამოდგებოდა, რომლის გადაღებასაც ბობი ჰანტერი აპირებდა. მეც სხვა რა მომეთხოვებოდა, ამბავი ფილმის მომავალი ავტორის ჩანაფიქრისთვის უნდა მომერგო. რასაც ვაკეთებდი, ამას იმდენად პროსტიტუცია არ ერქვა, რამდენადაც ჩვეულებრივი ფინანსური გარიგება: სამუშაოზე დათანხმებაც ხომ მხოლოდ იმის გამო გადავწყვიტე, რომ ფული მჭირდებოდა. ის დღე ჩემთვის მძიმე გამოდგა. ჯერ იყო და დილით ვერაფერი დავწერე, მერე ჩანგის მაღაზიის გაუჩინარებამ დამზაფრა, ბოლოს კი იმ საზარელ სტატიას გადავაწყდი გაზეთში. თუმცა „დროის მანქანაზე“ ფიქრმა საშინელების განცდა გამინელა და საღამოს, როცა გრეისი სამსახურიდან დაბრუნდა, ასე თუ ისე, კარგ გუნებაზე ვიყავი. მაგიდა გაწყობილი დავახვედრე, თეთრი ღვინის ბოთლი მაცივარში მედგა, ომლეტი ტაფაზე მოსასხმელად მზად იყო. გრეისს გაუკვირდა, რომ დაველოდე და მარტომ არ ვივახშმე, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. ქანცგამძვრალი ჩანდა, თვალები ჩაშავებული ჰქონდა, მოძრაობები – მძიმე და შენელებული. ჯერ პალტოს გახდაში დავეხმარე, მერე სამზარეულოსკენ გავუძეხი და მაგიდასთან დავსვი. „ჭამე“, – ვუთხარი, – „წარმომიდგენია, როგორი მშიერი იქნები“. სალათიანი თეფში დავუდე, პური დავუჭერი და ომლეტის შესაწვავად ქურისკენ გავემართე.

ნახელავი შემიქო, მაგრამ ვახშმობის დროს სხვა სიტყვა არ დასცდენია. მიხაროდა, რომ მადა დაუბრუნდა, თუმცა თანდათანობით ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ფიქრებით სადღაც სხვაგან იყო და ეს უცხო განცდა მეუცნაურა. მოვუყევი, როგორ გავედი სახლიდან წებოვანი ლენტის საყიდლად და როგორ დამხვდა დახურული ჩანგის მაღაზია რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო, მაგრამ თითქოს წესიერად ყურსაც არ მიგდებდა. მინდოდა, მეთქვა, რომ ბობ ჰანტერის ფილმისთვის სცენარის დაწერა შემომთავაზეს, მაგრამ ვიგრძენი, გრეისს ახლა ჩემი მოსმენის თავი არ ჰქონდა. ვახშმობის შემდეგ იყოს-მეთქი, – ვთქვი გუნებაში, მერე წამოვდექი, თეფშები ავალაგე და ის-ის იყო, მაგიდის გადაწმენდა დავიწყე, რომ გრეისმა ამომხედა და მითხრა:

– მგონი, ფეხმძიმედ ვარ, სიდ.

ისე მოულოდნელად მომახალა ეს ამბავი, რომ იმ წუთებში ვერც მოვიფიქრე, რა უნდა მეთქვა. სკამზე დავჯექი და გრეისს მივაჩერდი.

– ბოლო მენსტრუაცია თითქმის ექვსი კვირის წინ მქონდა. ხომ იცი, როგორი მოწესრიგებული ციკლი მაქვს. გუშინ ვაღებინე. სხვას რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი?

– ამ ამბით მაინცდამაინც გახარებული არ ჩანხარ, – მხოლოდ ეს ვუთხარი.

– ჯერ ჩემს გრძნობებში ვერ გავრკვეულვარ. ბავშვებზე რამდენჯერ გვილაპარაკია, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, შვილის გასაჩენად ყველაზე უარესი დრო გვიდგას.

– არა მგონია, საქმე ასე მძიმედ გვქონდეს. თუ ტესტის პასუხი დადებითი გამოდგება, რამეს მოვიფიქრებთ. ყველა რაღაცას ახერხებს, ჩვენც მოვახერხებთ. თავები ხომ გვივარგა, გრეის. მოვძებნით რამე გამოსავალს.

– ეს ბინა ისედაც პატარაა, ფული არ გვაქვს, მე კი სამიოთხი თვე მაინც ვერ ვიმუშავებ. შენ რომ ცოტათი მაინც მომჯობინებულიყავი, ამ ყველაფერს მნიშვნელობა არ ექნებოდა, მაგრამ ჯერ რომ არ გამოჯანმრთელებულხარ?

– როგორ თუ არ გამოვჯანმრთელებულვარ? ჩემგან დაფეხმძიმდი, ხომ მართალია? გამოდის, რომ სან-ტექნიკა კარგად მიმუშავებს.

გაეცინა.

– ესე იგი, შენ ბავშვის გაჩენის მომხრე ხარ.

– რა თქმა უნდა, მომხრე ვარ.

– მაშინ, გამოდის, რომ ერთი ხმა მომხრეს ეკუთვნის და ერთი – მოწინააღმდეგეს. ნეტავი ამ საქმეზე როგორ მოვრიგდებით?

– ამას სერიოზულად ამბობ?

– რას გულისხმობ?

– აბორტს. იმედი მაქვს, ნაყოფის მოშორებას არ აპირებ.

– თვითონაც არ ვიცი, რას ვაპირებ. აბორტი საშინელი რამეა, სიდ, მაგრამ ალბათ სჯობს, რაღაც ხანი ბავშვის ყოლაზე არ ვიფიქროთ.

– ადამიანები, რომლებსაც ოჯახი აქვთ, საკუთარ ბავშვებს არ კლავენ, გრეის. არც მაშინ კლავენ, როცა ერთმანეთი უყვართ.

– რა საშინელი ფორმით ამბობ ამას!

– წუხელ მეუბნებოდი, მთავარია, შენ გიყვარდე, დანარჩენი თავისით მოგვარდებაო. სხვა რას ვაკეთებ? მიყვარხარ და შენთან ყოფნა, შენზე ზრუნვა მინდა.

– სიყვარული აქ არაფერ შუაშია. ახლა ვცდილობ, გავერკვე, როგორ აჯობებს ჩვენთვის, ორივესთვის.

– პასუხი უკვე იცი, ხომ მართალი ვარ?

– რისი პასუხი?

– იმის, ხარ თუ არა ფეხმძიმედ. პასუხს არ ელოდები, რაც საცოდნელია, უკვე იცი. უკვე გარკვეული გაქვს, რომ ფეხმძიმედ ხარ. ტესტი როდის გაიკეთე?

რაც გრეისს ვიცნობ, პირველად მოხდა, რომ საუბრისას პირს მარიდებდა – თვალს ვერ მისწორებდა, კედელს იყო მიჩერებული. ცოლი ტყუილში გამოვიჭირე – დამცირების, სირცხვილის ეს გრძნობა მისთვის ალბათ აუტანელი იყო.

– შაბათ დილით, – თქვა ჩუმად, თითქმის ჩურჩულით. მისი ხმა ძლივს მესმოდა.

– მაშინვე რატომ არ მითხარი?

– ვერ შევძელი.

– რა ვერ შეძელი?

– ამ ამბავმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. დაჯერება არ მინდოდა. ასეთი ახალი ამბის გააზრებას დრო სჭირდება. მაპატიე, სიდ. მართლა ძალიან ვწუხვარ.

კიდევ ორი საათი ვილაპარაკეთ და ბოლოს მისი წინააღმდეგობა დავძლიე; იქამდე ვუჩიჩინე, სანამ არ დავიყოლიე და სიტყვა ჩამოვართვი, რომ ბავშვს დაიტოვებდა. რაც ერთად ვიყავით, ეს ყველაზე მწვავე ორთაბრძოლა იყო ჩვენ შორის. თუ საქმეს პრაქტიკული კუთხით შევხედავდით, გრეისს, რა თქმა უნდა, უფლება ჰქონდა, ბავშვის დატოვება-არდატოვების გამო ეყოყმანა, მაგრამ ის რაციონალური განსჯა, რომელიც მისი სიფრთხილის მიღმა იგრძნობოდა, ჩემში რაღაც ირაციონალურ შიშს აღძრავდა, რომელიც გულს მტკივნეულად მიწურავდა. ამიტომ ემოციური, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ცოტა არამყარი არგუმენტებით შევუტიე, ამოსუნთქვის საშუალება აღარ მივეცი. როცა საუბარი ფულზე მიდგა, ისიც ვუთხარი, რომ სცენარის დაწერა შემომთავაზეს და ისიც, რომ

ლურჯ რვეულში უკვე რომანს ვწერდი, თუმცა სიმართლის მეორე ნახევარი – რომ სცენარიცა და რომანიც, ჩანაფიქრის სახით, მხოლოდ ჩემს ლურჯ რვეულში არსებობდნენ, აღარ გამიმხელია. არ მითქვამს, რომ პირველი მხოლოდ სათუო შემოთავაზება იყო, მეორე პროექტი კი, უბრალოდ, ერთ ადგილზე გაჩერდა და წინ ველარ მიდიოდა. მე კი ვაგრძელებდი და არ ვცხრებოდი, არცერთი ამათგანი რომ არ გამოვიდეს, მხატვრული წერის კურსს ავიღებ რომელიმე უნივერსიტეტში, ყველა სასწავლო დაწესებულებაში დავგზავნი განაცხადს, ან, ესეც რომ არ გამოვიდეს, კოლეჯში დავბრუნდები და ისევ ვიმასწავლებლებ-მეთქი. არადა, მშვენივრად ვიცოდი, ფიზიკურად იმ მდგომარეობაში არ ვიყავი, ყოველდღიური სამსახურისთვის რომ გამეძლო. მარტივად ვიტყვი: ვატყუებდი, აბა ამას სხვა რა ერქვა! ჩემი ერთადერთი მიზანი კი ის იყო, რამენაირად დამეყოლიებინა, რომ აბორტზე უარი ეთქვა. ოლონდ კი ამ მიზნისთვის მიმელწია და მზად ვიყავი, ნებისმიერი უპატიოსნო ხერხისთვის მიმემართა. მაინც რატომ? რატომ ვაკეთებდი ამას? საქმე ისაა, რომ მაშინაც კი, როცა გამანადგურებელი არგუმენტებით, ლამის უხეში ძალის რიტორიკით ვაცხრებოდი თავს და გონივრულ, სრულიად გასაგებ არგუმენტებს სათითაოდ ვუნადგურებდი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ასეთი გაცხარებით რატომ ვიბრძვი-მეთქი. სხვას რომ თავი დავანებოთ, მაინცდამაინც იმის განცდაც არ მქონდა, რომ მამობისთვის მზად ვიყავი. ვიცოდი, რომ გრეისი არ ცდებოდა, როცა ამბობდა, ჩვენთვის ბავშვზე ფიქრი ჯერ ადრეაო, ჯერ შენს გამოჯანმრთელებას უნდა დაველოდოთო. თვეები დამჭირდა იმის გასააზრებლად, თუ რას ვაკეთებდი იმ საღამოს. ნეტავი საქმე ბავშვში ყოფილიყო, მაგრამ არა, პრობლემის თავი და თავი ჩემში იყო საძიებელი.

მას შემდეგ, რაც გრეისი გავიცანი, სულ მისი დაკარგვის შიშით ვცხოვრობდი. ჩვენს დაქორწინებამდე რამდენიმე თვით ადრე ერთხელ ხომ დავკარგე და ახლა, ჩემი ხანგრძლივი ავადმყოფობის მერე, როცა ჯერ სანახევროდ ინვალიდი ვიყავი, ეს შიში რაღაც საბედისწერო აკვიატებად მექცა: რომ ამ ვითარებაში გრეისი უჩემოდ უკეთ მოიწყობდა ცხოვრებას. ბავშვი ჩვენ ორს შორის ყველაფერს შეცვლიდა, შიშს და შფოთვას გამინელებდა, გრეისს უფრო მეტად მომაჯაჭვავდა. ის ფაქტი, რომ ჩემს ცოლს ბავშვის გაჩენა არ სურდა, იმის ნიშნად აღვიქვი, რომ ჩემგან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ნელ-ნელა ხელიდან მისხლტებოდა – გრეისს ვკარგავდი. რაც ვთქვი, სწორედ ეს იყო მიზეზი იმღამინდელი ჩემი გააფთრებისა, მე მგონი, თავს ნებისმიერ უნამუსო ადვოკატზე უკეთ ვიცავდი. წარმოიდგინეთ, უკადრებელიც კი ვიკადრე: ჯიბიდან ძველ გაზეთს ახეული გვერდი ამოვიღე, რომელზეც ის საშინელი სტატია იყო დაბეჭდილი და გრეისს ცხვირწინ ავუფრიალე, ლამის ძალად წავაკითხე. *ტუალეტში დაბადებული ჩვილი სანაგვეში ჩააგდეს.* სტატია ბოლომდე რომ ჩაიკითხა, გრეისმა თავი ასწია, ცრემლებჩამდგარი თვალებით შემომხედა და მითხრა:

– რატომ აკეთებ ამას, სიდნი? რა საერთო აქვს ამ... ამ კოშმარს ჩემთან და შენთან? ჯერ დახაუს მკვდარი ბავშვის ამბავს მიყვები, მერე იმ წყვილებს მახსენებ, რომლებსაც შვილი უნდათ და არ უჩნდებათ, ახლა ამას მაკითხებ. რა გემართება? ჩვენი ურთიერთობის გადარჩენას ვცდილობ, სხვას ხომ არაფერს ვაკეთებ – ისე, როგორც შემიძლია. ნუთუ ამდენი არ გესმის?

***

მეორე დილით ადრე ავდექი, გრეისისთვის და ჩემთვის საუზმის მზადებას შევუდექი, მერე კი შვიდი საათისთვის (მაღვიძარის ზარს ზუსტად ერთი წუთით დავასწარი) საძინებელში სინით შევუტანე. სინი სასთუმლის მაგიდაზე დავდე, მაღვიძარას ზარი გამოვურთე და გრეისს საწოლზე ჩამოვუჯექი. თვალები გაახილა თუ არა, მოვეხვიე, სახე, ყელი, მკლავები დავუკოცნე, თავი თავზე მივადე და წინა დღის იდიოტური ქცევისთვის ბოდიში მოვუხადე. ვუთხარი, რომ, რა თქმა უნდა, უფლება ჰქონდა, როგორც საჭიროდ თვლიდა, ისე მოქცეულიყო, რომ ყველაფერი მისი გადასაწყვეტი იყო, მე კი, რაც არ უნდა გადაეწყვიტა, მის გვერდით ვიქნებოდი და მხარს დავუჭერდი. არ მახსენდება, რომ ჩემს მშვენიერ გრეისს დილით ოდესმე გაბრუებულს ან მომჩვარულს გაღვიძებოდა; ღრმა ძილიდან მყისიერად გამოდიოდა, საველე ბანაკის ჯარისკაცივით, პატარა ბავშვივით წამებში ფხიზლდებოდა და ამჯერადაც ასე მოხდა: მაშინვე ჩამეხუტა, სიტყვის უთქმელად ხელები მაგრად მომხვია და მკერდიდან თუ ხორხიდან მოღუღუნე ხმები ამოუშვა, რითაც უნდა მივმხვდარიყავი, რომ წუხანდელი საქციელი მაპატია და უთანხმოება უკან მოვიტოვეთ.

მერე მწოლიარეს საუზმე: ფორთოხლის წვენი, რძიანი ყავა, თოხლოდ მოხარშული კვერცხი და ერთი ნაჭერი ტოსტი საწოლში მივართვი. მშვენიერი მადა ჰქონდა, აღარც გულზიდვა აწუხებდა და აღარც დილის ჩვეული სისუსტე. როცა ყავას ვსვამდი და ტოსტს შევექცეოდი, გუნებაში გავიფიქრე, ასეთი ლამაზი, როგორიც ახლაა, მგონი ჯერ არასდროს მინახავსმეთქი. „ეს ქალი, ბნელსაც რომ გაანათებს, ჩემი ცოლია," – ვუთხარი საკუთარ თავს, – „მეხმა დამკრას და სული გამა-

ფრთხობინოს, თუ როდესმე დავივიწყო ეს წუთები, როცა ბედნიერებით მთვრალი გვერდით ვუზივარ“.

– ძალიან უცნაური რამე მესიზმრა, – თქვა უცებ გრეისმა, – ერთმანეთზე გადაბმული პატარ-პატარა ამბები, აზრს რომ ვერ გამოიტან, ისეთი. მაგრამ ძალიან მკაფიო სიზმარი იყო, თითქოს ყველაფერი ცხადში ხდებოდა. არა, ცხადზე უფრო ცხადივით იყო. არ ვიცი, ხვდები თუ არა, რას ვგულისხმობ.

– შეგიძლია გაიხსენო?

– რაღაც ნაწილი ალბათ კი, თუმცა რაც ძილიდან გამომყვა, თვალსა და ხელს შუა მიფერმკრთალდება და მავიწყდება. დასაწყისს ვერ ვიხსენებ. რაღაცნაირად იგულისხმებოდა, რომ ჩემს მშობლებთან ერთად ვიყავით. ვითომ საცხოვრებელს ვიცვლიდით და ახალ ბინას ვეძებდით.

– ალბათ უფრო დიდს, არა?

– ბინას კი არა, სახლს ვეძებდით. რომელიღაც ქალაქში ვიყავით, მანქანით დავდიოდით. არც ნიუ-იორკს ჰგავდა იქაურობა და არც შარლოთსვილს, სხვა ქალაქი იყო, სადაც, დარწმუნებული ვარ, არასდროს ვყოფილვარ. მერე მამაჩემმა თქვა, ერთ მისამართზე უნდა მივიდეთო. ვითომ ის სახლი ლურჯი ფრინველის ქუჩაზე იდგა. როგორ გგონია, მართლა არსებობს სადმე ასეთი ადგილი? ლურჯი ფრინველის ქუჩა.

– არ ვიცი. მაგრამ ქუჩის სახელი მომწონს.

– სიზმარშიც ზუსტად ეგ თქვი: „ქუჩის სახელი მომწონს“.

– ისე, დარწმუნებული ხარ, რომ სიზმარი დასრულდა? იქნებ ჯერ ორივეს გვძინავს და ერთ სიზმარს ვხედავთ?

– მოიცადე, ნუ სულელობ და ნუ მაწყვეტინებ. მოკლედ, ჩემი მშობლების მანქანით მივდიოდით. მე და შენ მანქანის უკანა სავარძელზე ვისხედით და მახსოვს, როგორ უთხარი დედაჩემს: „ქუჩის სახელი მომწონს“.

– მერე?

– რომელიღაც ძველი სახლის წინ გავჩერდით. უზარმაზარი შენობა იყო, დიდი, კერძო სახლი. მერე მანქანიდან გადმოვედით, შენობაში ოთხივენი ერთად შევედით და დათვალიერება დავიწყეთ. ყველა ოთახი ცარიელი დაგვხვდა, ავეჯი არსად იდგა. უზარმაზარი ოთახები კი იყო, ალბათ მუზეუმების ან კალათბურთის დარბაზებისხელა. დავდიოდით და გვესმოდა, როგორ ისხლეტდა კედლები ჩვენი ნაბიჯების ხმის ექოს. დედაჩემმა და მამაჩემმა კიბეზე ასვლა გადაწყვიტეს, მეორე სართულის დათვალიერება უნდოდათ, მაგრამ მე რატომღაც გულმა მიწისქვეშა სართულისკენ გამიწია. შენ ჯერ არ მომყვებოდი, მაგრამ მე ხელი ჩაგჭიდე და ლამის ძალით წაგათრიე. ეს ქვედა, მოსარდაფო სართული ერთმანეთში გრძელ ჯაჭვად გამავალი ცარიელი ოთახებისგან შედგებოდა. ბოლო ოთახის იატაკზე ასაწევი კარივით რაღაც შევნიშნე. კარს მოვქაჩე და დავინახე, რომ ქვემოთ რკინის კიბე ჩადიოდა. იმ კიბეს ჩავყევი. ამჯერად წინააღმდეგობა აღარ გაგიწევია, უკან მომყვებოდი. ცნობისმოყვარეობა უკვე შენც ისევე გღრღნიდა, როგორც მე და ორივეს ისეთი განცდა გვქონდა, თითქოს რაღაც თავგადასავალს ვეძებდით. ხომ იცი, როგორც – აი, ბავშვები რომ უცნაურ სახლში შევლენ – ცოტათი ორივეს გვეშინოდა, მაგრამ ამავე დროს რისკის შეგრძნება სასიამოვნოდ გვილიტინებდა.

– ის კიბე რამსიგრძე იყო?

– არ ვიცი. ალბათ დაახლოებით ათი-თორმეტი ფუტი.

– ათი-თორმეტი ფუტი... კარგი, მერე?

– მერე ოთახში აღმოვჩნდით. ის ოთახი უფრო პატარა იყო, ვიდრე დანარჩენები, ზედა სართულზე რომ ვნახეთ, ჭერიც უფრო დაბალი ჰქონდა. იქაურობა წიგნის სტელაჟებს

მიჰქონდა. რკინის სტელაჟები იყო, ნაცრისფრად შეღებილი, ასეთები ბიბლიოთეკებშია ხოლმე. წიგნების სათაურების კითხვა დავიწყეთ და აღმოჩნდა, რომ ყველა წიგნი შენი დაწერილი იყო, სიდ. ათასობით წიგნი იდო იმ თაროებზე და ყოველ მათგანს შენი სახელი და გვარი ეწერა: სიდნი ორი.

– ცოტა შემზარავი ამბავია.

– არა, სულაც არა. შენით ძილშიც კი ვამაყობდი. ცოტა ხანს წიგნები ვათვალიერეთ, მერე მე ოთახი მოვიარე და მეორე კარს მივადექი. ის კარი გავაღე და არაჩვეულებრივი პატარა საძინებელი აღმოვაჩინე. მართლა არაჩვეულებრივი: კედლებზე რბილი სპარსული ხალიჩები და სურათები ეკიდა, მაგიდაზე სურნელოვანი სანთლები ენთო, მის გარშემო კი მოსახერხებელი სკამები იყო შემოწყობილი. საწოლს წითელი სატინის საბანი ეფარა და ზედ აბრეშუმგადაკრული ბალიშები იყო მიყრილი. დაგიძახე და იმავე წუთას, როგორც კი ოთახში ფეხი შემოდგი, მოგეხვიე და ტუჩებში კოცნა დაგიწყე. ერთიანად აღგზნებული ვიყავი და თავს ველარ ვიკავებდი.

– მე?

– შენს ცხოვრებაში ყველაზე მაგარი ერექცია გქონდა.

– გააგრძელე მოყოლა და ახლაც იგივე დამემართება. მე მგონი, მაგ შენი სიზმრისასაც ვაჯობებ.

– ერთმანეთს ტანზე ვხდიდით და თან საწოლზე ვგორაობდით, ორივეს ოფლი გვასხამდა და ერთმანეთი გვშიოდა. ძალიან მაგარი იყო. ორგაზმი ერთდრულად გვქონდა, მერე სულის მოთქმა ვერ მოვასწარით, რომ ერთმანეთს ისევ ნადირებივით ვეცით.

– მე მგონი, რაღაც პორნოფილმს მიყვები.

– ჭკუიდან გადამყვანი განცდა იყო. არ ვიცი, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს, მაგრამ რომელიღაც მომენტში ჩემი

მშობლების მანქანის ხმა გავიგონეთ – ძრავა დაიქოქა. გვესმოდა, როგორ შორდებოდა მანქანა იქაურობას. ვთქვით, მოგვიანებით მათ სადმე შევხვდებითო და მერე ისევ გავაგრძელეთ. მერე მე ჩავთვლიმე და როცა თვალი გავახილე, დავინახე, რომ შიშველი დგახარ და კარის საკეტს აწვალებ: სახელურს ქაჩავ და თან, ცოტა არ იყოს, სასონარკვეთილი გამომეტყველება გაქვს. რა ხდება-მეთქი, – გკითხე და შენ მიპასუხე: „მგონი, აქ ჩავიკეტეთ“.

– ამაზე უცნაური ცხოვრებაში არაფერი გამიგონია.

– სიზმარი იყო, სიდ, სხვა ხომ არაფერი. ყველა სიზმარი უცნაურია.

– ახლა ის მაინტერესებს, ძილში ლაპარაკი ხომ არ დამიწყია?

– მაგას რატომ ამბობ?

– იმიტომ, რომ ვიცი, ჩემს სამუშაო ოთახში არ შედიხარ ხოლმე. რომ შეხვიდე, შაბათს ნაყიდი ლურჯი რვეული რომ გადაშალო და ჩემი ნაწერი წაიკითხო, დარწმუნდები, რომ შენი სიზმარი ძალიან ჰგავს ამბავს, რომელსაც ახლა ვწერ. მიწისქვეშა სართულზე ჩამავალი კიბე, ბიბლიოთეკის სტელაჟების მსგავსი თაროები, პატარა საძინებელი წიგნსაცავის უკან – სიზმარში ყველაფერი გინახავს. ახლა ჩემი გმირი ამ ოთახშია ჩაკეტილი და ვერაფრით მომიფიქრებია, როგორ გამოვიხსნა, გარეთ როგორ გამოვიყვანო.

– რა უცნაურია.

– მარტო უცნაური? ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

– სასაცილო ისაა, რომ სიზმარი ზუსტად აქ დასრულდა. შეშინებული სახე გქონდა, მაგრამ სანამ შენს დასახმარებლად რამეს ვილონებდი, გამელვიძა. გამოფხიზლება ვერ მოვასწარი, რომ უკვე აქ იჯექი, ჩემს საწოლზე, გულში მიხუტებდი. ზუს-

ტად ისე მეხვეოდი, როგორც სიზმარში. არაჩვეულებრივი გრძნობა იყო. მეღვიძა, მაგრამ სიზმარი თითქოს ცხადში გრძელდებოდა.

– ესე იგი, არ იცი, რა დაგვემართა მას მერე, რაც იმ ოთახში ჩავიკეტეთ.

– არა, სიზმარი ხომ ბოლომდე არ მინახავს. მაგრამ გარეთ აუცილებლად გავაღწევდით, დარწმუნებული ვარ. ადამიანები საკუთარ სიზმრებში არ კვდებიან. მერე რა, რომ კარი ჩაგვეკეტა. აუცილებლად რაღაც მოხდებოდა ისეთი, რაც იქაურობას თავს დაგვაღწევინებდა. როგორც წესი, ასე ხდება ხოლმე. სიზმარი ზმანებაა, წარმოსახვის თამაში. სანამ ამ თამაშში ხარ, სანამ სიზმარს ხედავ, გამოსავალი ყოველთვის იარსებებს.

როცა გრეისი მანჰეტენზე, სამსახურში გავაცილე, საბეჭდ მანქანას მივუჯექი და ბობი ჰანტერის ფილმის სინოფსისის წერა დავიწყე. ძალიან ვეცადე, ოთხ გვერდში ჩავტეულიყავი, მაგრამ საბოლოოდ ექვსი გამომივიდა. ვხვდებოდი, რომ ზოგიერთი მომენტი მეტ სიცხადეს მოითხოვდა – არ მინდოდა, ამბავში შეუვსებელი ხვრელები დამრჩენოდა. ჯერ ერთი, თუ დროში მოგზაურობა – ინიციაციის რიტუალი ამდენ ხიფათთან იყო დაკავშირებული, დამრღვევებს კი ასეთი დაუნდობელი სასჯელი ელოდათ, განა ექნებოდა ვინმეს წარსულში მოგზაურობის და ასე გარისკვის სურვილი? გადავწყვიტე, ეს მოგზაურობები არასავალდებულო გასეირნებებად მექცია – ისეთ რამედ, რასაც ადამიანები საკუთარი ნებით ირჩევენ. და მეორე: როგორ შეიტყობენ, იქ, აწმყოში, ანუ ოცდამეორე საუკუნეში, რომ მათმა თანამედროვემ წარსულში წესები დაარღვია? ამის

გარკვევა რომ შესაძლებელი გამეხადა, ნაციონალური პოლიციის განსაკუთრებული განყოფილება გამოვიგონე, რომელიც ამგვარ დარღვევებს თვალს მიადევნებდა. დროში მოგზაურობის განყოფილების აგენტები ბიბლიოთეკებში სხედან, ძველ წიგნებს, გაზეთებს და ჟურნალებს ფურცლავენ და ტექსტებს გულდასმით აკვირდებიან. თუკი წარსულში გაგზავნილი მოგზაური იმ ეპოქის მოვლენებში რამენაირად ჩაერევა, ან მათზე გავლენას მოახდენს, წიგნებში სიტყვები აირევა და შეიცვლება, მაგალითად, ლი ჰარვი ოსვალდის სახელი კენედის მკვლელობასთან დაკავშირებული ყველა ტექსტიდან გაუჩინარდება. სიტყვების აორთქლების სცენაზე რომ ვფიქრობდი, უცებ მივხვდი, როგორი შესანიშნავი ვიზუალური ეფექტი შეიძლებოდა გამოსულიყო ამ ეპიზოდში: ნაბეჭდ გვერდზე ასობით სიტყვა და ასო წინ და უკან ინაცვლებს, პატარა შლეგი ხოჭოებივით გვერდიდან გვერდზე გადარბის.

ბეჭდვას მოვრჩი, სინოფსისი კიდევ ერთხელ გადავიკითხე, რამდენიმე კორექტურული შეცდომა შევასწორე, მერე დერეფანს სამზარეულოსკენ გავუყევი და სკლარის სააგენტოს ნომერი ავკრიფე. მერი სხვა ხაზზე ვიღაცას ელაპარაკებოდა და ამიტომ მის თანაშემწეს ვუთხარი, ერთ-ორ საათში ოფისში გეწვევით და სინოფსისს დავტოვებ-მეთქი.

– რა სწრაფად დაგიწერიათ, – მომიგო ამაზე თანაშემწემ.

– ჰო, მგონი, მართლა სწრაფად დავწერე, – ვუპასუხე, – თუმცა ხომ იცით, როგორ ხდება ეგ, ენჯელა. კაცი დროში მოგზაურობას რომ დაიწყებს, მერე ყველაფერი უცბად გამოსდის.

ენჯელას გამხიარულებაც გამომივიდა.

– კეთილი და პატიოსანი, – მითხრა სიცილით, – მერის გადავცემ, რომ მალე მოხვალთ. თუმცა ძალიანაც არ გვეჩ-

ქარება, ხომ იცით. შეგეძლოთ ფოსტით გამოგეგზავნათ, დროსაც დაზოგავდით.

– ფოსტას ვერ ვენდობი, მემ, – ოკლაჰომელი კოვბოივით მოვუქციე, – არასდროს ვენდობოდი, რომ იცოდეთ.

საუბარი დავასრულეთ და ახლა ჯონ ტრაუზეს დავურეკე. მერი სკლარის ოფისი მეხუთე ავენიუზე იყო, მეთორმეტე და მეცამეტე ქუჩებს შორის. ჯონიც ხომ იქვე, ახლოს ცხოვრობდა და ვიფიქრე, ალბათ გაეხარდება, თუ დავურეკავ და სადმე სადილად დავპატიჟებ-მეთქი. ისიც მინდოდა, გამეგო, კიდევ აწუხებდა თუ არა ფეხი. ერთმანეთთან იმ შაბათის მერე არ გვესაუბრა, მაშასადამე, ისედაც დრო იყო, მომეკითხა და ჩვენი ამბებიც, ჩვეულებისამებრ, წვრილად მომეთხრო.

– ეჰ, ახალი რა უნდა მოხდეს, – მითხრა ჯონმა, – იმაზე უარესად არ ვარ, ვიდრე ვიყავი, მაგრამ ამ ფეხს უკეთესობასაც ვერ ვატყობ. ექიმმა რაღაც ანთებისსაწინააღმდეგო საშუალება გამომიწერა, გუშინ პირველად დავლიე და, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეგ წამალი ვერ ვიგუე. გულისრევა დამეწყო, თავბრუსხვევა და მთელი ამბები. ამ ყველაფრის მერე ჯერ ძალიან გამოფიტული ვარ.

– მალე მანჰეტენზე გამოვალ ცოტა ხნით, მერი სკლარი უნდა ვნახო. ვიფიქრე, ჯონსაც ვნახავ, ერთად ვისადილებთ ან სადმე დავსხდებით-მეთქი, მაგრამ მე მგონი, ახლა ამის თავი არ უნდა გქონდეს.

– მისმინე, ხვალ რომ მოხვიდე? ხვალ, დარწმუნებული ვარ, კარგად ვიქნები. კარგად თუ არა, მაგის დედაც, ოდნავ უკეთ მაინც ხომ ვიქნები.

სახლიდან თორმეტის ნახევარზე გავედი და ბერგენ სტრიტამდე ფეხით ვიარე, იქ კი გზა მეტროთი გავაგრძელე. გზად რამდენიმე უცნაური და იდუმალი დაბრკოლება შემხვდა:

ჯერ მატარებელი დადგა გვირაბში, მერე ვაგონებში ჩაქრა შუქი და ოთხი გაჩერება სიბნელეში ვიარეთ, იორკ სტრიტის გაჩერებიდან მეორე ნაპირამდე აუხსნელად ნელა მივდიოდით – ერთი სიტყვით, სანამ მერი სკლარის ოფისს მივაღწიე, მისი შესვენების დროც მოვიდა და სასადილოდ დამხვდა გასული. სინოფსისი ენჯელას დავუტოვე – მუდამ სიგარეტის ბუღში გახვეულ ფუმფულა ქალს, რომელიც ზარებს პასუხობდა და ამანათებს გზავნიდა ხოლმე. დამშვიდობებისას ის მაგიდიდან წამოიწია, ჩემკენ გადმოიხარა და როგორც იტალიელების წესია, ჯერ ერთ ლოყაზე მაკოცა, მერე – მეორეზე, თუმცა საქმე ამით არ დამთავრებულა.

– ცუდია, რომ ცოლიანი ხარ, – ჩამჩურჩულა ყურში ენჯელამ, – წარმოიდგინე, რა შეხმატკბილებულად ვიღუღუნებდით მე და შენ, სიდ.

რაც თავი მახსოვს, ენჯელა სულ ასე მაიმუნობდა და სამი წლის განმავლობაში ამნაირი დიალოგების გვარიანად დახვეწაც მოვასწარით. იმდღევანდელი თამაშის დაბოლოება ჩემზე იყო და მეც პასუხად ის ვუთხარი, რის გაგონებასაც მოელოდა.

– ამ ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება, ხომ იცი. დამელოდე, ანგელოზო, ადრე თუ გვიან უღლიდან თავს დავიძვრენ და შენთვისაც მოვიცლი.

ბრუკლინში, შინ ჯერ არავინ მელოდებოდა და მეც გადავწყვიტე, ვილიჯის მიდამოებში გამესეირნა, სახლში დაბრუნებამდე კი სადმე წამეხემსა. მეხუთე ავენიუდან დასავლეთით წავედი და მთელი მეთორმეტე ქუჩა, ყავისფერი ქვიშაქვით ნაგები ლამაზი შენობებითა და კოხტად გაკრეჭილი პატარა ხეებით, სეირნობა-სეირნობით გავიარე. ახალ სკოლას რომ გავცდი და მეექვსე ავენიუს ვუახლოვდებოდი, ფიქრებმა

ჩამითრია. ბოუენი ისევ მიწისქვეშა ოთახში იყო ჩაკეტილი, გრეისის დამაბნეველი სიზმრის ნაწყვეტები ყურში ჯერ კიდევ ექოდ ჩამესმოდა, როცა მომეჩვენა, რომ გონებაში რამდენიმე იდეა მომიმწიფდა. დაახლოებით მოვიფიქრე, თუ როგორ უნდა გამომეხსნა ჩემი პერსონაჟი და როგორი მიმართულება უნდა მიმეცა თხრობისათვის, ამიტომ მომდევნო ნახევარი საათი ბრმასავით ვიარე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მანჰეტენზე კი არა, შორს, კანზას-სითიში ვიყავი, მიწისქვეშა სართულზე, ჩემს გმირთან ერთად. ჰადსონ სტრიტზე, ტავერნა „თეთრი ცხენის“ სიახლოვეს ფიქრებიდან ცოტა გამოვერკვიე და გავჩერდი. უცებ ვიგრძენი, რომ გვარიანად მომშიებოდა. რაკი ეს ამბავი გავიაზრე, ყურადღება საფიქრალიდან კუჭზე გადამერთო და სასადილოდ განვეწყვე.[10]

---

[10] ვერ ვიტყვი, რომ წინ საგრძნობლად წავიწიე, მაგრამ იმას მაინც ვხვდებოდი, რომ მზად ვიყავი, ნიკ ბოუენისთვის მდგომარეობა რამდენადმე მაინც შემემსუბუქებინა, თან ისე, რომ თხრობის ძირითადი მიმართულება არ შემეცვალა. გასაგებია, ნათურა გადაიწვა, მაგრამ ნიკის წყვდიადში დატოვების აუცილებლობას ვეღარ ვხედავდი. ედის ყოველმხრივ მოწყობილ ბუნკერში სადმე სინათლის სხვა წყაროებიც უნდა ყოფილიყო: მაგალითად, ასანთი, სანთლები, ელექტროფარანი, რამე სანათური – ერთი სიტყვით, რაღაც ისეთი, რასაც ნიკი იპოვიდა და თავიდან აიცილებდა იმ განცდას, რომ მიწისქვეშ ცოცხლად აღმოჩნდა დამარხული. ასეთი რამისგან ნებისმიერი ადამიანი შეიშლება, მე კი ჩემს ამბავში ყველაზე ნაკლებად შიშის და შეშლილობის ატმოსფეროს შემოტანა მინდოდა. ჰემეთის სიუჟეტს ძალიან გავცდი, მაგრამ ეგ სულ არ ნიშნავდა, რომ ფლიტკრაფტის ამბის შეცვლას და „ცოცხლად დამარხულის“ ჩემებური ვერსიით ჩანაცვლებას ვაპირებდი. მაშასადამე, ნიკისთვის სინათლე და მასთან ერთად

„თეთრ ცხენში“ ოდესღაც ძალიან ხშირად დავდიოდი, მაგრამ უკანასკნელად იქ, ალბათ, რამდენიმე წლის წინ ვიყავი. ამიტომ შევაღე თუ არა კარი, მაშინვე სიხარული დამეუფლა, რადგან იქაურობა ოდნავადაც არ შეცვლილიყო: ხის პანელებით დაფარული ისევ ის კედლები, სიგარეტით გაბუღული დარბაზი, შელახული ხის მაგიდები და ფეხებმოქცეული სკა-

---

იმედის ნაპერწკალი უნდა დამეტოვებინა. მერე რა, რომ როდესმე ასანთის და სანთლის მარაგი გაუთავდებოდა, ფარანს ელემენტები დაუჯდებოდა. მერე მაცივარს გააღებდა და ოთახს მისი პატარა ნათურა გაუნათებდა.

გრეისის იმ გამაოგნებელი სიზმრის შემდეგ ეგ პრობლემა რა სახსენებელი იყო. მისმა იმდილანდელმა ნაამბობმა, ჩემ მიერ მოგონილ ამბავთან მისმა მსგავსებამ ისეთი თავზარი დამცა, რომ იმის გააზრებაც აღარ დამცალდა, რამდენი განსხვავება იყო მათ შორის. გრეისის სიზმარში მიწისქვეშა ოთახს მშვენიერი ბუდუარი, ორისთვის განკუთვნილი პატარა ეროტიკული სამოთხე უფრო ეთქმოდა. ჩემს ვერსიაში კი შავბნელი საკანი იყო, რომელშიც ერთი კაცი გამოიკეტა. იქ ადამიანს, თავის დაღწევის გარდა, წესით, სხვა ველარაფერზე უნდა ეფიქრა. თუმცა ახლა სხვა რამ მაინტერესებდა: რა მოხდებოდა, ოთახში მასთან ერთად როზა ლეითმანიც რომ მომეთავსებინა? ნიკს ხომ ეს გოგონა უკვე უყვარდა და თუ დახურულ სივრცეში ერთად რაღაც ხანს დაჰყოფდნენ, იქნებ მის გრძნობაზე თანდათანობით როზასაც ეპასუხა? როზა გრეისის ფიზიკური და მენტალური ორეული იყო, მაშასადამე, სექსუალური მადაც ერთნაირი უნდა ჰქონოდათ – ერთნაირი თავაწყვეტილი ვნებიანობა და სილაღე. დროს ერთად მოკლავდნენ: მაგალითად, „მისნის ღამეს“ ხმამაღლა წაიკითხავდნენ, ერთმანეთს გაშიშვლებული სულებით ეჩვენებოდნენ, სიყვარულს მიეცემოდნენ... და თუ თან საჭმელსასმელიც თავზე საყრელად ექნებოდათ, ნუთუ იმ ბინიდან თავის დაღწევას მაინც შეეცდებოდნენ?

მები, იატაკზეც იგივე ნახერხი, ჩრდილოეთის კედელზე კი უზარმაზარი კედლის საათი. ყველა მაგიდა დაკავებული იყო, მხოლოდ ბართან დავლანდე თითო-ოროლა თავისუფალი ადგილი. სკამზე შემოვჯექი და ჰამბურგერი და კათხა ლუდი მოვითხოვე. ჩვეულებრივ, დღისით იშვიათად ვსვამ, მაგრამ „თეთრმა ცხენმა" ნოსტალგიური გუნება-განწყობა გამიღვიძა (ოც წლამდე და მერეც, კარგა ხანს აქაურობის ხშირი სტუმარი ვიყავი და ის დრო თვალწინ გამიცოცხლდა) და ძველი დროის მოსაგონებლად ჩემივე დადგენილი წესის დარღვევა მომინდა. ბარმენთან შეკვეთის ამბავი მოვაგვარე და მერე, ჩემდა უნებურად, მარჯვნივ მჯდომ მამაკაცს გავხედე. ის ტავერნაში შემოსვლისთანავე შევნიშნე. კაფანდარა კაცი იყო, ნაქსოვი ყავისფერი პულოვერი ეცვა, რაღაცას წრუპავდა და სასმელზე დახრილი იჯდა. როგორც კი დავინახე, მისმა პოზამ და მოძრაობებმა ჩემს ტვინს რაღაც სიგნალი გაუგზავნა, თუმცა რის მანიშნებელი იყო ეს სიგნალი, მაშინვე ვერ

ასე მივეცი გასაქანი წარმოსახვას, სანამ ვილიჯის მიდამოებში ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდი. თუმცა ამ ახალ სიუჟეტურ ხაზს ჯერ ჩამოყალიბებული სახე არ ჰქონდა, რომ მისი არადამაჯერებლობაც გამოიკვეთა. გრეისმა ეროტიკული სიზმრით მაცდუნა და მართალია, ერთი შეხედვით, ცდუნება გამართლებული იყო, ახლა სხვა ჩიხში შესვლა მემუქრებოდა. თუკი ოთახში როზას შეშვება შემეძლო, მაშასადამე, არც ნიკის გამოშვება ჩანდა შეუძლებელი, ხოლო თუ ამგვარი შესაძლებლობა მიეცემოდა, არა მგონია, ნიკს ჭოჭმანი დაეწყო. მაგრამ საქმეც ეგაა, რომ ნიკი გარეთ ვერ გამოდიოდა. კეთილი, ცოტა შუქი მივეცი, მაგრამ მაინც იმ პირქუშ საკანში მყავდა გამოკეტილი და თუ მის გამოსაშვებად დამაჯერებელ ხერხს ვერ მოვიფიქრებდი, ბოლოს მიწისქვეშეთში მომიკვდებოდა.

მივხვდი. შესაძლოა, მასში რაღაც მეცნო, შესაძლოა, სხვა ყავისფერპულოვერიანი კაცი მომაგონა, რომელიც წლების წინ ამავე ბართან იჯდა ხოლმე. რამდენი წელი იყო უკვე გასული... რაც აქ ოდესღაც ხდებოდა, ფრაგმენტებადღა მახსოვდა, იმ კაცს რა გაიხსენებდა. მამაკაცი თავჩახრილი იჯდა და ვისკით თუ ბურბონით ნახევრად სავსე ჭიქას დაჰ-ყურებდა. მხოლოდ მის პროფილს ვხედავდი, რომელსაც მარცხენა ხელის მტევანი სანახევროდ უფარავდა. ცხადია, არ მეშლებოდა: პროფილი იმ კაცისა იყო, რომელსაც, უკვე მეგონა, ველარასდროს ვნახავდი – მ. რ. ჩანგი გახლდათ.

– მისტერ ჩანგ, – შევძახე მაშინვე, – როგორ გიკითხოთ?

თავისი სახელის გაგონებაზე ჩანგმა თავი ჩემკენ მოატ-რიალა და იმ წამებში მომეჩვენა, რომ ნაღვლიანი და სას-მელისგან არეული სახე ჰქონდა. თავიდან, მგონი, ვერც მიც-ნო, მაგრამ მერე თანდათანობით სახე გაუნათდა.

– აჰ! – თქვა ხმამაღლა, – მისტერ სიდნი! მისტერ სიდნი ო.! კარგი ადამიანი!

– მისტერ ჩანგ, გუშინ თქვენს მაღაზიაში კიდევ ერთხელ ვიყავი, – ვუთხარი, – მაგრამ დახურული დამხვდა. მოხდა რამე?

– დიდი პრობლემები მოხდა, – მომიგო ჩანგმა, თავი გადა-აქნია და სასმელი მოწრუპა. ისევ მომეჩვენა, რომ ცოტაც და ცრემლები წასკდებოდა, – სახლის მფლობელმა ქირა მოამატა. ვეუბნები, ქირავნობის ხელშეკრულება ხომ დავდეთ. მაგრამ იმან გაიცინა და თქვა, მერიიდან კაცი მოვა და დახურავს, თუ ორშაბათს ქირა არ გადაიხადე. ამიტომ მე ჩავალაგე ყვე-ლაფერი და იქიდან გადავბარგდი შაბათი საღამოს. მაფიის ხალხი გვყავს ახლოს, მეზობლები. მოგკლავს, ტყვიას გესვრის, თუ ფულს არ იხდი.

– ადვოკატი უნდა დაიქირავოთ და სასამართლოში უჩივლოთ.

– არ შეიძლება ადვოკატი. ბევრი ფული მიაქვს. ხვალ ახალი ადგილი უნდა მოვძებნო. ქუინსში ან მანჰეტენზე. ბრუკლინი მეტი აღარ მინდა. ქაღალდის სასახლე ჩაისვარა. ამერიკული ოცნება ჩაისვარა.

როცა ჩანგმა შემომთავაზა, თითო ჭიქა დავლიოთო, სიბრალულის გრძნობას არ უნდა ავყოლოდი, მაგრამ გულმა არ მიქნა და უარი ვერ ვუთხარი. ესეც ვთქვათ: ექიმის მიერ გამოწერილ წამლებში შოტლანდიური ვისკი, ისიც დღის საათებში, ნამდვილად არ ერია. მერე უარესიც ვქენი. ჩემი და ჩანგის გულითად საუბარს ბუნებრივად მოჰყვა და თავი ვალდებულად ვიგრძენი, თავაზიანობა გამომეჩინა, სასმელზე მეც დამეპატიჟებინა. ასე და ამგვარად, ერთი საათის განმავლობაში ერთი კათხა ლუდი და ორი ორმაგი ვისკი გამომივიდა – იმდენი არაა, კაცი რომ გამოტყვრეს, მაგრამ თანდათანობით გარშემო ყველაფერმა ტრიალი დაიწყო, ჩვეული თავდაჭერილობა დავკარგე და ჩანგს რამდენიმე პირადი კითხვა დავუსვი – მაგალითად, როგორ ცხოვრობდა ჩინეთში და როგორ ჩამოვიდა ამერიკაში? ფხიზელ მდგომარეობაში ამეების კითხვას გუნებაშიც არ გავივლებდი. ზოგი რამ მისი ნაამბობიდან დამაბნევლად მომეჩვენა. ალკოჰოლის დოზების მატებასთან ერთად, ჩანგს ინგლისურად აზრის გადმოცემის უნარიც უქვეითდებოდა, თუმცა ერთმანეთს მიყრილი ისტორიების ამ ნაკადიდან რაღაც მაინც გავიგე, მაგალითად, პეკინში გატარებული ბავშვობისა თუ კულტურული რევოლუციის შესახებ, ისიც შევიტყვე, როგორ გამოიქცა ჩანგი ქვეყნიდან ჰონგ კონგის გავლით. განსაკუთრებით ერთი ამბავი დამამახსოვრდა, შეიძლება იმის გამოც, რომ მანამ მომიყვა, სანამ სასმელი ხელს დამრევდა.

– ჩემი მამა მათემატიკის მასწავლებელი იყო, – მითხრა ჩანგმა, – პეკინის ნომერ თერთმეტ საშუალო სკოლაში ასწავლიდა. კულტურული რევოლუცია დაიწყო და „შავი ბანდის“ წევრი და რეაქციონერი, ბურჟუაზიული გადმონაშთი – ასე უძახიან. ერთი დღეა და წითელი არმიის ახალგაზრდობა შავი ბანდის წევრებს უბრძანებს, ბიბლიოთეკებიდან წიგნები გამოიტანონ. რაც თავმჯდომარე მაომ არ დაწერა, იმის დაწვას ბრძანებენ. ვინც არ დაუჯერა, ქამრებით სცემენ. ეს სულ ცუდი წიგნებია, ამბობენ. ამ წიგნებიდან კაპიტალიზმს და რევიზიონისტულ იდეებს სწავლობენ, ამიტომ უნდა დავწვათ. ჩემმა მამამ და შავი ბანდის სხვა წევრებმა წიგნები გაზიდეს. სპორტულ მოედანზე აწყობენ. წითელი ახალგაზრდები უყვირიან და სცემენ – ჩქარა, ჩქარა. ძალიან ბევრ მძიმე ტვირთს ზიდავენ, მოედანზე წიგნების დიდი გორაა. წითელმა ახალგაზრდებმა წიგნებს ცეცხლი წაუკიდეს და მაშინ ჩემმა მამამ ტირილი დაიწყო. ამიტომ ქამრები მოხვდა. კოცონი იზრდება, იზრდება და მერე წითელმა ახალგაზრდებმა შავი ბანდის ხალხი კოცონისკენ გარეკეს. ხელს კრავენ და კოცონისკენ რეკავენ. მოიხარეთ, თავები დახარეთ, უბრძანებენ. ახლა დიდი კულტურული რევოლუციის ცეცხლში გამოგაწრთობთ, ეუბნებიან. ცხელი აგვისტოა, საშინელი მზეა. ჩემ მამას სახეზე დამწვრობები აქვს, ზურგზე სულ ნაცემები და ჭრილობები. ჩემი მამა ტირის. ჩვენ სუყველანი ვტირით, მისტერ სიდნი. მეორე კვირას ჩემი მამა დააპატიმრეს, ჩვენ სუყველანი სოფელში გაგვგზავნეს, გლეხებივით რომ ვიმუშაოთ. აი, მაშინ ვისწავლე ჩემი ქვეყნის სიძულვილი. ჩემი ჩინეთის. იმ დღის მერე სულ ამერიკაზე ოცნება მქონდა. ესე იგი, ჩემი დიდი ამერიკული ოცნება ჩინეთში დამემართა. მაგრამ ამერიკაში არ არის ოცნება. ეს ქვეყანაც ცუდი ქვეყანაა. ყველა ქვეყანა

ერთნაირი. ყველა ხალხი ცუდი და გაფუჭებული. ყველა ქვეყანა ცუდი და გაფუჭებული.[11]

მეორე ჭიქა „ქათი სარკის“ მერე წამოვდექი, ჩანგს ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი, ახლა კი უნდა წავიდე-მეთქი. სამის ნახევარი იყო, მე კი კობლ ჰილში დაბრუნება ისეთ დროს მინდოდა, რომ ვახშმისთვის რაღაც-რაღაცების ყიდვა მომესწრო. ჩანგს სახეზე იმედგაცრუება დაეტყო. არ ვიცი, რას ელოდა ჩემგან. ნუთუ ეგონა, რომ მთელი დღე გვერდიდან არ მოვშორდებოდი?

– პრობლემა არ არის, – მითხრა მალევე, – მე სახლში წაგიყვანთ.

– მანქანა გყავთ?

---

[11] ოცი წლის წინ, როცა ჩანგი ამ ამბავს მიყვებოდა, ეჭვიც არ შემპარვია, რომ სიმართლეს მიამბობდა. იმდენი დამაჯერებლობა იყო მის ხმაში, რომ ჩანგის გულწრფელობა სათუო არ მომჩვენებია. თუმცა რამდენიმე თვის წინ ერთი პროექტისთვის მასალას ვაგროვებდი და კულტურული რევოლუციის პერიოდის ჩინეთზე არაერთი ნაშრომის წაკითხვა მომიხდა. ერთ-ერთ მათგანში ვინმე ლიუ იანის, პეკინის მეთერთმეტე საშუალო სკოლის მოსწავლის მოგონებებს გადავაწყდი. ის სკოლის სპორტულ მოედანზე წიგნების დაწვის ეპიზოდზე წერს, რისი თვითმხილველიც თავად ყოფილა. მის მოგონებებში მასწავლებელი ჩანგი ნახსენები ერთხელაც არ არის. სამაგიეროდ, მასწავლებელ ქალს, ვინმე იუ ჩანგძიანს ახსენებს, რომელსაც ცეცხლწაკიდებული წიგნების დანახვისას ისტერიული ქვითინი ასტყდომია. „მისმა ცრემლებმა წითლები უარესად გაახელა და მასწავლებელს მათრახებით ცემა დაუწყეს, რის გამოც მთელ ტანზე საშინელი იარები დარჩა“ (ჩინეთის კულტურული რევოლუცია, 1966-69, მაიკლ შონჰელსის რედაქტორობით; არმონკი, ნიუ-იორკი: მ.ე. შარპი, 1996).

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩანგი ცრუობდა, მაგრამ მისი ნაამბობის მიმართ ეჭვი მაინც ჩნდება. სავსებით შესაძლებელია, რომ წიგნე-

– რა თქმა უნდა. ყველას ყავს მანქანა. თქვენ არა?

– არა, მე არ მყავს. ნიუ-იორკში კაცს მანქანა მაინცდამაინც არ სჭირდება.

– წავედით, მისტერ სიდ. დღეს თქვენ მე კარგი გუნება დამიყენეთ და ისევ ბედნიერი გავხდი. ახლა მე თქვენი სახლში წაყვანა მინდა.

– არა, გმადლობთ. ასეთ მდგომარეობაში კაცი საჭესთან არ უნდა დაჯდეს. კარგა გვარიან გადაკრულში ხართ.

– გადაკრულში?

– ძალიან ბევრი დალიეთ.

– სისულელეა. მ. რ. ჩანგი მოსამართლესავით ფხიზელია.

ამ ძველი ამერიკული იდიომის გაგონებამ ღიმილი მომგვარა. დაინახა თუ არა, რომ მისმა სიტყვებმა გამახალისა,

---

ბის დაწვის დროს ორ მასწავლებელს ეტირა, ლიუ იანს კი მხოლოდ ერთი დახსომებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წიგნების დაწვა რევოლუციის პერიოდის პეკინში ერთობ გავრცელებული იყო, რაც, ლიუ იანის სიტყვებით, „მთელ ქალაქში დიდ მღელვარებას იწვევდა“. მნიშვნელობა არ აქვს, შეესწრო თუ არა მამამისი ასეთ სცენას, ჩანგს მის შესახებ მაინც ეცოდინებოდა. შეიძლება ეს გახმაურებული ამბავი შთაბეჭდილების მოსახდენად მიამბო. რაც არ ვიცი, არ ვიცი. მეორე მხრივ, მისი მონათხრობი ისეთ სიცხადეს შეიცავდა, მხოლოდ თვითმხილველს რომ შეუძლია გადმოცემა – რაც მაფიქრებინებს, რომ ჩანგი წიგნების დაწვას თავად ესწრებოდა. და თუკი ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ იქ მხოლოდ წითელი გვარდიის ჯარისკაცის როლში შეიძლებოდა ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში, აუცილებლად მეტყოდა, რომ იმავე მეთერთმეტე სკოლის მოსწავლე იყო, რაზეც სიტყვა არ დასცდენია. იმასაც კი ვერ გამოვრიცხავ (თუმცა ეს უკვე წმინდა წყლის ვარაუდია), რომ თავად იყო ის ჯარისკაცი, რომელმაც მასწავლებელი გაამათრახა.

ჩანგმაც მაშინვე გადაიხარხარა. დაახლოებით ისეთივე სტა-კატოსებრი ბგერები იყო, ჩვენი ნაცნობობის პირველ დღეს, მაღაზიაში რომ მომაყარა: ჰა-ჰა-ჰა, ჰა-ჰა-ჰა, ჰა-ჰა-ჰა. თუმ-ცა ამჯერად მისი მხიარულება უსულგულო და მშრალი მო-მეჩვენა, ცივი და მჭახე სიცილი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ხმას ის თრთოლვა, სიცოცხლე აკლდა, გულიან სიცილს რომ უნდა ახლდეს. ამასობაში ჩანგმა საკუთარი სიფხიზლის ჩვე-ნება მოინდომა: ბარის სკამიდან მარდად ჩამოსრიალდა და სწორ ხაზზე წინ და უკან სიარულს მოჰყვა. უნდა ითქვას, წონასწორობას შესანიშნავად ინარჩუნებდა და პატიოსნად ვაღიარე, რომ გამოცდა შესანიშნავად ჩააბარა. მოძრაობები მტკიცე და მოქნილი ჰქონდა, აშკარა იყო, რომ სხეულს შესა-ნიშნავად, ფხიზელი კაცივით ფლობდა. იმასაც მივხვდი, რომ თუ გულში რამეს ამოიჭრიდა, მერე ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებდა, ხოლო სურვილი, შინ თავისი მანქანით წავეყვანე, უკვე ჯიუტ ახირებას ჰგავდა. ამიტომ, სულაც არ მეხალისებო-და, მაგრამ ხელი ჩავიქნიე და შემოთავაზებაზე დავთანხმდი.

მანქანა შესახვევში, პერი სტრიტის კუთხეში დაეტოვები-ნა. ახალთახალი წითელი „პონტიაკი“ იყო, თეთრგულიანი სა-ბურავებით და გადასაწევი სახურავით. ჩანგს ვუთხარი, თქვე-ნი მანქანა ჯერსის ქორფა პომიდორს მაგონებს-მეთქი, ის კი აღარ მიკითხავს, როგორ მოახერხა ამერიკულ ოცნებაზე ხელჩაქნეულმა კაცმა ასეთი ძვირადღირებული მანქანის ყიდ-ვა. ჩანგმა „პონტიაკის“ კარი დაუფარავი სიამაყით გამიღო და დაიცადა, სანამ დავჯდებოდი. მერე მანქანას წინიდან მოუარა და სანამ მეორე კარს გამოაღებდა, მას ხელი გრძნობით მო-უთათუნა. საჭეს რომ მიუჯდა, მომიბრუნდა, უსიამოვნოდ დამეღრიჯა და მითხრა:

– მაგარი რამეა.

– ჰო, – მივუგე, – ძალიან შთამბეჭდავია.

– კომფორტით მოეწყვეთ, მისტერ სიდ. სავარძელი უკან გადასწიეთ. დააჭირეთ და ბოლომდე გადასწიეთ.

მერე ჩემკენ გადმოიხარა და მაჩვენა, სად იყო ის ღილაკი, რომელზეც სავარძლის ასამოძრავებლად უნდა დამეჭირა. მართლაც, სავარძლის საზურგე რბილად დაიძრა და ორმოცდახუთი გრადუსით გადაიწია.

– აი, ასე, – თქვა ჩანგმა, – კომფორტით მგზავრობა უკეთესია.

ვერც შეეკამათებოდი: ჩემსავით ნაყლაპი კაცისთვის ეს პოზა გაცილებით სასიამოვნო გამოდგა, ვიდრე ვერტიკალურ მდგომარეობაში ჯდომა. ამასობაში ჩანგმა მანქანა დაქოქა, მე კი თვალები დავხუჭე და შევეცადე, წარმომედგინა, რა ესიამოვნებოდა გრეისს დღეს ვახშმად, მაშასადამე, რომელი პროდუქტები უნდა მეყიდა ბრუკლინში დაბრუნებამდე. დავხუჭე და თურმე ძალიანაც მივქარე: იმის მაგიერ, რომ თვალები დაჭყეტილი მქონოდა და მენახა, რა გზით წავიდოდა ჩანგი, მაშინვე ჩამთვლიმა, ისე, როგორც მთვრალი კაცების უმეტესობას დაემართებოდა დღის საათებში შთანთქმული ზედმეტი სასმელის შემდეგ.

ასე ტკბილად მეძინა ერთხანს, სანამ ჩანგმა მანქანა არ გააჩერა. მერე ძრავა გამორთო. ეჭვიც არ შემპარვია, რომ კობლ ჰილში მიმიყვანდა. კარი გავაღე და მადლობის თქმა და დამშვიდობება დავაპირე, რომ მივიხედ-მოვიხედე და მივხვდი: სადღაც სხვა, უცნობ ადგილას ვიყავით, სრულიად უცხო უბანში, მაღაზიებით სავსე რომელიღაც ქუჩაზე – სავარაუდოდ, ქალაქის მეორე ბოლოში. საზურგიდან წამოვიწიე, რომ იქაურობა უკეთ დამეთვალიერებინა. აბრების უმეტესობას ჩინური წარწერები ჰქონდა.

– სად ვართ? – ვკითხე დაბნეულმა.

– ფლაშინგში, – მითხრა ჩანგმა, – ეს მეორე ჩაინათაუნი არის ამ ქალაქში.

– აქ რატომ მომიყვანეთ?

– მანქანით რომ მოვდივართ, თავში კარგი აზრი მომივიდა. აქეთ კვარტალში ერთი პატარა კლუბია, კარგი მოდუნების და დასვენების ადგილი. დაღლილი ჩანხართ, მისტერ სიდნი. ჰოდა, აქ მოგიყვანეთ, უკეთ გაგხადოთ.

– აბა, რას ამბობთ? ოთხის თხუთმეტი წუთია, წესით, უკვე შინ უნდა ვყოფილიყავი.

– მარტო ნახევარი საათი. მე თქვენ გპირდებით: იქ კარგი რამე გელით. მერე სახლში წაგიყვანთ. კარგი?

– არა, არა. მეტროს უახლოესი სადგური მიმასწავლეთ და სახლამდე გზას თავად გავიგნებ.

– გთხოვთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ბიზნესის ამბავია. ჭკვიანი კაცის რჩევა მჭირდება. თქვენ ძალიან ჭკვიანი კაცი ხართ, მისტერ სიდნი. ძალიან დიდი ნდობა მაქვს.

– ნეტავი დაახლოებით მაინც ვხვდებოდე, რას გულისხმობთ. ჯერ მეუბნებით, რომ უნდა მოვდუნდე. მერე ირკვევა, რომ თურმე ჩემი რჩევა გჭირდებათ. რომელი ერთი ვიფიქრო?

– ორივე, მისტერ სიდნი. ერთიც და მეორეც. ნახავთ იმ ადგილს, მოდუნდებით, დაისვენებთ და მერე აზრი მითხარით. ყველაფერი ძალიან მარტივია.

– მაშ, ნახევარი საათი?

– ნახევარი. მეტი არაფერი. ფულს მე ვიხდი, თქვენთვის უფასო არის. მერე მანქანაში ჩაჯექით და კობლ ჰილში მივდივართ. კარგი?

დღის მეორე ნახევარში სულ უფრო და უფრო უცნაური ამბები ხდებოდა, მაგრამ მაინც დავყაბულდი, ჩანგის ნებას

დავყევი. რატომ – ეს დღემდე ვერ ამიხსნია. შეიძლება ცნობისმოყვარეობა იყო ამის მიზეზი, შესაძლოა, პირიქით, სრული გულგრილობის გამო დავთანხმდი. ჩანგი უკვე ნერვებზე თამაშობდა, მისი დაჟინებული თხოვნის მოსმენაც აღარ შემეძლო, მით უფრო, ამ სასაცილო, უგემოვნო მანქანის სალონში. ვიფიქრე, თუ ამ კაცისგან თავის დასაღწევად ნახევარი საათის გაღება საკმარისი იქნება, ალბათ დათანხმება სჯობს-მეთქი. ამიტომ „პონტიაკიდან" გადმოვედი და გამვლელ-გამომვლელით გადაჭედილ ტროტუარს ჩანგთან ერთად გავუყევი. თევზის მაღაზიებიდან და ბოსტნეულის სტენდებიდან წამოსული საჭმლის და ლპობაშეპარული მონარჩენის სუნით შეზავებულ ჰაერს მივაპობდით, სანამ კუთხეს არ გავუსწორდით. მარცხნივ შევუხვიეთ. დაახლოებით ასი ფუტი კიდევ ვიარეთ და ვიწრო ჩიხში აღმოვჩნდით, რომლის ბოლოშიც ბრტყელსახურავიანი, უფანჯრებო ერთსართულიანი შენობა დავინახე. კაცის გასაძარცვად უფრო მოსახერხებელი ადგილის წარმოდგენა შეუძლებელი იყო, მაგრამ მაშინ, რატომღაც, ამგვარი საფრთხის არსებობა გუნებაშიც არ გამივლია. ჩანგი შესანიშნავ ხასიათზე იყო და ჩვენი საბოლოო დანიშნულების ადგილისკენ ჩვეული მიზანსწრაფულობით მიიწევდა.

მოყვითალო ბლოკით ნაშენ სახლს მივადექით და ჩანგმა ზარს თითი დააჭირა. რამდენიმე წამში შენობის კარი ოდნავ შეიღო და იქიდან ასე, სამოცდაათს მიტანებულმა კაცმა გამოყო თავი. ჩანგი რომ დაინახა, თავი კარგი ნაცნობივით დაუქნია, მანდარინის ენაზე ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკ-გადმოულაპარაკეს და მერე მამაკაცმა შიგნით შეგვიპატიჟა. ეს ვითომ კარგი მოსასვენებელი თუ მოსადუნებელი ადგილი ჯერჯერობით საუნას მაგონებდა. შე-

სული არ ვიყავი, რომ ოციოდე ჩინელი გოგონა დავინახე, რომლებიც მაგიდებს მისხდომოდნენ, ზედ შემოდებულ საკერავ მანქანებს ახრიგინებდნენ და იაფი სინთეტიკური ნაჭრებისგან ფერად-ფერად კაბებს კერავდნენ. ჩვენთვის, ახალმოსულებისთვის არცერთს არ შემოუხედავს. მათთვის ყურადღება არც ჩანგს მიუქცევია და რამდენადაც შეეძლო, გვერდი სწრაფად აუარა. გზას მაგიდებს შორის მივიკვლევდით და მცირე ხანს ასე ვიარეთ, სანამ ოთახის უკანა კედელში გაჭრილ კარს არ მივადექით, რომელიც ისევ მოხუცმა კაცმა გაგვიღო. მე და ჩანგმა გაურკვეველ, ჩაბნელებულ-ჩაშავებულ სივრცეში შევაბიჯეთ. კონტრასტი წინა ოთახის თუ სახელოსნოს ფლუორესცენტულ განათებასა და იქაურ უკუნ სიბნელეს შორის იმდენად დიდი იყო, რომ თავიდან შავი ფერის გარდა ვერაფერი გავარჩიე.

თუმცა გავიდა მცირე ხანი, თვალი სიბნელეს შეეჩვია და ოთახის სხვადასხვა ნაწილში მბჟუტავი სანათურები დავინახე. ყოველ მათგანს სხვადასხვა ფერის: წითელი, ყვითელი, იისფერი და ლურჯი ნათურები ჰქონდა მორგებული. წამით ჩანგის გამქრალ მაღაზიაში შაბათს ნანახი პორტუგალიური რვეულები გამახსენდა. გავიფიქრე, ნეტავ ისეთები კიდევ თუ დარჩა-მეთქი. თუკი ყველა არ გაუყიდია, იქნებ ერთი ცალი ახლა მაინც შევიძინო-მეთქი. ეს საკითხი გუნებაში ჩავინიშნე: არ უნდა დამვიწყებოდა და წასვლამდე ჩანგს რვეულებზე უნდა დავლაპარაკებოდი.

ამასობაში ჩანგმა მაღალ, მბრუნავ სკამთან მიმიყვანა. სკამზე ხელოვნური ტყავისგან შეკერილი რბილი დასაჯდომი ბალიში იდო. დავჯექი, ჩანგიც გვერდით მომიჯდა და მაშინღა მივხვდი, რომ რაღაც ბარის მსგავსს ვუსხედით – ოვალური მოყვანილობის პრიალა ბარს, რომელიც ოთახის ცენტრალურ

ნაწილს მთლიანად იკავებდა. ახლა კი დავიწყე ნელ-ნელა სიტუაციაში გარკვევა. თვალმა პირდაპირ მჯდომი რამდენიმე ადამიანი გაარჩია, ორი საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ჰალსტუხიანი მამაკაცი იყო, კიდევ ერთს, აზიური გარეგნობის სტუმარს, ჰავაიზე ჩასული დამსვენებლის სტილში ეცვა, დანარჩენები კი ქალები იყვნენ – ორნი თუ სამნი; და თუ არ მომეჩვენა, ტანზე არცერთს არაფერი ეცვა. აჰ, თურმე რა ყოფილა აქაურობა-მეთქი, – გავიფიქრე. ძალიან უცნაური კი იყო, მაგრამ ახლაღა შევნიშნე, რომ ოთახში მუსიკა ისმოდა, ჩურჩულისა თუ შრიალის მსგავსი ნაზი ჰანგები უხილავი აპარატურიდან წყალივით მოჩუხჩუხებდა. ცოტა ხანს ყური მივუგდე, მაგრამ სიმღერა ვერ ვიცანი. ძველი როკ-ენ-როლი იყო, ახლებურად არანჟირებული და გათანამედროვებული – შეიძლება „ბითლზის“ სიმღერას გვასმენინებდნენ, შეიძლება ვცდებოდი და რაღაც სხვა იყო.

– აბა, მისტერ სიდ, – მითხრა ჩანგმა, – რას იტყვით?

ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ ჩვენ წინ ბარმენი გაჩნდა და გვკითხა, რისი შეკვეთა გვსურდა. ეს ბარმენი, შესაძლოა, ის მოხუცი კაცი იყო, რომელმაც ცოტა ხნის წინ კარი გაგვიღო, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი. იქნებ მისი ძმა იყო, ან რომელიმე ახლო ნათესავი, რომელიც, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ოჯახის წევრმა ბიზნესში შემოიყვანა. ჩანგი ჩემკენ დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა:

– ალკოჰოლი არ არის. უალკოჰოლო ლუდი, წვენი, კოკა. დასალევის გაყიდვა ამნაირ ადგილებში ძალიან საშიშია. გაყიდვის ლიცენზია არა გვაქვს.

რაკი არჩევანი ასეთი შეზღუდული იყო, კოკა-კოლა მოვითხოვე. ჩანგიც ჩემსავით მოიქცა.

– სულ ახალი კლუბია, – აგრძელებდა ჩემს გათვითცნო-

ბიერებას საკანცელარიო მაღაზიის ყოფილი მფლობელი, – შაბათს გაიხსნა. საქმე ჯერ არ არის აწყობილი, მაგრამ აქ დიდი პოტენციალი დავინახე. ახლა მეკითხებიან, თუ მინდა, ბიზნესში მეწილე გავხდე.

– ეს ბორდელია, – ვუთხარი, – დარწმუნებული ხართ, რომ არალეგალურ ბიზნესში გარევა გიღირთ?

– ბორდელი არ არის, – მომიგო წყენით ჩანგმა, – რელაქსაციის კლუბი არის, რომელშიც შიშველი ქალები მუშაობენ. მშრომელ კაცებს ეხმარება, უფრო კარგად იყვნენ.

– კარგი, თქვენთან კამათს არ ვაპირებ. თუკი ასე გსურთ, რა გაეწყობა. ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ. თუმცა უნდა ვაღიარო: მე მეგონა, რომ გაკოტრდით.

– ფული პრობლემა არ არის, ვისეხებ. თუ ინვესტიციიდან მიღებული პროცენტი სესხის პროცენტზე მეტი იქნება, უნდა ვიფიქრო, საქმე კარგად წავიდა.

– საქმეც ეგაა. თუ მეტი იქნება.

– აქ ბევრი „თუ“ არ არის. ძალიან მაგარი გოგოები იპოვეს მუშაობისთვის. მის სამყარო მოიყვანეს – მერლინ მონრო, თვის „ფლეიბოის“ გოგო. ყველაზე გემრიელი, ყველაზე სექსუალური გოგოები. დიდი ცდუნება არის. კაცი ვერ უძლებს. მოდით, უნდა განახოთ.

– არა, დიდი მადლობა. მე ცოლიანი კაცი ვარ. ყველაფერი, რაც მჭირდება, ოჯახში მაქვს.

– ყველა კაცი ასე ამბობს. მაგრამ თქვენმა ასომ უფრო კარგად იცის, რა გჭირდებათ. ეგ მოვალეობის გრძნობას ყოველთვის მოერევა. არ გჯერათ? ახლა დაგიმტკიცებთ.

ჩანგის შეჩერება ვერ მოვასწარი, რომ მბრუნავ სკამზე დაბზრიალდა და ვიღაცას ჟესტით რაღაც ანიშნა. მეც იქით გავიხედე და სიბნელეში ექვსი თუ შვიდი კაბინა დავინახე,

რომლებიც აქ შემოსვლისას არც შემინიშნავს. სამ მათგანში შიშველი ქალი იჯდა და როგორც ჩანს, კლიენტს ელოდა. დანარჩენ კაბინებს ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული, ჩემი ვარაუდით, იმ კაბინებში გოგოები კლიენტებს ემსახურებოდნენ. ერთ-ერთი ქალი წამოდგა და ჩვენკენ წამოვიდა.

– ეს ყველაზე კარგი გოგოა, – აღნიშნა ჩანგმა საქმიანად, – ყველაზე ლამაზი. აქ აფრიკელ დედოფალს ეძახიან.

სიბნელეს მაღალი შავკანიანი ქალი გამოეყო, ერთიანად მარგალიტის და ყალბი ბრილიანტის სამშვენისებით მორთული. მაღალყელიანი, მუხლს აცდენილი თეთრი ჩექმები და თეთრი სტრინგი ეცვა. თმა უწვრილეს ნაწნავებად ჰქონდა დაწყობილი და შეკრული. თითოეულ ნაწნავში ჯინჯილები ჩაეწნა, რომლებიც ფეხის ყოველ გადმოდგმაზე ისე ჩხრიალებდნენ, თითქოს უხილავი ქარი არხევდათ. მხრებგამართული, შოლტივით მოქნეული, ჩვენკენ ლაღი ნაბიჯით წამოვიდა. მოდიოდა, მოირწეოდა და თავი ისე ეჭირა, კაცს კითხვაც არ გაუჩნდებოდა, რატომ ერგო თავისი მეტსახელი. ბარს ექვსი ფუტის მანძილზე რომ მოუახლოვდა, მივხვდი, ჩანგი ოდნავადაც არ აჭარბებდა: გამაოგნებელი სილამაზის ქალი იყო – ალბათ ყველაზე ლამაზი იმათგან, ვინც კი მინახავს. ოცზე ბევრად მეტის არ იქნებოდა, ბევრი-ბევრი, ოცდაორი წლისა ყოფილიყო. გლუვი კანი ჰქონდა – ისეთი, შენდა უნებურად ხელის გადასმა რომ მოგინდება. ამ ცდუნების დაძლევა შეუძლებელი იყო და მეც მის შესახებად ხელი თავისით გამექცა.

– აბა, სალამი უთხარი ჩემ მეგობარს, – დაარიგა ჩანგმა, – მე შენთან მერე გავსწორდები.

გოგონა მომიბრუნდა, გამიღიმა და გამაოგნებლად თეთრი კბილების რიგი გამოაჩინა.

– Bonjour, chéri, – მითხრა, – Tu parles français?* – არა, სამწუხაროდ, არა, – მივუგე, – მხოლოდ ინგლისური ვიცი.

– მე მარტინი მქვია, – მითხრა მკვეთრი კრეოლური აქცენტით.

– მე – სიდნი, – ვუთხარი და მერე, რაკი დაბნეულობიდან საუკეთესო გამოსავლად მასთან გამოლაპარაკება მეჩვენა, ვკითხე, აფრიკის რომელი ქვეყნიდან ხართ ჩამოსული-მეთქი.

გაეცინა.

– Pas d'Afrique. Haiti,** – ბოლო სიტყვა დამიმარცვლა და ისე წარმოთქვა: „Ha-ee-tee...", – ცუდი ადგილია, დიუვალიე არის ძალიან méchant.*** აქ ბევრად უკეთესია.

თავი დავუქნიე. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მეთქვა ამის შემდეგ. სჯობდა, იქამდე წავსულიყავი, სანამ თავს ცუდ ამბავში გავყოფდი. წამოდგომა დავაპირე, მაგრამ თავს ძვრა ვერ ვუყავი. ძალიან ლამაზი იყო ეს ქალი, ვერ მოვწყდი, თვალი ვერ მოვაშორე.

– Tu veux danser avec moi? – მკითხა, – ჩემთან ცეკვა გინდა?

– არ ვიცი, ალბათ. მაინცდამაინც კარგი მოცეკვავე არა ვარ.

– რამე სხვა ხომ არ სჯობს?

– არ ვიცი. იქნებ... ერთი რამე... არ ვიცი, იქნებ არც ღირს ამის თხოვნა.

– ერთი რამე?

– ჰო, მინდოდა, მეკითხა... წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ შეგეხო?

– რომ შემეხო? აბა რა. ეგ ადვილია. შემეხე, სადაც გინდა.

---

* გამარჯობა, ძვირფასო. ფრანგულად ლაპარაკობ? (ფრ.)

** აფრიკიდან არა, ჰაიტიდან (ფრ.)

*** ბოროტი (ფრ.)

ხელი გავიწვდინე და მის შიშველ მკლავს მთელ სიგრძეზე დავუყევი.

– ძალიან მორცხვი ხარ, – მითხრა, – არ გინდა, ჩემი ძუძუები განახო? Mes seins sont très jolis, n'est-ce pas?* იმდენად ფხიზელი კი ვიყავი, რომ გამეცნობიერებინა: საძაგელ გზას ვიყავი შემდგარი, მაგრამ თავს ველარ ვიმორჩილებდი. მისი ორი პატარა, კოხტად მომრგვალებული ძუძუ მტევნებში მოვიქციე და წუთით გავყუჩდი. ის წუთიც საკმარისი იყო, რომ მეგრძნო, როგორ გაუმაგრდა ძუძუსთავები.

– აი, ასე სჯობს, – მითხრა, – ახლა ხელი მეც შემახებინე, კარგი?

მისთვის თანხმობა არ მიმიცია, მაგრამ არც უარი მითქვამს. რატომღაც ვიფიქრე, რომ გუნებაში განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა, რომ ჩვეულებრივ შეხებას გულისხმობდა – ლოყაზე ხელის მოცაცუნებას, ტუჩებზე თითის დასმას, ხელზე ხელის მოჭერას – ყოველ შემთხვევაში, იმას არა, რაც მერე გააკეთა: მთელი ტანით მომეკრო, თავისი ლამაზი ხელი ჯინსის შარვალში ჩამიცურა და ბოლო ორი წუთის განმავლობაში მისი სიახლოვით გამოწვეული ერექცია მოსინჯა. გამაგრებული ასო მტევანში მოიქცია და გამიღიმა.

– მგონი, საცეკვაოდ მზად ხარ, – მიჩურჩულა, – ახლა იქით ხომ წამომყვები?

ჩანგის ტაქტიანობა მაშინ დავაფასე: მამაკაცური სისუსტის ამ დამაღონებელ თვალსაჩინოებას კი შეესწრო, მაგრამ სახეზე ღიმილიც არ გამოსახვია. **დაგიმტკიცებო, ხომ მითხრა** და დამიმტკიცა კიდეც, მაგრამ ჩემი მარცხი და საკუთარი სიმართლის ტრიუმფი არ შეიმჩნია, მხოლოდ თვალი ჩამიკრა,

---

* ლამაზი ძუძუები მაქვს, არა? (ფრ.)

როცა მარტინთან ერთად კაბინისკენ წასვლის სურვილი შემატყო.

კაბინაში ალბათ ზუსტად იმდენი ხანი დავყავით, ტანზე წყლის გადავლებას რომ დასჭირდებოდა. მარტინმა ფარდა გადასწია და მაშინვე შარვლის გახსნა დამიწყო. მერე მუხლებზე დადგა, მარჯვენა ხელი ჩემს პენისს მოავლო, თითები რამდენჯერმე ნაზად დამისვა, მერე ენა მოკლე-მოკლედ ააყოლა და პირში მოიგდო. დავინახე, როგორ დაიწყო მისმა თავმა წინ და უკან მოძრაობა. ჟღარუნა მოსართავებისა და ჯინჯილების ჩხრიალი მესმოდა, ულამაზეს შიშველს ზურგს თვალს ვერ ვაცილებდი და ვიგრძენი, როგორ მომაწვა სიმხურვალე ფეხებიდან ბარძაყებისკენ და ზემოთ. ამ ნეტარების გაგრძელებას ვლამობდი, მაგრამ მისი გემოს დახსომებაც ვერ მოვასწარი, ისე მალე მომთავრდა ყველაფერი. მარტინის პირი ვარჯიშში გამოწრთობილი ინსტრუმენტი გამოდგა და ახურუშებული მოზარდივით მალე გავათავე.

სინანულის გრძნობას არ დაუხანებია, თავი წამებში შემახსენა. შარვალს რომ ვიკრავდი და ქამარს სალტეში ვუყრიდი, სინანული უკვე სირცხვილის განცდად და სინდისის ქენჯნად მექცა. ერთი სული მქონდა, იქიდან, რაც შეიძლება, სწრაფად ავორთქლებულიყავი. მარტინს მომსახურების საფასური ვკითხე, მაგრამ ხელი არხეინად ამიქნია და მიმახვედრა, ეგ საკითხი უკვე მოაგვარა შენმა მეგობარმაო. დამშვიდობებისას ლოყაზე მაკოცა და ხელი მეგობრულად მომითათუნა. ფარდის უკნიდან გამოვედი და ჩანგის სანახავად ბარს მივაშურე. ბართან არ დამხვდა. ვიფიქრე, ალბათ ერთ-ერთ ქალთან თავადაც განმარტოვდა და რომელიმე კაბინაშია, მომავალი მუშახელის პროფესიული მომზადების დონეს ამოწმებს-მეთქი. მისი ლოდინი არც მიფიქრია. სინდისის

დასამშვიდებლად ბარს კიდევ ერთხელ შემოვუარე, თუ სადმე შორიახლოა, დავინახავ-მეთქი. მერე ის კარი დავინახე, რომელიც სამკერვალო დარბაზში გადიოდა, გამოვაღე და იქაურობას სწრაფად გავშორდი.

მეორე დილით, ოთხშაბათს, გრეისს საუზმე ისევ საწოლში მივართვი. ამჯერად სიზმრებზე აღარ გვილაპარაკია, არც გრეისის ორსულობა გვიხსენებია რომელიმეს, არც ის მიკითხავს, რა გადაწყვიტა და რა გეგმები ჰქონდა ფეხმძიმობასთან დაკავშირებით. ეს საკითხი ჯერ კიდევ ჰაერში იყო გამოკიდებული, მაგრამ წინა დღით ქუინსში ჩადენილი სამარცხვინო საქციელის გამო თავს ისე უხერხულად ვგრძნობდი, ენა არ მომიბრუნდა, რამე მეკითხა. სულ მოკლე დროში, დღენახევარსაც რომ ვერ დაარქმევდა ადამიანი, ზნეობრივი სრულყოფილების დამცველი, თავდაჯერებული მამაკაციდან მოღალატე, სინდისდამძიმებულ ქმრად ვიქეცი.

ამის მიუხედავად, ვცდილობდი, გარეგნულად არაფერი დამტყობოდა და მართალია, გრეისი იმ დილით უჩვეულოდ მშვიდი და სიტყვაძუნწი მეჩვენა, დარწმუნებული ვარ, იმის მსგავსიც კი არაფერი უეჭვია, რაც წინა დღით ჩავიდინე. მერე ისევ დავიჟინე, მეტროს ჩასასვლელამდე მაინც ჩაგაცილებ-მეთქი და ბერგენ სტრიტამდე ოთხი კვარტალი ისე ვიარეთ, მისი ხელი არ გამიშვია. თითქმის მთელი გზა ძალიან ჩვეულებრივ თემებზე ვსაუბრობდით: მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული ფოტოგრაფიისადმი მიძღვნილი წიგნის ყდაზე; წინა დღით დასრულებულ ფილმის სინოფსისზე; ფულზე, რომელსაც ამ სამუშაოს ჰონორარად მოველოდი – ისიც კი ვკითხე, საღამოს ვახშმად რას ისურვებ-მეთქი. თუმცა ბოლო კვარტალში რომ

მივაბიჯებდით, გრეისმა საუბრის ტონი მკვეთრად შეცვალა. ხელზე ხელი მაგრად მომიჭირა და მოულოდნელად მკითხა:

– მე და შენ ერთმანეთს ხომ ვენდობით, სიდ? ასე არ არის?

– რა თქმა უნდა, ვენდობით. ერთმანეთის ნდობა რომ არ გვქონდეს, ერთადაც ვერ ვიცხოვრებდით. ქორწინება თავიდან ბოლომდე ნდობას ეფუძნება.

– ადამიანს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიძლება შეემთხვეს, მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ბოლოს ყველაფერი თავ-თავის ადგილს არ დაუბრუნდება.

– თუკი რამე უნდა შეგვმთხვეოდა, მგონი, უკვე ყველაფერი შეგვემთხვა, გამოცდის პერიოდი გადავაგორეთ, გრეის. გონზე მოსვლას და ახალ ცხოვრებას ახლა ვიწყებთ.

– როგორ მიხარია, რომ ამას შენ ამბობ.

– მეც მიხარია, რომ შენ გიხარია. ოღონდ ეს მითხარი, რატომ გიხარია?

– იმიტომ, რომ გავარკვიეთ: ცხოვრებას ერთნაირად ვუყურებთ. მნიშვნელობა არ აქვს, რას გადავწყვეტთ ბავშვთან დაკავშირებით, მე და შენ ერთად მაინც ბედნიერები ვიქნებით, ერთად ყველაფერს მოვერევით.

– უკვე მოვერიეთ კიდეც. ახლა ჩვენი ხომალდი წყნარ ნავსადგომში შედის, ჩემო პატარა, მთელ ცხოვრებას იქ გა-ვატარებთ.

გრეისი გაჩერდა, კისერზე ხელი მომხვია, თავისკენ მიმი-ზიდა და მაკოცა.

– ყველაზე მაგარი ხარ, სიდ, ყველაზე უკეთესი, – მითხრა, მერე თავისი სიტყვების დასტურად კიდევ ერთხელ მაკოცა, – ამიტომ, რაც არ უნდა მოხდეს ჩვენ შორის, მოდი, ამ დღეს ნუ დავივიწყებთ.

მიჭირდა გაგება, რატომ ჩამოაგდო ამ თემაზე საუბარი, დავაპირე კიდეც მეკითხა, რას გულისხმობ-მეთქი, მაგრამ პირის გაღება ვერ მოვასწარი, რომ მკლავიდან ხელი გამომაცალა და მეტროს ჩასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია. სადაც ვიდექი, იქვე გავშეშდი და მის ბოლო ნაბიჯებს თვალი მივადევნე. ფეხი კიბის ზედა საფეხურზე შედგა, ხელი მოაჯირს ჩაავლო და თვალს მალევე მიეფარა.

შინ მხოლოდ იმისთვის დავბრუნდი, რომ ათის ნახევრამდე – მერი სკლარის ოფისის გახსნამდე, რამენაირად დრო გამეყვანა. საუზმის დროს დასვრილი ჭურჭელი დავრეცხე, საწოლი გავასწორე, სასტუმრო ოთახი მივალაგე, მერე სამზარეულოში გავბრუნდი და მერის დავურეკე. დასარეკად საბაბი მჭირდებოდა და მეც, ყოველი შემთხვევისთვის, შევამოწმე, ხომ არ დავიწყებოდა ენჯელას მისთვის ჩემი სინოფსისის გადაცემა. სინამდვილეში მშვენივრად ვიცოდი: ის რამდენიმე გვერდი მერის უკვე მაგიდაზე ედებოდა, მაგრამ მისი აზრის გაგება მინდოდა.

– კარგად გიმუშავია, – მითხრა მერიმ, თუმცა მის ხმაში ვერც აღფრთოვანება ამოვიკითხე და ვერც დიდი იმედგაცრუება. რაკი სინოფსისი ასე სწრაფად დავწერე, ეტყობა, მერიმაც ჩათვალა, რომ კომუნიკაციის სფეროში სასწაულები უნდა მოეხდინა და საკუთარი მოხერხებულობის გამო აღფრთოვანებას ვერ მალავდა. მაშინ არც ფაქსები არსებობდა, არც ელექტრონული ფოსტა თუ ექსპრესგზავნილები, ჰოდა, მერის ჩემი სინოფსისი კალიფორნიაში კერძო კურიერის მეშვეობით გაეგზავნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემს ნაწერს საფოსტო თვითმფრინავით უკვე ნახევარი ქვეყანა გადაეფრინა.

– ლოს ანჯელესში სხვა კლიენტისთვის მქონდა კონტრაქტი გასაგზავნი, – მითხრა მერიმ, – ამიტომ საკურიერო სამსახურში

დავრეკე და კურიერი ოფისში სამი საათისთვის დავიბარე. წარმოიდგინე, შენი სინოფსისი შესვენებაზე წავიკითხე, საათნახევარში კი კონტრაქტის წასაღებად უკვე კურიერი გამომეცხადა. ვუთხარი, ესეც ლოს-ანჯელესშია გასაგზავნი, მოდი, ხელს გააყოლე-მეთქი. მოკლედ, სინოფსისი გადავეცი და ისიც მაშინვე საქმეს შეუდგა. აი, ასე მარტივად მოხდა ყველაფერი. უნდა ვიფიქროთ, რომ ბობი ჰანტერს სამ საათში მაგიდაზე ედება.

– შესანიშნავია, – ვუთხარი, – მაგრამ თვითონ იდეაზე რას იტყვი? როგორ გგონია, აქვს რამე შანსი ჩემს ვერსიას?

– იცი რა, მხოლოდ ერთხელ წავიკითხე. დრო არ მქონდა, რომ კარგად ჩავღრმავებოდი, მაგრამ მე მგონი, მშვენიერი იყო, სიდ. ძალიან საინტერესო, ძალიან კარგად დამუშავებული სიუჟეტური ხაზია. თუმცა ჰოლივუდის ხალხს რას გაუგებ? ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, მაგათთვის ცოტა რთული მეჩვენება.

– ესე იგი, მაინცდამაინც დიდი იმედი ნუ მექნება, ხომ?

– არა, ეგ არ მითქვამს. უბრალოდ, შენს გეგმებს ამ სინოფსისზე ნუ ააგებ. სულ ეს არის, სხვა არაფერი.

– კარგი, გასაგებია. ისე, ეგ საქმე რომ გამოვიდეს, მაგ ფულს კარგად შევირგებდით, არა?

– ამას რომ თავი დავანებოთ, ჰონორარებთან დაკავშირებით შენთვის კიდევ მაქვს კარგი ამბები. პორტუგალიელმა გამომცემელმა გამოგზავნა განაცხადი: შენი ბოლო ორი რომანის გამოცემის უფლებას ყიდულობს.

– პორტუგალიელმა?

– სანამ საავადმყოფოში იწექი, შენი „ავტოპორტრეტი“ ესპანეთში გამოიცა. ალბათ გახსოვს, უკვე გითხარი. ძალიან კარგი გამოხმაურება ჰქონდა. ახლა პორტუგალიელები დაინტერესდნენ.

– არაჩვეულებრივია. ალბათ ასე, სამას დოლარს შემოგთავაზებდნენ.

– თითო წიგნში ოთხას დოლარს იხდიან. თუმცა მგონია, რომ ხუთასზეც ადვილად დავიყოლიებ.

– აბა, შენ იცი, ხელიდან არ გაუშვა, მერი. აგენტის წილს და უცხოეთიდან გადმორიცხვებზე დაწესებულ გადასახადებს რომ გადავიხდი, ორმოც ცენტს მაინც ხომ ჩავიჯიბავ.

– მესმის, მაგრამ, სამაგიეროდ, შენს წიგნებს პორტუგალიაში გამოსცემენ. რით არის ცუდი?

– ცუდი? არანაირად. პესოა ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალია. პორტუგალიელებმა სალაზარს უკანალში პანჩური ჰკრეს და ახლა ძალიანაც ღირსეული მთავრობა ჰყავთ. ლისაბონის მიწისძვრამ დააწერინა ვოლტერს „კანდიდი“. მეორე მსოფლიო ომის დროს სწორედ პორტუგალია დაეხმარა ევროპიდან დევნილ ათასობით ებრაელს. ფანტასტიკური ქვეყანაა. რა თქმა უნდა, ნამყოფი არ ვარ, მაგრამ არ ვიცი, დაიჯერებ თუ არა – ახლა სწორედ პორტუგალიაში ვცხოვრობ. ბოლო რამდენიმე დღეა, გარემოებები ერთმანეთს ისე წაეწყო, რომ მე მგონი, მართლა პორტუგალიაში ვარ.

– არ მესმის. რას გულისხმობ?

– მოსაყოლად გრძელი ამბავია, მაგრამ როდესმე ალბათ გიამბობ.

ზუსტად პირველი საათი იყო, როცა ტრაუზეს სახლს მივადექი. ზარს რომ ვრეკავდი, სწორედ მაშინ ვინანე, როგორ ვერ მოვისაზრე, სადმე, შორიახლო ორი მზა ლანჩი მეყიდა-მეთქი. გუნებაში ორი ულუფა მქონდა, მადამ დიუმა კი სულ არ გამხსენებია – მარტინიკელი ქალი, რომელიც ჯონს საოჯახო

საქმეებისათვის ჰყავდა დაქირავებული. თუმცა რომ შევედი, სახლში სადილი უკვე მზად იყო და მე და ჯონს პირდაპირ მეორე სართულზე მოგვართვეს: იქ, სადაც წინა შაბათს მე და გრეისი ვისხედით და ჩინურ კერძებს შევექცეოდით. ამჯერად ჯონის ბინაში მადამ დიუმა არ დამხვედრია. იმ დღეს თავის მაგიერ ქალიშვილი გამოეგზავნა – რეჟინი. კარი მან გამიღო და *მსიე ჯონთან* მეორე სართულზეც მან ამაცილა. მახსოვდა, როგორ მოიხსენია ჯონმა „სასიამოვნო გარეგნობის“ გოგონად და ახლა, როცა ჩემი თვალით ვნახე, უნდა ვაღიარო, რომ რეჟინი მართლაც უზომოდ მიმზიდველი იყო – მაღალი, არა-ჩვეულებრივი პროპორციების მქონე ახალგაზრდა ქალი. მუქი გლუვი კანი ჰქონდა და გამჭოლი, მომნუსხველი მზერა. რა თქმა უნდა, სტრინგამდე, შიშველ მკერდამდე და ტყავის თეთრ ჩექმებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ, საოცარია, ორი დღის განმავლობაში უკვე ოციოდე წლის მეორე ლამაზ შავკანიან, თანაც ფრანგულად მოლაპარაკე ქალს ვხვდებოდი და ეს დამთხვევა უკვე გამაოგნებლად, ლამის აუტანლად მეჩვენა. ნუთუ არ შეიძლებოდა, რეჟინ დიუმა ლოტოს კოჭივით დაბალი და ჩასკვნილი, უხეირო აღნაგობის გოგო გამომდგარიყო, ან სულაც – კუტი და კუზიანი? ალბათ ისეთი გულისგამაჩერებელი სილამაზის პატრონი არ ეთქმოდა, როგორიც ჰაიტელი მარტინი იყო, მაგრამ ორი ქალის შედარება რა საჭიროა? მას თავისებური მშვენება ჰქონდა და როცა კარი გამიღო და საკუთარი ხიბლის მოიმედე ქალის კეთილგანწყობილი ღიმილი შემომაგება, მისი ხილვა ჩემივე კოჭლი სინდისისგან ნათავაზებ უხმო წკიპურტად აღვიქვი. თავს ვებრძოდი, წინა დღით მომხდარის მოგონებას გავურბოდი, ჩემი უკეთური საქციელის დავიწყებას, წარსულში მოტოვებას ვლამობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, საშველი არ იყო, ჩადენილ ღალატს ასე

ადვილად თავს ვერ დავაღწევდი. მარტინი დაბრუნდა, რეჟინ დიუმად მომევლინა, ახლა ყველგან იყო, ბეროუ სტრიტზე, ქუინსის მიყრუებული ჩიხიდან ამდენი მილის დაშორებით, საკუთარი მეგობრის ბინაშიც არ მანებებდა თავს.

შაბათ საღამოს ჯონი საკმაოდ მოუვლელი ჩანდა, ახლა კი, პირიქით, ძალზე წარმოსადეგად გამოიყურებოდა. თმა საგულდაგულოდ დაევარცხნა, ჩამოზრდილი ბაკები მოეკოხტავებინა და პერანგი და წინდებიც ახალგარეცხილი ჩაეცვა, მაგრამ მაინც დივანზე იყო მიწოლილი, ფეხი საბნისა და ბალიშებისგან მოწყობილ შემაღლებაზე ედო და როგორც მომეჩვენა, ტკივილიც უარესი თუ არა, იმდღევანდელზე ნაკლები არ უნდა ჰქონოდა. უნდა გამოვტყდე, მისმა გაპარსულ-დავარცხნილმა იერმა, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. მერე, როცა რეჟინმა სამხარი სინით მეორე სართულზე ამოიტანა (ინდაურის ხორცის სენდვიჩები, სალათი, გაზიანი წყალი), ყველაფერი ვილონე, რომ გოგონასკენ თვალი არ გამქცეოდა. ჯონს მივაჩერდი და რაკი მისი სახე დიდხანს ვათვალიერე, არც მისი დაქანცული იერი, ამოშავებული უპეები და შემაშფოთებელი სიფერმკრთალე გამომპარვია. ჩემს იქ ყოფნაში დივანიდან მხოლოდ ორჯერ წამოდგა და წამოდგომამდე ორჯერვე ყავარჯნის მოშველიება დასჭირდა, რათა წელში გამართულიყო. როცა მარცხენა ფეხით იატაკს შეეხო, მის სახეზე ტანჯვის ნიშნები ამოვიკითხე: როგორც ჩანს, ვენის ოდნავი დაჭიმვაც კი აუტანელ ტკივილს აყენებდა.

ვკითხე, ექიმები რას გეუბნებიან, უკეთესობას როდის ელიან-მეთქი, მაგრამ შევატყვე, რომ ამ თემაზე საუბარს გაურბოდა. არ მოვეშვი და ბოლოს და ბოლოს აღიარა ის, რაც შაბათ საღამოს დაგვიმალა: სინამდვილეში საქმე ბევრად უარესად იყო, ვიდრე გვეგონა. გრეისის შეშინება არ უნდოდა

და ამიტომ აღარ უთქვამს, რომ ვენაში ერთი კი არა, ორი თრომბი ჰქონდა. პირველი, გარე ვენის, რომლის შესახებაც ვიცოდით, უკვე თითქმის გაწოვილიყო და ჩემი მეგობრის ჯანმრთელობას საფრთხეს აღარ უქმნიდა, მიუხედავად იმისა, რომ, ჯონის სიტყვებით თუ ვიტყვით, ძირითადი „დისკომფორტი“ სწორედ ამ თრომბის გამო ჰქონდა. სამაგიეროდ, მეორე თრომბი იყო საშიში; ღრმად, შიდა ვენაში იყო გაჭედილი და ჯონის ექიმი სწორედ მის გამო იყო შეფიქრიანებული. ჩემს მეგობარს სისხლის გამათხელებელი საშუალებების უზარმაზარი დოზები ჰქონდა გამოწერილი, პარასკევს კი სენტ ვინსენტის საავადმყოფოში ფეხის სკანირება უნდა გაეკეთებინა. თუ შედეგები დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ, ექიმის დაჟინებული მოთხოვნით, ჯონს საავადმყოფოში დაწოლა მოუწევდა და იქ იმდენ ხანს უნდა გაჩერებულიყო, სანამ ეს მეორე თრომბიც არ დაიშლებოდა. ღრმა ვენის თრომბოზი ხშირად ფატალურ შედეგს იწვევს, – ასე მითხრა ჯონმა, – თუ თრომბი ადგილიდან დაიძრა, სისხლის ნაკადს შეერევა და შეიძლება ფილტვამდე ააღწიოს, რაც მერე ფილტვის ემბოლიას და თითქმის გარდაუვალ სიკვდილს იწვევსო. „გამოდის, რომ ფეხში პატარა ბომბი მაქვს და ასე დავდივარ, ზედმეტი არ უნდა ვიფაფხურო, მეგობარო, თორემ ერთხელაც იქნება, აფეთქდება და ბოლოს მომიღებს,“ – დასძინა მერე, – „ოღონდ გთხოვ, ამაზე გრეისს არაფერი უთხრა. ეს მარტო მე და შენ უნდა ვიცოდეთ, გასაგებია? მასთან სიტყვა არ უნდა დაგცდეს“.

ამის შემდეგ მცირე ხანს კიდევ ვიმუსაიფეთ, სანამ საუბარი ჯონის ვაჟს არ გადაწვდა. არ მახსოვს, სიტყვამ მოიტანა თუ რა მიზეზი იყო, რომ სასაუბროდ მაინცდამაინც ის თემა ავირჩიეთ, რომელიც ჯონს სასოწარკვეთილებაში

აგდებდა და თვითგვემის სურვილს უღვიძებდა. მტკივანი ფეხი ვიღას ახსოვდა, როცა ადამიანს უიმედობა და გულისტკივილი ცოცხლად ღრღნიდა. „შვილი დავკარგე," – მითხრა იმ დღეს ჯონმა, – „დღეს აქ ისეთი რამეები მოხდა, ამიერიდან მის ვერცერთ სიტყვას ველარ ვენდობი".

ჯეიკობი ბაფალოს უნივერსიტეტში სწავლობდა. ინგლისური ენის და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჯონი რამდენიმე პროფესორს იცნობდა (ერთ-ერთ მათგანს, ჩარლზ როთშტაინს, ტრაუზეს რომანებზე სერიოზული კრიტიკული ნაშრომი ჰქონდა დაწერილი) და რაკი ჯეიკობმა სკოლა კატასტროფული, თითქმის გასარიცხი ნიშნებით დაამთავრა, ჯონს აკადემიურ სფეროში ნაცნობ-მეგობრული კავშირების გამოყენება მოუხდა, რომ მისი გზააბნეული შვილი უნივერსიტეტში მოხვედრილიყო. პირველმა სემესტრმა მეტ-ნაკლებად კარგად ჩაიარა, ჯეიკობმა ყველა გამოცდის ჩაბარება შეძლო, მაგრამ მეორე სემესტრის ბოლოს იმდენად ცუდი ნიშნები ჰქონდა, რომ მეორე კურსზე არ გადაჰყავდათ. ბოლოს შანსი მისცეს, მაგრამ უნივერსიტეტში რომ დაეტოვებინათ, საშუალო მოსწრება მაინც უნდა ჰქონოდა. ჯეიკობმა კი მომდევნო კურსიც ყალთაბანდობაში გაატარა: დასწრებაზე მეტი გაცდენები აღმოაჩნდა, როგორც გაირკვა, თითქმის არ მეცადინეობდა და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მეორე სემესტრიდან მაინც გარიცხეს. მაშინ ჯეიკობი ისტ ჰემპტონში დაბრუნდა, სადაც დედამისი მესამე ქმართან ერთად ცხოვრობდა; იმ სახლში, რომელშიც საძულველი მამინაცვლის, არტდილერის, რალფ სინგლტონის ხელში გაიზარდა. მალე იქაურ საცხობში დაიწყო მუშაობა. მერე სკოლის სამ მეგობართან ერთად როკ-ჯგუფიც შექმნა, მაგრამ მის წევრებს ერთმანეთში შეხლა-შემოხლა და უსიამოვნებები დაეწყოთ და ერთად ექვსი თვეც ვერ გაძლეს.

ჯეიკობმა მამამისს განუცხადა, რომ კოლეჯში სწავლა მისთვის არაფრისმომცემი იყო და იქ დაბრუნებას არ აპირებდა. ჯონმა შვილი სწავლის გაგრძელებაზე მხოლოდ ფინანსური ხელის წაკვრის შეპირებით დაითანხმა: კომფორტული ბინა და ახალი გიტარა – თუ პირველ სემესტრს დახურავდა; თუ მეორე სემესტრს საშუალო ნიშნებით მაინც დაძლევდა, მაშინ ამ სიკეთეებს ზედ „ფოლკსვაგენის" მინიბუსი* დაემატებოდა. „ბავშვი" დათანხმდა და აგვისტოს ბოლოს ბაფალოს ისევ სტუდენტად მოევლინა – ამჯერად მწვანე თმით, მარცხენა ყურის ბიბილოში მიჯრით გაყრილი ორმაგი ქინძისთავებით და კოჭებამდე ჩაფართხუნებული შავი პალტოთი. მაშინ პანკობის ხანა იდგა და ჯეიკობიც საშუალო კლასის მეამბოხეთა კლუბს შეუერთდა, რომელიც იმ წლებში ყოველდღიურად ივსებოდა. ერთი სიტყვით, პანკი იყო, ზღვარზე ცხოვრება იტაცებდა და ტვინის ბურღვას არავის შეარჩენდა.

ჯეიკობმა თითქოს სწავლა განაახლა, მაგრამ სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ რეგისტრატურას მიაკითხა და უნივერსიტეტიდან ამოეწერა. სწავლის ფული, რა თქმა უნდა, დაუბრუნეს, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ჩეკი მამამისისთვის გადაეგზავნა (რა, რა და ფული ჯონს მისთვის არასდროს დაუკლია), უახლოეს ბანკში გაანაღდა, სამი ათასი დოლარი ჯიბეში ჩაიდო და ნიუ-იორკში გაფრინდა. ახლა მამამისმა ასე იცოდა, რომ ჯეიკობი ისტ ვილიჯში, დაუდგენელ მისამართზე ცხოვრობდა და თუ ჯონამდე მოღწეულ სხვა ხმებსაც დაეჯერებოდა, სულ ცოტა,

* ჰიპების საყვარელი სატრანსპორტო საშუალება. მოდელი, რომელსაც სამოცდაათიანი წლების შემდეგ აღარ აწარმოებენ (მთარგ.).

ოთხი თვე მაინც ჰეროინზე იყო შემჯდარი. ეგ ამბები ვინ მოგიტანა-მეთქი, – ვკითხე, – როგორ გაიგებ, მართალია ეგ ყველაფერი თუ ტყუილი-მეთქი.

– გუშინ დილით ელინორმა დამირეკა, – მითხრა ჯონმა, – ჯეიკობთან საქმე ჰქონია და უნივერსიტეტში დაურეკავს. მისი ზარისთვის ოთახის მეზობელს უპასუხია, უფრო სწორად, ყოფილ მეზობელს. მისგან შეიტყო ელინორმა, რომ ბიჭი ორი კვირის წინ ამოწერილა.

– ჰეროინის შესახებ საიდან იცი?

– ესეც ოთახის მეზობელს მოუხსენებია. აბა, იმ ყმაწვილს რა რჯიდა, დედამისისთვის ტყუილი ეთქვა. ელინორი ამბობს, ძალიან შეწუხებული ხმა ჰქონდაო. ვერ გეტყვი, რომ ჩემთვის ძალიან მოულოდნელი ამბავია, სიდ. ყოველთვის მქონდა ეჭვი ნარკოტიკზე. უბრალოდ, არ მეგონა, რომ საქმე ასე ცუდად იქნებოდა.

– ახლა რას აპირებ? რა უნდა ქნა?

– არ ვიცი. ჩემი ნაცნობ-მეგობრებიდან ბავშვებთან მარტო შენ გიმუშავია. ჩემ ადგილას შენ რას იზამდი?

– კითხვის ადრესატი სწორად ვერ შეარჩიე, ჯონ. ჩემი ყველა მოსწავლე ღარიბი ოჯახიდან იყო: ღარიბ-ღატაკ შავკანიანთა უბნებიდან და დანგრეული ოჯახებიდან გამოსული მოზარდები. კი, ამ მხრივ ბევრი მამაძაღლობდა, მაგრამ სად ჯეიკობი და სად ისინი. შენ სულ სხვა პრობლემასთან გაქვს საქმე.

– ელინორი თვლის, რომ ჩვენ, მშობლებმა უნდა მოვძებნოთ. ოღონდ მე, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ. ვერ ვინძრევი. ამ დივანს ვარ მიჯაჭვული.

– თუ გინდა, მე მოვძებნი. ამ დღეებში მაინცდამაინც დაკავებული არ ვარ.

– არავითარ შემთხვევაში. არ მინდა, ამ საქმეში შენ გაგ-

რიო. ჯეიკობი შენი პრობლემა არ არის. ელინორი და მისი ქმარი გააკეთებენ ყველაფერს. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მითხრა. თუმცა ელინორს რას გაუგებ. თქმით კი თქვა, მაგრამ ვითომ მართლა იზამს?

– ელინორის ახლანდელი ქმარი რას წარმოადგენს?

– წარმოდგენა არ მაქვს. არ ვიცნობ, არც შევხვედრივარ. სასაცილო რამეს გეტყვი: მისი სახელიც კი არ მახსოვს. სანამ მოხვიდოდი, აქ ვიწექი და ზუსტად მის სახელს ვიხსენებდი. დონ... დონ რაღაცა, თუ მეხსიერება არ მღალატობს. დარწმუნებული მაინც არ ვარ.

– კარგი, ვთქვათ, იპოვეს ჯეიკობი. მერე რა უნდა უყონ?

– ჯერ ნარკომანების სარეაბილიტაციო ცენტრში უნდა დააწვინონ.

– ეგ მკურნალობა იაფი არ გეგონოს. ფულს ვინ გადაიხდის?

– მე, რა თქმა უნდა. ელინორს ახლა ფული თავზე საყრელად აქვს, მაგრამ ისეთი ხელმომჭირნეა, აზრად არ მომივა, ამ საქმეში მონაწილეობა ვთხოვო. წარმოიდგინე, იმ მამაძაღლმა სამი ათასი უკვე ამწაპნა, ახლა კი მისი მკურნალობის ფულიც მე უნდა გადავიხადო. ოჰ, რა დიდი სიამოვნებით მოვდებდი ერთს კეფაში! ბედნიერი ხარ, რომ შვილები არ გყავს, სიდ. პატარები ძალიან საყვარლები არიან, მაგრამ იზრდებიან და მერე გულს გიკლავენ. იცი, რას გეტყვი, ყველაზე ბევრი, ხუთი ფუტი – ამაზე მეტად შვილები აღარ უნდა იზრდებოდნენ.

ჯონის სიტყვების შემდეგ ვერ მოვითმინე, რომ მისთვის ჩვენი ახალი ამბავი არ შემეტყობინებინა.

– რომ იცოდე, ამიერიდან უშვილოებში აღარ ვწერივარ, – ვუთხარი, – მართალია, ჯერ საბოლოოდ არაფერი გადაგვიწყვეტია, მაგრამ ახლა, ამ წუთას გრეისი ორსულადაა. ტესტი შაბათს ჩაიტარა.

არც ვიცი, რის მოსმენას მოველოდი მისგან; მამობის მწარე ხვედრის გამო წარმოთქმული გულისდამთუთქველი ტირადის შემდეგაც კი, სულ მცირე, თავაზიანი მოლოცვის იმედი მაინც მქონდა. მეგონა, მამობის გზაზე შემდგარს წარმატებას მისურვებდა, იმას მაინც მეტყოდა, რომ შვილის აღზრდისას მისნაირი შეცდომები არ გამპარვოდა. ჯონი კი გაყუჩდა და ხმას არ იღებდა. რაღაც წუთების განმავლობაში ისეთი გაოგნებული ჩანდა, თითქოს ვინმეს საყვარელი ადამიანის სიკვდილის ამბავი მოეტანოს. მერე ჩემგან პირი იბრუნა, ზურგს უკან აყუდებულ ბალიშს მოწყვეტით მიესვენა და თვალები სივრცეს გაუშტერა.

– საწყალი გრეისი, – წაიბუტბუტა ბოლოს.

– მაგას რატომ ამბობ? – ვკითხე გაოგნებულმა.

ჯონმა ძალიან ნელა დაიწყო ჩემკენ მოტრიალება, მაგრამ შუა გზაში გაშეშდა და მზერა ჭერს მიაპყრო.

– იმიტომ, რომ ამდენი რამე გადაიტანა, – თქვა ჩაფიქრებულმა, – ახლა მხოლოდ დასვენება სჭირდებოდა.

– გრეისი ისე მოიქცევა, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მისი მისაღებია, სხვა არავისი.

– გრეისს დიდი ხანია ვიცნობ, შენზე გაცილებით ადრე ვიცნობდი. ყველაზე ნაკლებად ახლა მას ბავშვი სჭირდება.

– ვფიქრობდი, გაჩენას თუ გადაწყვეტს, ბავშვს ჯონს მოვანათლინებ-მეთქი. ახლა კი ვხედავ, რომ ეგ ამბავი მაინცდამაინც არ დაგაინტერესებს. რასაც ახლა ამბობ, იმის მიხედვით სხვა რა ვიფიქრო?

– ცოლს გაუფრთხილდი, სიდნი, არ დაკარგო. ამას გთხოვ, სხვას არაფერს. თქვენი ურთიერთობის დანგრევა გრეისისთვის კატასტროფა იქნება.

– არაფერი არ დაინგრევა და არც გრეისს დავკარგავ. თუმცა ასეც რომ მოხდეს, ეგ შენი საქმეა არაა, შენ არ გეხება.

– მეხება. ყველაფერი, რაც გრეისს ეხება, ჩემი საქმეცაა. ყოველთვის იყო ჩემი საქმე.

– არა, თავი მამამისი ნუ გგონია. შეიძლება ხანდახან ასეთი განცდაც გქონდეს, მაგრამ მაინც არ ხარ. გრეისი თავს თვითონ მიხედავს. თუ ბავშვის შენარჩუნებას გადაწყვეტს, პირდაპირ გეტყვი: მე არ გადავაფიქრებინებ. პირიქით, ძალიან გამიხარდება. სიმართლე თუ გინდა, ესაა. თუ გრეისი შვილს გამიჩენს, მინდა იცოდე: ეგ ჩემთვის ისეთი რამ იქნება, რისი ფასიც ჩემს ცხოვრებაში ჯერ არაფერი მომხდარა.

ჯონთან ასეთი უსიამოვნო შელაპარაკება პირველად მომივიდა. გულდასაწყვეტი წუთები იყო და როცა ჩემი ბოლო სიტყვები ჰაერში უპასუხოდ გამოეკიდა, გავიფიქრე, ნუთუ ჩვენი საუბარი უფრო დაუნდობელი გახდება-მეთქი. საბედნიეროდ, ორივეს გვეყო ჭკუა, უკან იქამდე დაგვეხია, სანამ ურთიერთობა საბოლოოდ დაგვეძაბებოდა. ორივემ გავიაზრეთ, რომ ერთმანეთს, სადაც იყო, ისეთ რამეებს ვეტყოდით, რისი პატიებაც მერე ძალიან გაგვიჭირდებოდა – რაც მეხსიერებიდან აღარასდროს ამოიშლებოდა, იმის მიუხედავად, რამდენ პირ ბოდიშს მოვუხდიდით ერთმანეთს, როცა დავმშვიდდებოდით.

ჯონმა სააბაზანოში გასვლა მოიმიზეზა, კამათი თავისთავად შეწყდა და ამის გამო კიდევ ერთხელ დავაფასე მისი გონიერება. თვალს ვადევნებდი, რა გაჭირვებით ადგა დივანიდან, როგორ კოჭლობით გავიდა ოთახიდან და ცოტა ხნის წინ გაჩენილი მტრული გრძნობა უეცრად გამიქრა. ეს ადამიანი საშინელი ტვირთით ცხოვრობდა. ფეხის ტკივილი თანდათანობით ანადგურებდა, შვილის შესახებ მოსული

საშინელი ამბები გულს ულრღნიდა – რა დამემართა, უხეშად ნათქვამი რამდენიმე სიტყვა როგორ არ შევარჩინე? ჯეიკობის ღალატის და მისი განარკომანების ამბავი სულ ახლახანს შეიტყო, გრეისი ღვიძლი შვილივით ჰყავდა, ისე აღმერთებდა, როგორც ერთადერთ ქალიშვილს, რომელსაც მისთვის იმედი არასდროს გაუცრუებია. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ, პირველ რიგში, მისი დაცვის სურვილი უჩნდებოდა და იმას აღარ დაგიდევდა, რომ ისეთ საქმეებში ერეოდა, რაც მას არ ეხებოდა. გასაგებია, საკუთარ ვაჟზე გაავებული იყო, მაგრამ მის ბრაზს თან დანაშაულის გრძნობაც ერთვოდა. ჯონმა იცოდა, რომ პასუხისმგებლობას, რომელიც შვილის წინაშე ჰქონდა, თავი ვერ გაართვა. ელინორს მაშინ გაშორდა, როცა ჯეიკობი წლინახევრისაც არ იყო, ცოლყოფილისთვის ხელი არ შეუშლია, ბავშვი ნიუ-იორკიდან შორს წაეყვანა. ეს 1966 წელს მოხდა, როცა ელინორი მეორე ქმართან ერთად ისტ ჰემპტონში დასახლდა. იმ დროიდან მოყოლებული, შვილთან შეხვედრას იშვიათად ახერხებდა: ნიუ-იორკში შაბათ-კვირის გასატარებლად ათასში ერთხელ ჩამოჰყავდა, ერთი-ორჯერ ნიუ ინგლენდსა და სამხრეთ-დასავლეთშიც წაიყვანა, ზაფხულის არდადეგებზე. ერთი სიტყვით, მამა თავზე ადგასო, ჯეიკობზე ვერავინ იტყოდა. მერე კი, ტინას გარდაცვალების შემდეგ, ჯონი შვილის ცხოვრებიდან ოთხი წლით გაქრა, თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე ალბათ სულ ორჯერ ნახა. ახლა, ოცი წლის ასაკში, ეს უყურადღებობა შვილში დაბუდებული უზნეობის სახით მოუბრუნდა და მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მართლა მიუძღოდა თუ არა ამაში ჯონს ბრალი: ჩემი მეგობარი დანაშაულის გრძნობასა და სინდისის ქენჯნას თავს ველარ აღწევდა.

ათი-თხუთმეტი წუთი გავიდა, სანამ ჯონი ოთახში შემობ-

რუნდებოდა. სააბაზანოდან რომ გამოვიდა, ხელი შევაშველე და დივანთან მივიყვანე. რაღაც მითხრა, მაგრამ ჩვენს დაუსრულებელ საუბარს აღარ მიბრუნებია. კონფლიქტი თითქოს ამოიწურა – დერეფანში ჯონის გავლა-გამოვლასთან ერთად მისი კვალიც წაიშალა და ორივეს მიგვავიწყდა.

– ახლა მითხარი, ფლიტკრაფტის საქმე როგორ მიდის? – მკითხა, – არის წინსვლა?

– არის და თან არც არის, – მივუგე, – ერთი-ორი დღე გაუჩერებლად ვწერდი, მაგრამ მერე გავიჭედე.

– და ახლა ეჭვი, ალბათ, ლურჯ რვეულზე გაქვს...

– შეიძლება, მაქვს კიდეც... უკვე აღარ ვიცი, რა ვიფიქრო.

– იმ დღეს ისეთი გულდახურული მეჩვენე. ყველგან იყავი, ოღონდ აქ არა. კრამიტდაცურებულ ალქიმიკოსს ჰგავდი – პირველ ადამიანს, რომელიც სადაცაა, თუთიას ოქროდ აქცევს.

– ჰო, იმ დღეს რაღაც აუხსნელ მდგომარეობაში ვიყავი. ლურჯ რვეულში მაგ დღეს პირველად ვწერე. გრეისი მეუბნება, რომ იმ დროს, როცა ვწერდი, ოთახში შემოუხედავს, მაგრამ ვერ დავუნახივარ: კაბინეტი ცარიელი იყოო.

– ეგ როგორ გავიგო?

– როგორ და გავუჩინარდი. ვიცი, სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა შუა მუშაობაში ვიყავი, გრეისს კაბინეტის კარზე მოუკაკუნებია. რაკი არ გავეპასუხე, კარი გაუღია და შემოუხედავს. ჰოდა, ირწმუნება, რომ საწერ მაგიდასთან ვერ დამინახა.

– ალბათ სხვა ოთახში იყავი გასული. ვთქვათ, სააბაზანოში.

– ჰო, გასაგებია... გრეისიც ამას მეუბნება. მაგრამ საქმეც ეგაა: არ მახსენდება, რომ სააბაზანოში გავსულიყავი.

საერთოდ არაფერი მახსენდება, მხოლოდ ის მახსოვს, რომ საწერ მაგიდასთან ვიჯექი და ვწერდი.

– შენ შეიძლება არ გახსენდება, მაგრამ ეგ იმას კი არ ნიშნავს, რომ სხვა არაფერი მომხდარა. კაცს, მწერალს, სიტყვა რომ მოადგება, მაგ დროს, ცოტა არ იყოს, გონებაგაფანტული ხდება. რა, არ ვარ მართალი?

– მართალი ხარ. რა თქმა უნდა, მართალი ხარ. მაგრამ რაღაც ამგვარი ორშაბათსაც მოხდა. ისევ ჩემს ოთხში ვიჯექი და ვწერდი და ვერ გავიგონე, როგორ რეკავდა ტელეფონი. საწერ მაგიდას რომ მოვშორდი და სამზარეულოში გავედი, ორი შეტყობინება დამხვდა.

– მერე მაგით რისი თქმა გინდა?

– ზარი არ გამიგონია. როცა შინ ვარ და ტელეფონი რეკავს, ზარი ყოველთვის მესმის.

– გონება სხვა რამით გქონდა დაკავებული. შენს საქმეში იყავი ჩაკარგული. სულ არ მიკვირს.

– შეიძლება. თუმცა მე ეგრე არ მგონია. აუხსნელი რამ მოხდა. რაღაც ისეთი, რისი ბუნებაც მე არ მესმის.

– ექიმი ხომ გყავს, სიდ? დაურეკე და ჩაეწერე, გოგრა შეგიმოწმოს.

– ვიცი, ვიცი, ყველაფერი თავიდან მოდის. ალბათ ასეა, განა გედავები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს რვეული შევიძინე, ჩემ გარშემო ყველაფერი ყირაზე დგას. იმასაც კი ველარ ვამბობ დაზუსტებით, მე ვიყენებ ამ რვეულს თუ რვეული მიყენებს. გასაგებად გეუბნები? ეგეც არ ვიცი.

– ისე რა. მთლად გასაგებად არა.

– კარგი. მოდი, მაშინ სხვაგვარად ვიტყვი. მწერალ სილვია მაქსველზე გსმენია რამე? ოციანი წლების შესანიშნავი რომანისტია, ამერიკელი.

– სილვია მონროს რამდენიმე წიგნი ვიცი. ოციან-ოცდაათიან წლებში ზედიზედ რამდენიმე კარგი რომანი აქვს დაწერილი. მაქსველი – არა, არ ვიცი.

– „მისნის ღამე“ სილვია მონროს დაწერილია?

– არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსენდება. თუმცა მისი ერთ-ერთი რომანის სათაურში სიტყვა „ღამე“ კი გვხვდება. „ღამე ჰავანაში“ – თუ არ ვცდები, წიგნს ასე ჰქვია. ან „ღამე ლონდონში“ – არ ვიცი, არ მახსოვს. ამის გარკვევა ძნელი არაა. ბიბლიოთეკაში შედი და მის წიგნებში დაძებნე.

ასე, საუბარ-საუბარში, ლურჯი რვეულის თემას ნელ-ნელა გავშორდით და უფრო პრაქტიკულ საკითხებზე დავიწყეთ მსჯელობა: ფულზე და კიდევ იმაზე, თუ როგორ ვაპირებდი ბობი ჰანტერის ფილმისთვის სცენარის დაწერით ჩემი ფინანსური პრობლემების მოგვარებას. ჯონს სინოფსისის შესახებ მოვუყევი, მოკლედ აღვუწერე ფაბულა, რომ „დროის მანქანის“ ჩემეული ვერსიის შესახებ წარმოდგენა შექმნოდა, მაგრამ ურეაქციობაზე შევატყვე, ეს ამბავი ნაკლებად აინტერესებდა. ჭკვიანურად მოგიფიქრებიაო, მგონი, რაღაც ამგვარი მითხრა ერთადერთხელ. არაფრისმთქმელი ქათინაური იყო და თავი ცოტა უხერხულად ვიგრძენი – იმ კაცივით, საშუალო ხარისხის ნაწერის გასაღებას რომ არ თაკილობს, ოღონდ კი კარგი ფული ჩაიჯიბოს. თუმცა მალე გაირკვა, რომ მისი დუმილი გაკიცხვის ნიშანი არ ყოფილა, სწორად ვერ გავუგე. ჯონს კარგად ესმოდა, როგორ გვახრჩობდა გარემოებები და თურმე სანამ მისმენდა, თან გუნებაში ჩემს დასახმარებლად გეგმებს აწყობდა.

– ვიცი, რომ რაღაც იდიოტობაა, – ჩავილაპარაკე, – მაგრამ თუ ფილმის იდეა მოეწონებათ, მე და გრეისი ახლანდელ გასაჭირს უკან მოვიტოვებთ. არ მოეწონებათ და ისევ ისე

დავრჩებით, როგორც ვართ. ასეთ წყალწყალა პროექტებში მონაწილეობის იდეა მზარავს, მაგრამ ეს ერთადერთი გზაა, რომლითაც ჩვენი ახლანდელი მდგომარეობის გამოსწორება შემიძლია.

– ვინ იცის, – გამომხედა ჯონმა, – თუ „დროის მანქანა“ არ გაამართლებს, მაშინ იქნებ სხვა სცენარი დაწერო. ეგ საქმე კარგად გამოგდის. ცოტა შეაწუხე მერი, უთხარი, რამე მოგიძებნოს. დარწმუნებული ვარ, ისეთ რეჟისორს გიპოვის, ვინც ფულს ფოცხით მოგახვეტინებს.

– კინოში ასე არ ხდება. შენ კი არ პოულობ, ისინი გპოულობენ. სცენარის შეთავაზებას აზრი არ აქვს, თუ, რა თქმა უნდა, ძალიან ორიგინალური იდეა არ გაქვს. მე კი ახლა არაფერი მსგავსი აზრად არ მომდის.

– მეც მაგას მოგახსენებ. მგონი, მე თვითონ მაქვს შენთვის კარგი იდეა, რომ იცოდე.

– ფილმის იდეა? აქამდე მეგონა, რომ ფილმებისთვის წერის წინააღმდეგი იყავი.

– ორიოდე კვირის წინ ერთი ყუთი ვიპოვე. შიგნით სულ ჩემი ძველი ნაწერები ეწყო: მოთხრობები, დაუმთავრებელი რომანი, ორი თუ სამი პიესა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ჩვიდმეტი-თვრამეტიდან ოცდაათ წლამდე დამიწერია. იქ შენახული ნაწერებიდან, მადლობა ღმერთს, არაფერი გამომიქვეყნებია, თუმცა უნდა გითხრა: როცა მოთხრობებს თვალი გადავავლე, მომეჩვენა, რომ ერთ-ერთი მთლად წყალში გადასაგდები არ იყო. სხვა საქმეა, რომ მისი გამოქვეყნება არც ახლა მინდა, მაგრამ შენ თუ მოგცემ, შეიძლება იმ მოთხრობამ ფილმისთვის იდეა მოგაწოდოს. თუკი პროდიუსერს ეტყვი, რომ ჯონ ტრაუზეს გამოუქვეყნებელი მოთხრობის ადაპტირება გინდა, რა ვიცი, შეიძლება ამან გაჭრას.

სულ რომ არაფრად ჩამაგდონ, ამბავი, თავისთავად, ძალიან საინტერესო ვიზუალურ კომპონენტს შეიცავს. მე მგონი, ვინც წაიკითხავს, ფილმისთვის სახეები ბუნებრივად დაებადება.

– შენი სახელი ნამდვილად გაჭრის. თანაც როგორ! ძალიან დაინტერესებთ!

– იცი, რას გეტყვი? მოდი, მოთხრობა წაიკითხე და შენი აზრი მითხარი. რასაც გაძლევ, შავი ვერსიაა. ამიტომ ძალიან მკაცრადაც ნუ განმსჯი. მაგ მოთხრობას რომ ვწერდი, ლამის ბავშვი ვიყავი. შენზე გაცილებით ახალგაზრდა.

– რაზეა მოთხრობა?

– ცოტა უცნაური რამეა. ჩემს სხვა ნაწერებს არ ჰგავს, ამიტომ თავიდან შეიძლება გაგაკვირვოს. ალბათ სწორი იქნება, თუ პოლიტიკურ იგავს დავარქმევ. მოქმედება მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ხდება, გამოგონილ ქვეყანაში, მაგრამ სინამდვილეში სულ ორმოცდაათიანი წლების ამერიკის მოვლენები მეორდება. მაკარტი, ანტიამერიკული ქმედებების კომიტეტი,* „წითელი მუქარა“ – ერთი სიტყვით, იმდროინდელი ავადსახსენებელი ამბები. იდეა ისაა, რომ მთავრობები ყოველთვის მტრის ძიებაში არიან, მშვიდობიან დროსაც კი. თუ ნამდვილი მტერი არ გყავს, უნდა გამოიგონო და ხმები გაავრცელო. მოსახლეობას ასეთი მტერიც აშინებს, ხოლო როცა ხალხი შეშინებულია, მთავრობას ემორჩილება, ასე ვთქვათ, ჭკუით იქცევა.

– კი, მაგრამ რა ქვეყანაა? მინიშნება ამერიკაზეა თუ რამე სახელწოდება აქვს?

---

* HUAC – უფრო სრულად, ანტიამერიკული ქმედებების შემსწავლელი კომიტეტი, რომელიც იმ წლებში წარმომადგნელთა პალატასთან დაარსდა (მთარგ.).

– ნაწილობრივ ჩრდილოეთ ამერიკაზეა მინიშნება, ნაწილობრივ – სამხრეთ ამერიკაზე, მაგრამ მოთხრობაში აღწერილ ქვეყანას ორივესგან საგრძნობლად განსხვავებული ისტორია აქვს. დიდი ხნით ადრე, ეგრეთწოდებულ ახალ სამყაროში ყველა ევროპულ სახელმწიფოს ჰქონდა კოლონია. ეს კოლონიები შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცნენ, ომებისა და წვრილ-წვრილი ბრძოლების რამდენიმესაუკუნიანი პერიოდის შემდეგ კი თანდათანობით უზარმაზარ კონფედერაციად გაერთიანდნენ. მე კითხვას ასე ვსვამ: რა ხდება მას მერე, რაც ახალი იმპერია იქმნება? როგორი მტრის გამოგონება ჭრის ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე უზარმაზარი კონფედერაციის ყოფნა-არყოფნაზე მიდგება?

– და რა პასუხი იპოვე?

– ახალ საფრთხეს იგონებ: თითქოს იმპერიას ბარბაროსების შემოსევა ემუქრებოდეს. კონფედერაციას ეს ხალხი საკუთარი ტერიტორიიდან განდევნილი ჰყავს, მაგრამ ახლა ხმები უნდა გავრცელდეს, რომ კონფედერაციისადმი მტრულად განწყობილი ძალები დაუსახლებელ მიწებზე უკვე შემოჭრილან და მეზობელ მიწებზე მოსახლეთა შორის მეამბოხურ სულისკვეთებას აღვივებენ. სინამდვილეში არაფერი მსგავსი არ ხდება. ესეც სამთავრობო ძალებია – დაგეგმილი შეთქმულების ნაწილი.

– მთხრობელი ვინაა?

– ადამიანი, რომელსაც გავრცელებული ხმების შესწავლა და გაანალიზება ევალება. ეს კაცი იმ სამთავრობო შტოს დავალებით მუშაობს, რომელიც შეთქმულებაში არ მონაწილეობს. მას აპატიმრებენ და სახელმწიფოს ღალატში სდებენ ბრალს. ფაბულის გასართულებლად იმ ცრუ, ვითომ

ანტიკონფედერაციული არმიის ოფიცერი მთხრობელს ცოლს ართმევს და მასთან ერთად გარბის.

– ყოველ ნაბიჯზე სიცრუე და ვერაგობა ხვდება, არა?

– სწორად შენიშნე. ადამიანს, საბოლოოდ, საკუთარი უდანაშაულობა ღუპავს.

– სათაური აქვს ამ მოთხრობას?

– „ძვლების იმპერია". არც ისეთი გრძელია, სულ ორმოცდახუთი თუ ორმოცდაათი გვერდი იქნება, მაგრამ მე მგონი, აქედან ფილმის სცენარის გამოწურვა კი შეიძლება. წაიკითხე მოთხრობა და თავად გადაწყვიტე. თუ მისი გამოყენება ჭკუაში დაგიჯდება, ჩემი კურთხევა უკვე გაქვს, ხოლო თუ არ მოგეწონება, ნაგვის ყუთში ჩაუძახე და მისი არსებობაც დავივიწყოთ.

ტრაუზეს ბინიდან სიხარულისგან გაბრუებული და მადლიერებისგან ენაჩავარდნილი გამოვედი. ჩემი ბედნიერება ქვემოთ, კიბის ძირში, რეჟინის ხილვას და მასთან გამომშვიდობებასაც კი არ დაუჩრდილავს. ჯონის ხელნაწერი, ახლა უკვე დიდ მოყვითალო კონვერტში მოთავსებული, სპორტული ქურთუკის გვერდითა ჯიბეში მედო. მეტროს გაჩერებისკენ რომ მივაბიჯებდი, ხელი კონვერტზე მქონდა მიდებული. ერთი სული მქონდა, სადმე დავმჯდარიყავი, კონვერტი გამეხსნა და მოთხრობის კითხვა დამეწყო. ჯონი ის კაცი იყო, ვინც მეცა და ჩემს ნაწერებსაც ზურგს ძალიან ხშირად გვიმაგრებდა, მაგრამ ახლა ვიცოდი, რომ ეს საჩუქარი გრეისზე დარდმა უფრო გააღებინა, ვიდრე ჩემთვის ხელის წაკვრის სურვილმა. ჯერჯერობით უსუსური საპყარი ვიყავი – კაცი, რომელსაც გრეისის კეთილდღეობაზე ზრუნვა პასუხისმგებლობად აწვა

და თუკი რაღაცით ჩვენს ფეხზე წამოყენებას შეძლებდა, ჯონი უკან არაფერზე დაიხევდა, გამოუცემელ ნაწერებსაც კი შემოგვწირავდა. შანსი, რომ ეს ყველაფერი სასურველ შედეგს მოიტანდა, ძალიან მცირე იყო, მაგრამ, იმისდა მიუხედავად, შევძლებდი თუ არა მისი მოთხრობის სცენარად ქცევას, დასაფასებელი სულ სხვა რამ გახლდათ – ის, რომ ჯონი მზად იყო, იმგვარი თანაგრძნობის ზღვარს გასცდენოდა, მეგობარს რომ მოეთხოვება და ჩვენი ოჯახის ტვირთი ეტვირთა, ისეთი რამის დაუნანებლად და უანგაროდ გაცემით, რაც მას ყველაზე მეტად ეძვირფასებოდა.

მეოთხე ქუჩის გაჩერებამდე რომ მივაღწიე, უკვე ექვსის წუთები იყო. დაცემის შიშით მოაჯირს მაგრად ჩავებღაუჭე და F ბაქნისკენ მიმავალი კიბე ასე ჩავიარე. მერე გამახსენდა, რომ ამ შუა პიკის საათში მატარებელი ბრუკლინისკენ მიმავალი მგზავრებით იქნებოდა გადაჭედილი და დასაჯდომად ადგილს ვერ ვიპოვიდი. ესე იგი, ჯონის მოთხრობა ფეხზე მდგარს უნდა წამეკითხა, რაც ადვილი საქმე არ იყო. ამიტომ წინდაწინ განვეწყვე, რომ ვაგონში შესვლისთანავე ჩემ გარშემო სივრცის მოსაპოვებლად უნდა გამებრძოლა. ჩამოდგა თუ არა მატარებელი, მეტროში ქცევის წესები დავივიწყე და გამომსვლელთა ნაკადში სოლად შევიჭერი, ბაქანზე მდგართაგან ვაგონში პირველმა შევაბიჯე, მაგრამ ამანაც არ გაჭრა. უკნიდან ბრბო დიდი ძალით მომაწვა, ვაგონის შუაგულისკენ გადამაადგილა. იმ დროისთვის, როცა კარი დაიკეტა და მატარებელი ბაქანს გასცდა, მგზავრებს შორის ისე ვიყავი ჩაჭეჭყილი, ფერდებზე ჯარისკაცივით ხელებმიკრულს ჯიბიდან კონვერტის ამოღებაც კი არ შემეძლო. მატარებელი ერთი შეირყა და გვირაბში შევიდა, მე კი როგორც შემეძლო, ვიბრძოდი, ყველაფერს ვაკეთებდი, რომ გვერდით მდგომებს

მთლად არ შევზელვოდი. რომელიღაც მომენტში ხელის გაწვდენა მოვახერხე და თითებით ხელსაკიდს მოვეჭიდე, თუმცა, ასე ვთქვათ, შექმნილ ვითარებაში ეს ჩემი ბოლო გაფართხალება აღმოჩნდა. მომდევნო გაჩერებაზე რამდენიმე მგზავრი ჩავიდა, მაგრამ თითოეულის ადგილი ორმა ახალმოსულმა დაიკავა. შემდეგ გაჩერებაზე ასზე მეტი ადამიანი ბაქანზევე დარჩა, რათა ნაკლებად გადაჭედილ მატარებელს დალოდებოდა. ასე და ამგვარად, მგზავრობის ბოლომდე ერთხელაც არ მომეცა საშუალება, მოთხრობა ცალი თვალით მაინც გადამეთვალიერებინა. ბერგენ სტრიტის გაჩერებასთან შევეცადე, კონვერტს ხელით შევხებოდი, მაგრამ ჯერ ზურგიდან მკრეს ხელი, მერე ორივე მხრიდან ერთდროულად მომაწვნენ. კარის მიმართულებით გადანაცვლება რომ ვცადე, მოულოდნელად მატარებელიც გაჩერდა, კარი გაიღო და მგზავრების მასამ ბაქანზე იქამდე გამომიტანა, სანამ ჯიბეს მოვისინჯავდი, ხოლო როცა მოვისინჯე, კონვერტი შიგ აღარ მედო. გასასვლელისკენ დაძრულმა მასამ კიდევ ასე, ექვსიშვიდი ფუტი მატარა. იდაყვების ქნევით უკან, ვაგონისკენ დავიწყე გზის გაკვლევა, მაგრამ მატარებლის კარი ზედ ჩემ ცხვირწინ დაიხურა. დაძრული ვაგონის მინას მუშტით ბრახაბრუხი ავუტეხე, მაგრამ მემანქანემ აინუნშიც არ ჩამაგდო. F მატარებელი სადგურიდან გვირაბისკენ გასრიალდა და რამდენიმე წამში თვალს მიეფარა.

მას მერე, რაც საავადმყოფოდან გამოვეწერე, ყურადღების კონცენტრაციის ამნაირი დაქვეითება საკუთარი თავისთვის ხშირად შემინიშნავს, მაგრამ ასეთი სავალალო შედეგი არცერთ შემთხვევას არ მოჰყოლია. იმის მაგიერ, რომ კონვერტი ხელში დამეჭირა, უკანასკნელი ბრიყვივით ჯიბეში ჩავიდე, ჯიბე კი მეტისმეტად პატარა გამოდგა და ახლა ჯონის ხელნაწერი

კონი აილენდისკენ მიმავალი მატარებლის იატაკზე ეგდო, რაღა თქმა უნდა, ბრუკლინელების ჭუჭყიანი ფეხსაცმელებით ასჯერ და ათასჯერ გადაჯეგილი. უპატიებელი შეცდომა მომივიდა. ჯონმა გამოუქვეყნებელი მოთხრობის დედანი მანდო. მისი პერსონის მიმართ აკადემიური ინტერესის გათვალისწინებით, ეს მოთხრობა, ხელნაწერის სახითაც კი, ასობით, შეიძლება, ათასობით დოლარი ღირდა. ახლა ნეტავ რა უნდა მეპასუხა, როცა ამ ნაწერზე აზრს მკითხავდა? ჰო, მითხრა, თუ არ მოგეწონება, ნაგვის ყუთში ჩააბრძანეო, მაგრამ ეს მხოლოდ სასახვათაშორისოდ წამოსროლილი ფრაზა იყო, თავმდაბლობის ჰიპერბოლური გამოხატვა – ჩვეულებრივი ხუმრობა, ბოლოს და ბოლოს. საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ჯონი, რა თქმა უნდა, საკუთარი ხელნაწერის დაბრუნებას მოინდომებდა, იმისგან დამოუკიდებლად, მომეწონებოდა ის მოთხრობა თუ არა. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა გამომესწორებინა ჩემი დაუდევრობის შედეგი. არც კი ვიცი, რას ვიზამდი, ვინმეს რომ ჩემთვის ის გაეკეთებინა, რაც მე ჯონს გავუკეთე. ალბათ ისე გავცოფდებოდი, იმ ვიღაცას ხელიდან ვერ გამომგლეჯდნენ.

თურმე ეს დანაკარგი, რომლის გამოც გონს მოსვლა ჯერ კიდევ მიჭირდა, გრძელი, საშინელი საღამოს დასაწყისი იყო. შინ დაბრუნებული სადარბაზოს კიბეს ავუყევი და სამი საფეხურიღა დამრჩენოდა, როცა დავინახე, რომ ბინის კარი ღია იყო – ოდნავ შეღებული კი არა, ფართოდ მოფრიალებული, კარის სახელური კედელს ებჯინებოდა. ჯერ გავიფიქრე, ალბათ გრეისი შინ ადრე დაბრუნდა, ორივე ხელში სურსათით სავსე ჩანთა ეჭირა, ტვირთი სამზარეულოში მოიშორა, კარის დახურვა კი დაავიწყდა-მეთქი. თუმცა შინ ფეხის შედგმა საკმარისი გამოდგა, რომ მივმხვდა-

რიყავი: გრეისი არაფერ შუაში იყო. ბინაში ვიღაც შეპარულიყო – როგორც ჩანს, ამისთვის სახანძრო კიბე გამოეყენებინა, მერე კი სამზარეულოს ფანჯარა ამოეღო. იატაკი აქეთ-იქით მოსროლილი წიგნებით იყო მოფენილი, ჩვენი პატარა შავ-თეთრი ტელევიზორი გამქრალიყო, გრეისის ფოტო, რომელიც ყოველთვის ბუხრის თავზე მედო, ახლა დივანზე ეგდო, გარშემო კი მინის ნამსხვრევები ეყარა. ეს ყველაფერი გაბოროტებული კაცის იერიშს ჰგავდა, ლამის პიროვნულ აგრესიას ბინის მაცხოვრებლების მიმართ. ზარალზე წარმოდგენის შესაქმნელად წიგნის თაროებს რომ დავუარე, აღმოვაჩინე, რომ ყველაზე ღირებული გამოცემები დაკარგულიყო: ტრაუზეს და სხვა მწერალი მეგობრების წიგნები ავტორებისავე ხელმოწერებით, ამათ გარდა, ოცამდე პირველი ან იშვიათი გამოცემა, რომლებსაც წლების განმავლობაში საჩუქრად ვიღებდი: ჰოთორნი, დიკენსი, ჰენრი ჯეიმსი, ფიცჯერალდი, უოლეს სტივენსი, ემერსონი. ვინც არ უნდა ყოფილიყო, ძალიან არაორდინალური მძარცველი ჩანდა. ლიტერატურის აშკარად რაღაც გაეგებოდა: იმ მცირედიდან, რაც ოჯახში გაგვაჩნდა, ყველაზე ფასეული აერჩია.

ჩემი კაბინეტისთვის ხელი არ ეხლო, მაგრამ, სამაგიეროდ, საძინებელში ყველაფერი საგულდაგულოდ ამოეტრიალებინა. კომოდის ყოველი უჯრა ამოცარიელებული იყო, ნივთები – ამოყრილი. ლეიბები ძირს ეყარა, ბრამ ვან ველდეს ლითოგრაფია, რომელიც გრეისს სამოცდაათიანი წლების დასაწყისში პარიზში შეეძინა, დღემდე კი საწოლის თავზე გვეკიდა, კედლიდან გამქრალიყო. როცა კომოდის უჯრებიდან ამოყრილ ნივთებს თვალით დავურბინე, აღმოჩნდა, რომ გრეისის სამკაულების ზარდახშაც აღარსად იყო. გრეისს ისედაც ბევრი არაფერი ჰქონდა, მაგრამ ბებიამისის ნაქონი

მთვარის ქვის საყურეები იმ ზარდახშაში ედო; იქვე ინახავდა ბავშვობისდროინდელ სამაჯურს, რომელიც პატარაობისას თილისმასავით ჰქონდა და კიდევ ვერცხლის ყელსაბამს, შარშან, დაბადების დღეზე რომ ვაჩუქე. ახლა კი რა გამოდიოდა: ვილაცამ, ჩვენთვის უცხო ადამიანმა ეს ნივთები ხელს გააყოლა. უაზრო სისასტიკით, რომელიც მომხდარს თან ახლდა, ეს ძარცვა რაღაცნაირად გაუპატიურებას ჰგავდა. დაუკითხავად შემოჭრილ ველურს ჩვენი პატარა სამყარო დაუნდობლად წაებილწა.

არც ბინა გვქონდა დაზღვეული და არც სხვა ქონება, ამიტომ პოლიციაში დარეკვა და ძარცვის შესახებ განაცხადის დატოვება ჭკუაში მაინცდამაინც არ დამიჯდა. პოლიცია ამნაირი მძარცველების დაჭერას იშვიათად ახერხებს, ჰოდა, იმისთვის, რაც თავიდანვე უიმედო საქმედ მიმაჩნდა, ხელის მოკიდება არც მიფიქრია. თუმცა სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, უნდა გამერკვია, ჩვენი რომელიმე მეზობელიც ხომ არ გაეძარცვათ. რუხი ქვიშაქვის სახლში, რომელშიც მე და გრეისი ვცხოვრობდით, კიდევ სამი ბინა იყო: ერთი ჩვენ ზემოთ, ორი კი ქვემოთ. ქვემოდან დავლა ვარჩიე, პირველ სართულზე ჩავედი და მისის კარამელოს დაველაპარაკე. მისის კარამელო ქმართან ერთად სახლმმართველის მოვალეობას ასრულებდა. მისტერ კარამელო ადრე პარიკმახერი იყო, ახლა კი დროს უმეტესად ტელევიზორთან წამოწოლილი კლავდა და ფეხბურთის თამაშის შედეგებზე ფსონებს დებდა ხოლმე. მათი ბინა ძარცვას გადარჩენოდა. ჩემი ამბავი რომ მოისმინა, მისის კარამელო ძალიან შეწუხდა და მაშინვე ქმარი გამოიხმო, რომელიც კართან ფლოსტების ფრატუნით გამოვიდა, თუმცა ჩემს ნაამბობზე მან მხოლოდ ხმამაღლა ამოიოხრა. „გაოხრებული ნარკომანები იქნებოდნენ," – მითხრა მერე, –

„ფანჯრებს გისოსები უნდა ჩაუდგათ, სიდ. სხვანაირად თავს ვერ დაიცავთ მაგ გარეწრებისგან“.

არც დანარჩენი ორი მეზობელი გაუძარცვავთ. იმ დღეს გავარკვიე, რომ სახლის უკანა ფასადის ფანჯრებზე ჩვენ გარდა ყველას გისოსები ეყენა, ამიტომ ლოგიკურია, რომ ადვილ საკბილოდ ქურდს სწორედ ჩვენ ვეჩვენეთ – მიამიტი დოყლაპიები, რომლებსაც თავიანთი საკუთრების დასაცავად თითის განძრევა არ უფიქრიათ. ყველა მეზობელს ვეცოდებოდით, მაგრამ მათ თანაგრძნობას ადვილად ამოსაცნობი აზრი გასდევდა: რაც დაგვემართა, ამ ჩვენი დოყლაპიობით დავიმსახურეთ.

ისევ ბინაში ავბრუნდი, მაგრამ დამშვიდებულ გონებაზე ბინის გატეხვის ამბავი სულ უფრო და უფრო შემზარავად მეჩვენებოდა. ჩემი ადრინდელი დაუდევრობის გამოვლინებები მისხალ-მისხალ ამომიტივტივდა მეხსიერებაში. ძარცვის ახალ-ახალი, იქამდე შეუმჩნეველი შედეგები ყოველ ნაბიჯზე თვალში მხვდებოდა და მომხდარისგან დამძიმებული გული კიდევ უფრო მიმძიმდებოდა. ტორშერი, რომელიც ტახტის მარცხნივ იდგა, დაღრეცილი და დამტვრეული იყო, ყვავილების ლარნაკისგან ხალიჩაზე მიმოყრილი ნამსხვრევებიღა დარჩენილიყო – ჩვენი სასაცილო, ცხრამეტდოლარიანი ტოსტერიც კი აღარ ჩანდა სამზარეულოს იმ კუთხეში, სადაც შეძენის დღიდან გვედო. ავდექი და გრეისს სამსახურში დავურეკე. მინდოდა, იმ ელდისთვის შემემზადებინა, შინდაბრუნებულს რომ ელოდებოდა, მაგრამ ჩემს ზარს არავინ უპასუხა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამსახურიდან უკვე გამოსულიყო და სახლის გზას ადგა. ადგილს ისედაც ვერ ვპოულობდი, უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე და ბინის მოწესრიგებას შევუდექი. დალაგება რომ დავიწყე, უკვე შვიდის ნახევარი იყო

და მართალია, კარზე გრეისის მოკაკუნებას წუთი წუთზე ველოდებოდი, ერთი საათის განმავლობაში შეუსვენებლად ვიმუშავე: ნამსხვრევები მოვგავე, წიგნებს თაროებზე მივუჩინე ადგილი, ლეიბები გადავატრიალე და ისევ საწოლებზე დავაგე, უჯრები კომოდში შევდგი. თავიდან მიხაროდა, რომ გრეისის არყოფნაში ამდენ რამეს ვასწრებდი. ასე მეგონა, რაც უკეთ მივალაგებდი ბინას, მით ნაკლებად თავზარდამცემი იქნებოდა მისთვის შინ დაბრუნება. თუმცა რაც ჩაფიქრებული მქონდა, თითქმის ყველა საქმე დავასრულე, გრეისი კი ჯერ არ ჩანდა. უკვე რვას თხუთმეტი წუთი აკლდა. პიკის საათმა, რომლის გამოც შეიძლებოდა ბრუკლინამდე მეტროთი მოსვლა დაგვიანებოდა, უკვე გადაიარა. მართალია, გრეისს ხანდახან მუშაობა გვიანობამდეც უწევდა, მაგრამ ასეთ დროს ყოველთვის მირეკავდა და მატყობინებდა, როდის აპირებდა სამსახურიდან გამოსვლას. ახლა კი არც ზარი ყოფილა და არც ავტომოპასუხეზე მიმილია მისი შეტყობინება. „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთში“ მისი პირადი ნომერი კიდევ ერთხელ ავკრიფე, მაგრამ ყურმილი კვლავ არავინ აიღო. გამოდიოდა, რომ გრეისი არც სამსახურში იყო, არც შინ დაბრუნებულა. ეს რომ გავიაზრე, ბინის გატეხვის ამბავი უცებ ისეთი უმნიშვნელო გახდა, როგორც კარგა ხნის წინ მომხდარი უსიამოვნო შემთხვევა. ცოტაც და ჩავთვლიდი, რომ გრეისი დაიკარგა. რვა საათი რომ შესრულდა, უკვე ციებ-ცხელება დამეწყო, თავი ხელში ვეღარ ამყავდა.

რამდენიმე ადამიანს დავურეკე: მეგობრებს, თანამშრომლებს, გრეისის კონექტიკუტელ ბიძაშვილ ლილისაც კი, მაგრამ საგულისხმო ინფორმაცია მხოლოდ იმან მომცა, ვისაც ბოლოს ვესაუბრე. გრეგ ფიცჯერალდი „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთის“ დიზაინის განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

მისი თქმით, გრეისს მისთვის დილის ცხრა საათზე დაურეკავს და უთქვამს, რომ სამსახურში მისვლას ვერ შეძლებდა. ძალიან შეწუხებული იყო, მაგრამ რაღაც სასწრაფო საქმე გამოუჩნდა, რაც მის დაუყოვნებლივ ჩარევას მოითხოვდაო. რა საქმე იყო, ეგ აღარ უთქვამს, მაგრამ გრეგის კითხვაზე, თავს ხომ კარგად გრძნობო, პასუხი მცირე ყოყმანის შემდეგ გაუცია. „მგონი კი", – ასე მიპასუხაო, მითხრა გრეგმა, რომელიც დიდი ხანი იყო, რაც ჩემს ცოლს იცნობდა და გამორჩეულად უყვარდა (ალბათ გეცნობათ: კოლეგის, მშვენიერი ქალის თავისებურად მოტრფიალე გეი მამაკაცი). მერე იქვე დასძინა, რომ პასუხი ცოტა დამაბნევლად მოეჩვენა. „ეს გრეისის პასუხი არ იყო," – მგონი, ზუსტად ამ ფრაზით აღმიწერა თავისი შეცბუნება, მაგრამ როცა ხმაზე შემატყო, რომ მისმა ნათქვამმა მთლად ბოლო მომიღო, მაშინვე მოაყოლა, გრეისი შემპირდა, რომ ხვალ აუცილებლად მოვაო. „ნუ სწუხარ, სიდნი," – აგრძელებდა გრეგი, – „როცა გრეისი რაღაცის გაკეთებას მპირდება, ყოველთვის აკეთებს. ხუთი წელია, მასთან ერთად ვმუშაობ და ამ დროის განმავლობაში ერთხელაც არ დავუღალატებივარ".

ღამე ზეზეულად გავათენე, სკამზე ვიჯექი და ისე ველოდებოდი, თან ზაფრისა და უსუსურობის შეგრძნებისგან თანდათანობით ჭკუიდან გადავდიოდი. ფიცჯერალდთან დარეკვამდე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ გრეისს უბედურება შეემთხვა: ძალადობის მსხვერპლი გახდა, ქუჩაში ვიღაც გარეწრები აეკიდნენ და თავს დაესხნენ, ან სწრაფად მიმავალი მანქანა დაეჯახა. ათასგვარი სახის ძალადობა გამახსენდა, რაც შეიძლება ნიუ-იორკის ქუჩებში მარტოდ მოსიარულე ქალს ემუქრებოდეს. ახლა კი ეს ყველაფერი ნაკლებად საფიქრებელი იყო. თუმცა თუ არ მომკვდარა და

არც ფიზიკური საფრთხე დამუქრებია, მაშინ რა შეემთხვა? დასამშვიდებლად, იმის სათქმელად რატომ არ მირეკავდა, სად იყო ახლა? უკვე მერამდენედ ვატრიალებდი გონებაში ჩვენს იმდილანდელ საუბარს, სამსახურში გაცილებისას, მეტროში ჩასვლამდე ნათქვამ ფრაზას. ისევ შევეცადე, მეუღლეთა ურთიერთნდობის შესახებ მისი აუხსნელად ემოციური კითხვა გამეაზრებინა. გამახსენდა, დამშვიდობებამდე რომ მაკოცა და ისიც, თუ რა უცნაურად გამოითავისუფლა ხელი ჩემი მკლავიდან, მერე კი გაუფრთხილებლად, ლამის დაუმშვიდობებლად მოწყდა ადგილიდან. თავიც არ შეუწუხებია, რომ ჩემკენ მოტრიალებულიყო, ხელი მაინც დაექნია, სანამ მეტროს ჩასასვლელში თვალს მიეფარებოდა. ეს ყველაფერი ისეთი ადამიანის ქცევას ჰგავდა, ნაჩქარევი, იმპულსური გადაწყვეტილების მიღებას რომ აპირებს, გუნებაში უკვე რომ იცის, როგორ მოიქცევა, მაგრამ ჯერ მაინც ეჭვები და გაურკვევლობა ღრღნის, ამ მერყეობაში შეყოვნება, უკან მოხედვა და თვალის უკანასკნელად გასწორებაც ვერ გაუბედავს, რადგან შიშობს, რომ რის გაკეთებასაც უნდა აპირებდეს, ის ერთი მზერა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას კიდევ უფრო გაუძნელებს. ძალიან კარგად მესმოდა ეს, ვგრძნობდი, რასაც მაშინ გრეისი გრძნობდა, მაგრამ მეტი აღარაფერი ვიცოდი. გრეისი წაუკითხავ წიგნად მექცა და ყველა ვერსია, რომელიც იმ საღამოს მომხდარის შესახებ მიჩნდებოდა, მაშინვე ცალკე ამბის, ლამის მოთხრობის სახეს იღებდა, საზარელ დრამად წარმომიდგებოდა და ჩემში ღრმად დაბუდებულ შიშებსა და შფოთვას ეხმიანებოდა. ეს შიშები ადრე ჩვენი ურთიერთობის მომავალს უკავშირდებოდა, ახლა კი მათ მომავლიდან გადმოინაცვლეს და აწმყოში დაიწყეს განსხეულება.

გრეისი შინ დილის შვიდი საათისთვის დაბრუნდა: ორი

საათი იყო გასული მას მერე, რაც თავს ვუთხარი, ალბათ ველარასდროს ვნახავ-მეთქი. ის ტანისამოსი აღარ ეცვა, რომლითაც წინა დილით სახლიდან გავიდა; ახალწასმული წითელი ტუჩსაცხით, ელეგანტურად შეღებილი თვალებითა და ოდნავ შევარდისფრებული ღაწვებით, თვალისმომჭრელად და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. სასტუმრო ოთახში დივანზე ვიჯექი და როცა დავინახე, როგორ შემოვიდა ბინაში, იმდენად სახტად დავრჩი, ხმა ვერ ამოვიღე; როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, მაგრამ სიტყვები პირიდან არ ამოდიოდა. გრეისმა კი გამიღიმა – მშვიდად, დიდებული იერით და საკუთარი ღირსების შეგრძნებით – მერე მომიახლოვდა, დაიხარა და ტუჩებში მაკოცა.

– ვიცი, დღეს ჯოჯოხეთი გამოგატარე, – მითხრა წყნარად, – მაგრამ ასე უნდა მომხდარიყო, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. რაც დღეს გავაკეთე, აღარასდროს განმეორდება, სიდ. გპირდები.

მერე გვერდით მომიჯდა და კიდევ ერთხელ მაკოცა, მაგრამ თავი ვერ ვაიძულე, მეც მოვხვეოდი.

– უნდა მითხრა, სად იყავი, – ამას რომ ვამბობდი, საკუთარ ხმაში გარეულმა მრისხანებამ და სიმწარემ თავადვე გამაკვირვა, – დუმილს ვერ ავიტან, გრეის! უნდა თქვა, სად იყავი.

– არ შემიძლია, – მომიგო.

– შეგიძლია. უნდა მითხრა.

– გუშინ დილით მითხარი, რომ მენდობი. გთხოვ, ჩემში ეჭვი ნურც ახლა შეგეპარება. მენდე, სხვას არაფერს გთხოვ.

– ადამიანი ასე რომ იწყებს ლაპარაკს, ეგ იმას ნიშნავს, რომ რაღაც აქვს დასამალი. ყოველთვის ასეა. მათემატიკურ კანონზომიერებასავითაა, გრეის. რას მიმალავ? რა არის, რისი თქმაც ჩემთვის არ შეგიძლია?

– არაფერი. გუშინ მარტო ყოფნა მჭირდებოდა – სულ ესაა, დამიჯერე, სხვა არაფერი. ფიქრისთვის დრო მჭირდებოდა.

– შესანიშნავია. იფიქრე, მაგრამ ამნაირ წამებას ნუ მომისჯი, როცა არ ვიცი, სად ხარ და რა შეგემთხვა.

– დარეკვას ვაპირებდი, მაგრამ ვერ შევძელი. არ ვიცი, რატომ. უცებ ისეთი განცდა გამიჩნდა, რომ რაღაც ხნით უნდა გაგცლოდი, მარტო უნდა დავრჩენილიყავი, თითქოს საერთოდ არ გიცნობდი. სულ ცოტა ხნით. საშინელება იყო. ძალიან გამიჭირდა ამის გაკეთება, მაგრამ მიშველა. დამიჯერე, მართლა მარგო.

– ღამე სად გაატარე?

– სულ სხვა რამეზე გაქვს ეჭვი, სიდ. მარტო ვიყავი. „გრამერსი პარკ ჰოტელში“ ნომერი ავიღე.

– რომელ სართულზე? ოთახის ნომერი მითხარი.

– გთხოვ, სიდ, ამას ნუ აკეთებ. არ არის სწორი საქციელი.

– შემიძლია ამ წუთასვე დავრეკო და გავარკვიო. გგონია, მომერიდება?

– ვიცი, შეიძლება დარეკო კიდეც, მაგრამ ეგ იმის ნიშანი იქნება, რომ ჩემი აღარ გჯერა და ამის გამო ურთიერთობა სამუდამოდ გაგვიფუჭდება. ახლა კი ჯერ არ გაგვფუჭებია. საქმეც ესაა. ერთად კარგად ვართ: ფაქტი, რომ მე შენთან დაბრუნება არ გამიჭირდა, სწორედ ამას ნიშნავს, რომ ერთად კარგად ვართ.

– როგორც ვხვდები, ბავშვზე ფიქრობდი...

– სხვა დანარჩენს შორის, კი, ბავშვზეც.

– რამე გადაწყვიტე?

– ჯერ დაბნეული ვარ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ქვის კედელზე ვზივარ და არ ვიცი, რომელ მხარეს გადავხტე.

– გუშინ ჯონთან ორი საათი გავატარე. ჯონი თვლის, რომ აბორტი უნდა გაიკეთო. ამას დაბეჯითებით იმეორებდა.

გრეისის გამომეტყველებით მივხვდი, რომ გაუკვირდა და თან გული დასწყდა.

– ჯონი თვლის? ჩემი ორსულობის ამბავი რომ არ იცის?

– მე ვუთხარი.

– სიდნი... ეგ როგორ გააკეთე? არ უნდა გეთქვა.

– რატომ? ჯონი ჩვენი მეგობარია, არა? ვითომ რატომ არ უნდა სცოდნოდა?

პასუხი მაშინვე ვერ გამცა, მცირე ხანს იყოყმანა.

– იმიტომ, რომ ეგ ჩვენი საიდუმლოა, – მითხრა ბოლოს, – და თან მე და შენ ჯერ არ გადაგვიწყვეტია, რას ვაპირებთ. ჯერ ჩემი მშობლებისთვისაც არ მითქვამს. თუ ახლა ჩემი ორსულობის ამბავს ჯონი მამაჩემს შეატყობინებს, საქმე გაცილებით გართულდება.

– ნუ სწუხარ. არ ეტყვის. შენზე იმდენად ნერვიულობს, სხვა ვერაფერზე ფიქრობს.

– ნერვიულობს?

– ჰო, ნერვიულობს. ისევე, როგორც მე, გრეის. ამ დღეებში შენს თავს არ ჰგავხარ. ყველა, ვისაც უყვარხარ, ასეთ დროს თავისთავად შეწუხდებოდა.

საუბარი გავაგრძელეთ, გრეისი თანდათანობით შეუვალობას კარგავდა და უფრო დამყოლი ხდებოდა, მე კი მზად ვიყავი, ზეწოლა იქამდე გამეგრძელებინა, სანამ მისგან მთელ ამბავს არ შევიტყობდი, სანამ არ გავიგებდი, რა მიზეზი ჰქონდა ისეთი, ეს იდუმალი ოცდაოთხსაათიანი გაქცევა რომ გადააწყვეტინა. ძალიან ბევრი რამ იდო სასწორზე, ამას მთელი არსებით ვგრძნობდი და თუ ახლა გრეისი საიდუმლოს ტვირთისგან თავს არ შეიმსუბუქებდა, თუ გულს არ გადამიშლიდა, მაშინ დღეიდან როგორ უნდა მივნდობოდი? ნდობა კი ის უმთავრესი რამ იყო, რასაც გრეისი ჩემგან მოითხოვდა. ამავე

დროს, შაბათის შემდეგ, როცა ჩემს ცოლს ტაქსიში ნერვებმა უცნაურად უმტყუნა, როგორ არ უნდა მეფიქრა, რომ ჩვენს ურთიერთობას რაღაც უკეთურება შეეპარა, რომ გრეისი უხილავი ტვირთის ქვეშ თანდათანობით ისრისებოდა, მაგრამ ჩემთვის ამ სიმძიმის გაზიარება არ სურდა, ან არ შეეძლო? რაღაც ხანი იმასაც კი ვფიქრობდი, იქნებ ორსულობაა მისი ისტერიკის მიზეზი-მეთქი, მაგრამ ახლა უკვე ჩემი ვარაუდიც საეჭვოდ მეჩვენებოდა. იყო კიდევ რაღაც, ბავშვის და ორსულობის გარდა; და სანამ სხვა მამაკაცზე, ფარულ რომანსა და ავბედით ღალატზე ფიქრით თავის წამებას შევუდგებოდი, გრეისისგან უნდა შემეტყო, მის თავს რა ხდებოდა. ჩემდა სავალალოდ, საუბარი სწორედ ამ ადგილას გაგვიწყდა და ეჭვის ძაფის დართვა ხელახლა აღარ გამომივიდა. ეს მაშინ მოხდა, როცა გრეისს ვუთხარი, რომ მასზე ვნერვიულობდი. მისი ხელი ხელში მეჭირა და ლოყაზე საკოცნელად დახრას ვაპირებდი, როცა გრეისმა, როგორც მოსალოდნელი იყო, შენიშნა, რომ ტორშერი თავის ადგილზე აღარ იდგა და დივანის გვერდით მისი ადგილი ცარიელი იყო. აქ კი მომიწია, წვრილად მეამბო ჩვენი ბინის გატეხვის ამბავი, მერე, რასაკვირველია, განწყობილება ორივეს შეგვეცვალა და იმის მაგიერ, რომ ჩემთვის საინტერესო თემაზე გამეგრძელებინა საუბარი, სალაპარაკო სულ სხვა რამ გაგვიხდა.

თავიდან მომეჩვენა, რომ გრეისმა ეს უსიამოვნო ამბავი მშვიდად აღიქვა. თაროების გასწვრივ ჩამოვატარე და იშვიათ წიგნებს შორის გაჩენილი ღიობები ვანახე, პატარა მაგიდისკენ გავახედე, სადაც ჯერ კიდევ წინა დილით პორტატული ტელევიზორი იდგა. მერე სამზარეულოსკენ გავუძეხი და შევატყობინე, ახალი ტოსტერის შეძენაც მოგვიწევს-მეთქი. გრეისმა სამზარეულოს კარადის ქვედა უჯრა გამოსწია (რისი გაკე-

თებაც მე აზრად არ მომსვლია) და აღმოჩნდა, რომ ჩვენი საუკეთესო, ვერცხლის დანა-ჩანგალი, რომელიც ქორწინების პირველ წლისთავზე მისმა მშობლებმა გვაჩუქეს, ქურდს სხვა ნივთებთან ერთად წაეღო. აი, მაშინ იყო, რომ სიბრაზისგან წონასწორობა დაკარგა. უჯრას მარჯვენა ფეხით წიხლი უთავაზა და ერთი მაგრად შეიკურთხა. ბინძური სიტყვების ხმარება არ სჩვეოდა, მაგრამ იმ დილას რამდენიმე წუთის განმავლობაში წონასწორობიდან ისე იყო გამოსული, ისეთი სიტყვები გავიგონე მისი პირიდან, გონს ვერ მოვდიოდი. მერე საძინებელში გავედით და იქ გაავება უკვე ცრემლებად ექცა. ქვედა ტუჩი უცნაურად ჩამოებრიცა და აუცახცახდა, როცა ვუთხარი, რომ მისი სამკაულების ზარდახშაც წაღებული იყო, ხოლო როცა საწოლის თავზე კედელს ახედა და დაინახა, რომ ლითოგრაფიაც გამქრალიყო, საწოლზე ჩამოჯდა და ტირილი წასკდა. ვამშვიდებდი, როგორც შემეძლო, შევპირდი, დღესვე დავიწყებ ვან ველდეს სხვა ნამუშევრის ძებნას-მეთქი, თუმცა კარგად ვხვდებოდი, რამდენად შეუცვლელი იყო მისთვის ის ლითოგრაფია, ოცი წლის ასაკში, პარიზში პირველად ჩასულმა რომ შეიძინა: შინაგანი შუქით გაღვივებული ლურჯი ხაზების კონფიგურაცია, მომრგვალო სიცარიელითა და წყვეტილი წითელი სხივით კომპოზიციის ცენტრში. რამდენიმე წელი იყო, რაც ამ ლითოგრაფიის გვერდით ვცხოვრობდი და მისი ცქერა არ მომბეზრებია. ერთ-ერთი იმ ნამუშევართაგანი იყო, რომლებიც მუდამ რაღაცას გაძლევენ, ყოველ ჯერზე რაღაც ახალს გეუბნებიან.[12]

---

[12] გრეისი როდი აილენდის დიზაინის სკოლაში სწავლობდა, მერე კი სტუდენტური პროგრამით პარიზში გაგზავნეს და ერთი წელი იქ ისწავლა. ვან ველდეს შესახებ პირველად ერთ-ერთ წერილში

გრეისს გონზე მოსასვლელად თხუთმეტი-ოცი წუთი დასჭირდა, მერე სააბაზანოში შევიდა, რათა თვალებიდან ცრემლნარევი საღებავი ჩამოებანა და თავი წესრიგში მოეყვანა. მე საძინებელში ველოდებოდი და, რა თქმა უნდა, იმაზე ვფიქრობდი, როგორ განმეახლებინა ცოტა ხნის წინ შეწყვეტილი საუბარი. მერე გრეისი ოთახში შემობრუნდა და გამომიცხადა, რომ უკვე სამსახურში უნდა გაქცეულიყო. ერთი კი შევეცადე, გადამეფიქრებინა, მაგრამ არ დამიჯერა. გრეგს შეპირდა, რომ იმ დღეს სამსახურში აუცილებლად მივიდოდა. „სიტყვა სიტყვაა", – მითხრა გრეისმა, – „ისიც საკ-

---

ჯონ ტრაუზემ მისწერა, რომელიც, მისივე თქმით, სემუელ ბეკეტის უსაყვარლეს მხატვარს ორმოცდაათიან წლებში ერთიორჯერ შეხვედროდა (იმავე წერილში ბეკეტისა და ჟორჟ დიუტუის დიალოგიდან მოჰქონდა ნაწყვეტი, რომელიც ვან ველდეს ეხებოდა: *სულ ვიმეორებ: ვან ველდე იყო პირველი, ვინც... თქვა, რომ ხელოვანის ცხოვრება წარუმატებელი ადამიანის ცხოვრებაა, რადგან მარცხის სამყოფი გამბედაობა ხელოვანის გარდა სხვას არავის აქვს, რადგან მარცხის განცდაა მისი სამყარო*). ვან ველდეს ნამუშევრები ამერიკაში დიდი იშვიათობა იყო და ძალიან ძვირიც ღირდა, თუმცა სამოციანი წლებით და სამოცდაათიანების პირველი ნახევრით დათარიღებულ მის გრაფიკულ ნამუშევრებს მაშინ ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ხელმისაწვდომი ფასები ჰქონდა. ამიტომ გრეისმა ნამუშევარი მამამისის გაგზავნილი ფულით შეიძინა, მერე კი ყოველდღიურ საკვებსა და სხვა წვრილმანებზე ფულს მომჭირნედ ხარჯავდა. ეს ლითოგრაფია მისი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, ხელოვნებისადმი გაღვივებული ვნების სიმბოლო, ოჯახისგან დამოუკიდებლობის, პატარა გოგოობის ასაკიდან ზრდასრულობაში გადასვლის პირველი თვალსაჩინო ნიშანი. მასზე მეტად სხვა არაფერი ეძვირფასებოდა.

მარისია, რომ გუშინ ანგარიში გამიწია და გამათავისუფლა. არ მინდა, ჩვენი მეგობრობა ბოროტად გამოვიყენო". რა გაეწყობოდა, მართალიც იყო, თუმცა ვუთხარი, საუბარი არ დასრულებულა, კიდევ დაგვრჩა სალაპარაკო-მეთქი. „შეიძლება დაგვრჩა კიდეც," – მომიგო, – „მაგრამ ალბათ სამსახურიდან ჩემს დაბრუნებამდე მოიცდის". მერე, იმის ნიშნად, რომ გულში ჩემგან დასამალი ზრახვები აღარ ედო, საწოლზე გვერდით მომიჯდა, ხელები მაგრად მომხვია და კარგა ხანს ასე ვისხედით. „ჩემ გამო ნუ იდარდებ," – მითხრა, – „რაც გულს მიმძიმებდა, ყველაფერმა გამიარა. გუშინდელმა დღემ ძალიან მარგო".

როგორც კი გრეისი გავისტუმრე, დილით დასალევი აბები მივიღე, საწოლში შევწექი და შუადღემდე ვიძინე. დღე დაგეგმილი არ მქონდა, მხოლოდ ის მინდოდა, გრეისის მოსვლამდე, რამდენადაც შევძლებდი, სიმშვიდე შემენარჩუნებინა. წასვლამდე შემპირდა, რომ საღამოს საუბარს აუცილებლად განვაგრძობდით. სიტყვა სიტყვა იყო და ახლა საღამოს ველოდებოდი, რომ მისთვის სიტყვის ბანზე აგდების საშუალება აღარ მიმეცა და რაც გასარკვევი იყო, გამერკვია. მაინცდამაინც დიდი იმედი კი არ მქონდა, მაგრამ ის მაინც მეცოდინებოდა, რომ ცდა არ დავაკელი.

იმ დღეს კამკამა, მოწმენდილი ცა იყო, მაგრამ მერე უეცრად აცივდა, ტემპერატურა 40 გრადუსამდე დაეცა და იმ ღირსსახსოვარი დილის შემდეგ პირველად ვიგრძენი, როგორ შეეპარა ჰაერს ზამთარი, მასთან ერთად კი თითქოს ისიც წინასწარ ვიგრძენი, მერე რა უნდა მომხდარიყო. ძილ-ღვიძილის საათები ადრინდელივით ამერია და ბევრად

უარესად შევიქენი – ჩემს მოძრაობებს სიმტკიცე დაეკარგა, სუნთქვა მიჭირდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ჯაფა მადგებოდა. თითქოს გამოჯანმრთელების ადრეულ სტადიას დავუბრუნდი – თვალწინ მორიალე, დამსხვრეული ფერების, სამყაროს არეულად აღქმის პერიოდს. თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომაცალეს. დაუცველი და უსუსური ვიყავი, ხიფათი თითქოს ჰაერიდანაც კი მელოდა, თითქოს ერთი ძლიერი ქარიც საკმარისი იყო, რომ ნაწილ-ნაწილ დავეშალე.

კორტ სტრიტზე, ელექტრომოწყობილობების მაღაზიაში ახალი ტოსტერი შევიძინე. ამ უმნიშვნელო საქმემ ქანცი ბოლომდე გამაძრო. როცა მეტ-ნაკლებად იაფი ტოსტერი ავირჩიე, ჯიბიდან საფულე ძლივ-ძლივობით ამოვიღე და დახლს უკან მდგარ ქალბატონს ფულს ვუწვდიდი, უკვე მთელი ტანით ვცახცახებდი და სადაც იყო, ცრემლები გადმომცვივდებოდა. გამყიდველმა მკითხა, რამე ხომ არ შეგემთხვათო. არა-მეთქი, – მივუგე, მაგრამ ჩემი პასუხი, როგორც ჩანს, დამაჯერებლად არ მოეჩვენა, რადგან მაშინვე სხვა კითხვა შემომაგება: დაჯდომა და ჭიქა წყალი ხომ არ გნებავთო. სამოც წელს გადაცილებული ფაშფაშა ქალი იყო, ზედა ტუჩს ზემოთ ულვაშის ოდნავ შესამჩნევი ზოლი ჰქონდა; არც მისი მაღაზია ექნა ღმერთს – მტვრის ბუდე იყო, ბნელი და დაფხავებული. საოჯახო ბიზნესი იქნებოდა, მაგრამ საქმე აშკარად ცუდად მისდიოდათ: თაროების ნახევარი დაცარიელებულიყო. დახმარების კეთილშობილური სურვილი დავუფასე, მაგრამ კიდევ ერთი წუთით იქ დარჩენა აღარ მინდოდა. მადლობა გადავუხადე, გონს მოსასვლელად თავი შევაქნიე, გასასვლელისკენ წავედი და კარი ცალი მხრით გავაღე. მერე რამდენიმე წუთის განმავლობაში ტროტუარზე ვიდექი და პირით სუსხიან ჰაერს ისე ვხაფავდი, თითქოს

ჯადოსაგან ვთავისუფლდებოდი. ახლა რომ ვფიქრობ, უცხო თვალისთვის, მგონი, ისე გამოვიყურებოდი, როგორც გულსყრის პირას მისული ადამიანი.

ორი მაღაზიის იქით, ვინის ბისტროში პიცის ნაჭერი და „კოკა-კოლას“ დიდი ულუფა ავიღე და ასე წავიხემსე. გარეთ რომ გამოვედი, თავს უკვე უკეთ ვგრძნობდი. ოთხის ნახევარი იყო. გრეისი შინ ექვსზე ადრე არ დაბრუნდებოდა. ვხვდებოდი, რომ ამჯერად ქუჩა-ქუჩა სიარულის და სურსათის ყიდვის თავი არ მქონდა, ისიც ვიცოდი, რომ იმ დღეს ვახშამს ვერ მოვამზადებდი. გარეთ ვახშმობა ჩვენთვის საგრძნობი ხარჯი იყო, მაგრამ მაშინვე მოვისაზრე, რომ შეგვეძლო ატლანტიკ ავენიუზე ცოტა ხნის წინ გახსნილ ტაილანდურ „სიამის ბაღში“ რამე შეგვეკვეთა შინ მოსატანად. გრეისი ამ ამბავს გაგებით შეხვდებოდა. როგორ მძიმე დღეშიც არ უნდა ვყოფილიყავით, ჩემი ჯანმრთელობა მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ასეთ რამეებზე ფულის დაზოგვა.

პიცის ჭამა რომ მოვამთავრე, კლინტონ სტრიტზე, საჯარო ბიბლიოთეკის ფილიალში გადავწყვიტე წასვლა. მინდოდა, მენახა, ჯონ ტრაუზეს ნახსენები რომანისტის, სილვია მონროს რომელი წიგნები ჰქონდათ. კატალოგში ორ სათაურს – „ღამე მადრიდში“ და „შემოდგომის ცერემონია“ – მართლაც წავაწყდი. მინაწერებით ჩანდა, ათი წელი იყო, არცერთი მათგანი არავის გახსენებოდა. სამკითხველო დარბაზში ხის გრძელ მაგიდას მივუჯექი და ჯერ ერთს გადავურბინე თვალით, მერე – მეორეს. იმის მისახვედრად, რომ სილვია მაქსველს სილვია მონროსთან არაფერი ჰქონდა საერთო, დიდი დრო არ დამჭირვებია. მონრო კლასიკური ყაიდის, აგათა კრისტის მსგავს დეტექტივებს წერდა. რაც უფრო შორს შევდიოდი მისი რომანების გონებამახვილურად დახლართულ ქსოვილში, მით

მეტი იმედგაცრუება მეუფლებოდა, საკუთარ თავზე გული მომდიოდა, რომ გავბედე და წარმოვიდგინე, თითქოს ორ სილვიას შორის რაიმე მსგავსება შეიძლებოდა ყოფილიყო. ვფიქრობდი, შესაძლოა, სილვია მონროს დეტექტივები ბავშვობაში მაქვს წაკითხული და მართალია, ეს ფაქტი აღარ მახსოვს, ჩემმა არაცნობიერმა მისი პიროვნება ალბათ დაგვიანებით ამოატივტივა, თანდათანობით ეს მწერალი გამოგონილი „მისნის ღამის“ გამოგონილ ავტორად, სილვია მაქსველად აქცია-მეთქი. ახლა კი ისე გამოდიოდა, რომ მაქსველი არარას ბინდიდან გამოვიყვანე, ხოლო მისი „მისნის ღამე“ სულაც დამოუკიდებელ, თავისთავად თხზულებად ვაქციე, იმდენად, რომ მაქსველის სხვა რომანებთან მისი კავშირის ძიება საჭიროც აღარ იყო. ალბათ ამ ყველაფრის გამო კმაყოფილება უნდა მეგრძნო, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად გახლდათ.

ექვსის ნახევარზე, როცა შინ დავბრუნდი, ავტომოპასუხეზე გრეისის შეტყობინება დამხვდა. ბოლო დღეებში დატრიალებული უბედურებების გროვას მისხალ-მისხალ შლიდა – მშვიდად, აუჩქარებლად, მარტივი, მწყობრად დაწყობილი ფრაზებით. სამსახურიდან რეკავდა და მიხსნიდა, რომ ამის გამო საუბარი ჩუმად, ლამის ჩურჩულით უწევდა: „თუ მაინც გესმის ჩემი, სიდ,“ – აგრძელებდა ჩემი ცოლი, – „მაშინ მინდა, ოთხი რამ იცოდე. პირველი: რაც ამ დილას შინიდან გამოვედი, მას მერე განუწყვეტლივ შენზე ვფიქრობ. მეორე: გადავწყვიტე, ბავშვი გავაჩინო და ამიერიდან სიტყვა „აბორტის“ ხსენება ჩვენ შორის აღარ იქნება. მესამე: ვახშმის კეთებით თავს ნუ შეიწუხებ. ზუსტად ხუთ საათზე სამსახურიდან გამოვალ, პირდაპირ „ბალდუჩიში“ გავივლი და ერთი-ორ გემრიელ კერძს წამოვიყოლებ – ისეთს, შეცხელების გარდა რომ არაფერი სჭირდებოდეს. თუ მეტრო არ დამაღალატებს, შვიდის ოც

წუთზე, ბევრი-ბევრი, ნახევარზე უკვე შინ ვიქნები. და მეოთხე: ბატონი ჯონსონი წინდაწინ განაწყვე იმ აზრისათვის, რომ დღეს გარჯა მოუწევს. იცოდე, სახლში ფეხს შემოვდგამ თუ არა, დაგაცხრები, საყვარელო, ამიტომ მოემზადე. მის ვირჯინიას ერთი სული აქვს, როდის გაშიშვლდება თავისი კაცისათვის".

ეს *მის ვირჯინია* ერთ-ერთი საალერსო სახელი იყო, რომლითაც გრეისს ჩვენი ქორწინების პირველ ორ წელს მივმართავდი, მაგრამ სახელი იმ პერიოდში ჩარჩა და საავადმყოფოდან ჩემი გამოწერის შემდეგ აღარც წარმომითქვამს. მისი გახსენებით გრეისმა ჩვენი ურთიერთობის საუკეთესო დრო გააცოცხლა და გულიც ამიჩუყა. ეს სახელი მისთვისაც პოსტკოიტალური სისავსის წამებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ახლაც თვალწინ მიდგას: სექსის შემდეგ საწოლიდან წამომდგარი, სააბაზანოსკენ მიმავალი გრეისი, ლაღი, მოთენთილი, საკუთარ სიშიშვლეში ურცხვი და გამომწვევი. ხანდახან (ესეც ახლა მახსენდებოდა) *შიშველ მის ვირჯინიასაც* ვეძახდი, რითაც ძალიან ვამხიარულებდი ხოლმე. ამ დროს აუცილებლად გაჩერდებოდა, მომიბრუნდებოდა, კომიკურ საჟურნალე პოზაში გაშეშდებოდა და ძალიან მაცინებდა. ერთი სიტყვით, მის ვირჯინია *შიშველი მის ვირჯინიას* შემოკლებული ფორმა იყო და როცა ხალხში ასე მივმართავდი, ეს ყოველთვის საიდუმლო კომუნიკაცია იყო, მინიშნება ჩვენს სექსუალურ ცხოვრებაზე, ტანისამოსით დაფარულ მის შიშველ კანზე; მისი მშვენიერი, წარმტაცი სხეულისადმი ჩემი თაყვანისცემის შეფარული ნიშანი. ახლა, როცა ბავშვის გაჩენის გადაწყვეტილება გამანდო, ამ სახელის ხსენებით, ჩვენი ძველი, მითიური მის ვირჯინიას გაცოცხლებით, ორი მდგომარეობის ერთმანეთთან ასეთი

შეპირისპირებით ჩემი ცოლი მეუბნებოდა, რომ ისევ ჩემი იყო, ჩემი, როგორც ადრე, მაგრამ ამავე დროს ისე, როგორც აქამდე ვერ იქნებოდა და ამით ფაქიზად, ისევ მინიშნებით მამცნობდა, რომ ქორწინების სრულიად ახალ ფაზაში შევდიოდით, რომ ჩვენი ერთობლივი ცხოვრების ახალი ერა იწყებოდა.

საღამოს დაგეგმილი სერიოზული საუბარი გადავდე და ოთხშაბათ ღამეს მისი გაუჩინარების შესახებ ერთი კითხვაც აღარ დამისვამს. ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ავტომოპასუხეზე დატოვებული შეტყობინება გულისხმობდა. შემოდგა თუ არა გრეისმა ფეხი ბინაში, ერთმანეთს ვეცით, ცოტა ხანს იატაკზე ვიგორავეთ, მერე ნახევრად გახდილებმა საძინებლისკენ წასვლა ვცადეთ, მაგრამ საწოლამდე ვერ მივაღწიეთ. მოგვიანებით, ტანზე ხალათებმოსხმულებმა გრეისის მოტანილი საჭმელი ქურაში შევდეთ და უკვე გვიან საღამოს სავახშმოდ დავსხედით. ახალშეძენილი ტოსტერი ვაჩვენე, უფრო ფართოპირიანი, ვიდრე ძველი, და მართალია, ამან ბინის გაძარცვის უსიამოვნო ამბავი თავისთავად შეგვახსენა, დიდხანს არც ამ თემაზე შევჩერებულვართ. მერე ცხვირიდან სისხლი წამსკდა და გარგრის ნამცხვარს, რომელიც გრეისმა რამდენიმე წუთით ადრე წინ დამიდგა, მოვარდისფრო ნაკადად შეერია. სანამ სააბაზანოში ნიჟარაზე ვიყავი გადაყუდებული, გრეისი ზურგს უკან მედგა, მეხვეოდა, ზურგზე მეფერებოდა, კისერს და მკლავებს მიკოცნიდა, მოთმინებით ელოდებოდა, როდის შემიჩერდებოდა დენა და თან ჩვენი შვილისთვის უამრავ სასაცილო სახელს იგონებდა. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, რომ თუ გოგონა გვეყოლებოდა, გოლდი ორი დაგვერქმია, ხოლო თუ ბიჭი შეგვეძინებოდა, მაშინ, კირკეგორის წიგნზე მინიშნებით – ირა, ირა ორი. იმ ღამით გამოსულელებამდე ბედნიერები ვიყავით – არ მახსენდებოდა, როდესმე გრეისს

იმღამინდელზე უფრო ნაზად გამოეხატა ჩემდამი სიყვარული. როცა, როგორც იქნა, ცხვირიდან სისხლისდენა შემიწყდა, გრეისმა თავისკენ მიმატრიალა, სახე დანამული პირსახოცით გამიწმინდა და სანამ ტუჩებიდან და ნიკაპიდან სისხლის კვალს მაშორებდა, თვალი ჩემს თვალში ჰქონდა გაყრილი. „სამზარეულოს ხვალ მივალაგებთ“, – მითხრა სულ ბოლოს. მერე ხელი ჩამკიდა და სიტყვის უთქმელად საძინებლისკენ გამიძღვა.

მეორე დღეს გვიანობამდე მეძინა. თერთმეტის ნახევარზე, როცა საწოლიდან წამოდგომა ვიკადრე, გრეისი უკვე სამსახურში დამხვდა წასული. სამზარეულოში გავედი, ჩემი აბები მივიღე, ყავადანი ჩავრთე და წინა ღამით დატოვებული ჭურჭლის რეცხვას შევუდექი. საშრობში ბოლო თეფშს ვდებდი, როცა მერი სკლარმა დარეკა და ცუდი ამბავი შემატყობინა. ბობი ჰანტერის ასისტენტებს სინოფსისი წაეკითხათ და ჩემი იდეა ჭკუაში არ დასჯდომოდათ.

– ძალიან შევწუხდი, – მითხრა მერიმ, – მაგრამ თავს ვერ მოვიკატუნებ, თითქოს დიდ შოკში ვიყო.

– ეგ არაფერი, – მივუგე მერის და როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, გული დიდად არ გამტეხია, – ყოვლად უვარგისი იდეა იყო. მგონი, გამიხარდა კიდეც, რომ მასზე უარი თქვეს.

– ასეთი გონსასეირო რამეც არ გვინდაო, ასე ბრძანეს.

– გაოგნებული ვარ, ეს რა სიტყვა სცოდნიათ.

– ძალიან მიხარია, რომ გული არ დაგწყდა. გულისწყვეტად ნამდვილად არ ღირან.

– ფული მჭირდებოდა, მერი. სხვა ინტერესი არ მქონია. ფულს დავხარბდი. თან მაინცდამაინც პროფესიონალურადაც

არ მოვიქეცი, არა? როგორ შეიძლება, უკონტრაქტოდ ერთი სიტყვა მაინც დაწერო. ეგ ხომ უმთავრესი წესია ყველა ბიზნესში.

– მართალი გითხრა, ძალიან გაოცებულები იყვნენ იმ სისწრაფით, რომლითაც სამუშაო შეასრულე. ასეთ რამეებს მიჩვეულები არ არიან. ეგენი ჯერ თავის იურისტებს და აგენტებს ეთათბირებიან ხოლმე. რაც მეტს ითათბირებენ, მით მეტად უჩნდებათ განცდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანს აკეთებენ.

– მაინც არ მესმის, თავიდან მე რატომ ამირჩიეს?

– მაგათგან ვიღაცას შენი ნაწერები მოსწონებია. შეიძლება, ბობი ჰანტერს, შეიძლება, მაგათ საკონტაქტო პირს. რას გაიგებ? ასეა თუ ისე, ახლა უნდათ, რომ ჩეკი გამოგიგზავნონ. ასე ვთქვათ, კეთილი ნების ჟესტად. შენ ის რამდენიმე გვერდი უკონტრაქტოდ დაუწერე, მაგრამ იმ ხალხს სურს, დახარჯული დროის საზღაურად რაღაც მაინც გადაგიხადონ.

– ჩეკი უნდა გამომიგზავნონ?

– ჰო, მადლიერების ნიშნად.

– და რა თანხას გულისხმობს ეგ მადლიერება?

– ათას დოლარს.

– რა გითხრა, ეგეც საქმეა. რამდენი ხანია, სამუშაოთი ფული არ გამიკეთებია.

– ამასობაში პორტუგალია სულ დაგავიწყდა.

– ჰო, პორტუგალია. პორტუგალიის დავიწყება როგორ იქნებოდა?

– იმ რომანზე რას მეტყვი, რომელსაც, ველარ გავიგე, წერ თუ აღარ წერ, მიდის საქმე წინ?

– დიდად ვერა. შეიძლება მის ერთ პასაჟზე ავაგო რაღაც, მაგრამ დაბეჯითებით თქმა მიჭირს. რომანი რომანში – რაღაც ასეთი შეიძლება გავაკეთო. ჯერჯერობით ყველაფერი მხოლოდ თავში მაქვს, მაგრამ შესაძლოა ეს კარგი ნიშანი იყოს.

– პირველი ორმოცდაათი გვერდი მომეცი და კონტრაქტს გიშოვი, სიდ.

– დაუსრულებელ რომანში ჯერ ჩემთვის ფული არავის გადაუხდია. ორმოცდამეთერთმეტე გვერდი რომ ვეღარ დავწერო, მაშინ რაღა ვქნათ?

– ხომ ხედავ, მძიმე დროება გვიდგას, მეგობარო. ფული ხომ გჭირდება? ჰოდა, ფულს გაშოვნინებ. ჩემი საქმეც ეგაა, სხვა ხომ არაფერი.

– მოდი, ჯერ ვიფიქრებ.

– შენ იფიქრე, მე დაგელოდები. როცა პასუხის მოსაცემად მზად იქნები, შენს სამსახურში მიგულე.

საუბარი რომ დავასრულეთ, საძინებელში გავედი და კარადიდან პალტო გამოვიღე. რაკი „დროის მანქანის“ საკითხი ოფიციალურად დაიხურა, ახალი გეგმა მქონდა შესამუშავებელი და ვიფიქრე, ქუჩაში გასვლა და სუფთა ჰაერზე გასეირნება წამადგება-მეთქი. ის-ის იყო, ბინის კარი უნდა გამეხურა, ტელეფონის ზარი ხელმეორედ გაისმა. ჯერ დიდი ცდუნება დამეუფლა, არ მეპასუხა და სახლიდან ისე გავსულიყავი, მაგრამ მერე გადავიფიქრე, მეოთხე ზარის შემდეგ კი აღარ დავახანე და ყურმილი ავიღე. ვიფიქრე, ხომ შეიძლება, გრეისი რეკავდეს-მეთქი. ტრაუზე გამოდგა – ადამიანი, რომელთან საუბარიც იმ წუთებში ყველაზე ნაკლებად მსურდა. მოთხრობის დაკარგვის ამბავი მისთვის ჯერ არ მომეყოლა. რამდენჯერაც დავაპირე, გამოვუტყდები-მეთქი, იმდენჯერ ვერ შევძელი. თანაც ფიქრებიდან გამორკვევა ვერ მოვასწარი და თავიდან წესიერად ვერც გავიგე, რაზე მელაპარაკებოდა. ელინორმა და მისმა ქმარმა ჯეიკობი იპოვესო, მატყობინებდა. უკვე ნარკომანების სამკურნალო კლინიკაში მოათავსესო. იმ კლინიკას, რომელიც ზედა ისტ საიდში მდებარეობდა, „სმითერსი“ ერქვა.

– გესმის ჩემი ხმა? – მეკითხებოდა ჯონი, – ოცდარვადღიან პროგრამაში ჩაწერეს. ეს კურსი ალბათ საკმარისი არ იქნება, მაგრამ დასაწყისისთვის მაინც საქმეა.

– აჰა, – ვუპასუხე დაბნეულმა, – როდის ვიპოვეთო, რას ამბობენ?

– ოთხშაბათს ღამით, სულ ცოტა ხნის მერე, რაც შენ წახვედი. კარგა გვარიანად მოუწიათ გარჯა, რომ იმ კლინიკაში მისთვის ადგილი გამოენახათ. ბედად, დონს თურმე ვიღაც ნაცნობი ჰყოლია, რომელიც კიდევ ვიღაცას იცნობს და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, გულისგამაწვრილებელი ბიუროკრატიული პროცედურების გვერდის ავლით მოახერხეს ყველაფერი.

– დონი...

– ელინორის ქმარია.

– ჰო, გამახსენდა. ელინორის ქმარი.

– სიდ, ხომ კარგად ხარ? ისეთი ხმა გაქვს, მგონი, ამ ქვეყანას არ ხარ.

– არა, არა, მშვენივრად ვარ და ყურადღებით გისმენ. დონიო, ამბობდი. ელინორის ახლანდელი ქმარი.

– ახლა ერთი პატარა დახმარების სათხოვნელად გირეკავ. იმედი მაქვს, წინააღმდეგი არ იქნები.

– არანაირად. რაც არ უნდა იყოს, მთხოვე და გავაკეთებ.

– ხვალ შაბათია, კლინიკაში სამიდან ხუთამდე ვიზიტებისთვის განკუთვნილი საათები აქვთ. მინდოდა, გამეგო, ხომ ვერ შეძლებ, რომ ხვალ ჩემ მაგიერ მიხვიდე და ჩემს ბიჭს დახედო? დიდხანს დარჩენა არ მოგიწევს. ელინორი და დონი მისვლას ვერ ახერხებენ. ლონგ აილენდში მოუწიათ დაბრუნება. რისი გაკეთებაც შეეძლოთ, უკვე გააკეთეს – ეგეც დიდი საქმე იყო. მინდა, გავიგო, როგორაა ჯეიკობი.

ნებაყოფლობით პროგრამაშია ჩაწერილი, სიდ. კლინიკის კარი არც კი იკეტება. ამიტომ მინდა, ვიცოდე, ხომ არ გადაიფიქრა, მკურნალობას ხომ ნამდვილად აპირებს. თითქოს საქმე უკეთესობისკენ წავიდა და დასანანი იქნება, თუ იქიდან თავის დაძვრომას გადაწყვეტს.

– ხომ არ სჯობს, რომ თვითონ წახვიდე? მამამისი ხარ, ბოლოს და ბოლოს. მე ხომ ბიჭს თითქმის არ ვიცნობ.

– მე აღარ მელაპარაკება. მერე, როცა ავიწყდება, რატომ არ მელაპარაკება, ტყუილებით მავსებს ხოლმე. ჩემს მისვლას სასიკეთო შედეგის მოტანა რომ შეეძლოს, წავფორთხდებოდი ჩემი ყავარჯნით და ვნახავდი. მაგრამ ვიცი, აზრი არ აქვს.

– კარგი, მაგრამ რატომ გგონია, რომ მე დამელაპარაკება?

– იმიტომ, რომ შენ მოსწონხარ. არ მკითხო, რატომ. არ ვიცი. შენზე ამბობს, მაგარი ტიპიაო. მის სიტყვებს ვიმეორებ. სიდი მაგარი ტიპიაო, მისგან სულ ეს მესმოდა. ალბათ იმიტომ, რომ პატარა ბიჭივით გამოიყურები, რა ვიცი. შეიძლება იმის გამო, რომ ერთხელ იმ როკ-ჯგუფზე ესაუბრე, რომელიც მაშინ უყვარდა.

– „ბინ სფეზმს“ – პანკ-ჯგუფია, ჩიკაგოელები არიან. როდესაც ერთმა ჩემმა მეგობარმა მათი ორი სიმღერა მომასმენინა. არაფერი განსაკუთრებული. ეგ ჯგუფი, მგონი, კარგა ხნის დაშლილია.

– ჩემგან განსხვავებით, ის მაინც იცოდი, რომ ასეთი ჯგუფი არსებობდა.

– ჯეიკობთან ხანგრძლივი ურთიერთობა არასდროს მქონია. იმ დღესაც ალბათ სულ ოთხი-ხუთი წუთი ვილაპარაკეთ.

– ჯეიკობთან ოთხი წუთი საუბარიც საქმეა. ხვალაც თუ იმავეს მოახერხებ ოთხი წუთის განმავლობაში, ჩათვალე, რომ დიდი მიღწევა იქნება.

– როგორ გგონია, ხომ არ სჯობს, რომ გრეისიც თან წავიყვანო? მას ხომ ჩემზე გაცილებით ადრე იცნობდა.

– გამორიცხე ეგ ამბავი.

– რატომ?

– ჯეიკობს სძულს გრეისი. მასთან ერთად ერთ ოთახში ყოფნაც კი უმძიმს.

– არავინ მეგულება ისეთი, გრეისი რომ სძულდეს. კაცს კრამიტი უნდა ჰქონდეს დაცურებული, რომ გრეისი ასე სძულდეს.

– ჯეიკობი, როგორც ხედავ, სულ სხვა აზრზეა.

– საოცარია. გრეისს ჩემთან ამაზე სიტყვა არასდროს დასცდენია.

– ეს ანტიპათია მათი პირველივე შეხვედრის დღიდან მოდის. გრეისი მაშინ ცამეტი წლის იყო, ჯეიკობი – სამის. ჩემი და ელინორის გაყრის პროცესი იმ თვეებში დაწყო. ბილ ტებეთსმა ორი კვირით თავის სოფელში დამპატიჟა, ვირჯინიის შტატში. ზაფხული იყო და ჯეიკობიც თან წავიყვანე. ტებეთსების სხვა ბაშვებთან საერთო ენა ძალიან ადვილად გამონახა, მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა გრეისი ოთახში შემოდიოდა, ჯეიკობი ხელს კრავდა ან რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ესროდა. ერთხელ სათამაშო სატვირთო მანქანა აიღო და ფეხზე ისეთი ძალით დაარტყა, რომ საწყალ გრეისს მუხლი გადაუსკდა. მთელი ოთახი მისი სისხლით იყო მოთხვრილი. მაშინვე ექიმთან გავაქანეთ, ჭრილობა გაუკერეს და ათი ნაკერი დაადეს.

– ახლა გასაგებია, საიდან აქვს ეგ ნაიარევი. ერთხელ მსგავსი ამბავი კი მიამბო, მაგრამ ჯეიკობი არ უხსენებია. ერთმა პატარა ბიჭმა სათამაშო დამარტყაო, ეგ იყო და ეგ. სხვა არაფერი უთქვამს.

– რატომღაც პირველივე დღიდან შეიძულა, ერთი ნახვით აითვალწუნა.

– ალბათ გულმა უგრძნო, რომ ასე ძალიან შეგიყვარდებოდა, ამიტომ თავიდანვე მეტოქეობის გრძნობა გაუჩნდა. სამი წლის ბავშვები ირაციონალური არსებები არიან. სიტყვის მარაგი ჯერ არ აქვთ, ამიტომ ბრაზს ენით კი არა, მუშტებით გამოხატავენ.

– შეიძლება. თუმცა ჯეიკობს ამ მტრობამ მერეც არ გადაუარა, როცა წამოიზარდა. ყველაზე უარესი მაინც პორტუგალიაში მოხდა. მაშინ პორტუგალიის ჩრდილოეთ სანაპიროზე პატარა სახლი ახალი შეძენილი მქონდა. ელინორმა ბიჭი ერთი თვით ჩემთან საცხოვრებლად გამოგზავნა. იმ დროს უკვე თოთხმეტი წლისა იყო და ნუ გეშინია, იმდენივე სიტყვა იცოდა, რამდენიც მე. ისე გამოვიდა, რომ როცა ჯეიკობი ჩამოვიდა, გრეისი ჩემთან დახვდა. გრეისს კოლეჯი ახალი დამთავრებული ჰქონდა და სექტემბერში „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთში“ მუშაობა უნდა დაეწყო. ივლისში ევროპაში ჩამოვიდა სახვითი ხელოვნების შესასწავლად, ჯერ ამსტერდამში იყო, მერე პარიზში და ბოლოს მადრიდში. მადრიდიდან პორტუგალიაში მატარებლით ჩამოვიდა. ერთმანეთი ორი წელი არ გვენახა და სათქმელად და საამბობად უამრავი რამ დაგვიგროვდა. ჯეიკობმა აშკარად გვაგრძნობინა: გრეისის გვერდით ყოფნა არ სიამოვნებდა. თავისთვის, ჩუმად, მის მიმართ შეურცხმყოფელ სიტყვებს ჩურჩულებდა. ისე იქცეოდა, თითქოს არ ესმოდა, რას ეკითხებოდა გრეისი. რამდენჯერმე მოახერხა და ტანისამოსზე საჭმელიც კი გადაასხა. წამდაუწუმ ვაფრთხილებდი, შეეწყვიტა ეს მაიმუნობა. ერთხელაც ითავხედებ, – ვუთხარი ბოლოს, – და მაშინვე თვითმფრინავში ჩაგსვამ, დედაშენთან და შენს მამინაცვალთან გაგიშვებ

ამერიკაში-მეთქი. მართლა ასე მოხდა: პირველივე ჯერზე, როგორც კი მიჰქარა, ხელი მოვკიდე, თვითმფრინავში ჩავსვი და სახლში გამოვუშვი.

– ასეთი რა გააკეთა?

– სახეში შეაფურთხა.

– ღმერთო ჩემო.

– სამივენი სამზარეულოში ვიყავით, სადილისთვის ბოსტნეულს ვჭრიდით. გრეისმა რაღაც სრულიად უმნიშვნელო თქვა – აღარც მახსოვს, რის შესახებ – და ჯეიკობმა, რატომღაც, პირად შეურცხყოფად აღიქვა. დანის ქნევით მივარდა, სულელი ქათამი უწოდა და ბოლოს და ბოლოს გრეისსაც აევსო მოთმინების ფიალა. აი, მაშინ იყო, რომ ჯეიკობმა შეაფურთხა. ახლა რომ ვიხსენებ ამ ამბავს, ასე მგონია, ყველას გაგვიმართლა, რომ მოქნეული დანა მკერდში არ დაჰკრა.

– ამ კაცთან მიშვებ ხვალ საღამოს სალაპარაკოდ? ერთადერთი, რასაც იმსახურებს, ერთი კარგი პანღურია უკანალში.

– საქმეც ეგაა: მე რომ წავიდე მის სანახავად, შეიძლება ბოლოს ზუსტად ეგ პანღური ვუთავაზო. ამიტომ ყველასთვის უკეთესი იქნება, თუ მე კი არა, შენ ინახულებ.

– პორტუგალიის შემდეგ კიდევ მოხდა რამე მსგავსი?

– არა, მას შემდეგ ერთმანეთს აღარ ვახვედრებ. ერთიმეორეს წლებია, აღარსად გადაყრიან და სანამ ამას ვახერხებ, კატასტროფისგან დაცულები ვართ.[13]

---

[13] საუბრის ბოლოს ჯეიკობის მონახულებაზე მაინც დავთანხმდი. გრეისის წაყვანა, რა თქმა უნდა, გამოირიცხა. მინდოდა, ჯონს რაღაცაში მაინც გამოვდგომოდი, თუმცა მისმა ნაამბობმა გრეისის მიმართ ჯეიკობის მტრული დამოკიდებულების შესახებ, ცოტა არ იყოს, გამაოგნა. შესაძლოა, ჰქონდა კიდეც რაიმე მიზეზი საეჭვია-

***

მეორე დილით გრეისი სამსახურში აღარ იყო წასასვლელი და ამიტომ, ბინის კარი რომ გავიხურე, ჯერ კიდევ ინწვა და ეძინა. პარასკევს ტრაუზესთან საუბრის შემდეგ ზუსტად ვიცოდი: ჩემს ცოლს ვერაფრით ვეტყოდი, რომ ჯონს იმ საღამოს „სმითერსში“ წასვლას შევპირდი. რომ მეთქვა, მაშინ ჯეიკობიც უნდა მეხსენებინა, მე კი არ მინდოდა,

---

ნოდ (მამისგან „მიტოვებული“ შვილის აგრესია მამამისის „საყვარელი ნათლულის“ მიმართ). მისდამი არანაირი თანაგრძნობა არ გამჩენია – მხოლოდ სიძულვილს და აღშფოთებას ვგრძნობდი. ჯონის ხათრით კლინიკაშიც წავიდოდი და მეტსაც ვიზამდი, მაგრამ მის ვაჟთან გასატარებელ რამდენიმე საათს მოუთმენლად ნამდვილად არ ველოდებოდი.

თუ სწორად მახსოვს, ჯეიკობი მანამდე მხოლოდ ორჯერ მყავდა ნანახი. რაკი მაშინ მისი და გრეისის ურთიერთობის მთელი ისტორია არ ვიცოდი, კითხვაც არ გამჩენია, რატომ არ მახლდა არცერთ იმ ჯერზე თან ჩემი ცოლი. პირველად შიას სტადიონზე ვნახე, „მეტსის“ და „ცინცინატი რედსის“ მატჩის საყურებლად წავედით ერთად. ტრაუზეს იმ მატჩის ბილეთები რომელიღაც ნაცნობმა აჩუქა – ვიღაც ისეთმა, ვისაც ლოჟა მთელი სეზონით ჰქონდა ნაყიდი და რაკი იცოდა, რომ ბეისბოლის თავგადაკლული ფანი ვიყავი, მეც დამპატიჟა. 1979 წლის მაისი იყო, რამდენიმე თვე იყო გასული, რაც გრეისი შემიყვარდა, მე და ჯონმა კი ერთმანეთი მატჩამდე მხოლოდ ორი კვირის წინ გავიცანით. ჯეიკობს მალე ჩვიდმეტი უნდა შესრულებოდა და მატჩზე თავისი სკოლის მეგობარიც წამოეყვანა. შევდგით თუ არა სტადიონის ტერიტორიაზე ფეხი, ჩემთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ ბეისბოლი ბიჭებიდან არცერთს არ აინტერესებდა. პირველი სამი ინინგის განმავლობაში მოწყენილები და მოღუშულები ისხდნენ, მერე წამოდგნენ და სადღაც გაუჩინარდნენ. ვიფიქრე, ალბათ ჰოთ-დოგების საყიდლად და ფეხის გასაშლელად წავიდნენ-მეთქი. უკვე მეშვიდე ინინგი მიმდინარეობდა, როცა თავიანთ

გრეისს წარსულის უსიამოვნო მოგონებები წამოშლოდა. მძიმე დრო, ბოლო ხანებში კი მძიმე დღეები გამოვიარეთ და ახლა ყველაფერს ვიღონებდი, რომ ჩემი ცოლი სულ მცირე მღელვარებისგანაც კი დამეცვა და ის მყიფე წონასწორობა შემენარჩუნებინა, უკანასკნელ ორმოცდარვა საათში ხელახლა რომ მოვიპოვეთ. სამზარეულოში წერილი დავუტოვე, რომლითაც ვატყობინებდი, რომ მანჰეტენზე ვაპირებდი გასვლას, ვითომ წიგნის მაღაზიების დათვალიერება მინდოდა. შინ, ყველაზე გვიან, ექვსი საათისთვის დავბრუნდები-მეთქი, –

ადგილებს დაუბრუნდნენ – მოხითხითეები, შუშის თვალებით, ერთი სიტყვით, საგრძნობლად შეცვლილები და გამხიარულებულები. ძნელი არ იყო იმის გამოცნობა, რას აკეთებდნენ, სანამ არ ჩანდნენ. სკოლაში მიმუშავია და დაბოლილი მოზარდების მეტი რა მინახავს, ეს სიმპტომები რომ ვერ ამომეცნო. ჯონს მთელი ყურადღება თამაშისკენ ჰქონდა მიპყრობილი და ვერაფერი შენიშნა, მეც მისთვის გუნების გაფუჭება აღარ მომინდა. ჯერ ერთი, მაშინ კარგად არ ვიცნობდი და ჩავთვალე, რომ ის, რაც მამასა და შვილს შორის ხდებოდა, ჩემი საქმე არ იყო. იმ საღამოს ჩემი და ჯეიკობის ურთიერთობა მისალმებითა და დამშვიდობებით შემოიფარგლა, ჰა, ჰა, ათიოდე სიტყვა გვეთქვა კიდევ ერთმანეთისთვის.

მეორედ იმ შემთხვევიდან დაახლოებით ექვსი თვის თავზე ვნახე. უნივერსიტეტის პირველი წელიწადი ჯერ არ ჩაემთავრებინა და ხშირი გაცდენების გამო გარიცხვა ემუქრებოდა. იმ დღეს ჯონმა დამირეკა და ბილიარდის სათამაშოდ დამპატიჟა. მაშინ მას და ჯეიკობს ურთიერთობა უკვე იმდენად ჰქონდათ დაძაბული, ერთმანეთს თითქმის არ ელაპრაკებოდნენ, ამიტომ, მგონი, უნდოდა, მეც მათთან ერთად ვყოფილიყავი და ასე ვთქვათ, ბუფერის ან ნეიტრალური მესამე მხარის როლი შემესრულებინა, რომელიც საზოგადოებრივ ადგილას მათ შორის ომის დაწყებას არ დაუშვებდა. აი, ის საღამო იყო, მე და ჯეიკობმა „ბინ სფეზმზე“ რომ ვისაუბრეთ და როგორც გაირკვა, „მაგარი ტიპის“ რეპუტაციაც მოვიპოვე. მაშინ ჯეიკობმა

ვწერდი. ერთი სიტყვით, პატარ-პატარა ტყუილებს, რომლებსაც იმ დღეებში ერთმანეთს ვეუბნებოდით, ეს ერთი სიცრუეც დავუმატე. კაცმა რომ თქვას, ჩემი მიზანი მისი მოტყუება არ ყოფილა. მსურდა, უსიამოვნო განცდისაგან დამეცვა, სხვა არაფერი. ჩვენს ინტიმურ სივრცეს ვიცავდი, რათა მასში წარსულის მტკივნეულ შენაკადებს ვერ შეეღწია.

ნარკომანების სარეაბილიტაციო კლინიკა მოზრდილ ძველებურ შენობაში მდებარეობდა, რომელიც ერთ დროს ბროდვეიზე მოღვაწე პროდიუსერს, ბილი როუზს ეკუთვნოდა. წარ-

---

გამაოცა: მასში გამორჩეული მონაცემების მქონე, თუმცა კი აგრესიული ახალგაზრდა დავინახე, რომელსაც თითქოს გადაეწყვიტა, საკუთარი თავი ყველა შესაძლო ხერხით დაენგრია. რაღაც იმედის მსგავსიც შევნიშნე მასში და ეს იმედი ბილიარდში მამამისის დამარცხებას უკავშირდებოდა. მე ყოვლად უვარგისი მოთამაშე ვარ და მაგიდას მალე მოვშორდი, ჯონს კი ეს საქმე სხვისგან არ ესწავლებოდა, თანაც, როგორც ჩანს, ჯეიკობთან ურთიერთობის იშვიათ საათებში მოეხერხებინა და ბილიარდი მისთვისაც ესწავლებინა. ახლა მამა-შვილს გადაეწყვიტა, ერთმანეთისთვის კლასი ეჩვენებინა, მე კი ჩემთვის, გუნებაში აღვნიშნე, ჯეიკობს მაინც შესძლებია რაიმე მიზანზე კონცენტრირება, რაც თავისთავად იმედის მომცემი ნიშანია-მეთქი. დიდი ხნის მერე შევიტყვე, რომ ჯარში ტრაუზე თურმე ბილიარდის ექსპერტად ითვლებოდა. რომ სდომებოდა, მაგიდასთან უპირატესობას წუთებში მოიპოვებდა და ჯეიკობს დაჯაბნიდა, მაგრამ ამის გაკეთება სულაც არ სურდა. თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მოსაგებად მცდელობას არ აკლებდა, ბოლოს კი ბიჭს მოაგებინა. მათი ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინებით, ალბათ ყველაზე სწორი გადაწყვეტილება ეს იყო. მის ჟესტს მამა-შვილის ურთიერთობისთვის დიდი ხნით არ ურგია, მაგრამ ის მაინც მოხდა, რომ თამაშის შემდეგ ჯეიკობი მამამისთან მივიდა და ხელი ნაძალადევი ღიმილით ჩამოართვა. რამდენადაც ვიცი, უკანასკნელად ეს სწორედ იმ დღეს მოხდა.

მოდგენა არ მაქვს, როდის ან როგორ დაიდო ბინა იქ „სმითერსმა“. ის კი შემიძლია ვთქვა, რომ შენობა ძველი ნიუიორკული არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუში იყო – ქვიშაქვით ნაგები სასახლე, იმ დროის ნაშთი, როცა შეძლებული ნიუიორკელები სიმდიდრის დემონსტრირებას ბრილიანტებით, მაღალი შლაპებითა და თეთრი ხელთათმანებით ახდენდნენ. დიდ უცნაურობად მეჩვენა, რომ ახლა ამ შენობაში საზოგადოების ლექს – ნარკომანების, ალკოჰოლიკების და ყოფილი კრიმინალების მუდმივად ცვალებად საძმოს დაებუდებინა. ძველი სასახლე დაღუპულ სულთათვის დროებით ნავსაყუდელად ქცეულიყო დაღმა მიმავალ გზაზე. როცა კარი ხმაურით გაიღო და შიგნით შევედი, გავერანების ახალგაჩენილი ნიშნები თვალში მაშინვე მომხვდა. შენობის ჩონჩხს (უზარმაზარი ჰოლი შავ-თეთრი კუბოკრული იატაკით, მოხვეული კიბე წითელი ხის მოაჯირებით) თითქოს დროის ხელი ვერ შეხებოდა, მაგრამ რბილობი, ხორცი კი გაქუცულიყო, ჭუჭყისფერი დასდებოდა და სევდისმომგვრელად გამოიყურებოდა.

მისაღებში რეგისტრატორს თავი ტრაუზეების ოჯახის მეგობრად წარვუდგინე და ჯეიკობი ვიკითხე. ქალმა ეჭვის თვალით შემომხედა და ჯიბეები ამომატრიალებინა, რის შემდეგაც დარწმუნდა, რომ შენობაში ნარკოტიკის და იარაღის შეტანას არ ვაპირებდი. შემოწმება თითქოს გავიარე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ შეშვებით მაინც არ მიშვებდნენ. შეკამათება ვერ მოვასწარი, რომ სწორედ ამ დროს ჰოლში ჯეიკობი გამოჩნდა. სამ-ოთხ იქაურ პაციენტთან ერთად სასადილო ოთახისკენ მიიზლაზნებოდა. მას მერე, რაც უკანასკნელად ვნახე, ტანი კიდევ აეყარა, მაგრამ მაინცდამაინც სასიამოვნო სანახავი ვერ იყო: ერთიანად ჩაშავებული ტანისამოსით, მწვანედ შეღებილი თმით, ზედმეტად აწონილი

და გაძვალტყავებული რაღაც გროტესკულად, კლოუნივით გამოიყურებოდა, ბნელეთის თავადთან საცეკვაოდ მიმავალ უსხეულო პუნჩინელოს ჰგავდა. შორიდანვე დავუძახე. მოიხედა, დამინახა და არც გაჰხარებია, არც სწყენია – სახეზე სულ სხვა რამ: შოკი, გაოგნება გამოესახა. „სიდ“, – წაიბუტბუტა, – „აქ რას აკეთებ?“ ამხანაგების ჯგუფს გამოეყო და იქით წამოვიდა, სადაც ვიდექი. რეგისტრატორმა ქალმა სრულიად უაზრო კითხვა დაუსვა: „იცნობთ ამ კაცს?“ „კი, ვიცნობ“, – უთხრა ჯეიკობმა, – „მამაჩემის მეგობარია“. მისი სიტყვა საკმარისი აღმოჩნდა, რომ რეგისტრატორს შენობაში შევეშვი: საწერი დაფა, რომელზეც შესავსები ქაღალდი იდო, უხეშად მომიგდო; ვიზიტორების გრაფაში საკუთარი სახელი და გვარი მსხვილი ასოებით ჩავწერე და გრძელი დერეფნით ჯეიკობს სასადილო ოთახისკენ წავყევი.

– არავის უთქვამს, რომ მოსვლას აპირებდი, – მითხრა ბიჭმა, – დარწმუნებული ვარ, მამაჩემი აგკიდებდა ჩემს მონახულებას. ჰა, არა?

– არა, ნამდვილად არა. აქეთ მომიხდა წამოსვლა და ვიფიქრე, მოდი შევუვლი და გავიგებ, როგორ არის-მეთქი.

რაღაც ჩაიბურტყუნა. მაგის ვის სჯერაო, არ უთქვამს, ჩემი ტყუილი კომენტარის ღირსადაც არ ჩაუთვლია. ყველაფერი ისედაც ადვილი მისახვედრი იყო, მაგრამ ასე იმიტომ ვუპასუხე, რომ საქმეში ჯონის გარევა არ მსურდა. ჩავთვალე, მას თუ არ ვახსენებდი, ბიჭი ჩემთან უფრო გაიხსნებოდა. რამდენიმე წუთი ხმაამოუღებლად ვიარეთ, მერე კი, სრულიად მოულოდნელად, ჯეიკობმა მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

– გავიგე, ძალიან დიდხანს გიავადმყოფია.

– კი, ვიავადმყოფე. ახლა ბევრად უკეთ ვარ.

– ყველას ეგონა, რომ ვერ გადარჩებოდი, არა?

– ჰო, ასე მეუბნებიან. ყველა გავაცურე და ოთხი თვის წინ საავადმყოფოდან ჩემი ფეხით გამოვედი.

– რაო, უკვდავი გამოდექი, სიდ? კიდევ ასი წელი არ ხარ შენ მარილზე გამსვლელი.

სასადილო უზარმაზარ, მზიან დარბაზში იყო მოწყობილი. გასაწევი შუშის კარით იქიდან პატარა ბაღში შეიძლებოდა გასვლა, სადაც პაციენტები და მათი ოჯახის წევრები მოსაწევად და ყავის დასალევად გადიოდნენ. მომსახურება კაფეტერიის პრინციპით ხდებოდა და როცა მე და ჯეიკობმა სტეიკიანი, ჩათუშულკარტოფილიანი და სალათიანი სინები ხელში დავიჭირეთ, თავისუფალი მაგიდის პოვნა ადვილი საქმე არ გამოდგა. დარბაზში ასე, ორმოცდაათი-სამოცი კაცი იჯდა და რამდენიმე წუთი მაგიდების შემოვლას მოვანდომეთ. ეს დაგვიანება ჯეიკობს ისე აღიზიანებდა, თითქოს უმაგიდობით ვიღაც პირადად აყენებდა შეურაცხყოფას. როცა ბოლოს და ბოლოს დავსხედით, ვკითხე, აბა, როგორ ხარ, აქაურობა როგორ მოგწონს-მეთქი. ჯეიკობი უნუგეშო სახით შეუდგა ჩივილს, თან მარცხენა ფეხს გაუჩერებლად არხევდა.

– აქ მარტო იდიოტები გრძნობენ თავს ნორმალურად, – მიპასუხა მაშინვე, – რაღაც შეხვედრებზე დავყავართ და საკუთარ თავზე გვალაპარაკებენ. ხომ ხვდები, რას ვამბობ, სიდ, ყელში ამოვიდა. გეგონება, ძალიან მაინტერესებდეს ამ გამოშტერებულების ამბები: რა უაზრო და ბნელი ბავშვობა ჰქონდათ, როგორ დაუცდათ პირველად ფეხი, როგორ გადაცდნენ სწორ გზას და სატანის მახეში გაებნენ.

– შენი ჯერი რომ დგება, რას აკეთებ? დგები და შენც რამეს ჰყვები ხოლმე?

– ხო, სხვა რა გზა მაქვს. არაფერი რომ არ ვთქვა, თითს ყველა ჩემკენ გამოიშვერს, ლაჩარი ხარო, მეტყვიან. ამიტომ

რაღაც ამბავი გამოვიგონე, რომელიც დაახლოებით ისე ჟღერს, როგორც დანარჩენების ნაამბობი. ვყვები ამ სისულელეებს და მერე ტირილს ვიწყებ. ტირილი ყოველთვის მაგრად ჭრის. მაგარი მსახიობი ვარ, სიდ. ვუყვები, რა ნაძირალა ვარ, მერე ნერვები მღალატობს, ველარ ვაგრძელებ და ყველა კმაყოფილია.

– რატომ ცრუობ, რას გაძლევს ეგ? თუ თვლი, რომ აქ მარტო ამისთვის ხარ, მაშინ დროს ტყუილად კარგავ.

– რატომ ვცრუობ? იმიტომ, რომ ნარკომანი არ ვარ. ცოტას ვმაიმუნობდი, ნარკოტიკს გემო გავუსინჯე. ეგ არის და ეგ. სერიოზულად არც ვუყურებ ამ საქმეს. შემიძლია გავიჩხირო, შემიძლია გადავაგდო.

– კოლეჯში სწავლის დროს ოთახის მეგობარი მყავდა, ზუსტად ეგრე ამბობდა. მერე, ერთ ღამესაც, კაიფში გაიპარა.

– ხო, არ ვიცი, ეგ შეიძლება სულელი იყო. მე ვიცი, რასაც ვაკეთებ და ჭარბი დოზისგან სიკვდილს ნაღდად არ ვაპირებ. საერთოდ, ნარკოტიკზე შემჯდარი არ ვარ. დედაჩემს შეიძლება ჰგონია, რომ ვარ, მაგრამ დედაჩემი ამ საქმის აზრზე არ არი.

– მაშინ ამ პროგრამაში ჩაწერაზე რატომ დათანხმდი?

– იმიტომ რომ მითხრა, არ დამთანხმდები და ჩემგან ფულს ველარ მიიღებო. შენი ძმაკაცი, ყოვლისშემძლე სერ ჯონი უკვე განვარისხე. აღარ მინდოდა, ლედი ელინორიც მაგ ჭკუაზე დამეყენებინა, რომ მერე სისულელეები გაეკეთებინა.

– ხომ შეგეძლო, სამუშაო გეპოვნა?

– კი, შემეძლო, მაგრამ არ მინდოდა. მე სხვა გეგმები მაქვს და ამ საქმისთვის მეტი დრო მჭირდება.

– ერთი სიტყვით, ზიხარ აქ და ელოდები, როდის გაივლის ოცდარვა დღე, არა?

– აქ ყოფნა ისეთი საშინელებაც არ იქნებოდა, მთელი

ჩვენი დრო შევსებული რომ არ ჰქონდეთ. როცა ამ იდიოტურ შეკრებებზე ტრაკებს არ გვახეხინებენ, თავს კი არ გვანებებენ – მაგ დროს რაღაც იდიოტობა უნდა ვიკითხოთ. ეგეთი ნაგავი ალბათ ცხოვრებაში არ გექნება წაკითხული.

– რა წიგნებს გაკითხებენ?

– სახელმძღვანელო ანონიმური ალკოჰოლიკებისთვის – თორმეტნაბიჯიანი პროგრამა. ეგეთ ნაგავს გვტენიან.

– შეიძლება ნაგავია ეგ საკითხავი, მაგრამ ბევრ ადამიანს ხომ დაეხმარა.

– ეგ ყველაფერი კრეტინებისთვისაა მოგონილი, სიდ. უზენაესი ძალა, საკუთარი თავის მისთვის მინდობა და ა.შ. – ენის მოჩლექით მოწოდებული რელიგია. მიენდე უზენაეს ძალას, რომ თავი იხსნა. რა გამოქლიავებული უნდა იყო, რომ ეგრე გაჭამონ. თვალი მოავლე ამ სამყაროს, სიდ და თქვი, სად არის ეგ ძალა. მე რაღაც ვერა ვხედავ. მე და შენ ვართ და დანარჩენები. საცოდავი ნაბიჭვრების ჯოგი, რომელიც სიცოცხლეს ებღაუჭება და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გადარჩეს.

ერთად სულ რამდენიმე წუთი გავატარეთ, მაგრამ უკვე თავს გამოფიტულად ვგრძნობდი, ამ ბიჭის პრიმიტიულმა ცინიზმმა დამღალა და გამომაცარიელა. ადამიანთა ურთიერთობას ფორმა და წესი აქვს და მეც სადილის დამთავრებას ველოდებოდი, თორემ ბევრი არ მაკლდა, წამოვდგარიყავი და იქაურობას, რაც შეიძლება, მალე გავცლოდი. ტრაუზეს ფერმკრთალი, შინაგანად გაბერწებული შვილი „სმითერსის“ სამზარეულოს მაინცდამაინც არ სწყალობდა. ერთ-ორ წუთს ჩათუშულ კარტოფილს ციცქნიდა, შემწვარ ხორცს სასინჯად ნაჭერი ჩამოაჭრა, მერე ჩანგალი მაგიდაზე დადო. ცოტა ხანში ფეხზე წამოდგა და მკითხა, აქაურ დესერტს ხომ არ გასინჯავო. თავი გადავაქნიე, არა-მეთქი. ისევ კერძების დახლს მიაშურა

და უკან ორი თასი შოკოლადის პუდინგით დაბრუნდა. ორივე წინ დაიდგა და ჯერ ერთი თასი ამოასუფთავა, მერე – მეორე: ტკბილეულის მიმართ გაცილებით მეტი ინტერესი გამოამჟღავნა, ვიდრე მთავარი კერძებისადმი. რაკი ნარკოტიკი არ ჰქონდა, ჯეიკობს ის შაქრით, ერთადერთი ხელმისაწვდომი შემცვლელით ჩაენაცვლებინა და პუდინგს ბავშვივით მადიანად, ხალისით ნთქავდა: ჭამა რომ დაამთავრა, თასები პირწმინდად იყო ამოსუფთავებული. პირველ და მეორე თასს შორის ჩვენს მაგიდას მოსასალმებლად ჯეიკობის იქაური ნაცნობი მოადგა. ოცდათხუთმეტზე მეტის არ იქნებოდა, წითელი ჩოფურა სახე ჰქონდა, თმა კეფაზე ცხენის კუდივით ჰქონდა შეკრული. ჯეიკობმა ერთმანეთი გაგვაცნო და ფრედიმაც ხელი ისე თბილად და გულითადად გამომიწოდა, როგორც სარეაბილიტაციო კლინიკის ვეტერანებს სჩვევიათ. ხელს რომ ვართმევდი, თან მოაყოლა, ჯეიკობის მეგობრის გაცნობა ძალიან სასიამოვნოაო.

– სიდი ცნობილი მწერალია, – განუცხადა ჯეიკობმა სასხვათაშორისოდ, – ორმოცდაათი რომანი მაინც ექნება გამოცემული.

– ამას ნუ უსმენთ, – ვუთხარი ფრედის, – ყველაფრის გაბუქება იცის.

– კი, ვიცი, – მომიგო ფრედიმ, – მოუსვენარი ბიჭია, ცელქი. თვალი არ უნდა მოაშოროს კაცმა, რამე რომ არ დააშავოს. ეგრე არ არის, ბავშვო?

ჯეიკობმა თვალი მაგიდას გაუშტერა და ასე იჯდა, სანამ ფრედიმ მოფერებით თმა არ აუჩეჩა, მერე კი იქაურობას არ გაშორდა. მეორე პუდინგს რომ ჭამდა, სწორედ მაშინ მითხრა ჯეიკობმა, რომ ფრედი ჯგუფის ლიდერი იყო.

– ცუდი ბიჭი არაა. რაღაც-რაღაცებს იპარავს ხოლმე, –

დასძინა, – ხომ ხვდები, პროფესიონალი ქურდია, მაღაზიებს ტეხავდა. ძარცვის საკუთარი ტექნიკა ჰქონდა, ამიტომ ერთხელაც ვერ დაიჭირეს. იმის მაგიერ, რომ მაღაზიებში განიერი პალტოთი ევლო, როგორც ზოგიერთი ქურდი შვრება, ეს სუტანას იცვამდა და პასტორივით დადიოდა. პასტორზე ეჭვს ვინ მიიტანს? არავინ. მამა ფრედი, ღვთის კაცი. თუმცა ერთხელ კი მოხვდა დიდ გაუგებრობაში. სადღაც, ქალაქის ცენტრშია და სადაცაა, აფთიაქში უნდა შევიდეს გასაძარცვავად და ქუჩაზე გადადის. უცებ დიდი ავარია ხდება. რომელიღაც ტიპს ქუჩაზე გადასვლის დროს მანქანა არტყამს. ვიღაცა ხელს სჭიდებს და ტროტუარისკენ მიათრევს, ზუსტად ფრედის ფეხებთან აწვენს. იქაურობა სულ სისხლითაა მოსვრილი. ის ტიპი უგონო მდგომარეობაშია და ყველა ხვდება, რომ, როგორც ჩანს, მალე მოკვდება. ხალხი თავზე ადგას, ყველა მომაკვდავს დაჰყურებს და უცებ ერთი ქალი ფრედის ამჩნევს – კაცი პასტორის სუტანაშია გამოწყობილი – ჰოდა, ხვეწნას უწყებს, აზიარეო. მოკლედ, დარხეული აქვს მამა ფრედის. არცერთი ლოცვა არ იცის, მაგრამ ახლა რომ გაიქცეს, ყველა მიხვდება, რომ პასტორად გადაცმული მამაძაღლია და ეგრევე დააპატიმრებენ. ამიტომ იმ კაცისკენ იხრება და რაღაცას ბურტყუნებს, ვითომ ლოცულობს, კინოში გაგონილ სისულელეებს იმეორებს. მერე ფეხზე დგება, ტიპს ჯვარს გადასწერს და ეგრევე, შეუმჩნევლად ტყდება. ხომ მაგარია?

– მგონი, ამ თქვენს შეხვედრებზე დიდ განათლებას იღებ.

– ეგ რაა სხვებთან შედარებით! ფრედი ერთი ჩვეულებრივი ნარკომანია, რომელიც წამლისთვის ფულის შოვნას ცდილობდა. იმათგან, ვინც ახლა ამ დარბაზში ზის, ზოგს ნამდვილი სიგიჟეები აქვს გაკეთებული. იმ შავკანიან ბიჭს ხედავ, კუთხის მაგიდასთან რომ ზის? ჯერომი ჰქვია, ჯანიანი ბიჭია, აი, ის

ლურჯსვიტერიანი. „ატიკაში“ ათი წელი აქვს გატარებული, მკვლელობისთვის. ქერა გოგო დაინახე, იმ მაგიდას რომ უზის დედამისთან ერთად? სალი ჰქვია. ეგ სალი პარკ ავენიუზე გაიზარდა, ნიუ-იორკის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახიდანაა. გუშინ გვითხრა, მეათე ავენიუზე, სადღაც ლინკოლნის გვირაბის სიახლოვეს ვმაიმუნობდი, ოც დოლარად ტიპებს მანქანებში ვაძლევდიო. იქითა კუთხეში ყვითელპერანგიან ლათინოამერიკელს შეხედე. ეგ ალფონსოა. მაგან თავისი ათი წლის ქალიშვილი გააუპატიურა – მაგისთვის იჯდა. გეუბნები, სიდ, ეგეთ ტიპებთან შედარებით მე საშუალო კლასის წიაღში გაზრდილი ერთი საყვარელი ბიჭი ვარ.

პუდინგმა, როგორც ჩანს, ცოტა ჯანზე მოიყვანა და როცა სინები სამზარეულოსკენ მიგვქონდა, მის ნაბიჯებში მეტი სიმტკიცე და მოქნილობა იგრძნობოდა, ყოველ შემთხვევაში, ფრატუნით მოსიარულე მთვარეულს აღარ ჰგავდა, როგორადაც სადილამდე, ჰოლში დანახვისთანავე მომეჩვენა. ასე იყო თუ ისე, ამასობაში ორმოცი-ორმოცდახუთი წუთი გავიდა და ჩავთვალე, რომ ჯონის წინაშე ვალი უკვე პირნათლად მქონდა მოხდილი. სასადილო ოთახიდან რომ გავდიოდით, ჯეიკობმა მკითხა, მეოთხე სართულზე ასვლა და მისი ოთახის დათვალიერება ხომ არ მსურდა. ორის ნახევარზე ჯგუფების ერთობლივი შეხვედრა დაიწყებაო, მითხრა, ოჯახის წევრები და ნათესავებიც მოპატიჟებულები არიანო. თუ მომინდებოდა, მეც დავესწრებოდი, შეხვედრის დაწყებამდე კი მის ოთახში შეგვეძლო საუბრის გაგრძელება. მოულოდნელად ვიგრძენი, რომ ჩემი გაშვება არ უნდოდა. იყო რაღაც გულისამაჩუყებელი იმაში, თუ როგორ ჩამებღაუჭა იმ დღეს. კაცმა რომ თქვას, ერთმანეთს კარგად არც ვიცნობდით, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ ადგილას თავს იმდენად მარტოდ

გრძნობდა, ლამის მეგობრად მიმიღო, იმის მიუხედავად, რომ მშვენივრად ხვდებოდა, მეგობრად კი არა, სინამდვილეში მამამისის ფარულ აგენტად ვიყავი მისული და იქიდან გასვლისთანავე მას ყველაფერს წვრილად მოვუყვებოდი. ძალიან მინდოდა, მის მიმართ ცოტაოდენი სიბრალული მაინც მეგრძნო, მაგრამ ვერ შევძელი. ეს ის ადამიანი იყო, ვინც ჩემს ცოლს სახეში შეაფურთხა და მართალია, ეს შემთხვევა ექვსი წლის წინ მოხდა, თავი ვერ ვაიძულე, ეს ამბავი დამევიწყებინა და ბიჭისთვის მეპატიებინა. საათს დავხედე და მივუგე, ათ წუთში მეორე ავენიუზე ერთ ადამიანს უნდა შევხვდე-მეთქი. ჯეიკობის თვალებში ჩამდგარი იმედგაცრუება არ გამომპარვია, თუმცა გულგრილობის ნიღბის აფარება მაშინვე, რაღაც წამებში მოახერხა.

– ეგ არაფერი, მეგობარო, – მითხრა, – თუ წასასვლელი ხარ, უნდა წახვიდე, აბა როგორ.

– ვეცდები, იქითა კვირას კიდევ მოვიდე, – ვუთხარი, მაგრამ მშვენივრად ვიცოდი, რომ იქ ფეხის მიმდგმელი აღარ ვიყავი.

– როგორც მოახერხებ, სიდ. ეგ შენი გადასაწყვეტია.

მხარზე ხელი ისე მომითათუნა, თითქოს დიდ მოწყალებას სჩადიოდა, მერე კი დასამშვიდობებლად ხელის ჩამორთმევა ვერ მოვასწარი, რომ ქუსლებზე შეტრიალდა და კიბისაკენ გაემართა. კიდევ რამდენიმე წუთს ვიდექი დერეფანში, მიმავალს გავყურებდი, თუ მობრუნდება, თავს მაინც თუ დამიკრავს, ხელს დავუქნევ-მეთქი, მაგრამ არაფერი მსგავსი არ გაუკეთებია. კიბის პირველი მარში აიარა, მოუხვია, მეორე მარშს შეუდგა და მერე თვალს მიეფარა. მხოლოდ ამის შემდეგ მივაშურე სარეგისტრაციო ოთახს და იმდღევანდელი მნახველების სიიდან ამოვეწერე.

***

პირველ საათს ოდნავ გადაცდენილი იყო. ზედა ისტ საიდზე, საერთოდ, იშვიათად ვხვდები და რაკი უკანასკნელი საათის განმავლობაში ისე დათბა, რომ ქურთუკი მეზედმეტებოდა. ყოველდღე სეირნობის საჭიროება გავიხსენე და კლინიკის მიდამოებში ფეხით გავლა გადავწყვიტე. ძალიან გამიჭირდებოდა ჯონისთვის იმის თქმა, რამდენად დამთრგუნველი გამოდგა ჩემთვის ჯეიკობის მონახულება, ამიტომ ტრაუზესთან დასარეკად მაშინვე ტელეფონს არ ვცემივარ. ეს ამბავი იმ დროისთვის გადავდე, როცა შინ, ბრუკლინში დავბრუნდებოდი. ბინიდან ვერ დავურეკავდი (ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ გრეისი შინ იქნებოდა), მაგრამ „ლანდოლფის" უკან ძველი დროიდან შემორჩენილი ერთი ჯიხური მეგულებოდა, კარი რომ აკორდეონივით ეკეცებათ, ისეთი და ვიფიქრე, პირად თემებზე საუბრისთვის უკეთეს ადგილს ვერ ვიპოვიმეთქი.

„სმითერსიდან" ოციოდე წუთის გამოსული ვიყავი, რომ ლექსინგტონ ავენიუს 90-იანი ნომრების დასაწყისში აღმოვჩნდი, ფეხით მოსიარულეების ხალვათ მასას შევერიე და შინ დაბრუნებაზეც კი დავიწყე ფიქრი, რომ უცებ ვიღაც დამეჯახა და მხარი მარცხენა მხარზე გამკრა. ნეტავ ვინ არის-მეთქი, – მის დასანახავად თავი მივაბრუნე და მერე უცნაური რამ მოხდა – ისეთი რაღაც, რაც შესაძლებელის ზღვარს მიღმა უნდა ყოფილიყო და მეც თავიდან ჰალუცინაციად აღვიქვი. იქვე, ლექსინგტონ ავენიუს მოპირდაპირე ტროტუარზე, იქიდან, სადაც ვიდექი, ზუსტად ოთხმოცდაათგრადუსიანი კუთხით პატარა მაღაზიის ფასადი დავლანდე. კარის თავზე აბრა იყო გამოკიდებული, ზედ კი ეწერა: „ქაღალდის სასახლე". „ნუთუ ეს შესაძლებელია," – გავიფიქრე, – „ნუთუ ჩანგმა თავისი

მაღაზია აქ გადმოიტანა“? ეს ამბავი, რატომღაც, საოცრებად აღვიქვი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რა სისწრაფით შეჰქონდა ცვლილებები ამ კაცს თავის ცხოვრებაში – მაღაზია ერთ ღამეში დახურა, წითელ მანქანაში გაიჯგიმა, ფულს საეჭვო ბიზნესში დებდა, ფულს სესხულობდა (სესხულობდა და ხარჯავდა კიდეც) – ნეტავ ეჭვი რატომ შევიტანე, რომ მაღაზია მისი იქნებოდა? როგორც ჩანს, ჩანგს აჩქარებული რიტმის ბუნდოვანებაში მოსწონდა ცხოვრება, თითქოს სამყაროს საათი მისთვის უფრო ნელა წიკწიკებდა, ვიდრე დანარჩენი ადამიანებისთვის, სხვისი წუთი ამას საათად ეჩვენებოდა და თუ იმასაც გავითვალისწინებდი, რომ ბოლო ხანს ამდენი თავისუფალი დრო ჰქონდა, ვითომ ვერ მოახერხებდა, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ მაღაზია ლექსინგტონ ავენიუზე გაეხსნა?

მეორე მხრივ, შესაძლებელი იყო, ეს უბრალო დამთხვევა გამომდგარიყო. „ქაღალდის სასახლე“ საკანცელარიო მაღაზიისთვის მაინცდამაინც ორიგინალური სახელწოდება არაა. თავისუფლად შეიძლებოდა, ასეთი დასახელების მაღაზია სხვასაც ჰქონოდა. ქუჩაზე გადავირბინე, რომ ჩემი ეჭვების სისწორეში დავრწმუნებულიყავი. სანამ ტროტუარზე ფეხს შევდგამდი, ყოველ ნაბიჯთან ერთად მემატებოდა განცდა, რომ „ქაღალდის სასახლის“ მანჰეტენური ვერსია ჩანგის საკუთრება ვერანაირად ვერ იქნებოდა. მაღაზიის ვიტრინაც სულ სხვანაირად იყო გაფორმებული, ვიდრე ის, პირველი, წინა შაბათს, ბრუკლინში რომ თვალი მომტაცა. აღარც ქაღალდის ის აწონილი დასტები ჩანდა, ნიუ-იორკის ჩვეულ სილუეტსა და მის ცათამბჯენებს რომ ასახიერებდა. ახლანდელი ვიტრინა გამფორმებელს უწინდელზე უფრო ოსტატურად, წარმოსახვის მეტი გაქანებითაც კი მოეწყო. მამაკაცის პატარა,

თოჯინისხელა ფიგურა ასეთსავე პატარა მაგიდასთან იჯდა, წინ მინიატურული საბეჭდი მანქანა ედო. ხელები მის კლავიატურაზე ეწყო, ცილინდრზე ქაღალდის ფურცელი იყო დახვეული და თუ ფანჯარას თავს მიადებდი და ხელით შუქს მოიჩრდილავდი, იმ გვერდზე დაბეჭდილი სიტყვების ამოკითხვას შეძლებდი: *„იყო დრო უკეთესობისა, იყო დრო უარესობისა, იყო ხანა სიბრძნისა, იყო ხანა სიბრიყვისა, იყო რწმენის ეპოქა, იყო ეპოქა ურწმუნობისა, იყო სინათლის ჟამი, იყო ჟამი სიბნელისა, იყო იმედების გაზაფხული, იყო ზამთარი სასოწარმკვეთი, ჩვენს აქ მოსვლამდე ყველაფერი იყო, არაფერი ყოფილა ჩვენს აქ მოსვლამდე...“*

კარი შევაღე და მაღაზიაში ფეხი შევდგი. ზღურბლს რომ გადავაბიჯე, ზანზალაკის ნაცნობი წკარუნი გავიგონე, ისეთი, მეთვრამეტე ქუჩის „ქაღალდის სასახლიდან“ რომ ჩამრჩა მეხსიერებაში. ბრუკლინის მაღაზია ხომ არ იყო დიდი, ეს იმაზე პატარაც კი იყო. ხის თაროებზე ძველებურად დახვავებული ნაირ-ნაირი საქონელი ჭერს სწვდებოდა. ჩემ გარდა, მყიდველი და შემომსვლელი მაშინდელივით არავინ ჩანდა. თავიდან ვერავინ დავინახე, მაგრამ დახლის ქვემოდან რაღაც ნაზი გაშრიალება თუ გაფაჩუნება მომესმა, თითქოს ვიღაც ფეხსაცმლის თასმის შესაკარავად ან ძირს დავარდნილი კალმის თუ ფანქრის ასაღებად დაიხარა. იმ ვიღაცის გასაგონად ხმა ჩავიწმინდე. ერთი-ორი წამი გავიდა და მართლაც, სად იყო და სად არა, დახლის უკნიდან ბატონი ჩანგი გამოძვრა და ხელები დახლზე დააწყო – კაცს ეგონებოდა, წონასწორობის შესანარჩუნებლად ეყრდნობაო. ამჯერად ტანზე ყავისფერი სვიტერი ეცვა, თმა დაუვარცხნელი ჰქონდა. უწინდელზე ხმელი მეჩვენა, პირის გარშემო ღრმა ნაოჭები შევნიშნე და არც ოდნავ ჩასისხლიანებული თვალები გამომპარვია.

– მომილოცნია, – ვუთხარი ჩანგს, – „ქაღალდის სასახლე“ ისევ ფეხზე დაგიყენებიათ!

ჩანგი სრულიად უმეტყველო სახით მომაჩერდა, თითქოს ვერ მცნობდა, ან არ უნდოდა, რომ ვეცნე.

– ბოდიში, – მომიგო, – მე თქვენ არ გიცნობთ.

– აბა, რას ამბობთ, მშვენივრად იცით, ვინც ვარ. სიდნი ორი გახლავართ. რამდენიმე დღის წინ ლამის მთელი დღე ერთად გავატარეთ.

– სიდნი ორი ჩემი მეგობარი არ არის. ადრე მეგონა, კარგი კაცი იყო, მაგრამ ახლა აღარ მგონია.

– არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ.

– თქვენ მიღალატეთ, მისტერ სიდ. თქვენ გამო ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვიყავი. არ მინდა, აღარ, თქვენთან ნაცნობობა. დამთავრდა ჩვენი მეგობრობა.

– არ მესმის. ასეთი რა ჩავიდინე?

– ტანსაცმლის ფაბრიკაში მარტო დამტოვეთ. არც კი დამშვიდობება იფიქრეთ. ასე მეგობარი მოიქცევა?

– იმ დღეს ყველგან გეძებეთ. მთელი ბარი მოვიარე და როცა ვერსად დაგინახეთ, ჩავთვალე, რომ ერთ-ერთ კაბინაში იყავით. ვიფიქრე, ხელს აღარ შევუშლი-მეთქი. ამიტომაც წამოვედი. გვიანდებოდა და შინ უნდა წავსულიყავი.

– შინ საყვარელ ცოლთან. იმის მერე, რაც ჩვენმა აფრიკელმა დედოფალმა თქვენთვის მინეტი გააკეთა. რა სასაცილოა, არა, მისტერ სიდ? ახლა აქ რომ მარტინი შემოვიდეს, ისევ ესე მოხდება. აი, აქვე, მაღაზიის იატაკზე. ის გოგო ძაღლივით იხმარეთ და ყოველი წამი ნეტარება იყო.

– მთვრალი ვიყავი. გოგონა ძალიან ლამაზი იყო და თავს ვერ მოვერიე. ეგ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ოდესმე ამას კიდევ გავიმეორებ.

– მთვრალი არ იყავით. თქვენ გარყვნილი და მატყუარა კაცი ხართ. როგორც ყველა ეგოისტები.

– მაშინ მითხარით, ამ გოგონაზე უარს ვერავინ იტყვისო და მართალიც აღმოჩნდით. შეგიძლიათ საკუთარი თავით იამაყოთ, ჩანგ. ჩემს არსებაში ღრმად ჩაგიხედავთ და ჩემი სუსტი მხარეები ამოგიცნიათ.

– იმიტომ, რომ თქვენ ჩემზე ცუდი ფიქრები იფიქრეთ, აი მაგიტომ. გამოვიცანი, რა გქონდათ თავში.

– ოჰო?! და ვითომ იმ დღეს თქვენზე რა გავიფიქრე?

– ეს გაიფიქრეთ: ჩანგი უწესო ბიზნესშია. ბინძური უგულო კაცი ფულს ბოზებზე აკეთებს. კაცი, რომელიც მარტო ფულზე ფიქრობს.

– არ ხართ მართალი.

– არა, მისტერ სიდ, მე სიმართლე ვარ. ახლა ჩვენ ლაპარაკს დავამთავრებთ. თქვენ დიდი ჭრილობა მიაყენეთ ჩემს სულს და ახლა ლაპარაკს დავამთავრებთ. მაღაზია დაათვალიერეთ, თუ გნებავთ. „ქაღალდის სასახლეში“ კლიენტად ყოველთვის მოგესალმებით. მეგობრად კი – აღარ. ჩვენი მეგობრობა მოკვდა. მეგობრობა მოკვდა და დაიმარხა. ყველაფერი დამთავრდა.

არ მახსენდება, ოდესმე ვინმეს ჩემთვის ისეთი შეურცხყოფა მოეყენებინოს, როგორიც იმ დღეს ჩანგმა მომაყენა. როგორც ჩანს, მეც ძალიან ვატკინე გული, უნებლიეთ უპატივცემულობა გამოვიჩინე, ღირსება შევულახე და როცა ამ მოკლე-მოკლე, ხისტ ფრაზებში ჩადებულ გულისნადებს ასე დაუფარავად, გაცეცხლებით მაყრიდა, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს მართლა თვლიდა, რომ ჩემი დანაშაულისთვის წყალში დახრჩობას ან ძელზე გასმას ვიმსახურებდი. ტანსაცმლის ფაბრიკაში დაუმშვიდობებლად მივატოვე, თავს ვერ მოვერიე

და აფრიკელ დედოფალს ჩავეხუტე და, რაც მთავარია, მის მორალურ სისუფთავეში დავეჭვდი, როცა კლუბში ფულის ჩადების სურვილი გამანდო. ამის უარყოფას არანაირი აზრი აღარ ჰქონდა, მერე რა, რომ მე თვითონ ჩემს დანაშაულს ასე მძაფრად ვერ აღვიქვამდი. თავს დამნაშავედ მაინც ვგრძნობდი, თუნდაც იმიტომ, რომ მარტინთან ფარდის უკან განვმარტოვდი, მერე კი ამ ამბის გახსენება სულაც აღარ მსურდა და დავიწყებას მივეცი. ჩანგს ახლა მაინც უნდა დავმშვიდობებოდი და დაუყოვნებლივ შინ წამოვსულიყავი, მაგრამ სულ სხვანაირად მოვიქეცი. პორტუგალიური რვეულები იმ დროისთვის უკვე ისეთ დიდ ახირებად მექცა, თავი ვერ ვაიძულე, მაღაზიიდან მანამ გამოვსულიყავი, სანამ იმათ არ დავხედავდი და არ დავრწმუნდებოდი, რომ ყველა არ გაყიდულიყო. ძალიან კარგად მესმის, რა სიბრიყვე ჩავიდინე: მასპინძელს ჩემი იქ ყოფნა აღარ სურდა, მე კი ფეხი არ მომიცვლია, თავს ვერ მოვერიე და რვეულებისთვის თვალის შევლება გადავწყვიტე.

ერთი ცალი მართლაც დავინახე: წითელი რვეული მაღაზიის სიღრმეში, ქვედა თაროზე, გერმანულ და კანადურ რვეულებს შორის იდო. დარწმუნებული ვარ, სწორედ ის ცალი იყო, წინა შაბათს ბრუკლინში რომ ვნახე. ფასიც იგივე ჰქონდა – ისევ ხუთი დოლარი. რვეული ავიღე, სალაროს მივაშურე და სანამ ჩანგს გავუწვდიდი, კიდევ ერთხელ გავუმეორე, რომ მისთვის მიყენებული წყენისა თუ სხვა უსიამოვნებების გამო ძალიან ვწუხდი. ვუთხარი, კვლავაც შეგიძლიათ, მეგობრად მიგულოთ, ხოლო როცა საკანცელარიო ნივთები დამჭირდება, როგორი შორი გზაც არ უნდა მქონდეს გამოსავლელი ამ მაღაზიამდე, მაინც ყოველთვის თქვენთან შევიძენ-მეთქი. ჩანგმა ამომხედა, თავი გადააქნია და რვეულს მარჯვენა ხელი დაუსვა.

– ბოდიში, – მომიგო მშვიდად, – ეს რვეული არ იყიდება.

– რას გულისხმობთ? ახლა მაღაზიაში ვართ, ასე არ არის? რაც აქ დევს, წესით, ყველაფერი უნდა იყიდებოდეს, – საფულიდან ათდოლარიანი ამოვაძრე და გავუწოდე, – აი, ფული. რვეულს ხუთი დოლარი აწერია. ახლა, თუ შეიძლება, ჩემი ხურდა მომეცით. და რვეულიც, რა თქმა უნდა.

– შეუძლებელია. ეს წითელი რვეული ბოლო პორტუგალიური რვეულია, სხვა კლიენტისთვის შევინახე.

– თუ სხვისთვის ინახავთ, მაშინ დახლს ქვემოთ უნდა გედოთ, იქ, სადაც ვერავინ დაინახავს. თუ რვეული თაროზე დევს, ეგ იმას ნიშნავს, რომ რვეული ნებისმიერმა შემომსვლელმა შეიძლება იყიდოს.

– ოღონდ არა თქვენ, მისტერ სიდ.

– კეთილი. იმ სხვას ამ რვეულში რამდენი უნდა გადაეხადა?

– ხუთი დოლარი. რამდენიც რვეულის იარლიყში წერია.

– ძალიან კარგი. მე ათ დოლარს გაძლევთ. ასე ორივენი კმაყოფილები დავრჩებით. აბა, რას იტყვით?

– ათი არა. ათი ათასი დოლარი!

– *ათი ათასი* დოლარი? ხომ არ შეიშალეთ?

– ეს რვეული თქვენთვის არ არის, სიდნი ორ. თქვენ სხვა რვეულს ყიდულობთ, ორივენი კმაყოფილები ვართ, კარგი?

– ახლა ყური მიგდეთ, – ვუთხარი და ვიგრძენი, რომ თანდათანობით წონასწორობას ვკარგავდი, – რვეული ხუთი დოლარი ღირს, მე, ჩემივე სურვილით, ათს გიხდით. ამაზე მეტის გადახდას არ ვაპირებ.

– ხუთი ათას დოლარს ახლა მაძლევთ, ხუთს – ორშაბათს. თუ არა, სხვა რვეული იყიდეთ.

ჩვენი დიალოგი უკვე სიგიჟეს ემსგავსებოდა. ჩანგის აბ-

სურდულმა პრეტენზიებმა, მერე კი ამ აბუჩად აგდებამ ბოლოს მოთმინებიდან გამომიყვანა. ზედმეტი ლაი-ლაი დროის უსარგებლო კარგვად ჩავთვალე, რვეული ხელიდან გამოვგლიჯე და კარისკენ გავეშურე.

– აიღე ეგ ათი დოლარი და ტრაკზეც მაკოცე. მე აქედან მივდივარ! – მივუგდე ჩანგს მხარუკულმა.

ორიოდე ნაბიჯიც არ გადამედგა, რომ ჩანგი დახლის უკნიდან გამოექანა, წინ გადამიდგა და კარისაკენ მიმავალი გზა გადამიღობა. გვერდის ავლა ვცადე და მხარი გავკარი, მაგრამ ძვრა ვერ ვუყავი. მეორე წუთს ჩანგმა ჩემს რვეულს ხელი ჩაავლო და თავისკენ ქაჩვა დაუწყო. მეც მოვქაჩე და რვეული გულზე მივიკარი, რომ ხელიდან არ გამცურებოდა. „ქაღალდის სასახლის“ მეპატრონე ქვასავით მაგარი კუნთებისა და მავთულივით მოქნილი სხეულის პატრონიც გამოდგა და მკერდზე მიკრული რვეულის წასართმევად ათი წამიც არ დასჭირვებია. მისი წამრთმევი რომ არ ვიყავი, კარგად ვხვდებოდი, მაგრამ უკვე ვეღარ ვმშვიდდებოდი, იმედგაცრუებამ ძალა შემმატა, მარცხენა ხელით ხელი დავუჭირე, მარჯვენა კი ფერდში ვატაკე. სკოლის ასაკის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ვიღაცას მუშტი ჩავაზილე, მაგრამ დარტყმა ზუსტი არ გამოდგა და ბევრი ვერაფერი ვავნე. სამაგიეროდ, ჩანგის საპასუხო დარტყმა იყო ძლიერი: კარატეს ილეთით მარცხენა მხარში მეძგერა, ხელი ლამის დანასავით მატაკა და ტკივილი იმდენად მძლავრი გამოდგა, ერთხანს მეგონა, მხარი სხეულზე არ შემრჩებოდა. მუხლებზე დავეცი. წამოდგომას ვცდილობდი, მაგრამ ჩანგი ზურგზე მომახტა. ვცდილობდი, დარტყმები ამერიდებინა, თუმცა ჩანგმა წიხლების რტყმა დამიწყო და ფეხსაცმლის ჭვინტი ნეკნებსა და ხერხემალში გამეტებით დამიშინა. მის წიხ-

ლებს ორად მოკაკვული ვიგერიებდი და თან გამწარებით ვცდილობდი ასე, გორაობა-გორაობით გამეკვლია გზა გასასვლელისკენ. კართან დაგებულ ლითონის დაფას რომ მივაღწიე, ჩანგმა კარის სახელური დასწია; საკეტი ხმაურით გაიღო და რამდენიმე წამში ტროტუარზე აღმოვჩნდი.

– წაეთრიე, აქ აღარ დაგინახო! – მიყვირა ჩანგმა, – თუ დაბრუნდები, მოგკლავ! გესმის, სიდნი ორ? გულს ამოგგლეჯ და ღორებს შევაჭმევ!

არც ჩანგზე და არც იმ ამბავზე, იმ დღეს ზედა ისტ საიდში რომ შემემთხვა, გრეისისთვის ერთი სიტყვაც არასდროს მითქვამს. ჩანგმა დაუზოგავად მირტყა, ყველა კუნთი მტკიოდა, მაგრამ ცემას მაინც იოლად გადავურჩი, მხოლოდ წელის ზედა არეში დამრჩა ოდნავ შესამჩნევი ჩალურჯებები. როგორც ჩანს, მისი ფეხსაცმლის ჭვინტისგან ქურთუკმა და სვიტერმა დამიცვა, არადა, სანამ მაღაზიას დავინახავდი, მახსოვს, სეირნობის დროს დამცხა და ქურთუკი კინაღამ გავიხადე. ახლა კი ვფიქრობდი, იღბალი მქონია, რომ „ქაღალდის სასახლეში“ პერანგის ამარა არ შევედი-მეთქი, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონტექსტში „იღბალი“ ცოტა შეუფერებელი სიტყვა იყო. სანამ თბილი ღამეები იდგა, მე და გრეისს ყოველთვის შიშვლებს გვეძინა, მაგრამ ახლა უკვე გვარიანად ციოდა და გრეისი თეთრი აბრეშუმის პიჟამათი იძინებდა, ამიტომ არ გაკვირვებია, როცა საბანქვეშ მაისურით შევუწექი. სექსის დროსაც კი (მაგალითად, შაბათ საღამოს) ვერაფერი შენიშნა, რადგან საძინებელში თითქმის ბნელოდა.

კვირა დილით, როცა შინიდან „ტაიმსის“ საყიდლად გამოვედი, ტრაუზეს „ლანდოლფიდან“ დავურეკე. თუკი რამ გა-

მახსენდა ჯეიკობთან გუშინდელი სტუმრობის შესახებ, ყველაფერი ვუამბე. არც ის დამვიწყებია, რომ მის შვილს ყურებში ორმაგი ქინძისთავები აღარ ეკეთა (ცხადია, საავადმყოფოში მათი ტარება უსაფრთხოების მიზნით იქნებოდა აკრძალული). რაც კი რამ საყურადღებო აზრი გამოუთქვამს მის შვილს ჩემი მისვლის წუთიდან იმ მომენტამდე, როცა თავის ოთახში ასასვლელად გაემართა, დაწვრილებით გავარჩიეთ. ჯონს ჩემი შთაბეჭდილება აინტერესებდა: როგორ მომეჩვენა, დარჩებოდა ჯეიკობი კლინიკაში მთელი თვე, თუ დროზე ადრე გაიქცეოდა? ვუპასუხე, არ ვიცი, თქმა მიჭირს, რაღაც გეგმები მიხსენა და ცოტა არ იყოს, ცუდად მენიშნა ეგ ამბავი-მეთქი. ბიჭს თავისი საქმეები ჰქონდა, რის შესახებაც მშობლებმა არაფერი იცოდნენ და არც მას ჰქონდა გულის გადახსნის სურვილი. ჯონმა თავისი ეჭვი გამიზიარა, შესაძლებელია, მისი გეგმები ნარკოტიკით ვაჭრობას უკავშირდებოდესო. ვკითხე, რატომ ჰქონდა ასეთი ეჭვი, მაგრამ მისი დასაბუთება მოპარულ სწავლის ფულს არ გასცდენია. სასაუბრო თემა სწორედ ამ ადგილას ამოგვეწურა. ჩამოწოლილ დუმილში მხნეობა მოვიკრიბე და ჯონს გამოვუტყდი, რა დამემართა კვირის დასაწყისში – როგორ დავკარგე მეტროში მისი „ძვლების იმპერია“. აღიარებისთვის უფრო შეუფერებელი დროის შერჩევა ალბათ შეუძლებელი იყო: თავიდან ტრაუზე ვერც კი მიხვდა, რაზე ველაპარაკებოდი. მთელი ამბის ხელახლა მოყოლა მომიწია. როცა გააცნობიერა, რომ მისი მოთხრობის ხელნაწერმა მეტროს მატარებლით კონი აილენდამდე იმოგზაურა, ბევრი იცინა.

– ამ ამბის გამო თავს ნუ დაიტანჯავ, – მითხრა, – მაგ მოთხრობის ერთი თუ ორი ასლი კიდევ მაქვს. იმ წლებში ქსეროქსის აპარატები არ გვქონდა და რასაც ვწერდით, ყვე-

ლაფერს რამდენიმე ასლად ვბეჭდავდით. ახლა ერთ ასლს კონვერტში ჩავდებ და მადამ დიუმას ვთხოვ, ამ კვირაში ფოსტით გამოგიგზავნოს.

მომდევნო დილას, ორშაბათ დღეს, ლურჯ რვეულს უკანასკნელად მივუბრუნდი. მისი ოთხმოცდათექვსმეტი გვერდიდან ორმოცი უკვე შევსებული მქონდა, მაშასადამე, რამდენიმესაათიანი მუშაობისთვის სუფთა გვერდები საკმარისზე მეტი დამრჩენოდა. წერა რომელიღაც შუა გვერდიდან დავიწყე: ფლიტკრაფტის ისტორია სამუდამოდ უკან მოვიტოვე. ბოუენი, როგორც ჩანს, მიწისქვეშეთში სამუდამოდ გამოკეტილი დარჩება-მეთქი, – გავიფიქრე. გადავწყვიტე, მისი გამოხსნის მცდელობებს შევშვებოდი. თუკი ჩანგთან ბოლო შეხვედრიდან რაიმე დასკვნა გამოვიტანე, პირველი ის გახლდათ, რომ ლურჯი რვეული მხოლოდ უბედურებებს მომიტანდა და რაც არ უნდა დამეწერა მის გვერდებზე, ყველაფერი მარცხისთვის განწირული იქნებოდა: ყველა მოთხრობა შუაში გაწყდებოდა, ყველა პროექტი თუ ჩანაფიქრი დაუსრულებელი დამრჩებოდა; რომელიღაც წუთს აუცილებლად მივხვდებოდი, რომ გზაკვალი დამეკარგა. და მაინც, იმდენად გაცოფებული ვიყავი ჩანგზე, არ მინდოდა, ბოლო სიტყვა მას დარჩენოდა. არა, ამ სიხარულს ვერ მივანიჭებდი. ვიცოდი, რომ დადგა დრო, ჩემს ლურჯ პორტუგალიურ *caderno*-ს* გამოვმშვიდობებოდი, მაგრამ ამას მხოლოდ ჩემ მიერ დადგენილი წესებით ვაპირებდი, სხვაგვარად მორალური მარცხის შეგრძნება ცხოვრების ბოლომდე მოსვენებას არ მომცემდა. სხვა რომ არაფერი, საკუთარი თავისთვის ხომ მაინც უნდა დამემტკიცებინა, რომ ლაჩარი არ ვიყავი.

---

* რვეული (პორტ.)

აუჩქარებლად, სიფრთხილით გამომყავდა ქაღალდზე სიტყვები; იმიტომ კი არა, რომ წერის მოთხოვნილება მქონდა – პროტესტის გრძნობა მაწერინებდა. თუმცა ძალიან მალე აღმოვაჩინე, რომ ჩემი ყველა ფიქრი გრეისს დასტრიალებდა. ლურჯი რვეული მაგიდაზე გადაშლილი დავტოვე, სასტუმრო ოთახში გავედი და მუხის ხის კომოდის ქვედა უჯრიდან, სადაც ათასნაირი დანიშნულების საგნებს ვინახავდით, მისი ერთ-ერთი ფოტოალბომი ამოვიღე. მადლობა ღმერთს, ოთხშაბათის ძარცვას ეს უჯრა ხელუხლებელი გადარჩენოდა. ეს განსაკუთრებული ალბომი იყო, რომელიც, როგორც საქორწინო საჩუქარი, გრეისის უმცროსმა დამ, ფლომ შეგვიდგინა და გადმოგვცა. მასში ათასობით ფოტო იყო თავმოყრილი და ჩემი ცოლის ცხოვრების პირველი ოცდაშვიდი წელიწადის ვიზუალურ აღწერას ჰგავდა. საავადმყოფოდან შინ დაბრუნების შემდეგ ალბომში ერთხელაც არ ჩამეხედა და იმ დილით, როცა ჩემს სამუშაო ოთახში მისი ფურცვლა დავიწყე, ის ამბავი გამახსენდა, ჯონ ტრაუზემ თავისი ცოლის ძმასა და სამგანზომილებიან გამშვებზე რომ გვიამბო.

პირველ გვერდზე ახალშობილი გრეისის ფოტო იყო – ერთი ბენო ჩვილი ბავშვის საწოლში. აი, ორი წლის გრეისი, მაღალი მწვანე ბალახით დაფარულ მინდორზე შიშველი დგას, ხელები ცისკენ აღუპყრია და იცინის. ისევ ბავშვობის სურათები: გრეისი ოთხი, ექვსი და ცხრა წლის ასაკში. ერთ-ერთ მათგანზე მაგიდას უზის და სახლს ხატავს; სხვაგან სკოლის ფოტოგრაფის ობიექტივს ყურებამდე გაღიმებული შესცქერის და რამდენიმე წინა კბილი აკლია. აი, წაბლა ცხენზე ამხედრებული გრეისი, ვირჯინიის რომელიღაც სოფელში ჯირითის შემდეგ. გრეისი, თორმეტი წლის ასაკში, კეფაზე შეკრული გრძელი თმით: ამ ფოტოზე ძალიან სასაცილო იერი

აქვს – უყურებ და ხვდები, რამდენად მოუქნელად გრძნობს თავს მოზარდი გოგონას სხეულში. და ბოლოს, თხუთმეტი წლის გრეისი, დამშვენებული, ჩამოყალიბებული... მასში უკვე ის მშვენიერი ქალი ილანდება, რომლადაც წლების შემდეგ უნდა იქცეს. ამათ გარდა, ჯგუფური ფოტოსურათებიც იყო: ტებეთსების საოჯახო პორტრეტები, გრეისი ჩემთვის უცნობ მეგობრებთან ერთად სკოლასა და კოლეჯში. ოთხი წლის გრეისი ტრაუზეს კალთაში უზის, აქეთ-იქით კი მშობლები უსხედან. აი, ტრაუზე გრეისისკენაა დახრილი და სადაცაა, ლოყაზე აკოცებს – ეს გრეისის მეათე თუ მეთერთმეტე დაბადების დღეზე ხდება. გრეისი და გრეგ ფიცჯერალდი „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთის“ საშობაო წვეულებაზე კომიკური გრიმასებით.

ისევ გრეისი, ჩვიდმეტი წლისა, გამოსაშვები საღამოს კაბაშია გამოწყობილი. ოცი წლის გრეისი, უკვე კოლეჯის სტუდენტი, პარიზში, გრძელი თმითა და მაღალსაყელოიანი შავი ზედატანით, ღია კაფეში ზის და სიგარეტს ეწევა. გრეისი ტრაუზესთან ერთად პორტუგალიაში – ამ ფოტოზე ოცდაოთხი წლისაა, თმა მოკლედ აქვს შეჭრილი, უკვე ისე გამოიყურება, როგორც ზრდასრულობისას. სრულ თავდაჯერებულობას ასხივებს – ეს ის გრეისია, რომელიც მე გავიცანი.

ფოტოებს ალბათ საათზე მეტხანს ვათვალიერებდი, მერე კი კალამი ავიღე და წერა დავიწყე. ამ ბოლო დღეების შეშლილობას მიზეზი უნდა ჰქონოდა და რაკი ამა თუ იმ ინტერპრეტაციას ფაქტებით ძირს ვერ გავუმაგრებდი, მოვლენების და გარემოებების ჯაჭვში გზა მხოლოდ ალღოთი შემეძლო გამეკვლია. უნდა ყოფილიყო კიდევ რაღაც – რაღაც ამბავი, რომელიც ჩემი ცოლის მუდამ ცვალებადი

გუნება-განწყობის, მისი ცრემლების და იდუმალი ფრაზების უკან იდგა, რომელიც ოთხშაბათს მის გაუჩინარებას, ბავშვის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ მის დაეჭვებას ახსნიდა და როცა საწერად დავჯექი, ამბავი ტრაუზეთი დაიწყო და ტრაუზეთივე დასრულდა. ადვილად შესაძლებელია, რომ ვცდებოდი, მაგრამ ახლა, როცა კრიზისი თითქოს გადავლილი იყო, იმის ძალა ვიგრძენი, ჩემი ყველაზე ბნელი, ყველაზე მტანჯველი ეჭვები და ვარაუდები შემეჯერებინა. „წარმოსახვას გასაქანი მიეცი," – ვუთხარი საკუთარ თავს, – „გასაქანი მიეცი და ნახე, რა გამოვა ამ საქმიდან".

მაშ ასე, ტინას გარდაცვალებიდან ორი წელია გასული. უკვე ზრდასრული გრეისი ტრაუზეს მოსანახულებლად პორტუგალიაში ჩადის. ისეთი ლამაზია, მის ხიბლს კაცის გული ვერ გაუძლებს. ტრაუზე ორმოცდაათი წლისაა, ორმოცდაათი წლის ჯერაც ჯან-ღონით სავსე, ახალგაზრდული იერის მქონე მამაკაცი. წლების განმავლობაში ის გრეისის სულიერ და გონებრივ განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა: კარგ საკითხავს უგზავნიდა, კარნახობდა, რომელი მხატვრებითა თუ ნამუშევრებით დაინტერესებულიყო, იმ ლიტოგრაფიის შეძენაშიც კი დაეხმარა, რომელიც გრეისს თავისი ცხოვრების ყველაზე ღირებულ, ყველაზე ძვირფას შენაძენად ექცა. გოგონას ტრაუზე, შესაძლოა, ფარულად ადრეც, ბავშვობაშივე უყვარდა. ტრაუზეც მთელი ცხოვრების მანძილზე განსაკუთრებულ სინაზეს ამჟღავნებდა მის მიმართ. ახლა ჯონი უცოლო, მარტოხელა მამაკაცია, რომელიც ცდილობს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სულიერი წონასწორობა დაიბრუნოს. გრეისი კი სიყვარულითაა სავსე – ახალგაზრდა ქალი მისი მშვენების მწვერვალზე, თან ჯონის მიმართ სითბოს და თანაგრძნობას ასხივებს: ისე ადვილია

ახლა მისი მოპოვება! ვინ გაამტყუნებს ტრაუზეს, თუ ეს გოგონა შეუყვარდება? თუ რამე მესმის ამ ცხოვრებაში, მხოლოდ მას კი არა, ნებისმიერ მამაკაცს შეუყვარდებოდა.

ასე და ამგვარად, რომანიც ეწყებათ. მალე ტრაუზეს თოთხმეტი წლის ვაჟი ჩამოდის. ახლა ერთად ცხოვრება უწევთ და ბიჭი იმ სიტუაციას უჯანყდება, რომელიც მამის სახლში დახვდა. გრეისი ისედაც არასდროს ჰყვარებია, ახლა კი მან ჯონის გულში შვილის ადგილი დაიკავა, მამა მოჰპარა. ჯეიკობი მათ ბედნიერებას ყველანაირად ხელს უშლის. ამგვარად, ერთად ცხოვრება თანდათანობით სამივეს ჯოჯოხეთად ექცევა. ბოლოს ჯეიკობი ისეთ რამეს სჩადის, რისი პატიებაც აღარ შეიძლება და ამის გამო დედასთან გზავნიან.

ტრაუზეს გრეისი უყვარს, მაგრამ გრეისი მასზე ოცდაექვსი წლით უმცროსია, რაც მთავარია, მისი უახლოესი მეგობრის ქალიშვილია და თანდათანობით სურვილს დანაშაულის გრძნობა სძლევს. იმ გოგონასთან იწვა, ვისაც ბავშვობაში ლამის ძილისპირულს უმღეროდა. ეს რომ ოცდაოთხი წლის სხვა გოგონა იყოს, საქმე სულ სხვაგვარად იქნებოდა, მაგრამ როგორია, შენს საუკეთესო მეგობარს მიადგე და გამოუტყდე, რომ მისი ქალიშვილი გიყვარს? ბილ ტებეთსი ალბათ გარყვნილ კაცს უწოდებდა, სახლიდან წიხლის კვრით გააგდებდა. ეს ურთიერთობა აუცილებლად სკანდალით დასრულდებოდა. ტრაუზეს რომ გრეისი ცოლად შეერთო და სხვა ყველაფერი ფეხზე დაეკიდა, მაშინაც კი გრეისი მსხვერპლის როლში აღმოჩნდებოდა. ოჯახი მას ზურგს შეაქცევდა, ამას კი ტრაუზე საკუთარ თავს ვერასდროს აპატიებდა. ამიტომაც გრეისს ურჩევს, ცხოვრება მისი ასაკის კაცს დაუკავშიროს: აბა, მასთან რა მომავალი ელის! ორმოცდაათ წელსაც ვერ მიაღწევს, რომ უკვე ქვრივი ერქმევა.

რომანი სრულდება, გრეისი ნიუ-იორკში ბრუნდება, განადგურებული, იმედდაკარგული, გულმოკლული. გადის წელიწადნახევარი და ტრაუზეც ნიუ-იორკში გადადის. ჯონი ბეროუ სტრიტზე იდებს ბინას და მალე მათი რომანი ახალი ძალით იფეთქებს, მაგრამ რამდენადაც ძლიერ უყვარს ტრაუზეს გრეისი, იმდენად ეძალება ძველი ეჭვები, შინაგანი კონფლიქტი თავს ახალი ძალით ახსენებს. მასთან ურთიერთობას, რასაკვირველია, საიდუმლოდ ინახავს (ხომ შეიძლება, ამ ამბავმა ბილ ტებეთსის ყურამდე მიაღწიოს). მასთან ერთად გრეისიც თამაშობს და ქორწინების საკითხი სულაც არ ანაღვლებს: რაც მთავარია, საყვარელი მამაკაცი ხომ დაიბრუნა. „ჰოლსტ ენდ მაკდერმოთის“ რამდენიმე თანამშრომელი კუდში დასდევს, მაგრამ გრეისი ყველას სათითაოდ იცილებს. პირადი ცხოვრება გასაიდუმლოებული აქვს. გულისნადების სხვისთვის განდობა ჩვევად ისედაც არ ჰქონია და ამ ამბავზე ხომ სიტყვას ვერავინ დააცდენინებს.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ ორი-სამი კვირის შემდეგ მათ ურთიერთობაში მუდმივად განმეორებადი კანონზომიერებები იჩენს თავს და გრეისი ხვდება, რომ საკუთარი ცხოვრების სადავე ხელთ თავად აღარ უპყრია. ტრაუზეს თან უნდა გრეისი და თან არ უნდა. იცის, რომ გოგონას უნდა შეეშვას, მაგრამ გაშვება არ შეუძლია. ამიტომაც ასე ხდება: გაქრება, მერე ისევ გამოჩნდება, უკან დაიხევს, მერე ისევ დაბრუნდება და ყოველ ჯერზე, როცა ბრუნდება, გრეისი მასთან კი არ მირბის, ფრთაშესხმული მიფრინავს. ჯონს გრეისი უყვარს: ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე თუ თვეები. მერე კი ეჭვები უბრუნდება და კვლავ უკან იხევს. გრეისს ხან უჭირავს სადავეები, ან ჰგონია, რომ უჭირავს,

ხანაც ხელიდან უცებ უსხლტება... ასე გრძელდება მათი ურთიერთობა და გრეისი ვერაფერს ცვლის.

ამ სიგიჟის დაწყებიდან ცხრა თვეა გასული, როცა შექმნილ სურათში მეც შემოვდივარ. გრეისი გულში მივარდება და ტრაუზესთან კავშირის მიუხედავად, არც ისაა ჩემ მიმართ ბოლომდე გულგრილი. მისი დევნით არ ვიღლები, თან ვგრძნობ, რომ ჩვენ შორის ნამდვილად დგას ვიღაც – უსახელო მეტოქე, მისი გულის დაპყრობაში რომ მეცილება, მაგრამ მაშინაც კი, როცა გრეისი ტრაუზეს მაცნობს (სახელგანთქმულ მწერალს და ოჯახის ძველ მეგობარს), ეჭვიც კი არ მიჩნდება, რომ შესაძლოა, სწორედ ეს ადამიანი იყოს მისი ცხოვრების მამაკაცი. რამდენიმე თვის განმავლობაში გრეისი ჩემსა და მას შორის არჩევანის გაკეთებას ცდილობს, წვალობს, მაგრამ ვერაფერს წყვეტს. როცა ტრაუზე უკან იხევს, გრეისთან მე ვარ; შეეცდება თუ არა ტრაუზე მის დაბრუნებას, გრეისს ჩემთვის აღარ სცალია. მეც აგონიაში ვცხოვრობ, იმედიანი და გაწბილებით მოწამლული დღეები ერთმანეთს ცვლის, ყველაფერი მეორდება. გადის ხანი და მეჩვენება, რომ ამიერიდან ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მინდა. მერე კი გრეისი ჩემთან ურთიერთობას წყვეტს: ამ დროს ლამის გამოვიტირე ჩემი სიყვარული. გრეისმა ალბათ მაშინვე ინანა, როგორც კი ტრაუზესთან ურთიერთობის ხაფანგში ფეხი ხელახლა შედგა. თუმცა, შესაძლოა, ტრაუზეს ის იმდენად უყვარს, რომ ხელს მისსავე სასიკეთოდ ჰკრავს: ჯონმა იცის, რომ გრეისისთვის უკეთესი მომავლის შეთავაზება შემიძლია, ვიდრე მას ამ ფარული, თავიდანვე განწირული ურთიერთობით. ვინ იცის, შესაძლებელია, სწორედ ტრაუზე არწმუნებს გრეისს, რომ ცოლად გამომყვეს: მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას მისი მოულოდნელი და ძნელად ასახსნელი დაბრუნება.

თან მარტო უკან კი არ მიბრუნდება, განმიცხადებს, რომ ჩემი ცოლობა სურს და რაც მალე დავქორწინდებით, მით უკეთესი იქნება.

ორი წლის განმავლობაში მართლაც ოქროს ხანა გვიდგას. ცოლად ის ქალი მყავს, ვინც სიგიჟემდე მიყვარს, ტრაუზე კი ჩემი მეგობარი ხდება. ჯონი პატივს მცემს, ჩემი ნაწერები მოსწონს, ჩემი საზოგადოება – არანაკლებ, ხოლო როცა სამივენი ერთად ვართ, გრეისის მიმართ გრძნობის ნიშან-წყალს ვერ ვამჩნევ. მამასავით მზრუნველ, მფარველ ფიგურად გვექცა და რაკი ისე ჩანს, რომ გრეისი საკუთარი ქალიშვილივით უყვარს, მე – ასე გამოდის – ახლა მისთვის ახალშემატებული ვაჟივით ვარ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენს ქორწინებასაც მას უნდა ვუმადლოდე, თან ისეთს არაფერს კადრულობს, რაც ჩემი და გრეისის ურთიერთობას ძირს გამოუთხრის.

მერე კი კატასტროფა ხდება. 1982 წლის 12 იანვარს მეთოთხმეტე ქუჩის მეტროს გაჩერებაზე მოულოდნელად უგონოდ ვეცემი და კიბის მარშზე ვგორდები. შედეგი: ძვლები დამსხვრეული მაქვს, შინაგანი ორგანოები – დამსკდარი, თავის არეში ორი სერიოზული ტრავმა მივიღე, თავის ტვინი დაზიანებულია. სენტ ვინსენტის საავადმყოფოში მიმაქანებენ, სადაც ოთხი თვის განმავლობაში საწოლს ვარ მიჯაჭვული. პირველი რამდენიმე კვირა ექიმები დამაიმედებელს ვერაფერს ამბობენ. ერთ დილასაც ექიმს, ჯასთინ ბერგს გრეისი სასაუბროდ გაჰყავს და აღიარებს, რომ მისმა კოლეგებმა აღარ იციან, რა იღონონ. „იმედი გადაგვეწურა," – ამბობს ბერგი, – „უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენს მეუღლეს სულ რამდენიმე დღის სიცოცხლეღა დარჩენია, ამიტომ სჯობს, უარესისთვის მოემზადოთ. თქვენს ადგილას, ორგანოების დონორობაზე,

დაკრძალვასა და სასაფლაოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ვიფიქრებდი“. გრეისს ამ კაცის გულცივობა და პირდაპირობა აოგნებს, მაგრამ ვერდიქტი, როგორც იმ წუთას ჩანს, საბოლოოა და ამიტომაც სხვა რა დარჩენია, ჩემს გარდაუვალ სიკვდილს უნდა შეეგუოს. ექიმის სიტყვებით გასრესილი, განადგურებული, საავადმყოფოდან გიჟივით გამორბის, ფეხები თავისით მიაქანებენ ბეროუ სტრიტისკენ, რომელიც სულ იქვეა, რამდენიმე კვარტლის იქით. ვის შეუძლია მიმართოს ასეთ წუთებში, თუ არა ჯონ ტრაუზეს? ჯონს შინ შოტლანდიური ვისკის ბოთლი აქვს და გრეისიც, დაჯდება თუ არა თავისი უბედურების მოსაყოლად, თან სმას იწყებს. ძალიან ბევრს სვამს იმ საღამოს, საათნახევრის განმავლობაში შეუჩერებლად ტირის და სვამს. ტრაუზე სანუგეშებლად გულში იკრავს და მკლავებს ხვევს, თავზე ხელს უსვამს და გრეისიც, სანამ მიხვდებოდეს, რას აკეთებს, ტუჩებით უკვე მის ტუჩებს ეკვრის. ორი წელია, ერთმანეთს არ შეხებიან, ეს კოცნა კი გარდასულ დღეებს ახსენებთ. სხეულებს წარსული ახსოვთ და ამიტომ, საკმარისია, გაახსენდეთ, რანი იყვნენ ერთმანეთისთვის, რომ შეჩერება შეუძლებელი ხდება. აწმყოს წარსული ფარავს, მომავალი კი მათთვის აღარ არსებობს. გრეისი იმპულსს და ვნებას მიჰყვება და მასთან ერთად, ვერც ტრაუზე პოულობს საკუთარ თავში იმის ძალას, რომ ცდუნებას გაუძალიანდეს.

გრეისს ვუყვარვარ. ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, მაგრამ მე იმ წუთებში მიცვალებული ვარ – სასიკვდილოდ გადადებული კაცი, გრეისი კი უბედურებისგან განადგურებულია, სანახევროდ ჭკუასაა გადაცდენილი. ახლა მხოლოდ ტრაუზეს შეუძლია, პირი სააქაოსკენ მოაბრუნებინოს. ვინ გაბედავს მის დადანაშაულებას? ან ორივე მათგანის დადა-

ნაშაულებას ვინ გაბედავს? სანამ შემდეგი ორი კვირა სენტ ვინსენტის საავადმყოფოში სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა გამოკიდებული ვწევარ, გრეისი ტრაუზესთან სიარულს აგრძელებს და თანდათანობით ამ კაცის მიმართ სიყვარული უახლდება. ახლა ისე გამოდის, რომ ორი მამაკაცი უყვარს. როცა ექიმებს ყველა პროგნოზს ვუცრუებ და რაღაც სასწაულის ძალით გამოჯანმრთელებას ვიწყებ, ამ დროს უკვე ორივენი ერთდროულად ვუყვარვართ. მერე, მაისში, საავადმყოფოდან ვეწერები, ჯერ ბინდში ვცხოვრობ, ძლივს ვაცნობიერებ, ვინ ვარ და რა ვარ. გარშემო ვერაფერს ვარჩევ, სანახევროდ ტრანსში ვცხოვრობ, თან რაღაც აბები მაქვს გამოწერილი, რომელთა მიზეზით იმ ფორმაში ვერ ვარ, ქმრის მოვალეობის შესრულებას რომ სჭირდება. გრეისი კი არაჩვეულებრივად მექცევა. სიკეთის და მოთმინების განსახიერებაა, თბილი, მოსიყვარულე ცოლი. მამხნევებს, იმედს მისახავს, მე კი სანაცვლოდ ვერაფერს ვაძლევ. ტრაუზესთან მისი რომანი გრძელდება და ამ ორმაგი ცხოვრების გამო, ამ ტყუილის გამო საკუთარი თავი სძაგს, თანაც, რაც უფრო სწრაფად მივდივარ უკეთესობისკენ, მით უფრო ქენჯნის გრეისს სინდისი. თუმცა აგვისტოს დასაწყისში ორი ისეთი რამ მოხდება, რაც ჩვენს ქორწინებას იხსნის. ეს ორი ამბავი ერთმანეთს ზედიზედ მიჰყვება, მაგრამ ერთიმეორეს არ უკავშირდება. გრეისს გამბედაობა ჰყოფნის და ჯონთან ურთიერთობას საბოლოოდ უსვამს წერტილს, მე კი იმ აბების მიღებას ვწყვეტ. ლიბიდო მიბრუნდება და საავადმყოფოდან გამოწერის დღეებიდან პირველად ხდება ისე, რომ გრეისს ორ საწოლს შორის არჩევანის გაკეთება არ უჭირს. ცა თითქოს მოიწმინდა და რაკი წარმოდგენა არ მაქვს, რა სიცრუეში ედგა ფეხი ჩემს ცოლს წინა თვეებში, ნეტარი ბრიყვის ბედნიერება

მეუფლება – ბრიყვისა, რომელმაც რქები ისე მოიშორა, არც კი იცოდა, თუ ედგა; რომელიც ცოლს აღმერთებდა, ხოლო იმ კაცთან მეგობრობას, ვინც კინაღამ ცოლი წაართვა, განსაკუთრებულად აფასებდა და უფრთხილდებოდა.

წესით, ამბავს დასასრულმა აქ უნდა უწიოს, მაგრამ ჩემი ამბავი ჯერ არ მთავრდება. ჰარმონია მთელ თვეს გრძელდება. გრეისი ისევ მე მიბრუნდება და სწორედ მაშინ, როცა ჩვენი უიღბლობების ჯაჭვი უნდა დასრულდეს, თავს ახალი ქარიშხალი გვატყდება. კატასტროფა იმ ღირსსახსოვარ დღეს, 1982 წლის 18 სექტემბერს ხდება, ჩანგის მაღაზიაში ლურჯი რვეულის შეძენიდან ერთი-ორი საათის შემდეგ, ალბათ იმ წუთებში, როცა ჩემს პატარა ოთახში საწერ მაგიდას ვუჯდები და რვეულში პირველ ჩანაწერს ვაკეთებ. 27-ში რვეულს ბოლოჯერ ვშლი და დაკვირვების შედეგებს ვიწერ: რასაც ვაკეთებ, უკანასკნელი ცხრა დღის მოვლენათა გაგების მცდელობაა. იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ამ ჩანაწერებს საფუძველი, სარწმუნოა თუ არა ჩემი ეჭვები, ამბავი იმ დღეს იწყება, როცა გრეისი ექიმთან მიდის და იგებს, რომ ფეხმძიმედაა. აღმაფრთოვანებელი ამბავია, ღმერთმანი, მაგრამ ალბათ არა იმ შემთხვევაში, როცა ქალმა არ იცის, ვინაა ბავშვის მამა. ახლა მეხსიერებაში ყველა იმ შეხვედრას იხსენებს, რომელთაც ორსულობა შეიძლებოდა მოჰყოლოდა, მაგრამ მაინც უჭირს დანამდვილებით თქმა, ჩემია ბავშვი, თუ ჯონის. ცდილობს, რაც შეიძლება გვიან მითხრას ეს ამბავი, თავად კი წვალობს, იტანჯება, თავს ეუბნება, რომ ცოდვებმა უწია, რომ ეს სასჯელი დაიმსახურა. ამით აიხსნება ის ნერვული შეტევა, 18-ში, საღამოს, ტაქსიში რომ ემართება, როგორც კი სიტყვა ლურჯი გუნდის ღირსებებზე ჩამოვარდება. „არანაირი „კეთილშობილთა ძმობა“ არ არსებობს,“ – მეუბნება

აცრემლებული, – „რადგან ყველაზე კარგი ადამიანებიც სჩადიან ცუდ საქმეებს“. ამიტომ იწყებს საუბარს ნდობასა და ურთიერთობის მძიმე გამოცდაზე. ამიტომ მთხოვს, რომ მიყვარდეს; ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს ფეხმძიმობის ამბავს მატყობინებს, იქვე აბორტსაც ახსენებს. ფული რომ არ გვაქვს, ეგ თავის მართლებად ვერ გამოდგება – მთავარი დაბნეულობაა, გაურკვევლობა, თუ ვინ არის მამა. ეს გაურკვევლობაა, რომ ხრავს და დღითიდღე ანადგურებს. ოჯახური ცხოვრების ასეთი ტყუილით დამძიმება არ შეუძლია, მაგრამ სიმართლეს ვერ მეუბნება. მე კი დაახლოებითაც ვერ ვხვდები, რა ხდება სინამდვილეში და რას აღარ ვკისრულობ, ოღონდ ბავშვის გაჩენაზე დავითანხმო. ყველაზე სწორად მომდევნო დილით ვიქცევი, როცა ვეუბნები, რომ არჩევანს მას ვანდობ. ამდენი ხნის განმავლობაში გრეისს პირველად უჩნდება თავისუფლების შეგრძნება. სახლიდან გარბის, მარტო ყოფნა სურს, მთელი ღამით იკარგება და გაურკვევლობისა და შფოთვის ჯოჯოხეთში მაგდებს, მაგრამ მეორე დილით დამშვიდებული ბრუნდება: შიშები მოუშორებია, ახლა უფრო საღად, ფხიზლად საზღვრავს, როგორ მოიქცეს. კიდევ რამდენიმე საათი და ეს დრო უკვე ჰყოფნის იმის გასარკვევად, რა სურს, მერე კი სამსახურში მიდის და რამდენიმე საათში ავტომოპასუხეზე იმ არაჩვეულებრივ გზავნილს მიტოვებს. გრეისი თვლის, რომ ჩემი ვალი აქვს და ეს ვალი ერთგულების ჟესტით უნდა გამოისყიდოს. თავს ირწმუნებს, რომ ბავშვი ჩემია და ეჭვებს ემშვიდობება. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ რწმენის საკითხია და ახლაღა ვხვდები, როგორი გამბედაობა უნდა დასჭირვებოდა იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომლის შესახებაც შემდეგ მე მამცნო. მაშ, უნდა, რომ ჩემი ცოლი ერქვას! ტრაუზეს ეპიზოდი მის ცხოვრებაში

დასრულებულია და რაკი გრეისს უნდა, რომ ჩემი ცოლი იყოს, ჩემთან ქორწინებას უფრთხილდება, პირში წყალს ჩავიგუბებ და ამ ამბავზე, ლურჯ რვეულში ბოლოს რომ დავწერე, სიტყვა არასდროს დამცდება. ძნელი სათქმელია, ფაქტებს ემყარება ეს ამბავი თუ გამონაგონს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, ჩემთვის ეგ სულერთია. სანამ გრეისს ვუნდივარ, სანამ ჩემთან ყოფნა სურს, წარსულს რა მნიშვნელობა აქვს!

აი, აქ გავჩერდი და კალამი განზე გადავდე. მერე წამოვდექი და ფოტოალბომი სასადილო ოთახში გავიტანე. ჯერ ძალიან ადრე იყო – ალბათ დღის პირველი საათი, შესაძლოა, ორის ნახევარი. სამზარეულოში რაღაც ლანჩის მსგავსი მოვიმზადე და როცა სენდვიჩი მოვამთავრე, კაბინეტში ნაგვის პატარა პარკით დავბრუნდი. ლურჯი რვეულიდან გვერდები თითოთითოდ ამოვხიე და ასევე სათითაოდ დავხიე. ფლიტკრაფტი და ბოუენი, ბრონქსში დაღუპული ჩვილის გამო დაწერილი ვაება ვაებათა, გრეისის სასიყვარულო ისტორიის საფუძველზე ვარაუდით შეთხზული საპნის ოპერა – ყველაფერს ნაგავში გადავუძახე. ცოტა დავახანე, შემდეგ კი გადავწყვიტე, სუფთა ფურცლებიც ამომეხია. ესენიც დავფხრიწე და პარკში ჩავყარე, პარკს პირი ორჯერ გამოვუკვანძე და რამდენიმე წუთში, სასეირნოდ გასვლისას, ხელს გავაყოლე. სამხრეთით, კორტ სტრიტისკენ გავუხვიე და ასე ვიარე, სანამ ჩანგის ცარიელ, ბოქლომით დაკეტილ მაღაზიას არ მივადექი. იქ კი – სახლიდან ძალიან შორს ვიყავი წამოსული, თორემ სხვა მიზეზი არ მქონია – ის პარკი მაღაზიის კედელთან მიდგმულ ნაგვის ყუთში ჩავაგდე. ცელოფანი სხვა საგნებს შორის

ჩასრიალდა და დამჭკნარი ვარდების თაიგულმა და „დეილი ნიუზის“ იუმორისტული დამატების გვერდებმა დაფარა.

ჩვენი მეგობრობის დასაწყისში ტრაუზემ ერთი ფრანგი მწერლის ამბავი მიამბო, რომელიც ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში პარიზში ცხოვრების დროს გაიცნო. მწერლის სახელი არ მახსენდება, როგორც ჯონმა მითხრა, ორი რომანისა და მოთხრობების კრებულის ავტორი იყო. იმ წლებში თურმე მწერალთა ახალი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლად ითვლებოდა. ლექსებსაც წერდა და ჯონის ამერიკაში დაბრუნებამდე (ტრაუზემ პარიზში ექვსი წელი გაატარა), ესე იგი, 1958 წლამდე არცთუ დიდი ხნით ადრე პოემა დაწერა ბავშვის სიკვდილზე, უფრო ზუსტად, წყალში დამხრჩვალ ბავშვზე. პოემა წიგნად გამოიცა, გამოცემიდან ორი თვის შემდეგ, ზაფხულში კი მწერალი ოჯახთან ერთად დასასვენებლად ნორმანდიის სანაპიროზე გაემგზავრა. ზღვაზე ყოფნის ბოლო დღეს მისი ხუთი წლის ქალიშვილს ლა-მანშის სრუტის მატყუარა ფონი დაეკარგა, ღრმა წყალში აღმოჩნდა და დაიხრჩო. ის მწერალი რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი იყოო, მითხრა მაშინ ჯონმა. კაცი, რომელიც სწორედ თავისი ბრწყინვალე, ნათელი გონებით გამოირჩეოდა, შვილის დაღუპვაში საკუთარ პოემას ადანაშაულებდა. დარდისა და ნაღველისგან გახელებულმა თავი დაირწმუნა, რომ ტრაგედია, რომელიც ჯერ მის წარმოსახვაში მოხდა, რეალურ სამყაროში რეალური ბავშვის დახრჩობის მიზეზი გახდა. ამ ყველაფერს შედეგად ის მოჰყვა, რომ უსაზღვროდ ნიჭიერმა მწერალმა, რომელიც იმისთვის დაიბადა, რათა ეწერა, დაიფიცა, რომ არასდროს აღარაფერს დაწერდა. ამ კაცმა აღმოაჩინა,

რომ სიტყვა შეიძლება სიკვდილის მთესველ ძალად იქცეს. სიტყვას სინამდვილეზე ზემოქმედება შეუძლია და ამის გამო სახიფათოა მისი მინდობა ადამიანისთვის, ვისაც ყველაზე მეტად ამ სამყაროში სიტყვები უყვარს. ჯონმა ეს ამბავი რომ მიამბო, მწერლის ქალიშვილი ოცდაორი წლის გარდაცვლილი იყო, მამამისს კი თავისი ფიცი არ გაეტეხა. საფრანგეთის ლიტერატურულ წრეებში ეს კაცი მისი დუმილის გამო ლეგენდარულ ფიგურად იქცა. საკუთარი ტანჯვის ღირსებით ზიდვისათვის უდიდეს პატივს სცემდნენ. ყველა, ვინც იცნობდა, მის სახელს თანაგრძნობით და აღფრთოვანებით ახსენებდა.

მე და ჯონმა იმ მწერალზე კარგა ხანს ვისაუბრეთ და მახსოვს, მაშინ ხელაღებით და თავდაჯერებით განვაცხადე, რომ მისი გადაწყვეტილება შეცდომა იყო: სამყაროს მცდარად წაკითხვა. წარმოსახვასა და სინამდვილეს შორის კავშირი არ არსებობს, – ვამტკიცებდი, – პოემას, ესე იგი, სიტყვებსა და ჩვენი ცხოვრების გარემოებებს შორის ვერანაირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ვერ იქნება-მეთქი. მწერალს, შესაძლოა, თავისი უბედურების გამო ასეთი განცდა ჰქონდა, მაგრამ რაც მოხდა, სინამდვილეში ფატალური უიღბლობის ყველაზე სასტიკი, ყველაზე პერვერსიული გამოვლინება იყო. ასეც ხომ ხდება: ადამიანს ხანდახან ცარგვალი უკულმა უტრიალდება. განა ვამტყუნებდი მწერალს სამყაროს ამგვარად აღქმისთვის, მაგრამ მისი საზარელი დანაკარგის გამო თანაგრძნობის მიუხედავად, მისი დუმილი მხოლოდ იმას მეუბნებოდა, რომ შემთხვევითობის ძლევამოსილებას თვალი ვერ გაუსწორა, იმ ძალების აღიარება ვერ მოახერხა, რომელთა უკან საზრისი არ დგას და რომლებიც სულ შემთხვევით, ალალბედზე ფქვავენ ჩვენს იღბალს ბედის წისქვილში. მაშინ მიმაჩნდა, რომ მწერალმა თავი უმიზეზოდ დაისაჯა და ტრაუზესაც ასე ვუთხარი.

ძალიან სუსტი, ბანალური არგუმენტი იყო, თუმცა მაშინ მეგონა, რომ პრაგმატიზმის და მეცნიერების პოზიციებს პრიმიტიული, მითური აზროვნების სიბნელისგან ვიცავდი. ჩემდა გასაკვირად, ჯონი საპირისპირო თვალსაზრისს მიემხრო. არ ვიცი, რატომ – ჩემს რეაქციაზე სურდა გართობა თუ ეშმაკის ადვოკატობა ითავა, მაგრამ პასუხით კი ეს მიპასუხა, რომ მწერლის გადაწყვეტილება მისთვის სრულიად გასაგებია და აღფრთოვანებულია თავისი მეგობრით, რომელიც დათქმულ სიტყვას დღემდე არ გადასულა. „აზრს რეალური ძალა აქვს," – მითხრა ჯონმა, – „რეალური ძალა აქვს სიტყვებსაც, რომლებსაც ვწერთ და წარმოვთქვამთ. ყველაფერი, რაც ადამიანს უკავშირდება, რეალურია და მატერიალიზების ძალა გააჩნია. ხანდახან მოვლენები აღსაქმელად იქამდე გვეძლევა, ვიდრე ისინი მოხდება. ასე ხდება მაშინაც, როცა ამ მექანიზმის შესახებ არაფერი ვიცით. ჩვენ აწმყოში ვცხოვრობთ, მაგრამ მომავალი, ყოველ წუთს, ყოველ წამს ჩვენშია. შეიძლება მწერლის ხელობის არსიც ეს იყოს, სიდ. იმდენად ამბების წერა არაა მისი საიდუმლო, რამდენადაც იმ ძალისხმევის წარმოქმნა, რომელიც მომავალში რეალობას შეცვლის".

დაახლოებით სამი წლის თავზე იმ დღიდან, როცა მე და ჯონ ტრაუზეს ეს საუბარი გვქონდა, ლურჯი რვეული დავხიე და ბრუკლინში, კორტ სტრიტისა და სერდ ფლეისის კუთხეში მდგარ ნაგვის ყუთში ჩავუძახე. იმ წუთებში მეჩვენებოდა, რომ სწორად ვიქცეოდი და სექტემბრის იმ ორშაბათს შინ რომ ვბრუნდებოდი, თითქმის დარწმუნებული ვიყავი: წინა კვირის მოტანილი ყველა უბედობა, მარცხი და იმედგაცრუება, როგორც იქნა, უკან მოვიტოვე. თურმე ეს შვება ნაადრევი იყო. ამბავი თურმე მხოლოდ იწყებოდა – ნამდვილი ამბავი მხოლოდ *მაშინ* დაიწყო, როცა ის ლურჯი

რვეული გავანადგურე – ყველაფერი, რაც იქამდე დავწერე, იმ საშინელების პრელუდია ყოფილა (შესაძლოა, პრელუდიაზე მეტიც), რომლის შესახებაც ჯერ არაფერი მითქვამს. იყო კი კავშირი იმას შორის, რაც მანამდე იყო და რაც მერე მოხდა? არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი. მოკლა კი იმ უბედურმა ფრანგმა მწერალმა საკუთარი პირმშო თავისი პოემით თუ მხოლოდ იწინასწარმეტყველა, სიტყვის მეოხებით, მისი დაღუპვა? არც ეს ვიცი. ერთადერთი, რაზეც თავს დავდებ, ისაა, რომ დღეს მის გადაწყვეტილებას საკამათოდ ვეღარ ვაქცევდი, ამის გაკეთებას ვეღარ გავბედავდი. დუმილი, მან რომ სასჯელად დაიდო, ახლა პატივისცემის ღირსად მიმაჩნია, ზიზღი, რომელიც ბავშვის დაღუპვის შემდეგ წერის მიმართ უნდა გასჩენოდა, უჭოჭმანოდ მესმის. ახლა, როცა ოცზე მეტი წელია გასული, რაც მან თავს დუმილი მიუსაჯა, ვხვდები: ჯონი მართალი იყო. როგორც ჩანს, მოსახდენი ხანდახან მანამდე ვიცით, სანამ მისი დრო და ჯერი დადგება, ისე, რომ თავად არ ვუწყით, რა არის ის, რაც ვიცით. სექტემბრის ის ცხრა დღე, 1982 წელს, ბრმად ვიცხოვრე, ისე, თითქოს გარს რაღაც ღრუბელი მეკრა. ამბის დაწერა მეწადა და ფეხი გამოუსავლეთში შევდგი. ფილმის იდეის გაყიდვა ვცადე და უარი მითხრეს. მერე მეგობრის ხელნაწერი დავკარგე. ძალიან ახლოს ვიყავი იმასთან, რომ ცოლი დამეკარგა. ხომ უგონოდ მიყვარდა ეს ჩემი ცოლი, მაგრამ ბნელ საროსკიპოში შარვალი უყოყმანოდ ჩავიხადე და ჩემთვის სრულიად უცნობ ქალს პირში მივეცი. დაბნეული, დაკარგული კაცი ვიყავი, ავადმყოფი ადამიანი, რომელიც ფეხზე წამოსადგომად იბრძვის, მაგრამ იმ კვირას გადადგმული ყველა მცდარი ნაბიჯის, იმ კვირას ჩადენილი ყველა სისულელის მიღმა, თურმე რაღაც ვიცოდი ისეთი, რის ცოდნასაც მაშინ ვერაფრით დავიბრალებდი. იმ

რამდენიმე დღის განმავლობაში იყო წუთები, როცა თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ჩემი სხეული გამჭვირვალე გახდა, თითქოს ფოროვან მემბრანად მექცა და სამყაროს უხილავი ძალები ტანში გამდი-გამომდიოდნენ – სხვათა ნაფიქრალს, სხვათაგან ნაგრძნობს ჰაერში დაბუდებულ ელექტრულ მუხტად ვიტარებდი. ეჭვი მაქვს, რომ ლემიუელ ფლეგის პერსონაჟი ჩემმა ამგვარმა მდგომარეობამ შვა – „მისნის ღამის“ უსინათლო გმირი, სამყაროს ვიბრაციების მიმართ მგრძნობიარე ადამიანი, მოვლენებს რომ მანამდე განჭვრეტდა, სანამ ისინი მოხდებოდა. მაშინ რას ვიფიქრებდი, მაგრამ თურმე ყოველი ფიქრი და აზრი, რომელიც თავში მიტრიალებდა, ყველა მათგანი მოსახდენზე მიმანიშნებდა. მკვდრადშობილი ჩვილები, საკონცენტრაციო ბანაკების საზარელი რეალობა, მკვლელობები, გაუჩინარებული მეორე ნახევრები, შეუძლებელი მოგზაურობა დროში. ხვალინდელი დღე უკვე ტანში მქონდა გამჯდარი და იმ უბედურებისთვის ვემზადებოდი, თავს რომ უნდა დამტყდომოდა.

ტრაუზესთან ოთხშაბათს წავიხემსე, მას შემდეგ კი, კვირის ბოლოს გამართულ ორ სატელეფონო საუბარს თუ არ ჩავთვლი, ერთმანეთთან ურთიერთობა აღარ გვქონია. ერთმანეთი აღარ გვინახავს 27 სექტემბრამდე, როცა ლურჯი რვეული ნაკუწებად ვაქციე. მახსოვს, ჯეიკობზე ვისაუბრეთ, ერთიორი სიტყვა დაკარგულ მოთხრობაზეც ვთქვით. სხვა მხრივ, წარმოდგენა არ მქონდა, რას აკეთებდა ბოლო ხანებში. ვინმეს რომ ეკითხა, ვეტყოდი, ალბათ დივანზე წევს და ფეხს უვლისმეთქი. 1994 წლამდე არც გამიგია, რით იყო დაკავებული ჩემი მეგობარი იმ დღეებში. ხსენებულ წელს კი ჯეიმს გილესპიმ

წიგნი გამოსცა, სახელწოდებით „სიზმრების ლაბირინთი: ჯონ ტრაუზეს ცხოვრება“, საიდანაც დაწვრილებით შევიტყვე, როგორ იცხოვრა ჯონმა 1982 წლის ოცდაორიდან ოცდაშვიდი სექტემბრის ჩათვლით. გილესპის დიდტანიანი, ექვსასგვერდიანი წიგნი ლიტერატურული ანალიზით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის, ჯონის ნაწერების ისტორიულ კონტექსტს იქ ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა, მაგრამ თუ ბიოგრაფიული ფაქტების სიზუსტის თვალსაზრისით მივუდგებით, ყველა წვრილმანი გულმოდგინედ არის აღწერილი. ავტორმა ამ პროექტს ცხოვრების ათი წელიწადი შეალია და შთაბეჭდილება მრჩება, რომ კაცი არ დაუტოვებია, ვინც ჯონს იცნობდა (მათ შორის მეც) და წიგნის წერის პერიოდში ცოცხალი იყო, ხოლო რაკი ასეა, მის ქრონოლოგიას თვალდახუჭული უნდა ვენდო.

ოთხშაბათს, როცა მისი ბინიდან გამოვედი, ჯონს სადილის დრომდე უმუშავია: ფლებიტის შეტევამდე რამდენიმე დღით ადრე უკანასკნელი რომანი „ჯერალდ ფუქსის უცნაური ხვედრი“ დაუმთავრებია, ბოლო დღეებში კი თურმე ტექსტს ხვეწდა და მასში უმნიშვნელო შესწორებები შეჰქონდა. ეს ის წიგნია, ადრე რომ ვახსენე: ვიცოდი, რაღაცას წერდა-მეთქი. ამაზე მეტი ბოლომდე ვერაფერი შევიტყვე. გილესპი კი ამტკიცებს, რომ ამ ხუთასგვერდიანი რომანის წერა ტრაუზეს პორტუგალიაში ცხოვრების უკანასკნელ თვეებში დაუწყია, რაც იმას ნიშნავს, რომ მის წერას ჯონმა ოთხი წელიწადი მოანდომა. არადა, ხმები დადიოდა, ტინას გარდაცვალების შემდეგ აღარ წერსო: ოდესღაც სახელგანთქმულმა მწერალმა სამუდამო შვებულება აიღო და ძველი ნაწერების შემოსავლებით ცხოვრობს, რადგან სათქმელი ამოეწურაო.

ოთხშაბათ საღამოს ელინორს დაურეკავს და ახალი ამბავი შეუტყობინებია, ჯეიკობი ვიპოვეთო. ხუთშაბათ დი-

ლითვე ჯონს საკუთარი ადვოკატისთვის, ჯონ ფ. ბირდისთვის დაურეკავს და მასთან შინ მისვლა უთხოვია. იშვიათია, რომ იურისტი კლიენტს სახლში ეახლოს, მაგრამ ბირდი ჯონ ტრაუზეს ინტერესს ათი წლის განმავლობაში იცავდა და ცხადია, როცა ასეთმა მნიშვნელოვანმა კლიენტმა შესჩივლა, საწოლს ვარ მიჯაჭვული და სასწრაფო საქმის გამო მჭირდებიო, მან ყველა სხვა საქმე განზე გადადო და დათქმულ დროს, დღის ორ საათზე შინ ეწვია, ოფისიდან წამოღებული ყველა საჭირო საბუთით. ჯონმა ბირდს დასალევი შესთავაზა, შოტლანდიური ვისკის წრუპვით მსუბუქი მუსაიფი წამოიწყეს, მერე კი საქმეზე გადავიდნენ და ჯონის ანდერძი ხელახლა დაწერეს. წინა ანდერძი შვიდ წელიწადზე მეტი ხნის წინ იყო შედგენილი და ჯონს საკუთარი ქონების ისე განკარგვა, როგორც იმ დოკუმენტით იყო გათვალიწინებული, სწორად აღარ მიაჩნდა. მაშინ ტინა ახალი დასაფლავებული ჰყავდა და ანდერძში ჯეიკობი ერთადერთ მემკვიდრედ და ბენეფიციარად მოიხსენია, ხოლო იქამდე, სანამ ბიჭი ოცდახუთი წლის გახდებოდა, ნების აღმსრულებლის როლი თავის ძმას, გილბერტს მიაკუთვნა. წინა ანდერძი ადვოკატის თანდასწრებით გაანადგურა, დოკუმენტის ყველა ასლი დახია და ტრაუზემ შვილს მემკვიდრეობის უფლება გაოცებული იურისტის თვალწინ ჩამოართვა. მერე კი ბირდი საბეჭდ მანქანას მიუჯდა და ჯონის ახალი ნება-სურვილის შემცველი ტექსტი აკრიფა, რომლის ძალითაც ყველაფერი, რაც ჯონს ეკუთვნოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ გილბერტს უნდა დარჩენოდა. ფული, აქციები და ფასიანი ქაღალდები, მთელი უძრავი ქონება და ტრაუზეს ლიტერატურული ნაღვაწიდან მომავალში მისაღები საავტორო ჰონორარები, შესაბამისად, ჯონის უმცროს ძმას უნდა გადასცემოდა. ახალი ანდერძის გაფორმებას ექვსის

ნახევარზე მორჩნენ. ჯონმა ბირდს ხელი ჩამოართვა, გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და ადვოკატმა ბინის კარი ახალი ანდერძის სამი ხელმოწერილი ასლით გაიხურა. ოცი წუთის შემდეგ ჯონმა რომანის ტექსტის კორექტირება განაგრძო. მადამ დიუმამ ვახშამი რვა საათზე მიართვა, ცხრის ნახევარზე კი ელინორმა ხელახლა დარეკა და ჯონს შეატყობინა, რომ ჯეიკობი სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩაეწერა და დღის ოთხი საათიდან „სმითერსის“ კლინიკაში იმყოფებოდა.

პარასკევს ტრაუზე, წესით, სენტ ვინსენტის საავადმყოფოში უნდა წასულიყო, რადგან ფეხის გამოკვლევაზე იყო დაბარებული, მაგრამ კალენდარში ჩახედვა დაავიწყდა და ექიმთან არ წასულა. ჯეიკობის ამბებით თავგზააბნეულს აღარც გახსენებია, რომ საავადმყოფოში დათქმულ დროს ელოდნენ და ზუსტად იმ წუთებში, როცა, წესით და რიგით, ქირურგ უილარდ დანმორთან გამოკვლევაზე უნდა ყოფილიყო, ხელში ყურმილი ეჭირა და მე მესაუბრებოდა. სწორედ მაშინ მიამბო პირველად მისი ვაჟის სიძულვილზე გრეისის მიმართ, მაშინ იყო, რომ „სმითერსში“ ჯეიკობის მონახულება მთხოვა. გილესპი წერს, რომ ექიმს ტრაუზესთვის თორმეტის ნახევარზე დაურეკავს და უკითხავს, რატომ გამოტოვა აუცილებელი პროცედურა. ტრაუზეს სასწრაფოდ გადასაწყვეტი ოჯახური პრობლემა მოუტანია მიზეზად, რითაც ექიმი განურისხებია: დანმორს პატარა ბავშვივით დაუტუქსავს და უთქვამს, საკუთარი ჯანმრთელობისადმი ასეთი ქარაფშუტული დამოკიდებულება უპატიებელი უპასუხისმგებლობაა და როდესმე ცუდად დამთავრდებაო. ტრაუზეს უკითხავს, ხომ არ იყო შესაძლებელი გამოკვლევაზე იმავე საღამოს მისვლა, მაგრამ დანმორს უპასუხია, დღეს დაგვიანებულიაო და ვიზიტი ორშაბათს,

ოთხი საათისთვის დაუნიშნავს. მას ტრაუზესთვის უთხოვია, რომ წამლების მიღება არ დავიწყებოდა, ორშაბათამდე კი, რაც შეიძლებოდა ნაკლები ემოძრავა. პირველ საათზე, როცა მადამ დიუმა სამუშაოდ გამოცხადდა, ჯონი ჩვეულ ადგილას, დივანზე მოკალათებული დახვდა – თურმე ისევ ტექსტის კორექტირებას აგრძელებდა.

შაბათს, სანამ „სმითერსში“ ვიყავი და ჯეიკობს ვესაუბრებოდი, მერე კი ჩანგის მაღაზიაში წითელი რვეულის გამო ვძიძგილაობდი, ტრაუზე კვლავ თავის რომანზე მუშაობდა. მისი სატელეფონო ზარების ამონაწერი ადასტურებს, რომ იმ დღეს რამდენიმე ხანგრძლივი საუბარიც ჰქონია: ჯერ ელინორთან დაურეკავს ისტ ჰემპტონში, მერე – უმცროსი ძმისთვის, გილბერტისთვის ენ არბორში (გილბერტი მიჩიგანის უნივერსიტეტში მუსიკათმცოდნეობის პროფესორი იყო), ბოლოს კი – თავისი ლიტერატურული აგენტისთვის, ელის ლაზარისთვის ბერკშირში, მის სააგარაკო სახლში. ელისისთვის უცნობებია, რომ წიგნზე მუშაობას მალე დაასრულებდა და თუ მომდევნო დღეებში რაიმე გაუთვალისწინებელი პრობლემა ხელს არ შეუშლიდა, კვირის ბოლოს დასრულებული ხელნაწერი მას მაგიდაზე ედებოდა.

შაბათს დილით ჯონს „ლანდოლფიდან“ დავურეკე და ჯეიკობთან ჩემი ხანმოკლე ვიზიტის შესახებ ანგარიში წვრილად ჩავაბარე. მერე გამოვუტყდი, რომ მისი ხელნაწერი მეტროში დავკარგე და ბევრიც ვაცინე. არა მგონია, მეშლებოდეს: ის სიცილი უფრო შვებისა იყო, ვიდრე სხვა რამ მიზეზით გამოწვეული. ახლა ძნელია დაბეჯითებით თქმა, მაგრამ რატომღაც ასე მგონია, რომ ტრაუზეს იმ ხელნაწერის მოსაცემად რაღაც ძნელად მოსახელთებელი მიზეზი ჰქონდა: მისი ნათქვამი, რომ მოთხრობას კინოსცენარის მასალად მაძლევ-

და, მხოლოდ საბაბი იყო, უკეთეს შემთხვევაში, კიდევ ერთი, უმნიშვნელო მოტივი. მოთხრობა საიდუმლო პოლიტიკურ მაქინაციებს შეეხებოდა, მაგრამ ფაბულის ერთ-ერთ ხაზს სასიყვარულო სამკუთხედი წარმოადგენდა (გაიხსენეთ: ცოლი, რომელიც ქმრის უახლოეს მეგობართან ერთად გარბის) და თუკი იმ დაკვირვებებში, მე რომ ოცდაშვიდ სექტემბერს ლურჯ რვეულს გავუზიარე, სიმართლის ნატამალი მაინც იყო, მაშინ ისე გამოდიოდა, რომ იმ მოთხრობით ჯონი ჩემს ქორწინებაზე აკეთებდა კომენტარს, მინიშნებას – რა თქმა უნდა, ირიბად, დახვეწილად, ოსტატური კოდებით და იმნაირი მეტაფორებით, რომლებსაც გამონაგონის სიბრძნე ემყარება. მერე რა, რომ მოთხრობა 1952 წელსაა დაწერილი, იმ წელიწადს, როცა გრეისი დაიბადა. „ძვლების იმპერია“ როდესმე, მომავალში მოსახდენის წინათგრძნობა იყო. ის რომელიღაც ყუთში მოსამწიფებლად ოცდაათ წელიწადს იდო და თანდათანობით იმ ქალის ამბად იქცა, რომელიც ორივეს გვიყვარდა – ჩემი ცოლის, ჩემი უშიშარი, საკუთარ თავთან დაუნდობელ ბრძოლაში ჩაბმული ცოლის ისტორიად.

ზემოთ ვთქვი, ის სიცილი უფრო შვების სიცილი იყო-მეთქი, რადგან, ჩემი აზრით, მომცა თუ არა მოთხრობა, ჯონმა თავისი საქციელი მაშინვე ინანა. ოთხშაბათს, ლანჩს რომ მივირთმევდით, გრეისის ორსულობის ამბავს დიდი მღელვარებით შეხვდა და ერთმანეთი კინაღამ გამოვლანძღეთ. ახლა ისე მინდა ვიცოდე, იმაზე მეტად ხომ არ იყო ჩემზე ამრეზილი, ვიდრე მაშინ გამოამჟღავნა. კი, ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ, წესით, გაუცნობიერებელი სიძულვილი მაინც უნდა ჰქონოდა ჩემდამი იმის გამო, რომ გრეისი ხელახლა მოვიპოვე. მათ ურთიერთობას წერტილი გრეისის გადაწყვეტილებით დაესვა და ახლა, როცა ჩემი ცოლი ორსულად იყო, მასთან

ოდესმე ყოფნა შეუძლებლად უნდა მოჩვენებოდა. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ჩემთვის მოთხრობის მოცემა შურისძიების შეფარული, შენიღბული ფორმა უნდა ყოფილიყო, საკუთარი უპირატესობის ქედმაღლური და საკმაოდ უხეში გამოვლინება – თითქოს ამით მეუბნებოდა: „წარმოდგენა არ გაქვს, რა ხდება შენს თავს, სიდნი. არც თავიდან იცოდი. შენ რომ მოდიოდი, მე უკვე მივდიოდი“. ალბათ ასეც იყო. ახლა ამის დამტკიცება უკვე შეუძლებელია. თუ ჯონის საქციელს სწორად ვერ განვსჯი, მაშინ როგორ ავხსნა ის ფაქტი, რომ შეპირებული მოთხრობა არ გამომიგზავნა? ხომ დამპირდა, რომ მადამ დიუმას ფოსტით სხვა ასლს გამოაგზავნინებდა? თუმცა ძალიან მალე მოთხრობის ნაცვლად მისგან სულ სხვა რამ მივიღე და ის საჩუქარი – ხელგაშლილობასა და კეთილშობილებაზე აღარაფერს ვამბობ – მონანიე ადამიანის ჟესტადაც ჩავუთვლე. როცა მეტროში კონვერტი დავკარგე, ამით წამიერი სულმდაბლობის გამო გაჩენილი უხერხულობის განცდისაგან გავათავისუფლე. დარწმუნებული ვარ, წუხდა, რომ გრძნობებს ლაგამი ვერ ამოსდო და რაკი ჩემმა დაუდევრობამ თავდაპირველ მდგომარეობაში დაგვაბრუნა, დანაშაულის გამოსყიდვა კეთილი ნების ჟესტით გადაწყვიტა – იმნაირი სიკეთით, ოდნავაც რომ არ მოეთხოვებოდა.

შაბათს სადღაც თერთმეტის ნახევარსა და თერთმეტს შორის ვილაპარაკეთ. მადამ დიუმა მასთან ნაშუადღევს მოვიდა. ათ წუთში მას ჯონმა თავისი საბანკო ბარათი მისცა, აუხსნა, როგორ უნდა მისულიყო „სითიბანკის“ უახლოეს განყოფილებასთან, შერიდან სქვერის მახლობლად და როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ორმოცი ათასი დოლარი ჯონის ძირითადი ანარიშიდან მისსავე საჩეკო ანგარიშზე გადაეტანათ. გილესპი წერს, ტრაუზემ დანარჩენი დღე რომანზე მუშაობაში

გაატარაო. საღამოს მადამ დიუმამ ვახშამი მეორე სართულზე მიართვა. ამის შემდეგ დივანიდან ალბათ ძლივძლივობით წამოდგა, კაბინეტში ფეხის თრევით გავიდა, საწერ მაგიდას მიუჯდა და ოცდათექვსმეტი ათასი დოლარის ჩეკი გამომიწერა – ზუსტად ის თანხა, რაც ჩემი მკურნალობის ხარჯების დაფარვას ეყოფოდა. მერე კი, აი, ეს მოკლე წერილი მომწერა:

ძვირფასო სიდ,

შეგპირდი, მოთხრობის მეორე ასლს გამოგიგზავნი-მეთქი, მაგრამ ვითომ ღირს? მე მინდოდა, ფულის გაკეთებაში დაგხმარებოდი, ამიტომ ახლა პირდაპირ გადავდივარ ჩემს მთავარ მიზანზე და ამ ჩეკს გიგზავნი. მინდა, ხაზგასმით და მკაფიოდ გითხრა: ეს ჩემი საჩუქარია. უნდა აიღო – უპირობოდ, დაუძაბავად და დაბრუნებაზე არასდროს იფიქრო. ვიცი, ახლა ძალიან გაჭედილი ხარ, ამიტომ გთხოვ, კუდს ყავარზე ნუ გადებ და ამ ჩეკს ნუ დახევ. დახარჯე ეს ფული, გამოიყენე, ფეხზე წამოდგომაში დაიხმარე. არ მინდა, დრო სცენარების წერაზე ხარჯო. რომანები წერე. შენი მომავალი მწერლობაა და შენგან დიდ წიგნებს მოველი.

მადლობას გიხდი, რომ შეწუხდი და გუშინ ჩემი ბიჭი ინახულე. ძალიან ვაფასებ ამას – არა, კარგად ვერც ვამბობ – იმაზე მეტად, ვიდრე გამოხატვა შემიძლია, რადგან ვხვდები, რამდენად უსიამოვნო უნდა ყოფილიყო შენთვის ჯეიკობთან ურთიერთობა.

ამ შაბათს ერთად არ ვისადილოთ? ჯერ ვერ ვამბობ, სად აჯობებს – ეგ ამ ოხერ ფეხზეა დამოკიდებული. დიდი უცნაური რამე უნდა გითხრა: თრომბი ჩემი სიძუნწით გავიჩინე. სანამ ტკივილი დამეწყებოდა, ათი დღით ადრე პარიზში მომიწია დღენახევრით გადაფრენამ: ჩემი მთარგმნელის და ძველი მეგობრის, ფილიპ ჟუბერის დაკ-

რძალვაზე გამოსამშვიდობებელი სიტყვა უნდა წარმომეთქვა. ეკონომ-კლასის ბილეთი ავიღე, თვითმფრინავში ფეხებმოკეცილი ვიჯექი, ორივე გზაზე მეძინა და ექიმი მეუბნება, თრომბი ამის გამო გაგიჩნდაო. ამიერიდან მხოლოდ პირველი კლასით ვიმგზავრებ.

გრეისს ჩემ მაგიერ აკოცე. ფლიტკრაფტის ამბავს არ შეეშვა, იცოდე. ახლა სხვანაირი რვეული გჭირდება, სიტყვები კი მერე თავისით მოვლენ.

ჯ. ტ.

წერილი და ჩეკი კონვერტში ჩადო, კონვერტი დააწება, მერე წინა მხარეს ჩემი სახელი, გვარი და მისამართი წააწერა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საფოსტო მარკების მარაგი გათავებოდა. როცა მადამ დიუმამ, რომელიც ბრონქსში ცხოვრობდა, ღამის ათ საათზე შინ წასასვლელად მზადება დაიწყო, ტრაუზემ მას ოცდოლარიანი მისცა და სთხოვა, მეორე დილით ფოსტაში შეერბინა და ყველაზე კარგი მარკები შეეძინა. მადამ დიუმამ, როგორც ყოველთვის, დავალება ახლაც ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა. როცა ის დილის თერთმეტ საათზე სამუშაოს შეუდგა, ტრაუზემ მისი ნაყიდი მარკა წერილს დააკრა. მადამ დიუმამ მსუბუქი ლანჩი პირველ საათზე აუტანა. როდესაც სამის ნახევარზე სურსათის საყიდლად გავიდა, ჯონმა მას წერილის გაგზავნა სთხოვა, რის შემდეგაც რომანის ტექსტზე მუშაობა განაგრძო. მადამ დიუმა ოთხის ნახევარზე უნდა დაბრუნებულიყო, კიბეზე ჩასვლაში უნდა დახმარებოდა და მანქანაში უნდა ჩაესვა, რომლითაც ტრაუზე საავადმყოფოში, ექიმ დანმორის მიერ დანიშნულ გამოკვლევაზე უნდა წასულიყო. მადამ დიუმას წასვლის შემდეგ, როგორც გილესპი წერს, უკვე ძნელია რამის დაზუსტებით მტკიცება. მხოლოდ ერთი რამაა ცნობილი: სამს

თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა ტრაუზეს ელინორმა დაურეკა და კლინიკიდან მათი შვილის გაუჩინარების ამბავი შეატყობინა. ჯეიკობი „სმითერსის“ შენობიდან ნაშუაღამევს გასულიყო და მას შემდეგ თვალით აღარავის ენახა. გილესპს ელინორის სიტყვები მოჰყავს, როცა ჯონის იმედგაცრუების აღწერას იწყებს – წერს, რომ ტრაუზეს „გუნება-განწყობა უაღრესად დაუმძიმდა“ და ყოფილ ცოლს ვაჟის შესახებ თხუთმეტ თუ ოც წუთს ესაუბრა. „ეს გზა თავად აირჩია“, – უთქვამს ბოლოს, – „ჩვენ ყველა ხერხი მოვსინჯეთ. ამიერიდან ველარაფრით დავეხმარებით“.

ეს ტრაუზეს უკანასკნელი სიტყვები იყო. შეუძლებელია იმის თქმა, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ყურმილი დაკიდა. მადამ დიუმა ბეროუ სტრიტზე ოთხის ნახევარზე დაბრუნდა და ჯონი თავის საწოლთან, იატაკზე იპოვა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სააბაზანოსკენ მიდიოდა, რათა თავი მოეწესრიგებინა, ტანზე ჩაეცვა და ექიმ დანმორთან შესახვედრად მომზადებულიყო, თუმცა, ვიმეორებ, ეს მხოლოდ ვარაუდია. დანამდვილებით კი ის ვიცით, რომ ჯონი დაახლოებით სამ საათსა და ოთხის ნახევარს შორის გარდაიცვალა 1982 წლის 27 სექტემბერს – ორი საათიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ლურჯი რვეული დავხიე და ნაკუწები სამხრეთ ბრუკლინში, ქუჩის კუთხეში მდგარ ნაგვის ყუთში ჩავყარე.

თავიდან მისი გარდაცვალების მიზეზად გულის შეტევა დასახელდა, მაგრამ სამედიცინო ექსპერტიზამ ეს ვერდიქტი ფილტვის ემბოლიით შეცვალა. სისხლის კოლტი, რომელიც ჯონს ფეხის არტერიაში უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ჰქონდა ჩაჭედილი, ადგილიდან დაიძრა, მის ორგანიზმში გზა ზემოთკენ გაიკვლია და სამიზნეც იპოვა. ნაღმი, რომელსაც სხეულით ატარებდა, საბოლოოდ მაინც

ამოქმედდა და ჩემი მეგობარი ორმოცდათექვსმეტი წლის ასაკში შეიწირა. ძალიან ადრე. ძალიან უცებ და ადრე. დამასწრო. ფული გამომიგზავნა, კიდევ ერთხელ გაისარჯა, რათა სიცოცხლისკენ მოვებრუნებინე და მერე იმდენად ადრე და უცებ წავიდა, რომ მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი.

ჯონის გარდაცვალების ამბავი ექვს საათზე ახალი ამბების გამოშვებაში გადმოუციათ. ამ დროს, ჩვეულებრივ, მე და გრეისი ვახშამს ვიმზადებდით, მაგიდასთან ვსხდებოდით და ცალი თვალით ტელევიზორის ეკრანს გავცქეროდით ხოლმე, მაგრამ ტელევიზორი აღარ გვქონდა და საღამომ ისე ჩაიარა, არც გაგვიგია, რომ ჯონი იმ წუთებში ქალაქის მორგში იწვა, რომ მისი უმცროსი ძმა, გილბერტი, უკვე თვითმფრინავში იჯდა და დეტროიტიდან ნიუ-იორკში მოფრინავდა; არც ის ვიცოდით, რომ ჯეიკობს აეწყვიტა და ახლა ქალაქში დაეხეტებოდა. ვახშმის შემდეგ სასტუმრო ოთახში გადავინაცვლეთ, დივანზე მივწექით და ექიმ ვიტალთან, ბეტი სტოლოვიცის გინეკოლოგთან (პირველ გოგონაზე იმ წლის მარტში სწორედ ვიტალმა ამშობიარა) დანიშნულ ვიზიტზე ვსაუბრობდით. ექიმ ვიტალს პარასკევს, ნაშუადღევისთვის უნდა შევხვედროდით და გრეისს ვუთხარი, რომ მინდოდა, პირველ გამოკვლევას მეც დავსწრებოდი. დავთქვით, რომ პარასკევს, ოთხ საათზე ერთმანეთს მეცხრე ქუჩაზე, ექიმის ოფისთან შევხვდებოდით. შუა საუბარში ვიყავით, როცა გრეისს გაახსენდა, რომ ბეტიმ იმ დილით ორსულობის შესახებ დაწერილი მშვენიერი წიგნი აჩუქა (ასეთი წიგნები ერთმანეთს ჰგავს: მოზრდილი ფორმატის, მაგარყდიანი, უამრავი სქემითა თუ ილუსტრაციით გაფორმებული გამოცემებია) და საძინებელ ოთახში

გავიდა, რათა ჩანთიდან ამოელო და ჩემთვის ეჩვენებინა. ოთახში ჯერ არ შემობრუნებულიყო, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. რატომღაც ვიფიქრე, რომელიმე მეზობელი იქნება ასანთის ან რამე სხვა წვრილმანის სათხოვნელად მოსულიმეთქი. მეზობლის გარდა, წესით, არავინ უნდა ყოფილიყო, რადგან შენობაში შემოსასვლელი კარი ყოველთვის დაკეტილი იყო და თუ ადამიანს გასაღები არ ჰქონდა, ჯერ ზარი უნდა დაერეკა და ინტერკომის მიკროფონში თავი დაესახელებინა. კარგად მახსოვს, ფეხზე ჩაცმა ვერ მოვასწარი, დივანიდან ფეხშიშველი წამოვდექი და კარის გასაღებად რომ გავემართე, მარცხენა ტერფში ხიჭვი შემესო. ესეც მახსოვს: მაჯის საათს დავხედე და ცხრის ნახევარი იყო. არც მიკითხავს, ვინ იყო, კარი ისე გავაღე და გავაღე თუ არა, მას მერე სამყარომ ჩემთვის სახე იცვალა. ახლაც არ ვიცი, როგორ აღვწერო ის, რაც მოხდა. საკეტი გადავატრიალე და რაღაც, რაც ბოლო ხანებში ჩემში იზრდებოდა და მწიფდებოდა, მოულოდნელად რეალობად მექცა: მომავალი ჩემ წინაშე იდგა.

ჯეიკობი იყო. თმა შავად შეეღება და შავ პალტოში გახვეულიყო, რომელიც კოჭებამდე სწვდებოდა. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ქუსლებზე მოუთმენლად ტრიალებდა. ფუტურისტული იერის მესაფლავეს ჰგავდა, თითქოს გვამის წასასვენებლად იყო კარზე მომდგარი. მწვანექოჩრიანი კლოუნი, რომელსაც შაბათს ვესაუბრებოდი, დამაბნეველი სანახავი იყო, მაგრამ ეს ახალი ქმნილება იმდენად საზარელი მომეჩვენა, რომ ბინაში შემოშვება არ მომინდა.

– უნდა დამეხმარო, – მითხრა უცებ, – ახლა მართლა დიდი პრობლემები მაქვს, სიდ. შენ გარდა არც ვიცი, ვის მივმართო.

მინდოდა, მეთქვა, აქედან მოშორდი-მეთქი, მაგრამ ბინაში შემოვარდა და ზურგს უკან კარი მიიჯახუნა.

– წადი, „სმითერსში“ დაბრუნდი, – ვუთხარი, – მე შენ ვერაფრით დაგეხმარები.

– უკან ვერ დავბრუნდები. გაიგეს, რომ იქ ვარ. რომ დავბრუნდე, შუბლში ტყვიას დამაჭედებენ.

– გაიგეს? ვინ გაიგო? ვისზე ლაპარაკობ?

– ორი ტიპია, ფილი და რიჩი. რატომღაც თვლიან, რომ მაგათი ფული მმართებს. ხუთი ათასი დოლარი მაქვს მისატანი. არ მივიტან და მომკლავენ.

– არ მჯერა შენი, ჯეიკობ.

– არ გჯერა? „სმითერსშიც“ მაგიტომ შევიყუჟე. აბა, ხომ არ გგონია, რომ დედაჩემის ხათრით ჩავეწერე? მაგ ორს ვემალებოდი.

– რაც უნდა მითხრა, ვერ დაგიჯერებ. სიმართლეც რომ იყოს ეგ ყველაფერი, არ ვიცი, რით გიშველო. ხუთი ათასი დოლარი მე არ მაქვს. ხუთი ათასი კი არა, ხუთასიც არ მაქვს. დედაშენს დაურეკე. უარს თუ გეტყვის, მაშინ მამაშენს მიმართე. მე და გრეისს შეგვეშვი, ჩვენ ნუ გვხვევ ეგეთ ამბებში.

დერეფნის ბოლოში, ტუალეტიდან წყლის ჩხრიალი მოისმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გრეისი ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა გამოჩენილიყო. ხმაურმა ჯეიკობის ყურადღება მიიპყრო, თავი დერეფნის ბოლოსკენ მიაბრუნა და როცა დაინახა, როგორ შედიოდა გრეისი სასტუმრო ოთახში ხელში საორსულო წიგნით, ყურებამდე გაეღიმა.

– ოჰო, გრეისი, – შესძახა, – რამდენი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს!

გრეისი გაშეშდა.

– რა ხდება აქ? – ამ კითხვით მხოლოდ მე მომმართა. გაოგნებული ჩანდა, მის ხმაში კარგად მოთოკილი გაავება იკითხებოდა. ისე მომაჩერდა, თითქოს ჯეიკობისკენ გახედვაც არ შეეძლო.

– ფულს გვთხოვს სესხად, – მივუგე ჩუმად.

– მოიცა რა, გრეისი, რა დაგემართა, – უთხრა ჯეიკობმა, ხმაში სარკაზმი და დაცინვა გამოერია, – გამარჯობასაც აღარ მეუბნები? ცოტა მეტი ზრდილობა რომ გამოიჩინო, შენი რა წავა?

სწორედ იმ წუთებში, როცა ვიდექი და ორივეს ერთად ვუყურებდი, გრეისის საგულდაგულოდ დაქუცმაცებული ფოტო გამახსენდა, ძარცვის დღეს დივანზე რომ წავაწყდი. სურათის ჩარჩო ქურდს წაეღო, მაგრამ სხვა რამ იყო მნიშვნელოვანი: აშკარად იგრძნობოდა, რომ სურათის ასე წვრილად, ასე დაუზარებლად დაფლეთა მხოლოდ ისეთ ვინმეს შეეძლო, ვისაც მასზე გამოსახული ადამიანი მთელი არსებით სძულდა. პროფესიონალი მძარცველი ფოტოს ხელს არ ახლებდა. ჯეიკობი კი პროფესიონალი არ იყო; ჯეიკობი ერთი არანორმალური, ნარკოტიკზე შემჯდარი მოზარდი იყო, რომელმაც, როგორც ჩანს, დიდი სიამოვნება მიიღო, როცა ტკივილი მოგვაყენა; და როცა მამამისის ორ უახლოეს მეგობარს ავნო, ამით მასზეც მოიფხანა გული.

– საკმარისია, – ვუთხარი, – როგორც ხედავ, შენთან ლაპარაკი არ გვინდა. არც გრეისს, არც მე. წინა კვირას ხომ შენ გაგვძარცვე. სამზარეულოს ფანჯრიდან შემოიპარე და ამ ბინაში ქვა ქვაზე არ დატოვე, მერე მოხვეტე, რაც კი გვქონდა სახლში ფასეული და ხელს გააყოლე. გინდა, ახლა ყურმილი ავიღო და პოლიცია გამოვიძახო, თუ შენი ნებით წახვალ? აირჩიე: ერთი ან მეორე. დამიჯერე, დავრეკავ და ხელიც არ ამიკანკალდება – დიდი სიამოვნებით ვიზამ ამას. იმაზეც ვიზრუნებ, რომ ბრალი წაგიყენონ და ციხეში მიგაბრძანონ.

რატომღაც მოველოდი, რომ ჩემს ბრალდებას უარყოფდა, თავს მოიკატუნებდა, თითქოს ძალიან შეურაცხყოფილი იყო, გვეტყოდა, როგორ ბედავთ, ასეთი რამე გუნებაში როგორ

გაივლეთო, მაგრამ ეს ბიჭი გაცილებით ჭკვიანი იყო. ჩემი სიტყვების პასუხად მხოლოდ სინანულის ოხვრა ამოუშვა, რაც, უნდა გამოვტყდე, ერთობ მოხდენილად გამოუვიდა. მერე თავის აუჩქარებელი ქნევით სკამზე ჩამოჯდა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს საკუთარი საქციელით თავადვე იყო აღშფოთებული. საკუთარი თავისადმი ზიზღის გამომხატველი ისეთივე პერფორმანსი გვაჩვენა, როგორითაც – როგორც შაბათს მიამბო – „სმითერსში“ სხვებს უმასპინძლდებოდა და თან თავისი არტისტული ნიჭით ტკბებოდა.

– ბოდიში, მაპატიეთ, – მითხრა, – თუმცა ფილსა და რიჩიზე რაც გითხარით, ეგ ყველაფერი სიმართლეა. უკვე დამდევენ და თუ იმ ხუთი ათას დოლარს არ მივუტანე, როგორც მოგახსენეთ, შუბლში ტყვიას დამახლიან. კი, ვიყავი აქ რამდენიმე დღის წინ, ვიფიქრე, სიდისგან და გრეისისგან ჩეკების წიგნაკს ვითხოვებ-მეთქი, მაგრამ ვერ ვიპოვე. რაკი ვერ ვიპოვე, სხვა რაღაცები წავიღე. კრეტინული საქციელი იყო. ძალიან ვწუხვარ. რაც ხელს გავაყოლე, სულ ნაგავი ყოფილა. არ უნდა მექნა ეგ საქმე, ვაღიარებ. თუ გინდათ, ხვალ ყველაფერს დაგიბრუნებთ. როგორც წავიღე, ისევე მიდევს სახლში ხელუხლებლად. გავიღვიძებ და მაშინვე თქვენს ნივთებს წამოგიღებთ.

– ნეტავი ვის ატყუებ, – უთხრა გრეისმა, – რისი გაყიდვაც შეძელი, უკვე გაყიდე, რაც ვერ გაყიდე, უკვე გადაყრილი გექნება. შეწუხებული პატარა ბიჭის როლის თამაშს შეეშვი, ჯეიკობ. გაიზარდე და ეგ როლი აღარ გიხდება. წინა კვირას პირწმინდად მოასუფთავე აქაურობა და ახლა კიდევ კარზე მოგვადექი?

– ეს ტიპები მოკვლით მემუქრებიან. ფულს ხვალისთვის მთხოვენ. თქვენ ორნი რომ ჯიბეგაფხეკილები ხართ, ეგ უკ-

ვე გავიგე, მაგრამ, ღმერთო ჩემო, გრეის, მამაშენი ფედერალური მოსამართლე არაა? ცოტა ფული რომ ესესხო, ეგ ნამდვილად არ გააღარიბებს. ხომ ხვდები, რასაც ვამბობ? დარბაისელი სამხრეთელი ჯენტლმენისთვის ხუთი ათასი, აბა, რა ფულია!

– ნუ სულელობ, – ვუთხარი, – გუნებაშიც არ გაივლო, რომ ბილ ტებეთსს ამნაირ საქმეში გავრევთ.

– აქედან გააგდე, სიდ, – მითხრა გრეისმა, მტკიცედ და გაავებით, – ამისი თავხედობის ატანა უკვე შეუძლებელია.

– მე კიდევ მეგონა, რომ ერთი ოჯახი ვიყავით, – მოგვიგო ჯეიკობმა და გრეისს მიაშტერდა. ისე უყურებდა, ჩემს ცოლს თვალის არიდების საშუალებას არ აძლევდა. ვითომ პატარა ბავშვივით იბუტებოდა, მაგრამ მის გამომეტყველებაში გულწრფელობის ნატამალი არ იყო – ცდილობდა, გაეღიზიანებინა და ის ფაქტი, რომ გრეისი ვერ იტანდა, თავის უპირატესობად ექცია.

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი არაოფიციალური დედინაცვალი ხარ, ეგრე არ არის? ახლა თუ არა, ხომ იყავი მაინც. ვითომ ეგ სულ არ გავალდებულებს?

ეს მაშინ თქვა, როცა გრეისი უკვე სამზარეულოში აპირებდა გასვლას.

– მორჩა, პოლიციაში ვრეკავ, – თქვა გრეისმა, – შენ თუ არ დარეკავ, ამას მე გავაკეთებ, სიდ. მინდა, რომ ეს ამაზრზენი ადამიანი მომაშორონ.

თუმცა ტელეფონამდე რომ მიეწღია, იმ სკამთან უნდა ჩაევლო, რომელზეც ჯეიკობი იჯდა და აპარატთან მიახლოება ვერ მოასწრო, რომ ჯეიკობი ფეხზე წამოიჭრა და წინ გადაუდგა. იმ მომენტამდე კონფლიქტი ვერბალურ დაპირისპირებას არ გასცდენია. ეს ჩვენი სიტყვიერი შეპასუხებაც ხომ სრულიად ამაზრზენი მოსასმენი იყო, მაგრამ

ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ფიზიკურ ძალადობაში გადაიზრდებოდა. უბრალოდ, ამისთვის მზად არ ვიყავი. დივანთან ვიდექი, ჯეიკობისგან რვა-ათი ფუტის დაშორებით და როცა გრეისი შეეცადა, მისთვის გვერდი აევლო, ჯეიკობმა მოულოდნელად ხელი სტაცა და ყურში ჩაჰყვირა:

– რა პოლიცია, რის პოლიცია, ქათამო! ახლა მამაშენს დაურეკავ. ერთადერთი, ვის ნომერსაც ახლა აგაკრეფინებ, მოსამართლეა, რომელსაც ჩემთვის ფულს გამოართმევ.

გრეისი ცდილობდა, თავი გაეთავისუფლებინა, მომწყვდეული მხეცივით ტრიალებდა, მაგრამ ჯეიკობი მასზე ხუთიექვსი ინჩით მაღალი იყო, ამის გამო დიდი უპირატესობა ჰქონდა და ზემოდან მაგრად ჰყავდა ჩაჭერილი. ბიჭს მივვარდი, მინდოდა, გრეისი გამეთავისუფლებინა, მაგრამ მიახლოება ვერ მოვასწარი, რომ ხელებით მხრებში ჩააფრინდა და კედელზე მიხეთქება დაუწყო. ახლა ზურგიდან მივვარდი, შევეცადე, მკლავები ტორსზე მომეხვია და რამენაირად გრეისისთვის მომეცილებინა, მაგრამ ის გარეწარი ჩემზე ძლიერი იყო, ბევრად ძლიერი, ვიდრე წარმომედგინა და თავი ჩემკენ მოსატრიალებლადაც არ შეუწუხებია, ისე მითავაზა მუცელში იდაყვი. სუნთქვა შემეკრა, თავბრუ დამეხვა და ჩავიკეცე. სანამ ძალას ხელახლა მოვიკრებდი, ჯეიკობს გრეისი უკვე ძირს დაეგდო და მძიმე ტყავის ფეხსაცმელს სახესა და მუცელში გამეტებით ურტყამდა. გრეისი თავის დაცვას და წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ ყოველ მცდელობაზე ჯეიკობი სახეში მუშტს აზელდა, თავს კედელზე ახლევინებდა და იატაკზე ათრევდა. როცა კიდევ ერთხელ გავიწიე, ჩემს ცოლს უკვე ცხვირიდან სისხლი წყალივით სდიოდა, მაგრამ თავდამსხმელს ვერ მოვერიე, ჩემს მუშტს ძალა და სიმწარე აღარ შერჩენოდა. გრეისი ძირს ეგდო, კვნესით კი კვნესოდა,

მაგრამ, მგონი, უკვე უგონო მდგომარეობაში იყო. მივხვდი, ჯეიკობს შიშველი ხელებით ვერასდროს გავუმკლავდებოდი, სამზარეულოში გავვარდი და კარადის ზედა უჯრიდან პურის საჭრელი დიდი დანა ამოვიღე.

– ხელი გაუშვი! – დავუღრიალე, – ხელი გაუშვი, ჯეიკობ! გაუშვი, თორემ მოგკლავ!

მგონი, თავიდან ვერ გაიგო, რას ვუყვიროდი. გაავებისგან გონება ჰქონდა დაბინდული. გიჟივით იყო, რომელსაც წესიერად არც ესმის, რას აკეთებს, მაგრამ როცა მისკენ დანამომარჯვებულმა გავიწიე, თვალის კიდით დამინახა. თავი მარცხნივ მოატრიალა და როგორც კი შენიშნა, რომ დანა მის თავზე მქონდა აღმართული, გრეისის ცემა შეწყვიტა. გახელებული ნადირის გამომეტყველება ჰქონდა, ადამიანური ზედ აღარაფერი შერჩენოდა. ცხვირიდან ოფლი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა და ვიწრო, აცახცახებულ ნიკაპზე ეცემოდა. ვიგრძენი: ახლა ჩემი ჯერი იყო, ცოტაც და მე მეძგერებოდა. ყოყმანს არც მე ვაპირებდი და დარწმუნებული ვარ, მეორე წუთს დანას თვალის დაუხამხამებლად გავუყრიდი, მაგრამ მოულოდნელად თვალი გრეისის დასისხლიანებულ, უმოძრაო სხეულზე გაუშეშდა, ხელები ჩამოსცვივდა და ყრუ ხმით მითხრა:

– დიდი მადლობა, სიდ. ჩათვალე, რომ ცოცხლებში უკვე აღარ ვწერივარ.

მერე მიტრიალდა, ბინის კარი გაიხურა და ბრუკლინის ქუჩებში იქამდე გაუჩინარდა, სანამ პოლიციის და სასწრაფო დახმარების აღმუვლებული მანქანები ჩვენს სახლს მოადგებოდნენ.

***

გრეისმა ბავშვი დაკარგა. ჯეიკობის წიხლებისაგან შინაგანი ორგანოები ერთიანად დამსკდარი ჰქონდა და როცა ნაბეგვი სხეულიდან სისხლდენა დაეწყო, ერთი ბენო ჩანასახი საშვილოსნოს კედელს მოწყდა და სისხლის ნაკადს გამოჰყვა. სპონტანური აბორტი – სამედიცინო ენაზე ამას ალბათ ასე ჰქვია. მუცელი მოწყდა; მოწყდა სიცოცხლე, რომელიც ველარასდროს მოევლინება ამ ქვეყანას. სასწრაფოს მანქანა გოვენას ჩენელით პარკ სლოუპის მეთოდისტთა საავადმყოფოსკენ მიგვაქანებდა. ჟანგბადის ბალონებსა და ორ სანიტარს შუა ჩაჭედილი ჩემს ცოლს გვერდით ვეჯექი, მის საბრალო, უმოწყალოდ დაბეგვილ სახეს უგონო გამომეტყველებით დავყურებდი, ტანში კანაკალს ვერ ვიჩერებდი და გულში სპაზმს, რომელიც მკერდში მეწყებოდა და დროდადრო მთელ სხეულს მიბოჭავდა. ცხვირი გატეხილი ჰქონდა, სახის მარცხენა მხარეზე იარებს სისხლის კოლტები უფარავდა. მარჯვენა ქუთუთო ისე დასივებოდა, რომ მეგონა, მის ქვეშ თვალს ველარასდროს დავინახავდი. საავადმყოფოში გორგოლაჭებიან საკაცეზე გადააწვინეს და რენტგენის ოთახისკენ გააქანეს, იქიდან კი მაშინვე ზედა სართულზე, საოპერაციოში აიყვანეს. ოპერაცია ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. არ ვიცი, ზუსტად რას უკეთებდნენ, მარტო ის მახსოვს, რომ სანამ ქირურგების გამოსვლას ველოდებოდი, გონზე იმდენად მოსვლა მაინც მოვახერხე, რომ შარლოთსვილში დამერეკა და გრეისის მშობლებისთვის მომხდარის შესახებ შემეტყობინებინა. სწორედ მაშინ გავიგე, რომ ჯონი აღარ იყო. ყურმილი სალი ტებეთსმა აიღო და ჩვენი ძნელად აღსაწერი, ჩემთვის სრულიად გამომფიტველი საუბრის ბოლოს მითხრა, რომ მათთვის საღამოს გილბერტს დაურეკავს და ეს ამბავი უცნობებია. „მე

და ბილი ისედაც შოკში ვიყავით," – მითხრა სალიმ, – „ნუთუ ამავე დღეს უნდა გამეგო, რომ ჯონის ბიჭი ჩვენი ქალიშვილის მოკვლას აპირებდა? ნუთუ სამყარო სულ შეიშალა?" – მკითხა მან. მერე ხმა ჩაუწყდა და ატირდა. შემდეგ ყურმილი ქმარმა გამოართვა. ბილი ტებეთსმა ყურმილი მოიმარჯვა და იმ საღამოს წარმოთქმული ერთადერთი აზრიანი სიტყვა მოვისმინე: „გადარჩება?'" – მკითხა ბილმა მოკლედ. „ჰო," – ვუპასუხე, – „აუცილებლად გადარჩება". მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი, რატომ ვუმალავდი სიმართლეს. მხოლოდ ერთი რამ მესმოდა: ვერანაირი ძალა ვერ მაიძულებდა მისთვის იმის თქმას, რომ გრეისი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო, რომ შეიძლებოდა, ვერც გადარჩენილიყო. ვერაფერი მაიძულებდა, მისი გადარჩენის შანსი შემემცირებინა, ავბედითი სიტყვების წარმოთქმით სიკვდილთან მიმეახლოებინა. თუ სიტყვა კლავს, მაშინ ყველაფრისთვის, რასაც ვამბობდი, ჭკუა უნდა დამეტანებინა და დაეჭვება, სიცოცხლის უარმყოფელი აზრი ჩემგან არ უნდა გამოსულიყო. მკვდრეთით იმიტომ კი არ აღვდექი, რომ მენახა, როგორ კვდებოდა ჩემი ცოლი. ჯონის დაკარგვაც კმაროდა, მეტი არავის დაკარგვას აღარ ვაპირებდი. ეს შეუძლებელი იყო. საიმედო არაფერი მქონდა, მაგრამ არ დავუშვებდი, რომ წერას ჩემთვის კიდევ ერთი ძვირფასი ადამიანი წაერთმია.

მომდევნო სამოცდათორმეტი საათი გრეისის სასთუმალთან გავატარე, ფეხი არ მომიცვლია. პალატის სააბაზანოში ვბანაობდი და იქვე ვიპარსავდი. დროდადრო რაღაცას ვჭამდი და თან თვალს ვადევნებდი, როგორ მიედინებოდა სადინარში სითხე მისი მკლავისაკენ და იმ იშვიათი წამებისთვის ვცხოვრობდი, როცა გრეისი ძვირფას თვალებს ახელდა და თითო-ოროლა სიტყვას მეუბნებოდა. სისხლში მუდმივად

ჰქონდა რომელიმე გამაყუჩებელი საშუალება და შესაძლოა ამის გამოც არ ახსოვდა, რა ჩაიდინა ჯეიკობმა. მხოლოდ ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ საავადმყოფოში იწვა. სამჯერ თუ ოთხჯერ მკითხა, სად ვარო, მაგრამ მაშინვე ეძინებოდა და ავიწყდებოდა, რას ვპასუხობდი. ძილში რამდენჯერმე წაიტირა კიდეც. თუ ხელით დაბინტულ სახეს შეეხებოდა, კვნესას იწყებდა, ერთხელ კი სახედაცრემლილმა გაიღვიძა და მკითხა: „რატომ მტკივა ასე ყველაფერი? რა დამემართა?“

იმ დღეებში მნახველები სულ მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მაგრამ ვინ – ეგ ბუნდოვნად მახსენდება, მათთვის ნათქვამი არცერთი სიტყვა არ მახსოვს, არადა, დარწმუნებული ვარ, ზოგიერთს მაინც ვესაუბრე, სხვანაირად არც გამოვიდოდა. თავდასხმა ორშაბათ საღამოს მოხდა. სამშაბათ დილას გრეისის მშობლები ვირჯინიიდან უკვე ჩამოფრენილები იყვნენ. ლილი, მისი ბიძაშვილი, კონექტიკუტიდან იმავე საღამოს მანქანით ჩამოვიდა. გრეისის უმცროსი დები, დარსი და ფლო საავადმყოფოში მეორე დილით მოვიდნენ. იყო ბეტი სტოლოვიცი, გრეგ ფიცჯერალდი. მოვიდა მერი სკლარი, მოვიდნენ მისტერ და მისის კარამელოები. ალბათ თითოეულ მათგანთანაც მომიხდა ლაპარაკი, მაგრამ ვერც ამას ვიხსენებ. მარტო ის მახსოვს, როგორ ვეჯექი გრეისს საწოლთან. სამშაბათს და ოთხშაბათს თითქოს სააქაოს გამოიხედა – უფრო მშვიდად თვლემდა და ეძინა. ერთხელ რამდენიმე წუთით ფეხზეც წამოაყენეს, მაგრამ მეტ-ნაკლებად ადეკვატური მხოლოდ ოთხშაბათ საღამოს გახდა და გონზე უფრო დიდხანს, რამდენიმე საათის განმავლობაში იყო. იმ ღამით საღი ძილით ეძინა, მერე კი ხუთშაბათ დილას გაიღვიძა და როგორც იქნა, მიცნო. მისი ხელი ხელში ჩავბღუჯე და ჩვენი ხელისგულები ერთმანეთს შეეხო. გრეისმა ჩემი სახელი ამოიჩურჩულა, მერე

კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა, თითქოს ეს ერთმარცვლიანი სიტყვა შელოცვასავით იყო, რომელსაც სიცოცხლისაკენ მისი მობრუნება შეეძლო.

– საავადმყოფოში ვარ, არა? – იკითხა.

– პარკ სლოუპის მეთოდისტების საავადმყოფოში, – ვუპასუხე, – მე შენთან ვარ, შენ გვერდით ვზივარ და შენი ხელი მიჭირავს. არ გესიზმრება, გრეის. მართლა აქ ვართ, მაგრამ თანდათანობით სულ უკეთ და უკეთ გახდები.

– არ მოვკვდები?

– არა, რა თქმა უნდა, არ მოკვდები.

– მცემა, არა? გამახსენდა: მუშტებს, წიხლებს მირტყამდა... მეგონა, ვერ გადავრჩებოდი. შენ სად იყავი, სიდ? რატომ არ მომეშველე?

– ვეცადე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, შენთვის ხელი ვერ გავაშვებინე და მერე დანა ავიღე. მოვკლავდი, ბევრი აღარ მიკლდა, მაგრამ გაიქცა, გრეის. მერე ცხრა-ერთი-ერთში დავრეკე, სასწრაფოს მანქანამ კი აქ მოგიყვანა.

– ეგ როდის მოხდა?

– სამი დღის წინ.

– სახეზე რა მაქვს?

– ბინტის სქელი ფენა გადევს. ცხვირი გატეხილი გაქვს.

– ცხვირი გამიტეხა?

– ჰო. ტვინის შერყევაც გაქვს. მაგრამ ახლა, მგონი, უკვე უკეთ ხარ, არა? აშკარაა, გამომჯობინებას იწყებ.

– ბავშვი? შიგნით ყველაფერი მეწვის, სიდ. შეგიძლია არ მითხრა, მგონი, ვიცი, რასაც ნიშნავს ეგ. შეუძლებელია. ნუთუ ეს მართლა მოხდა? დავკარგე?

– სამწუხაროდ. სხვა ყველაფერი კარგად იქნება, ბავშვი კი დავკარგეთ.

***

მეორე დღეს ტრაუზეს ფერფლი სენტრალ პარკში მდელოზე მოაფრქვიეს. ალბათ სულ ოცდაათი-ორმოცი ადამიანი შევიკრიბეთ იმ დილას – მეგობრებმა, ნათესავებმა და რამდენიმე თანამოკალმემ მოვიყარეთ თავი. არცერთი ოფიციალური რელიგიის წარმომადგენელი არ ყოფილა ჩვენ შორის, სიტყვა *ღმერთი* გამოთხოვებისას ერთხელაც არ წარმოთქმულა. გრეისმა ჯონის გარდაცვალების ამბავი არ იცოდა. მე და მისმა მშობლებმა გადავწყვიტეთ, ჯონის სიკვდილი მისთვის შეძლებისდაგვარად დიდხანს დაგვემალა. ბილი დაკრძალვის ცერემონიაზე ჩემთან ერთად წამოვიდა, სალი კი საავადმყოფოში, ქალიშვილთან დარჩა. გრეისს უთხრეს, რომ მე აეროპორტში ვაცილებდი მამამისს, რომელიც შინ, ვირჯინიაში ბრუნდებოდა. თანდათან უკეთ ხდებოდა, მაგრამ იმდენად მომაგრებული არ იყო, რომ ასეთი დიდი დარტყმისთვის გაეძლო. ისიც ეყო, რაც გადაიტანა-მეთქი, – ვუთხარი მის მშობლებს. როგორც პლასტმასის გამჭვირვალე პაკეტიდან იღვრებოდა სითხე წვეთ-წვეთად გრეისის ვენაში, ისე ყოველგვარი საკურნებელი მცირე დოზებად უნდა მიეწოდოს ადამიანს. ერთი ტრაგედია – ბავშვის დაკარგვაც საკმარისი იყო. ჯონის ამბავი მოიცდიდა – იქამდე მაინც, სანამ გრეისი იმდენად მომაგრდებოდა, რომ დარდისა და ნაღველის მეორე ტალღისთვის გაეძლო.

დაკრძალვაზე ჯეიკობი არავის უხსენებია, მაგრამ ჩემი ფიქრებიდან ის წამითაც არ გამქრალა, სანამ შემოდგომის იმ საუცხოო დილის ნათელში ვიდექი და ჯონის ძმის, ბილის და კიდევ სხვა მეგობრების გამოსათხოვარ სიტყვებს ვუსმენდი. „რა დასანანია ადამიანის სიკვდილი, თუ ჯერ სიბერეს არ მიახლებია," – გავიფიქრე ჩემთვის, – „რა მძიმე იქნება ხელ-

ნაწერის ნახვა, რომლისთვის საბოლოო სახის მიცემაც ჯონ-მა ვერ მოასწრო". კიდევ კარგი, რამდენიმე დღით გვიან არ წავიდა ამ ქვეყნიდან. კიდევ კარგი, რომ ორშაბათს მოკვდა და არა სამშაბათს ან ოთხშაბათს – რადგან ერთი დღე-ღა-მეც რომ ეცოცხლა, შეიტყობდა, რა ჩაიდინა ჯეიკობმა და ეს ამბავი მორალურად გაანადგურებდა. ასე კი იმას მაინც ასცდა, რაც მოხდა. ისე წავიდა, რომ ვერ გაიგო, რა მონ-სტრი შვა. საკუთარი ვაჟის გულმხეცობა მოკლავდა – ამ-ხელა ტვირთით ვერ ივლიდა, შვილს ვერაფრით აპატიებდა იმ ადამიანის სიძულვილს, ვინც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა. ჯეიკობის სახელს ტაბუ დაედო, მაგრამ მე მისი სიძულვილით ვიწვოდი, იმ წუთს ველოდი, როცა პოლიციას ხელში ჩაუვარდებოდა და მის წინააღმდეგ სასამართლოში ჩვენებას მივცემდი. რა სამწუხაროა, რომ ამის საშუალება აღარ მომეცა: იმ წუთებში, როცა სენტრალ პარკში ვიდექი და მამამისს გულში ვეთხოვებოდი, ჯეიკობი უკვე მკვდარი იყო. თუმცა იმ დილით ეს ჯერ არავინ არ ვიცოდით. კიდევ ორი თვე უნდა გასულიყო, სანამ პოლიცია მის გახრწნილ გვამს იპოვიდა – შავი ცელოფნის დიდ ნაჭერში გახვეული, ბრონქსში, ჰარლემის სანაპიროსთან ახლოს, მიტოვებულ მშენებლობაზე, ნაგვის გროვაში ჩაემარხათ. ორი გასროლით მოეკლათ, ორივე ტყვია თავში მოხვედროდა. რიჩი და ფილი მისი ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილან: მომდევნო წელს, როცა სასამართლოში მისი საქმის დოკუმენტაციას ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგიც დაემატა, გაირკვა, რომ ის ორი ტყვია სხვადასხვა იარაღიდან იყო გასროლილი.

იმავე დღეს (პირველ ოქტომბერს) მანჰეტენიდან მადამ დი-უმას ხელით გამოგზავნილმა წერილმა ბრუკლინში ჩამოაღწია. საფოსტო ყუთში მაშინ ვიპოვე, სენტრალ პარკიდან შინ რომ

დავბრუნდი (ტანზე უნდა გამომეცვალა და ისევ საავადმყოფოში უნდა დავბრუნებულიყავი). კონვერტს გამომგზავნის მისამართი არ ეწერა და ამიტომ მის ვინაობას მაშინღა მივხვდი, როცა ბინის კარი გავაღე და კონვერტი გავხსენი. ტრაუზეს წერილი ხელით დაეწერა. მისი ხელწერა იყო – მიბრეცილი, ნაჩქარევად გამოყვანილი ასოები – დამწერის გამოცნობა არ გამჭირვებია. სამაგიეროდ, ტექსტის წაკითხვა რამდენჯერმე დამჭირდა, სანამ სტიქიურად, მღელვარებით დაწერილ მის ასოებს გასაღებს მოვარგებდი, ნიშნებს სიტყვებად გადავაქცევდი, მერე კი ყურში ჯონის ხმა ჩამესმა – სიკვდილის გაღმა მხრიდან, არსაითის ნაპირიდან ცოცხალივით მელაპარაკებოდა. წერილის წაკითხვისთანავე კონვერტში ჩადებული ჩეკიც ვიპოვე და ვიგრძენი, როგორ მომაწვა მწარე ცრემლები. თვალწინ დამიდგა, როგორ მოაბნიეს ჯონის ფერფლი პარკში იმ დილას. შემდეგ გრეისი დავინახე, საავადმყოფოს საწოლში მწოლიარე, მერე საკუთარი თავი – იმ წუთებში, როცა ლურჯი რვეულის გვერდებს ვხევდი და ნაგავში ვყრიდი. ახლა ჯონის ცოლის ძმის, რიჩარდის სიტყვებით ვიტყვი: სახე ხელებში ჩავრგე, ავქვითინდი და იმდენი ვიტირე, სანამ ცრემლები არ გამომელია. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი ასე, მაგრამ იმ წუთებში, როცა ცრემლები წამომივიდა, უკვე ბედნიერი ვიყავი, ბედნიერი, რომ სული მიდგას, ცოცხალი ვარ; რომ ჯერ არასდროს ვყოფილვარ ასეთი ცოცხალი. ბედნიერების განცდა, რომელიც თანდათანობით მთელ ჩემს არსებას ავსებდა, ნუგეშზე, თანაგრძნობაზე, სიბრალულზე მეტი იყო, სამყაროს ყველა სიმახინჯესა და უსასრულო მშვენებაზე გაცილებით მეტი. ბოლოს ცრემლები გამომელია, საძინებელში გავედი და ახალი ტანისამოსი ჩავიცვი. ათ წუთში ისევ ქუჩაში გავედი და საავადმყოფოსკენ გავეშურე, გრეისის სანახავად.

მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა

ამ წიგნის პირველად და მეორედ წაკითხვას შორის (რაკი თარგმნასაც წაკითხვა ჰქვია, ოღონდ უფრო „ხარისხიანი“) რამდენიმე წელიწადი გავიდა. პირველად წიგნი სრულიად მაგიური და ჩამთრევი მეჩვენა. მეორედ წაკითხვისას სკეპტიკური განწყობა დამეუფლა. მაინც რა ღირსებას სძენს რომანს ცხოვრების ჩვეულებრივი ფაქტებისთვის ამხელა მნიშვნელობის მინიჭება? ქალის ყოვლისმომცველი სიყვარულის მკითხველისთვის თავზე მოხვევა? მწერლის ხელობის საკრალირება?

რაღაც ხანში ამის გააზრება თავისით მოვიდა, მანამდე, სანამ ოსტერის ისედაც ცხად კრედოს, სიტყვიერად გამოხატულს, ჯონ კუტზეესთან მიწერ-მოწერაში ამოვიკითხავდი. ერთ-ერთ წერილში ოსტერი წერს, რომ ბევრი მისი პერსონაჟი დარდისგან, გადატანილი უბედურებისგან ან სხვა რამ შემთხვევისგან განადგურებული ადამიანია, რომლებიც ხელახლა დაწყებულ ცხოვრებაში ისეთ რამეებს აკეთებენ, რის გაკეთე-

ბაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში აზრადაც არ მოუვიდოდათ: ქუინი „ნიუ-იორკულ ტრილოგიაში“ კერძო დეტექტივისა და დონ კიხოტის როლში შედის და სინამდვილე საბედისწერო ხრიკით ატყუებს, პროფესორი ზიმერი „ილუზიების წიგნში“ მუნჯი კინოს მკვლევარი ხდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახის დაღუპვით გამოწვეული აუტანელი ტკივილი გაიყუჩოს. ამის წყალობით მის ცხოვრებაში ჯერ ახალი ხალხი ჩნდება, მერე – ახალი დანაკარგი.

სიდნი ორი, ამ წიგნის პროტაგონისტი, სიკვდილს სასწაულით გადაურჩა. თვეების შემდეგ ახალ ცხოვრებას ისე იწყებს, თითქოს ბურანშია – და აი აქ ხვდები, რომ რეალობის განცდადაკარგულს, ფიზიკურად სრულიად გამოფიტულს, ქუჩაში ექიმის რჩევით ჯიუტად მოლასლასე ადამიანს რეალობა სულ სხვანაირად წარმოუდგება. ყველაფერი, რაც ცხოვრებაში მყარი, თავისთავად მისაღები, მკვიდრად ფესვგადგმული ჩანს, მისთვის აუტანლად მძიმე და დიდია (თავის ლამის უსხეულო არსებობასთან შედარებით), ყველა როლი ცხოვრებაში – განსაკუთრებული, მწერლის ხელობა კი – ერთადერთი გასაღები, რომლის მეშვეობითაც ხელახლა შეძლებს რეალობაში შესვლას.

მის მიერ დაწყებული რომანის პერსონაჟებიც კი მხოლოდ ფიგურებია ჭადრაკის დაფაზე, მათი ინტერტექსტუალური გადაადგილებითა და თავგადასავლებით სიდნი ორი თავიდან ქმნის რეალობის ასლს (ამიტომაა, რომ ზოგიერთი პერსონაჟი იქ რჩება, საიდანაც წესით ავტორის ჩანაფიქრს უნდა გამოეყვანა, ჭადრაკის დაფაზეც ხომ რჩება უმოძრაოდ ზოგი ფიგურა). ესაა ხერხი, რომელიც ცხოვრებაში ორიენტაციას დაუბრუნებს. მერე კი ის ხდება, რაც სულაც არ ჰქონდა განზრახული. ინტერტექსტუალური გამეორებებითა და სვლებით დაბადებული მაგია მის ნაწერში მისნურ ხაზს აჩენს და

სიდნი დაფარულ სიმართლეს უახლოვდება (რამდენად, ამას ვერასდროს შევიტყობთ). ეს მისი რეალობაა, მისი, იმიტომ რომ მისი ცხოვრების ვერსიაა, ან იმიტომ, რომ მისი კალმის წვერიდან იშვა.

კაცმა რომ თქვას, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარს გადაბიჯების შემდეგ სიდნი ორისთვის რეალობის ხელმოსაჭიდ ორიენტირებად ცხოვრების ის ელემენტები რჩება, რომელთა გარდა, ერთი კარგი ქართველი ფილოსოფოსის აზრით, ჩვენს ცხოვრებას აზრს, ფასეულობას ვერაფერი ანიჭებს – მეგობრობა, სიყვარული და ხელოვნება.

მწერლები და მათი მონათხრობი სხვა მწერლებზე ხომ ოსტერის ერთ-ერთი საყვარელი თემაა. ბოლოს და ბოლოს, მათი მონათხრობიც ხომ ყოველთვის ამბავია, გაუშლელი რომანები და მწერლების „სიცოცხლეებიც“ ინტერტექსტად ეკვრება ერთმანეთს, რომ რაღაც ახალი სანამდვილე დაიბადოს. არათუ დაწერილი სიტყვაა ძალა, რომელიც რაღაცას შობს, რაღაც ისეთს, რაც მერე სვლას დამოუკიდებლად იწყებს: დაუწერელი („დროში დაუბადებელი„ ბავშვივით – ოსტერის სხვა რომანში, „ნიუ-იორკულ ტრიოლოგიაში“ პროფესორი სტილმენისთვის ესეც რეალობაა) ან წაშლილი (მოკლული ბავშვები და შვილები) ტექსტები, სიდნის შემთხვევაში კი დახეული და სანაგვეში გადაძახებული რვეული, რომელშიც მისი ცხოვრების ვერსია დაიწერა. სიტყვა, დაწერილი და დაუწერელი, კლავს ან სიცოცხლეს აძლევს. ხოლო ველი, რომელშიც ეს მაგია ხდება, ჩვეულებრივი რვეული ან ბლოკნოტია. ამ ნივთს ასეთი დატვირთვა ერგო და ამიტომ ოსტერის ნაწერებში არაცოცხალი სამყაროს ობიექტებიდან ყოველთვის გამოირჩევა, ლამის ცოცხალი არსების ნიშანთვისებები აქვს შეძენილი.

ერთხელაც „მისნის ღამისადმი“ მიძღვნილი ერთ-ერთი კრიტიკული სტატიის ქვეშ კომენტარს წავაწყდი. ისეთი კომენტარი იყო, თითქოს წლების წინ თვითონ დავწერე და მერე მიმავიწყდა. „ეს წიგნი იმათთვის არის, – წერდა კომენტარის ავტორი, – ვისაც ბავშვობაში (თუმცა შეიძლება მერეც, მაგრამ რატომღაც ეგ უფრო ხშირად ბავშვობაში ხდება) წიგნაკებისა და ბლოკნოტების მიმართ გადაულახავი ლტოლვა გამოუცდია, დაახლოებით ისეთი, როგორიც ამ რომანში რამდენჯერმე გვხვდება“. ეს მართლა ასეა. ნეტავ საიდან მოდის ეს ლტოლვა? იმ წარმოუდგენელი შესაძლებლობების გააზრება ხომ არ დევს მასში, რომლებიც მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი (მწერალი, ბავშვი) პირველად ადებს კალმის, შეიძლება, ფანქრის წვერს სუფთა ფურცელს? რამდენს სუფთად შეუნახავს ეს ბლოკნოტები თუ რვეულები ისე, რომ მათში არაფერი ჩაუწერია – შეიძლება იმის გაუაზრებელი ცოდნითა და შიშით, რომ ბევრი წელი გავა და როდისმე, წარსულისკენ მიბრუნებისას, აუცილებლად იმ კალმის წვერის ხმა გაახსენდება, რომელმაც თურმე მასზე მეტი იცოდა.